

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა
„სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“

მირანდა გიორგაშვილი

მიწოდებული ინფორმაციის
რიგის გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე

ფსიქოლოგიის დოქტორის(PHD)აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი, რევაზ ჯორბენაძე

2018, თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბსტრაქტი.....	vii
შესავალი.....	8
გნაწილი 1. პირველი შთაბეჭდილება.....	8
გნაწილი 2. ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
აშის კონფიგურაციული და ელემენტარისტული მოდელი	9
ალგებრული მოდელი.....	11
ძირითადი ცნებები.....	13
კატეგორიზაცია და ატრიბუტზე დაფუძნებული მენტალური რეპრეზენტაციები	16
კონტინიუმის მოდელი.....	21
პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი.....	30
გნაწილი 3. კვლევის მიმოხილვა	44
კვლევის მიზანი.....	44
კვლევის საკითხი.....	48
კვლევის ამოცანები	52
კვლევის ჰიპოთეზა.....	52
<i>რატომ არის კონტრასტი მნიშვნელოვანი.....</i>	<i>55</i>
კვლევის დიზაინი.....	58
მეთოდი.....	58
მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვა.....	60
ჰიპოთეზა თითოეული ექსპერიმენტული პირობისთვის.....	63
კვლევის მასალა.....	65
კვლევის მონაწილეები	69
პროცედურა.....	70
ამოცანები და კვლევის ეტაპები.....	71

§ ნაწილი 4. კვლევის ეტაპები	73
კვლევის I ეტაპი - პროფესიული სტერეოტიპების შერჩევა.....	73
მიზანი.....	73
შერჩევა.....	74
მეთოდი.....	74
მონაცემების დამუშავება.....	74
კვლევის II ეტაპი - სტერეოტიპული შინაარსების გამოვლენა	75
კვლევა 1. თვითადმინისტრირებული ანკეტირება ღია შეკითხვების გამოყენებით.....	76
მიზანი.....	76
შერჩევა.....	76
მეთოდი.....	76
მონაცემების დამუშავება.....	77
კვლევა 2. ფოკუს ჯგუფი.....	83
მიზანი	83
შერჩევა	84
მონაცემების დამუშავება.....	84
დასკვნა.....	89
კვლევის III ეტაპი - სტერეოტიპული შინაარსების რაოდენობრივი გადამოწმება.....	90
მიზანი.....	90
შერჩევა.....	91
მეთოდი.....	92
მონაცემების დამუშავება.....	93
დასკვნა.....	106
კვლევის IV ეტაპი - ფოტოების შექმნის ეტაპი	107
შექმნილი ფოტოების შეფასება „ექსპერტების“ მიერ	116
მეთოდი.....	116

შეფასებები	117
ფოტოების პილოტაჟური კვლევა.....	122
მიზანი.....	122
შერჩევა.....	122
მონაცემების დამუშავება.....	123
კვლევის V ეტაპი - ინდივიდუალური ქცევასთან დაკავშირებული	134
ასოციაციების გამოვლენა	134
ექიმისთვის და IT-თვის შერჩეული ქცევების გადამოწმება	135
მიზანი.....	135
მეთოდი.....	136
შერჩევა.....	136
შედეგები.....	137
ინდივიდუალური ქცევის ასოციაციების კვლევა, თითოეული	139
პროფესიული კატეგორიის მიხედვით	
მიზანი.....	139
მეთოდი.....	140
შერჩევა.....	140
შედეგები	140
კვლევის VI ეტაპი - შთაბეჭდილების გასაზომის სკალის ფორმირების	142
პროცესი	142
მიზანი.....	142
პროცედურა	142
შთაბეჭდილების გასაზომის სკალის პილოტაჟი.....	146
მიზანი.....	146
მეთოდი.....	147
მონაცემების დამუშავება.....	147
შედეგები.....	149
ანალიზი.....	153
კვლევის VII ეტაპი - ძირითადი ექსპერიმენტი	153
მიზანი.....	153
მეთოდი.....	154
ექსპერიმენტული პირობები.....	158
ჰიპოთეზა	158
მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვა	160

ჰიპოთეზა თითოეული ექსპერიმენტული პირობის მიხედვით	161
ცვლადები	163
საექსპერიმენტო მასალა	164
გამოყენებული ინვენტარი	164
მონაწილეთა შერჩევა	164
პროცედურა.....	165
მონაწილეები.....	165
ინსტრუქცია.....	165
ფოტოების წარდგენისთვის გამოყენებული დრო.....	166
ფოტოების წარდგენის პირობები.....	167
აღქმის წარმართველი დებულებები.....	168
გაუქმებული მონაცემები.....	169
ყურადღების გადამტანი დავალება.....	170
მეხსიერებაზე გათვლილი შეკითხვები.....	172
პასუხების მოწოდება	174
პროცედურის მიმდინარეობა.....	175
დებულებების შეფასება	176
წნაწილი 5. შედეგები.....	177
შთაბეჭდილებები ექიმის ფიგურაზე.....	177
ექიმი შესახებ მიღებული შედეგების მოკლე შეჯამება.....	203
შთაბეჭდილებები IT-ის ფიგურაზე.....	205
IT-ის შესახებ მიღებული შთაბეჭდილებების მოკლე შეჯამება	230
წნაწილი 6. შედეგების ანალიზი.....	232
წნაწილი 7. დისკუსია.....	232
ბადისებრი ქსელის მოდელის შეფასება და კონტრასტის ეფექტის მნიშვნელობა	237
<i>დამატებით ანალიზი I.....</i>	241
<i>დამატებით ანალიზი II.....</i>	243
მოცემული კვლევის შეზღუდვები.....	249
მოსაზრებები მომავალი კვლევისთვის.....	250
წნაწილი 8. დასკვნა.....	253
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	255
ბიბლიოგრაფია	259

დანართიA 20 ღია კიხთვიანი თვითადმინისიტრირებული ანკეტის შედეგები	263
დანართიB რაოდენობრივ გამოკითხვაში გამოყენებული ანკეტა.....	277
დანართიC რაოდენობრივი კვლევის მონაცემების დამუშავება ფაქტორული ანალიზით	296
დანართიD ფოტოების ფორმირების პროცედურები	319
დანართიE ექსპერტების შეფასებები ფორმირებულ ფოტოებთან დაკავშირებით	325
დანართიF ინდივიდუაციური ქცევითი ასოციაციების გამოვლენა	352
დანართიG საბოლოოდ შერჩეული ინდივიდუაციური ქცევების ასოციაციების გამოვლენა	358
დანართიH შთაბეჭდილების გასაზომის სკალის პილოტაჟი	361
დანართიI ძირითადი ექსპერიმენტის დიზაინი	372
დანართიJ ძირითადი ექსპერიმენტის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება	378
დანართიK ექიმის შეფასებების საფუძველზე გამოყოფილი ფაქტორები	383
დანართიL ექსპერიმენტულ პირობებში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება (ექიმისთვის)	385
დანართიM ექიმის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების ექსპერიმენტში მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები	392
დანართიN ძირითადი ექსპერიმენტის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება	399
დანართიO IT-ის შეფასებების საფუძველზე გამოყოფილი ფაქტორები	402
დანართიP ექსპერიმენტულ პირობებში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება (IT-თვის)	406
დანართიQ IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების ექსპერიმენტში მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები	415

აბსტრაქტი: მოცემული კვლევა, მიზნად ისახავს სოციალური ინფორმაციის დამუშავების პროცესში კატეგორიზაციის დომინანტობის საკითხის შესწავლას. ის ეყრდნობა პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის თეორიას (Kunda & Thagard 1996) და იკვლევს მოცემული მოდელის დაშვებას, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის მიწოდების რიგს. მოცემული დაშვების თანახმად, ინფორმაციის დამუშავების დომინანტურ ტიპს, იქნება ეს სტერეოტიპული და ინდივიდუალური, განსაზღვრას მიწოდებული ინფორმაციის რიგი, კერძოდ კი რიგში პირველად წარდგენილი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, კატეგორიზაციის (იგივე სტერეოტიპიზაციის) პროცესი იმ შემთხვევაში იქნება დომინანტური, თუკი შესაბამისი სტერეოტიპული ინფორმაცია წარდგენილ (აღქმულ) იქნა პირველ რიგში; ამის მსგავსად, თუკი სტერეოტიპულის ნაცვლად, ინდივიდუალური ინფორმაცია იქნა წარდგენილი პირველ რიგში, მაშინ სამიზნე ინდივიდის შესახებ, აღქმელის მიერ, ინფორმაცია დამუშავდება ინდივიდუალურად. მოცემული ჰიპოთეზის გარდა, ჩვენი კვლევა, ცდილობს შეისწავლოს ის კოგნიტური მექანიზმიც, რომელიც მოცემული თეორიის მიხედვით საფუძვლად უდევს სოციალური ინფორმაციის დამუშავების ანუ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესს. ეს მექანიზმი ეხება ასოციაციურ ბადეს და მასში მიმდინარე აქტივაციის პროცესებს, რომლებითაც წარმატებით შეიძლება აიხსნას შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესი, მოცემული სტერეოტიპული და ინდივიდუალური დამუშავების ტერმინებში.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია ექსპერიმენტული კვლევა, რომელსაც წინ უძღვის მრავალი წინასწარი კვლევა და პილოტაჟური კვლევა. კვლევის ყველა ეტაპის ჩატარება მოხდა დაგეგმილი ექსპერიმენტისთვის სრულფასოვანი მომზადების მიზნით. მოცემულ ექსპერიმენტში, რიგში პირველობის ეფექტის შესწავლის მიზნით პირველ შთაბეჭდილებაზე, ერთ და იგივე ინდივიდის შესახებ, სხვადასხვა რიგით ვარირებულ იქნა ერთი და იგივე ინფორმაცია. ჩვენს მიერ სპეციალურად შექმნილი შთაბეჭდილების გასაზომი სკალების დახმარებით, დადასტურდა რიგში პირველობის ეფექტი, წარდგენილი სოციალური ინფორმაციის დამუშავების პროცესში. შესაბამისად დადასტურდა კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორის არსებობა (რიგის ფაქტორი), რომელიც აშუალებს კატეგორიული აზროვნების დომინანტურობას, შთაბეჭდილების ჩამოყალიბების დროს.

მოცემული კვლევა, რიგის ეფექტის შესწავლის გარდა, ახდენს მთელი პარალელური დამაკმაყოფილებელი თეორიის შესწავლასაც, რომლის მოსაზრებებიც, დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის პროცესებთან დაკავშირებით წარმატებით ზომავს ექსპერიმენტში მიღებულ შთაბეჭდილებებს და ასევე, წარმატებით ხსნიან მიღებულ მთავარ შედეგებს.

მთავარი ცნებები: სტერეოტიპული აზროვნება, ინდივიდუალურად, კატეგორიული ინფორმაცია, ინდივიდუალური ინფორმაცია, ინფორმაციის დამუშავება, ბადისებრი ქსელი, აღძვრა-შეკავების პროცესები, შთაბეჭდილების ჩამოყალიბება, პირველობის ეფექტი.

1. შესავალი

1.1 პირველი შთაბეჭდილება

დაშვება, თუ როგორ ხდება ინდივიდის მიერ სოციალური ინფორმაციის დამუშავება, გონებაში მისი ორგანიზება და შემდგომ, ამ პროცესის საფუძველზე შესაბამისი მსჯელობის განხორციელება დიდი ხანია წარმოადგენს კოგნიტური და სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის საგანს. შთაბეჭდილება, განსაკუთრებით კი პირველი შთაბეჭდილება, კატეგორიული აზროვნება, სტერეოტიპული აღქმა, ინდივიდუაცია, სქემები და მასში არსებული ასოციაციური კავშირები, ინფორმაციულ ნაწილებს შორის არსებული სტრუქტურული ბადე - ყოველივე ეს არის მრავალწლიანი კვლევის შედეგად გამოვლენილი პროცესები და მექანიზმები, რომლებიც ხსნიან ინდივიდების მიერ ერთმანეთის გაგებისა და პიროვნული შეფასების ფენომენს. თუ უფრო დავაკონკრეტებთ, სხვა ადამიანის გაგება მოიცავს იმას, თუ რამდენად მოგვწონს აღქმული ინდივიდი, როგორ ვახდენთ სხვისი ქცევის ინტერპრეტაციას, სხვისი ქცევის წინასწარტყველებას, ასევე პიროვნული თვისებების მიწერას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური სამყაროს ორგანიზების პროცესი მოიცავს, როგორც კოგნიტური შეფასების, ასევე აფექტური შეფასებებსაც. პირველი შთაბეჭდილება (შთაბეჭდილების ფორმირება) წარმოადგენს ხსენებული საკითხების კვლევის ცენტრალურ მიმართულებას, რომლის აქტიური შესწავლაც ფისკესა და პაველჩაკის (1986) თანახმად დაიწყო 1930 წლებიდან ამის, ოლპორტის, ბარტლეტის, ბრუნერისა და ლიპმანის კვლევებით. ამ ადრეული კვლევის მონაცემებით გამოვლინდა კოგნიტური სტრუქტურა - *კატეგორია*- რომელიც დასახელდა სოციალური ინფორმაციის გაგების მთავარ მექანიზმად. კატეგორია ეს არის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს მსგავსი მახასიათებლების მქონე წევრებს, რომელიც ყოველი ახალი ობიექტის აღქმის შედეგად საშუალებას იძლევა ახალი ობიექტი დანახულ იქნას უკვე არსებული კატეგორიის (ცოდნის) ჭრილში. ამ პროცესის დახმარებით, ინდივიდი გადის „აქ და ახლა“ აღქმული ინფორმაციის მიღმა და ახალ ობიექტს მიაწერს ისეთ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ ობიექტის მიერ გონებაში გააქტიურებული კატეგორიისთვის (Fiske & Pavelchak, 1986, p:166). განცალკევებით აღებული კატეგორიული მექანიზმის გარდა, შემოთავაზებულ იქნა შთაბეჭდილების ჩამოყალიბების სხვადასხვა თეორიული მოდელიც. მართალია მოცემული მოდელები იდენტური ცნებების გამოყენებით ოპერირებენ (როგორცაა არის კატეგორიზაცია, სტერეოტიპული აზროვნება და ა.შ), თუმცა ისინი აბსოლუტურად განსხვავებულად ხსნიან პირველი შთაბეჭდილების ფორმირების დინამიკას. ქვევით ჩვენს წარმოგიდგენთ, თითოეული მოდელის მოკლე თანმიმდევრულ აღწერას. წარმოდგენილ იქნება *კონფიგურაციული და ელემენტარისტული მოდელი, გასაშუალოებისა და დაჯამების მოდელი,*

კონტინუუმის მოდელი და ბოლოს პარალელურად დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. აშის კონფიგურაციული და ელემენტარისტული მოდელი

აშის მიერ შემოთავაზებულ იქნა შთაბეჭდილების ჩამოყალიბების ორი მოდელი - კონფიგურაციული და ელემენტარისტული.

კონფიგურაციული მოდელის თანახმად, შთაბეჭდილების ჩამოყალიბება არის გეშტალტის მსგავსი პროცესი (Fiske & Pavelchak, 1986; Read, Vanman & Miller, 1997), რომლის დროსაც ადამიანის შესახებ აღქმული სხვადასხვა თვისება ერთმანეთზე აზრობრივად ახდენს გავლენას, ცვლის ერთანეთის მნიშვნელობას და ამ გზით აყალიბებს ერთ მთლიანობით და აზრობრივად დაკავშირებულ შთაბეჭდილებას (Fiske & Pavelchak, 1986; Read et al., 1997). აშის მოწოდებულ მოდელში მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების განმარტება, როგორც არის კონტექსტი და მისი გავლენა ნაწილებზე და ასევე, ცენტრალური მახასიათებლის ცნება.

აშის აზრით, მთლიანობითი პროცესის მთავარი შედეგი ის არის, რომ ამ პროცესში თითოეული ელემენტის მნიშვნელობა იცვლება სხვა ელემენტების მნიშვნელობების მიხედვით (Read et al., 1997, p: 38). გამოდის, რომ ერთმა და იგივე თვისებამ (მახასიათებელმა) სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა შესაძლოა მიიღოს. მართლაც თუ გავიხსენებთ აშის კლასიკურ კვლევას, ზედსართავ სახელებთან დაკავშირებით (ჩატარებული 1946 წელს), ვნახავთ რომ თვისება „თბილი“ იცვლის მნიშვნელობას და წონას იმის მიხედვით, თუ რომელ სხვა თვისებებთან ერთად არის ის წარმოდგენილი - „ინტელიგენტი, მიზანმიმართლი, ფრთხილი, პრაქტიკული და მცოდნე“ თუ „მორჩილი, სუსტი, ზედაპირული და არაამბიციური, უსარგებლო“ (Nauts, Langner, Huijsmans, Vonk & Wigboldus, 2014). აშის მიხედვით, სხვადასხვა კონტექსტის გამო იცვლება არა უბრალოდ ერთი მახასიათებლის აფექტური შეფასება, არამედ შექმნილი შთაბეჭდილების მთლიანი შინაარსიც. ინტელექტუალური ადამიანის თვისება, როგორც არის მხიარულება ინტენსივობით კი არ განსხვავდება სულელი ადამიანის იმავე თვისებისგან, არამედ თვისებრივად (ციტირებული Nauts, et al., 2014, p:153).

მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც უკავშირდება აშის კონფიგურაციულ მოდელს, არის ცენტრალური და პერიფერიული თვისებების ცნება, რომელიც პირდაპირ კავშირშია კონტექსტის გაგებასთან. აშის მიხედვით, კონტექსტიდან გამომდინარე, ზოგიერთი თვისება იღებს ისეთი ცენტრალური თვისების როლს, რომლის ირგვლივ ერთიანდება დანარჩენი თვისებები (Fiske & Pavelchak, 1986), სწორედ აქედან გამომდინარე ვიღებთ აზრობრივად გაერთიანებულ ერთ მთლიან შთაბეჭდილებას. მაგ: შთაბეჭდილება იმ ინდივიდის შესახებ, რომელიც არის უცნაური იდეების მქონე, აქვს არაპროგნოზირებადი ქცევა და რომელიც არის დაბნეული, შეიძლება გაერთიანდეს „უცნაური ადამიანი“-ს თვისების ირგვლივ (Fiske & Pavelchak, 1986, p: 169). ის თუ რომელი თვისება გახდება ცენტრალური და რომელი პერიფერიული დამოკიდებულია მიწოდებული თვისებათა კონტექსტზე (Nauts et al., 2014, p:153). ნებისმიერ თვისებას შეუძლია გახდეს ცენტრალური თვისება, რადგან ყოველ ჯერზე თითოეული თვისების მნიშვნელობა და წონა იცვლება სხვა თვისებათა კონტექსტის მიხედვით. თავდაპირველად ცენტრალური თვისებებად მიჩნეული თვისებებიც კი, როგორცაა აშის მიხედვით „თბილი“ და „ცივი“, სულ თავისუფლად შეიძლება გახდეს პერიფერიული სხვა თვისებათა წყებაში (Nauts, et al., 2014, p:154).

ელემენტარისტული მოდელის თანახმად, რომელიც აშმა შემოგვთავაზა კონფიგურაციული მოდელის პარალელურად, შთაბეჭდილება ასევე შეიძლება შეიქმნას ერთმანეთთან აზრობრივად არადაკავშირებული ცალკეული ნაწილებისგანაც - სხვანაირად რომ ვთქვთ, არა მთლიანობითი პრინციპით, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ დაგროვებული ელემენტების პრინციპით, რასაც მოგვიანებით ფისკე უწოდებს ნაწილ-ნაწილ დამუშავებას („piacemeal processing“) (Fiske & Pavelchak, 1986, p: 169). კონფიგურაციული მოდელისგან განსხვავებით, რომელშიც მოცემული თვისებები ერთმანეთის მნიშვნელობას ცვლიან და ერთიანდებიან ერთი საერთო აზრის ქვეშ, ელემენტარისტულ მოდელში თითოეული თვისება ფასდება ცალ-ცალკე, სხვა თვისებათა კონტექსტისგან დამოუკიდებლად. ასეთი განცალკევებული შეფასების შემდეგ, ხდება ამ შეფასებების გაერთიანება და შედეგად, შთაბეჭდილების ჩამოყალიბება (Fiske & Pavelchak, 1986). მაგ: ზემოხსენებული უცნაური ინდივიდის შეფასების შემთხვევაში, ნაწილ-ნაწილ დამუშავება ასე წარიმართება - შეფასდება მისი დაბნეულობის თვისება, შეფასდება მისი არაწინასწარმტყველებადი ქცევის ქონის თვისება, შეფასდება მისი უცნაური იდეების ქონის თვისება და შემდეგ ეს შეფასებები გაერთიანდება ერთ საერთო შეფასებაში. აღსანიშნავია, რომ აშს, არ მოუცია მკაფიო მექანიზმი ელემენტარისტურ მოდელში შეფასებათა გაერთიანების ასახნსელად (ცენტრალური თვისების ირგვლივ გაერთიანების გარდა), თუმცა მისი ეს მოდელი მეცნიერულად განავრცო ანდერსონმა, რომელმაც შემოგვთავაზა გასაშუალოების და

დაჯამების კონკრეტული მექანიზმები და მათი კვლევა (Fiske & Pavelchak, 1986). ხსენებულ მოდელს განვიხილავთ მოგვიანებით.

ამრიგად, აშის მიერ წარმოდგენილი ორივე მოდელი საფუძვლად დაედო ერთ მხრივ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების კატეგორიულ, ხოლო მეორე მხრივ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების ნაწილ-ნაწილ ფორმას. კონფიგურაციული მოდელი ახლოს არის კატეგორიზაციის პროცესთან (Fiske, Neuberg, Bettie & Milberg, 1987), ხოლო ელემენტარისტული მოდელი შთაბეჭდილების ნაწილ ნაწილ დამუშავების პროცესთან (Fiske & Pavelchak, 1986). ეს ორი წარმოადგენს სოციალური ინფორმაციის დამუშავების ორ მთავარ მექანიზმს, რომელსაც ეყრდნობა შთაბეჭდილების ჩამოყალიბების ახალი მოდელებიც. ჩემს მიერ მოგვიანებით განსახილველი მოდელებიც, სათავეს მნიშვნელოვნად წილად აშის კვლევებიდან იღებენ.

2.2. ალგებრული მოდელი

მიუხედავად იმისა, რომ ელემენტარისტული მოდელი აშის კვლევებიდან იღებს სათავეს, ამ მოდელის განვრცობა და ექსპერიმენტული შესწავლა აქტიურად მოხდა ანდერსენის და მისი კოლეგების მიერ (Fiske & Pavelchak, 1986; Read et al., 1997; Brewer, 1968). ასეთი კვლევების შედეგად უფრო მკაფიოდ გამოიყო ინფორმაციის ნაწილ-ნაწილ დამუშავების მექანიზმი. აშის კონფიგურაციული მოდელს დაუპირისპირდა ანდერსონის ალგებრული მოდელი, რომლის თანახმადაც შთაბეჭდილების პროცესში ინფორმაციის ინტეგრაცია ხდება არა მნიშვნელოვნების პარალელური ურთიერთზეგავლენის ფორმით, არამედ სწორხაზოვანი მათემატიკური პრინციპით - ცაკლეული ინფორმაციული ნაწილების მნიშვნელობათა გასაშუალოებით ან ამ მნიშვნელობათა დაჯამებით (Read et al., 1997; Brewer, 1968).

აღსანიშნავია, რომ დაჯამებისა და გასაშუალოების მოდელს აქვთ რამდენიმე მოდიფიკაცია, თუმცა მათ კლასიკურ ვარიანტს თუ განვიხილავთ, ისინი მართლაც მიყვებიან მარტივ მათემატიკურ პრინციპებს:

გასაშუალოებების მოდელის მიხედვით - საბოლოო შეფასება წარმოადგენს მიწოდებული ინფორმაციის ცალკეული შეფასებების მნიშვნელობათა საშუალოს. შედეგად საბოლოო შეფასება არის ერთგვარი კომპრომისი მიწოდებულ ინფორმაციაში უკიდურესი მნიშვნელობის მქონე ცალკეული ინფორმაციის შეფასებებს შორის და ასევე, გასაშუალოების პრინციპიდან გამომდინარე, საბოლოო შეფასება არასდროს არ არის იმაზე მეტი, ვიდრე მიწოდებული ინფორმაციაში ყველაზე მაღალი მნიშვნელობის

(შეფასების) მქონე ინფორმაციული ნაწილი/ერთეული (Brewer, 1968;) გასაშუალოების მოდელის სახეცვლილი ვარიანტი არის აწონილი გასაშუალოების მოდელი, მოდიფიცირებული გასაშუალოებული მოდელი (Anderson & Alexander, 1971; Brewer, 1968; Hodges, 1973).

დაჯამების მოდელის მიხედვით - საბოლოო შეფასება წარმოადგენს მიწოდებული ინფორმაციის ნაწილ-ნაწილ შეჯამების (დამატების) შედეგს, რის შედეგადაც საბოლოო შეფასება იზრდება სწორხაზოვნად და ხდება უფრო პოლარიზებული, ვიდრე მიწოდებულ ინფორმაციაში ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციული ნაწილი (Hodges, 1973). ამ მოდელის მოდიფიკაცია არის აწონილი დაჯამების მოდელი (Brewer, 1968).

შეგახსენებთ, რომ ალგებრული მოდელების კვლევისას ძირითადად გამოყენებულ იქნა ზედსართავების შეფასების მეთოდი. ცდისპირებს ევალუბოდან შეეფასებინათ მოწონება არ მოწონების ოდენობა ცალკეულ ზედსართავებზე და შემდგომ ზედსართავთა წყებაზე-წყვილებზე (Anderson, 1971; Anderson & Birnbaum, 1976; Brewer, 1968; Hendrick, Franz & Hoving, 1975; Himmelfarb & Senn, 1969; Seta, 2008; Ronson & Arms, 1968;). ამგვარი დაჯამების მოდელის მიხედვით, დადებით შეფასების მქონე ორი ზედსართავის მიწოდების შედეგად $M^+ + M^+$ მივიღებთ გაზრდილ დადებით შთაბეჭდილებას (მოწონების მაღალი ოდენობით), თუმცა გასაშუალოების მოდელის მიხედვით იგივე ზედსართავების შედეგად მივიღებთ ნაკლებად დადებითი შეფასების მქონე საბოლოო შეფასებას (Anderson & Alexander, 1971).

ალგებრული პროცესების კვლევის ძირითადი ხაზი მიმართულია დაჯამებისა (სუმაციის) და გასაშუალოების პროცესის შედარებაზე - იმაზე თუ რომელი უკეთესად ხსნის შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესს? კვლევის მონაცემების თანახმად, შეჯამების მოდელთან შედარებით, აწონილი გასაშუალოების მოდელი უფრო ზუსტად ახდენს შთაბეჭდილებათა წინასწარტენეცველებას (Anderson & Alexander, 1971; Brewer, 1968; Hendrick, Franz & Hoving, 1975; Himmelfarb & Senn, 1969; Hodges, 1973; Ronson & Arms, 1968).

„კოგნიტური ალგებრა“, როგორც ამას უწოდებს ანდერსონი, წარმოადგენს გონების ზოგად უნარს, რომელიც დამახასიათებელია 5 წლის ბავშვებისთვისაც (Hendrick, Franz & Hoving, 1975, p:328). თუმცა რიდის, ვანმამის და მილერის (1997) აზრით, სოციალური ინფორმაციის ის მრავალფეროვნება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვერ იქნება გამოთვლილი ისეთი სწორხაზოვანი მოდელით, როგორც არის გასაშუალოება (და ასევე დაჯამება). გასაშუალოების მოდელით განსაკუთრებით

ვერ აიხსნება ობიექტის კატეგორიაში მოთავსების პროცესი. მედინის და ვატენმაკერის (1987) მიხედვით, კატეგორიის სტრუქტურა იმდენად რთულია, რომ იგი ვერ იქნება დაყვანილი სწორხაზოვან პროცესებზე (ციტირებული Read et al., 1997).

ქვევით განვიხილავთ შთაბეჭდილების ფორმირების ორ ისეთ მოდელს, რომლებიც გადიან ინფორმაციის ინტეგრაციის სწორხაზოვანი პროცესის მიღმა (*კონტინუუმის მოდელი და პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი*). ეს მოდელები თავის თავში ერთდროულად აერთიანებენ ინფორმაციის ინტეგრაციის რამდენიმე პროცესს, შესაბამისად ისინი შთაბეჭდილების ჩამოყალიბების მეტ შემთხვევას ხსნიან.

2.3. ძირითადი ცნებები

შთაბეჭდილების ფორმირების თანამედროვე მოდელების განხილვამდე აუცილებელია იმ ძირითადი ცნებების განხილვა, რომლითაც ოპერირებენ ხსენებული მოდელები. სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოყოფილია სოციალური ინფორმაციის დამუშავების ორი მექანიზმი: კატეგორიაზე დაფუძნებული დამუშავება - კატეგორიზაცია და ნაწილ-ნაწილ დამუშავება, სხვანაირად ატრიბუტზე დამყარებული დამუშავება.

კატეგორიზაცია- კატეგორიზაციის ფენომენი დიდი ხნის წინ იქნა გამოვლენილი მეცნიერების მიერ, როგორც აქამდე აღვნიშნეთ, ამის კონფიგურაციული მოდელი პრაქტიკულად კატეგორიზაციის პროცესზე საუბრობს (Fiske & Pabelchak, 1986). ეს არის ის კოგნიტური სტრუქტურა, რომელიც ეხმარება ინდივიდებს მრავალფეროვანი ინტერპერსონალური სამყაროს შინაარსების გამარტივებულ ორგანიზებაში (Fiske & Pavelchak, 1986, p: 170), ანუ მოვლენების იდენტიფიკაცია-გაგებაში (Fiske, Neuberg, Bettie & Milberg, 1987). კატეგორია წარმოადგენს სოციალური რეალობის გამარტივებულ მენტალური რეპრეზენტაციას, რომელიც თავის თავში მოიცავს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომელიც ახასიათებს მსგავსი თვისებების მქონე მოვლენათა კლასს (Macrae & Bodenhausen, 2001). სწორედ კატეგორიის დახმარებით ხდება შესაძლებელი ახლად აღქმული შემთხვევის მიკუთვნება რომელიმე უკვე არსებულ კატეგორიასთან და მისთვის იმ მახასიათებლების მიწერა, რომელიც ახასიათებს მოცემულ კატეგორიას (Wittenbrink & Hilton, 1997). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი შემთხვევა ხდება ჩვენთვის უკვე ნაცნობი კატეგორიის სრულფასოვანი წარმომადგენელი. შესაბამისად ის იმ თვისებების მატარებელი ხდება, რომელიც მოცემულია ამ კატეგორიის მენტალურ სტრუქტურაში. გამოდის, რომ კატეგორიზაციის დახმარებით ინდივიდი ახერხებს აქ და ამჟამად მოცემული ინფორმაციის ჩარჩოებს მიღმა გასვლას (ციტირებული Wittenbrink

&Hilton, 1997, p: 526). კატეგორიასთან მიკუთხვნება ხდება „ახალი შემთხვევასა“ და რომელიმე კატეგორიას შორის მსგავსება - განსხვავების პოვნის საფუძველზე.

კატეგორიზაციის პროცესი, რომელიც ხდება ინტერპერსონალურ და სოციალურ სამყაროში გულისხმობს ისეთი შინაარსების კატეგორიზაციას კლასებად, როგორც არის სოციალური როლები, ადამიანები, სიტუაციები და საკუთარი თავიც კი (Fiske & Pavelchak, 1986, p: 170). თუმცა მთლიანობაში სოციალური კატეგორიზაცია გულისხმობს გარკვეული ნიშნის საფუძველზე, ინდივიდების სოციალურ ჯგუფებში გაერთიანებას. ასეთი ჯგუფები ჩვეულებრივ ატარებენ გარკვეულ სოციალურ სახელწოდებას (იარლიყს) და სოციუმში შეესაბამებათ კარგად ჩამოყალიბებული სტერეოტიპები (Anderson & Klatzky, 1987), მაგ: ექიმი, შავკანიანი, მასხარა და ა.შ.

მართლაც, ფისკეს და სხვა მკვლევარების (1987) თანახმადაც, სოციალური კატეგორიზაციის დროს აქტიურდება ამა თუ იმ მოვლენათა კლასის შესახებ მეხსიერებაში შენახული სქემა, რომელიც არის სტერეოტიპი (p: 401). ეს სქემის სტრუქტურა წარმოდგენილია, როგორც ბადე, რომლის თავშიც არის ამ კატეგორიის (კლასის) იარლიყი, ხოლო მის ქვევით ამ კლასთან ასოციაციურად დაკავშირებული მახასიათებლები (Fiske, Neuberg, Bettie & Milberg, 1987; Fiske & Pavelchak, 1986). ფისკესა და ნიუბერგის (1990) მიხედვით, სქესი, ასაკი და ეთნიკურობა (ეთნოსი) ყველაზე ავტომატურად გამოყენებადი სტერეოტიპები -კატეგორიებია (Fiske &Prato & Bargh, 1991; Neuberg, 1990; Gawronski, Ehrenberg, Banse, Zukova & Klauer, 2003; Kopetz & Kruglanski, 2008).

სტერეოტიპი - სოციალურ კოგნიციაში კატეგორიზაცია და სტერეოტიპული აღქმა ურთიერთშენაცვლებით იხმარება. ისევე როგორ კატეგორია, მეცნიერთა აზრით სტერეოტიპი წარმოადგენს განზოგადებულ წარმოდგენას სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრების შესახებ. „იგი არის სოციალური სამყაროს სუბიექტური რეპრეზენტაცია...რომელიც, საშუალებას გვაძლევს ყოველი აღქმული ინდივიდი ჩავსვათ სუბიექტური მნიშვნელობების კონტექსტში“ (ციტირებული Wittenbrink & Hilton, 1997, p:526). კატეგორიის მსგავსად სტერეოტიპების დახმარებით, ჩვენ ვსმჯელობთ სხვა ინდივიდის (ების) თვისებებზე და ქცევებზე, მათი ამა თუ იმ სოციალურ კლასზე მიკუთხვნებულობიდან გამომდინარე (Locksley, Hepburn & Ortiz, 1982). ქენტორისა და მიშელის მიხედვით (1979) სტერეოტიპები ეს ისეთი რეპრეზენტაციებია, რომლის დახმარებით ხდება მრავალფეროვანი სოციალური სამყაროდ მიღებული ინფორმაციის მარტივი ორგანიზება (Kunda & Sherman-Williams, 1993). სტერეოტიპიზაციის დროს, ინდივიდის შესახებ შთაბეჭდილება წარიმართება სტერეოტიპული შინაარსის მიხედვით - სტერეოტიპი განსაზღვრავს იმას, თუ რას

შევამჩნევთ, რას დავიმახსოვრებთ, რა მახასიათებლებს მივაწერთ აღქმულ იდივიდს და როგორ ვიწინასწარმატყველებთ მის ქცევას.

ინდივიდუაცია - ეს არის სოციალური ინფორმაციის დამუშავების მეორე გზა, რომელიც სათავეს იღებს აშის ელემენტარისტული კონცეფციიდან. ინდივიდუაცია, იგივე ინფორმაციის ნაწილ-ნაწილ დამუშავების სტილი, რომლის დროსაც, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, თითოეული ინფორმაციული ნაწილი მუშავდება-ფასდება სხვა ინფორმაციულ ნაწილებსგან დამოუკიდებლად. დამუშავების სწორედ ასეთ ელემენტარისტული ბუნების გამო ფისკე ნაწილ - ნაწილ დამუშავებას ასევე უწოდებს ატრიბუტზე დაფუძნებულ დამუშავებას (Attribute-based processing). ატრიბუტში მოიაზრება ნებისმიერი მახასიათებელი, რომელიც შეიძლება იყოს თვისება, ქცევა, გარეგნობის ნაწილი და ა.შ. (ისეთი, რომელიც არ ააქტიურებს სტერეოტიპს). მაშინ, როცა კატეგორიზაცია შეესაბამება ზევიდან ქვევით დამუშავებას, ინდივიდუაცია (იგივე ნაწილ-ნაწილ დამუშავება, იგივე ატრიბუტზე დაფუძნებული დამუშავება) შეესაბამება ქვევიდან ზევით დამუშავებას (Fiske et al., 1987; Brewer, 1990). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდივიდის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ კატეგორიის ჭრილში - მივაწეროთ რა მას, ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ახასიათებს იმ სოციალურ კატეგორიას, რომელშიც მოვიაზრებთ მოცემულ ინდივიდის - ან შეიძლება ვიმსჯელოთ აქ და ამჟამად აღქმული მახასიათებლების საფუძველზე, ამ ახასიათებლების ცალცალკე შეფასების გზით, აბსტრაქტულად ყოველგვარი დამატებით მახასიათებლების მიწერის გარეშე. სწორედ აქედან გამომდინარეობს ატრიბუტზე დაფუძნებული დამუშავების ტერმინიც, სადაც თითოეულ ატრიბუტში მოიაზრება ცალკე აღებული მახასიათებელი, სადაც თითოეული აღქმული მახასიათებელი (ატრიბუტი) სათითაოდ მუშავდება.

ინფორმაციის დამუშავების ამ ორ სტილს შორის მთავარი განსხვავება მდგომარეობს ა) ცალკეული ინფორმაციული ნაწილების საერთო იარლიყის ქვეშ გაერთიანებაში და ბ) შედეგად თითოეული ინფორმაციული ნაწილი მიერ შინაარსების ურთიერთშეცვლაში (რაც მომდინარეობს გამაერთანებელი იარლიყიდან). მაგ: კატეგორიზაციის შემთხვევაში, იმ ინდივიდის მახასიათებლები, რომელიც კატეგორიზირებულია როგორც ლექტორი, დანახული იქნება ამ პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში. ინდივიდუაციის (ნაწილ ნაწილ დამუშავების) შემთხვევაში კი, ლექტორის ან სხვა რომელიმე კატეგორიის არასაკმარისი გააქტიურების შემთხვევაში (მიზეზებზე ვისაუბრებთ მოგვიანებით) იგივე ინდივიდის მახასიათებლები ინტერპრეტირებულ იქნება დამოუკიდებლად და ცალცალკე, ყოველგვარი სტერეოტიპული იარლიყის ზემოქმედების გარეშე და შესაბამისად აღქმული მახასიათებლებს შორის ურთიერთმიმართების დამყარების გარეშე (რის საფუძველსაც ქმნის ამ

მახასიათებლების გამაერთანებელი საერთო სტერეოტიპული იარლიყი). მართლაც, ფისკე და მისი კოლეგები (1987) თავის ექსპერიმენტში კატეგორიზაციაზე დაფუძნებული დამუშავების გააქტიურების მიზნით მონაწილეებს წერილობითი ფორმით, აწვდიან პროფესორის იარლიყს ან ამ იარლიყთან ერთად რამდენიმე შესაბამის სტერეოტიპულ მახასიათებელს. ხოლო ნაწილ-ნაწილ დამუშავების გააქტიურების მიზნით იმავე მონაწილეებს აწვდიან საშუალო პიროვნების მახასიათებლებს (ნორმალური, სასიამოვნო, ჩვეულებრივი და ა.შ), რომლებიც არ ააქტიურებს არანაირ იარლიყს ანუ სტერეოტიპს. ორივე ინფორმაციულ პირობაში მიიღეს დამუშავების სწორედ ის სტილი, რომელიც იყო მოსალოდელი - პირველ შემთხვევაში სტერეოტიპული, მეორე შემთხვევაში ნაწილ ნაწილ დამუშავება.

2.4. კატეგორიაზე და ატრიბუტზე დაფუძნებული მენტალური რეპრეზენტაციები (მენტალური ბადის სტრუქტურა)

ამგვარად, სოციალურ ფსიქოლოგიაში მრავალი კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა, სოციალური ინფორმაციის დამუშავების ორი გზა - კატეგორიზაცია და ინდივიდუაცია პროცესი (Kunda & Thagard, 1996). აღსანიშნავია, რომ თითოეული დამუშავების გზას შეესაბამება გარკვეული სტრუქტურის მქონე მენტალური რეპრეზენტაცია, რომლის დახმარებითაც მიმდინარეობს ახლად შემოსული ინფორმაციის იდენტიფიცირება, გაგება და ძველ გამოცდილებასთან დაკავშირება ანუ გადამუშავება. ხსენებული რეპრეზენტაციები თავისი ბუნებით წარმოადგენს იმ ცოდნის სქემატურ ბადეს, რომელიც ინდივიდს დაუგროვდა სხვადასხვა მოვლენასთან ურთერთობის გამოცდილების შედეგად. სოციალურ ფსიქოლოგიაში დიდი ხანია ცნობილია, რომ სხვა ინდივიდის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას ვახდენთ ისეთი ცოდნის მენტალური სტრუქტურებით, როგორც არის სტერეოტიპი, ქცევა და თვისება (Kunda & Thagard, 1996, p: 285). მართლაც, სხვა ინდივიდის დახასიათებაში როგორც ბავშვები, ასევე პატარები უპირველესყოვლისა იყენებენ ინფორმაციას გარეგნობაზე, ქცევაზე და პიროვნულ მახასიათებლებზე (Fiske & Cox, 1979). ანდერსენისა და კლატკის (1987) მიხედვით, სოციალური ცოდნის ძირითადი რეპრეზენტაციები სწორედ თვისება (Trait) (მაგ: მოსაწყენი, ემოციური) და სტერეოტიპია (მაგ: პროფესორი, დიასახლისი, დედა), თუმცა ისინი ასევე აღნიშნავენ ქცევასაც. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპის რეპრეზენტაციით არის შესაძლებელი სხვა ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველება, ეს რეპრეზენტაციები ძლიერ განსხვავდება ერთანეთისგან.

სტერეოტიპის მენტალური რეპრეზენტაცია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოიცავს ერთ მთავარ იარლიყს და მასთან ასოციაციურად დაკავშირებულ მახასიათებლებს (Fiske et al., 1987). მაგ: „პროფეორის“ სტერეოტიპი მოიცავს „პროფესორი“-ს იარლიყს და ამ პროფესიასთან დაკავშირებულ ყველა სტერეოტიპულ მახასიათებელს (რაც მოცემული კულტურაში შეიძლება იყოს). ფისკეს (1987) მიხედვით, იარლიყი ჩვეულებრივ არის ის მახასიათებელი, რომელსაც ყველაზე მეტი და ძლიერი კავშირი აქვს ამ სტერეოტიპში გაერთიანებულ ასოციაციებთან (ატრიბუტებთან). უმეტეს წილად კატეგორიის იარლიყის როლს თამაშობს არა თვისება, არამედ ისეთ სტერეოტიპული ერთეული, როგორც არის როლი, ჯგუფი ან პროფესია (დიასახლისი, პროფესორი, მდიდარი და ა.შ). იარლიყი, მენტალური ბადის ისეთი ერთროულია, რომელიც თავის ქვეშ აერთიანებს ყველაზე მეტ თვისებას - მახასიათებელს.

სტერეოტიპის სტრუქტურა მართლაც გამორჩეულია. ანდერსენმა და კლატკიმ (1987), ერთმანეთს შეადარეს სტერეოტიპისა და თვისების მენტალური რეპრეზენტაციების სტრუქტურები. მათი კვლევის მიხედვით, სოციალური სტერეოტიპის მენტალური სტრუქტურა მეტად მრავალფეროვანია. აღმოჩნდა რომ სტერეოტიპული კატეგორია) ასოციაციურ კავშირშია რიცხობრივად მრავალ მახასიათებელთან - ატრიბუტთან და ბ) მახასიათებლები რომელთანაც ამ კატეგორიას აქვს კავშირი შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. სტერეოტიპი შეიძლება ასოციაციური კავშირით დაკავშირებული იყოს ისეთ მახასიათებლებთან, როგორც არის ტიპაჟის 1) დემოგრაფიული მონაცემები, 2) ფიზიკური მახასიათებლები, 3) ქცევები (ქცევით მახასიათებლები), 4) თვისებები, 5) ემოციები დაკავშირებული ქცევასთან, 6) საერთო ემოცია - განცდა (p: 240). ამის საპირისპიდოთ თვისებათა მენტალური ბადე გაცილებით მწირია, რადგან თვისება არ უკავშირდება ისეთ მრავალფეროვნების მქონე მახასიათებლებს, როგორც სტერეოტიპული კატეგორია (სტერეოტიპი). სტერეოტიპისგან განსხვავებით თვისებას ასოციაციური კავშირი აქვს ა) ნაკლებად ურთიერთგანსხვავებული შინაარსის მქონე მახასიათებლებთან და ბ) ერთდროულადკავშირი აქვს რამდენიმე სტერეოტიპულ კატეგორიასთან.

სტერეოტიპი, როგორც ზევით ითქვა, თვისებების გარდა ასოციაციურად უკავშირდება სხვა ისეთ მახასიათებლებს-ატრიბუტებს, როგორც არის ქცევა, ბიოგრაფიული ინფორმაცია და ა.შ. აქედან გამომდინარე, სტერეოტიპი გამოირჩევა ექსკლუზიური კავშირებით და მეტი ინფორმაციულობით, ვიდრე თვისების მენტალური სტრუქტურა (მაგ: ინტროვერტი, ექსტროვერტი). სწორედ ამის გამო სტერეოტიპი აქვს სხვა ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველების მეტი ძალა, ვიდრე თვისებას და ასევე, გაჯერებული შინაარსის გამო სტერეოტიპი უფრო ცხადია, ინფორმაციულია და

ადვილად წარმოსახვადია, ვიდრე თვისების შინაარსი (Andersen & Klatzky, 1987). „ერთ თვისებაზე დაფუძნებული აღწერა, როგორც არის უმწიფარი, გაბედული ან მგრძობიარე, საკმაოდ აბსტრაქტული და არაინფორმაციულია, მაშინ როცა ამ თვისებებთან დაკავშირებული სტერეოტიპები გაუთლელი, „მარიაჟი“ და გურმანი, უფრო მეტად გვაძლევს წინასწარმეტყველების შესაძლებლობას“ (Andersen & Klatzky, 1987, p: 244; Fiske & Pavelchak, 1986).


ამგვარად სტერეოტიპსა და თვისებას აქვს თავისი მენტალური სტრუქტურა, თუმცა ეს მენტალური სტრუქტურები არ არსებობს იზოლირებულად და ისინი ერთმანეთთან არის დაკავშირებული - სხვა ასოციაციური მახასიათებლებთან ერთად, სტერეოტიპი უკავშირდება თვისებას, ხოლო იგივე თვისება ასოციაციურად უკავშირდება კიდევ სხვა მრავალ სტერეოტიპს.

აღსანიშნავია, რომ თვისება ასევე კავშირშია ქცევებთან, ისევე როგორ სტერეოტიპი (Prato & Bargh, 1991). მეტიც კვლევების საფუძველზე, ითვლება რომ ქცევები უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული თვისებებთან, ვიდრე სტერეოტიპთან (Kunda & Thagard, 1996, p:292). შესაბამისად, ქცევა რომელიც ძლიერ ასოციაციურ კავშირშია ამა თუ იმ თვისებასთან, უფრო მეტად ააქტიურებს მოცემულ თვისებას, ვიდრე ამავე თვისებასთან სუსტად დაკავშირებული სტერეოტიპი (Kunda & Thagard, 1996, p:292). თუმცა როგორც ზევით აღვნიშნეთ, სტერეოტიპი თავის ასოციაციურ კავშირებში ქცევებსაც მოიცავს - ეს ქცევა სტერეოტიპთან შეიძლება დაკავშირებული იყოს პირდაპირ გზით ან თვისების გაშუალებით (Kunda & Thagard, 1996), თუმცა გაშუალებული კავშირის დროს, აღქმული ქცევა უფრო ძლიერ ააქტიურებს თვისებას (რომელთანაც ის არის უშუალო კავშირში), ვიდრე სტერეოტიპს; ეს იმიტომ, რომ მენტალურ რეპრეზენტაციულ ბადეში თვისება უკავშირდება არა ერთ, არამედ რამდენიმე განსხვავებულ სტერეოტიპს. ამგვარად, სტერეოტიპის მენტალური რეპრეზენტაციის გააქტიურება, იწვევს მასთან დაკავშირებული მახასიათებლების და მათ შორის თვისებების და ქცევების გააქტიურებას. ქცევები ამ შემთხვევაში შეიძლება გააქტიურდნენ პირდაპირი ან თვისებით გაშუალებული გზით. რაც შეეხება უკუმდართულებით გააქტიურებას, ქცევების გააქტიურება იწვევს მასთან დაკავშირებული თვისების გააქტიურებას; და იწვევს სტერეოტიპის გააქტიურებას, იმ შემთხვევაში თუ ეს ქცევა პირდაპირი გზით უკავშირდება ამა თუ იმ სტერეოტიპს (იხ. ფიგურა 1).

ასეთი ასოციაციური კავშირების გამო მიიჩნევენ, რომ სტერეოტიპსა და თვისების მენტალურ სტრუქტურებს შორის არის ასიმეტრიული კავშირი. კერძოდ, კი სტერეოტიპის გააქტიურება იწვევს თვისებების და სხვა მახასიათებლების

გააქტიურებას, მაგრამ თვისების ბადის გააქტიურება არ იწვევს სტერეოტიპის გააქტიურებას (Fiske et al., 1987). თუმცა ამისგან განსხვავებით, ანდერსენი და კლათცი (1987) თეორიულად უშვებენ, რომ თვისებასაც შეუძლია გააქტიუროს მასთან დაკავშირებული სტერეოტიპები, ერთროულად ან თანმიმდევრობით.

გილბერტისა და ტროუპის კვლევითი მონაცემების მიხედვით, ქცევის იდენტიფიცირება თვისების სახით ხდება ავტომატურად, ასევე ავტომატურად ხდება მომქმედი ინდივიდის დახასიათება ამ თვისების გამოყენებით, მაგ: აგრესიული ქცევის შემსრულებელი ადამიანი, იდენტიფიცირებულია, რომ ასრულებს აგრესიულ ქცევას და არის აგრესიული (ციტირებული Kunda & Thagard, 1996, p: 288). ასევე ავტომატური არის კატეგორიზაციის პროცესი (Kunda & Thagard, 1996).



ფიგურა 1. სტერეოტიპის, თვისებისა და ქცევის ურთიერთდაკავშირებული ბადე. შეგახსენებთ, რომ ეს მაგალითი არ ეფუძნება, რომელიმე კვლევის შედეგს, ის არის მოფიქრებული იმისათვის, რომ მოახდინოს მენტალურის რეპრეზენტაციების სტრუქტურის ილუსტრირება. აქ ჩანს, ა) სტერეოტიპების კავშირი მახასიათებლებთან და მათ შორის ქცევებთან (პირდაპირი კავშირი და თვისებით გაშუალებული კავშირი), ასევე ბ) თვისების კავშირი რამდენიმე სტერეოტიპთან და ქცევებთან.

სოციალური სტრუქტურული რეპრეზენტაციების განხილვის შემდეგ საინტერესოა იმ ინფორმაციის ტიპების განხილვაც, რომლებიც ააქტიურებენ ამ მენტალურ სტრუქტურებს, რომლის საფუძველზეც შემდგომ წარიმართება აღქმული ინფორმაციის დამუშავება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალურ გარემოდან მიწოდებული ინფორმაციის ტიპი ააქტიურებს ამ ინფორმაციის დამუშავების სტილს - სტერეოტიპულს (კატეგორიულს) ან ინდივიდუაციურს (არასტერეოტიპულს).

სტერეოტიპული მენტალური ბადის გააქტიურება ხდება ისეთი ინფორმაციის აღქმის შედეგად, რომელიც (ვიზუალურად თუ სემანტიკურად) აშკარად მიუთითებს ჩვენთვის საინტერესო ინდივიდის რომელიმე სოციალურ ჯგუფში მიკუთვნებულობაზე. ყველაზე აშკარა ინფორმაციული ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ინდივიდის სოციალურ ჯგუფში მიკუთვნებულობაზე არის სქესის, ასაკის და ეთნოსის აღმნიშნელი ნიშნები (ციტირებული Quinn, Mason & Macrae, 2009; Fiske & Neuberg, 1990; Gawronski et al., 2003; Prato & Bargh, 1991), რომლებიც ჩვეულებრივ ძლიერ მკაფიო ინდივიდის ვიზუალურად აღქმის შემთხვევაში. მეცნიერული კვლევებით დადასტურებულია, რომ ჩვენ ავტომატურად ანუ ცნობიერი ძალისხმევის ჩართვის გარეშე და სწრაფად ვახდენთ სხვების ინტერპრეტირებას ამ სამი სტერეოტიპული კატეგორიის მიხედვით. სტერეოტიპული კატეგორიის გაამაქტიურებელ ინფორმაციად ასევე ითვლება ინფორმაცია პროფესიაზე (Andersen & Klatzky, 1987; Kunda & Thagard, 1996), ოჯახში არსებულ როლზე (დედა, დიასახლისი), აღმსარებლობაზე (Andersen & Klatzky, 1987) და სხვა. ამგვარად, გარემოში აშკარად მოცემული სოციალური ჯგუფის ნიშნები ააქტიურებს, მოცემული ინდივიდის სტერეოტიპიზაციის პროცესს (Macrae & Bodenhausen, 2001).

რაც შეეხება ინდივიდუაციურ, იგივე ნაწილ-ნაწილ (ან ატრიბუტზე დაფუძნებულ დამუშავებას (Fiske et al., 1987) დამუშავებას, იგი აქტიურდება არასტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების შედეგად. „მინდივიდუალიზირებელ ინფორმაციაში შედის ყველა დანარჩენი ინფორმაცია, რაც ცნობილია ინდივიდის შესახებ - ქცევა, პიროვნული თვისება, ოჯახური მდგომარეობა (მაგ: ყავს ორი ძმა) “ (Kunda & Thagard, 1996, p:1996). მართლაც, აქამდე ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევებში, რომლებიც შეისწავლის შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესს, ინდივიდუაციის პროცესის გასააქტიურებლად გამოყენებულია ერთმნიშვნელოვნად ქცევითი ინფორმაცია - ქცევა, რომელიც არის რომელიმე თვისების მადაგნოზირებელი და რომელიც, ამავე დროს ეწინააღმდეგება იმავე ინდივიდის შესახებ პარალელურად მოწოდებულ სტერეოტიპულ ინფორმაციას, მაგ: ქალი, რომელიც ასერტიულია (Locksley et al., 1982), ან ქალი, რომელიც არაა დაისახლისი და აქვს საკუთარი ბიზნესი (Gawronski et al., 2002) ან არის

წარმატებული (Mettrick, 1995) ან დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული მოსწავლე, რომელიც წარჩნებულად სწავლობს (Baron, Albright & Malloy, 1995) და ა.შ. ამგვარად, სწორად შერჩეული ქცევითი ინფორმაცია ააქტიურებს გარკვეულ თვისებას და შესაბამისად ააქტიურებს ინდივიდუაციის პროცესს.

ბოლოს აღსანიშნავია ის რომ, ხსენებული მანტალური რეპრეზენტაციების გააქტიურება ანუ ინფორმაციის დამუშავების რომელიმე სტილის გააქტიურება ხდება ინფორმაციის ნებისმიერი სახით მიწოდების შედეგად, იქნება ეს ვიზუალური თუ სემანტიკური ფორმა. ბარგისა და პრატოს (1991) მიხედვით, ფიზიკური ნიშნები და კატეგორიული შინაარსის მატარებელი სხვა ნიშნები, როგორც არის მაგ: სახელი, ააქტიურებს სტერეოტიპს, ხოლო ქცევა ააქტიურებს თვისებას(p:29). სტერეოტიპის გააქტიურებაში განსაკუთრებული როლი აქვს ფიზიკურად მოცემულ ნიშნებს (Fiske & Neuberg, 1990; Martin & Macrae, 2007; Prato & Bargh, 1991), თუმცა ასევე ეფექტურია სემანტიკურად (სიტყვიერად) მიწოდებული კატეგორიული ინფორმაციაც(Prato & Bargh, 1991).

ინფორმაციის დამუშავების ძირითადი სტილების განხილვის შემდეგ, ვაგრძელებთ შთაბეჭდილების ფორმირების თეორიების განხილვას. კონფიგურაციული და ელემენტარისტული მოსაზრებების შემდეგ, მნიშვნელოვანი გავნიხილოთ ინფორმაციის დამუშავების სერიული თეორია.

2.5. კონტინიუმის მოდელი (Fiske, Neuberg, 1990).

კონტინიუმის მოდელი არის სოციალური ინფორმაციის და შთაბეჭდილების ფორმირების თეორია, რომელიც მოიცავს, როგორც კატეგორიაზე დაფუძნებულ კონფიგურაციულ, ისე ატრიბუტზე დაფუძნებულ ნაწილ-ნაწილ დამუშავებას. მოცემული მოდელი საფუძველს, რა თქმა უნდა იღებს, აშის კონფიგურაციული და ანდერსენის ელემენტარისტული მიდგომებიდან, თუმცა იგი ცდილობს ორივე მიდგომის გაერთიანებას, რის შედეგადაც შთაბეჭდილების პროცესს წარმოგვიდგენს, როგორც ერთ გრძელ ეტაპობრივ პროცესს (Fiske et al., 1987). მოცემული მოდელი წარმოადგენს შთაბეჭდილების პროცესის სრულად ახსნის მცდელობას, ავტორების თქმით „ადამიანები სხვადასხვანაირი პროცესის საფუძველზე აყალიბებენ შთაბეჭდილებას. ეს პროცესები მერყეობს კატეგორიზაციასა და ინდივიდუაციის პროცესებს შორის“ (Fiske et al., 1987, p: 400).

ფისკესა და ნიუბერგის (1990) კონტინიუმის მოდელის მიხედვით:

- შთაბეჭდილება მიმდინარეობს ერთი გრძელი კონტინიუმის სახით და ის თუ როგორ გადამუშავდება სოციალური ინფორმაცია ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, დამოკიდებულია იმაზე, თუკონტინიუმის რომელ საფეხურზე მოხვდება შთაბეჭდილების ჩამოყალიბების ეს კონკრეტული პროცესი.

- ავტორების მიხედვით, ამ კონტინიუმის უკიდურეს წერტილებს შეესაბამება სუფთად კატეგორიული და სუფთად ატრიბუტზე დაფუძნებული დამუშავება (Kunda & Thagard, 1996, p:285). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტინიუმის ერთი ბოლო გამოსახავს კატეგორიზაციის პროცესს, როცა ინფორმაცია მუშავდება სტერეოტიპულად და ყველა ინფორმაციული ნაწილი დანახულია გააქტიურებული სტერეოტიპის (კატეგორიის) ჭრილში. ხოლო მეორე ბოლო გამოსახავს ინდივიდუალის პროცესს, როცა სოციალური ინფორმაცია მუშავდება ნაწილ- ნაწილ, სათითაო ატრიბუტის მიხედვით და ეს ატრიბუტები (ინფორმაციის ნაწილები) არანაირ ურთიერთზეგავლენას არ ახდენენ ერთმანეთის შინაარსზე (Fiske et al., 1987).

- რაც შეეხება კონტინიუმის შუა ნაწილს, ის გამოსახავს შთაბეჭდილების ჩამოყალიბების ისეთ შუალედურ შემთხვევებს, როცა ინფორმაციის დამუშავება ხდება შერეულად, როგორც სტერეოტიპულად ასევე ინდივიდუალურად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ერთდროულად მიმდინარეობს, როგორც კატეგორიზაცია, ასევე ინდივიდუაცია, თუმცა ამ დრო ერთ ტიპის პროცესი მაინც დომინანტურია (ეს როგორც ვთქვით, დამოკიდებულია იმაზე, თუ კონტინიუმის რომელ შუალედურ წერტილში ამოქმედდა შთაბეჭდილების პროცესი) (Kunda & Thagard, 1996). ეს შუალედური შერეული პროცესები არის: ქვეკატეგორიზაცია, ახალი კატეგორიის შექმნა და აღქმული ინდივიდის საკუთარ თავთან შედარება (Fiske et al., 1987). თითოეულის განხილვა მოხვდება ქვევით.

- ის, თუ კონტინიუმის რომელ წერტილში დაიწყება სოციალური ინფორმაციის დამუშავება დამოკიდებულია გარემოდან მიწოდებული (აღქმული) ინფორმაციის კონფიგურაციაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს ორი ტიპის ინფორმაცია, კატეგორიული და ინდივიდუალური. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ინფორმაციების მიქსი განაპირობებს, კონტინიუმზე შესაბამისი ტიპის პროცესის ამოქმედებას. ფისკეს და მისი კოლეგების (1987) კვლევის მიხედვით,

- მხოლოდ კატეგორიული ინფორმაციის მიწოდება ამოქმედებს კატეგორიზაციის პროცესს
- ინდივიდის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება ხდება გააქტიურებული სტერეოტიპის ჭრილში. კატეგორიულ ინფორმაციაში ავტორები მოიაზრებენ ორ შემთხვევას, როცა აღქმულს მიეწოდება ა) მხოლოდ კატეგორიის შესატყვისი იარლიყი ან ბ) როცა იარლიყთან ერთად მიეწოდება ამ იარლიყის შესაბამისი დამატებით ინფორმაცია

(მაგ: პროფესორი - იარლიყი; ინტელექტუალური, პროდუქტიული, დკავებული, შრომისმოყვარე და ა.შ. - დამატებით სტერეოტიპული ინფორმაცია, რომელიც მიესადაგება იარლიყს); (Fiske & Neuberg, 1990)

- ატრიბუტზე დაფუძნებული ნაწილ-ნაწილ დამუშავება ანუ ინდივიდუაცია აქტიურდება მაშინ, როცა აღქმელს მიეწოდება: ა) გააქტიურებული კატეგორიის საწინააღდეგო სხვა დამატებითი ინფორმაცია ანუ *კონტრასტული, არაკონსისტენტური ინფორმაცია ან ბ) როცა მას მიეწოდება საშუალო ტიპის დახასიათება, რომელიც მეხსიერებაში არ ააქტიურებს არანაირ კატეგორიას (მაგ: ა) ექიმი - მოსაწყენი, მორჩილი, არაინიციატივანი, გაუნათლებელი; და ბ) ინდივიდი - საშუალო სიმაღლის, მუშაობს, უყურებს ტელევიზორს, აქვს ყავისფერი თმა. (Fiske & Neuberg, 1990)*

- რაც შეეხება შუალედურ პროცესებს, მათი გააქტიურება ხდება სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის ერთდროულად აღქმის შემთხვევაში. იმ შემთხვევაში, როცა ინდივიდუაციური ინფორმაციის მხოლოდ *ცალკეული (და არა სრული) ნაწილი ეწინააღმდეგება გააქტიურებულ კატეგორიას*, აღქმელი მიმართავს არა კატეგორიზაციის, არამედ *ქვეკატეგორიზაციის პროცესს* - ამ დროს, ინფორმაციის დამუშავება დომინანტურად კატეგორიულია, თუმცა გათვალისწინებულია კატეგორიასთან შეუთავსებელი, აღქმული ინდივიდუაციური ინფორმაციაც, რომლის საფუძველზეც აღქმული ინდივიდი თავსდება მოცემული კატეგორიის ატიპიურ (განსაკუთრებულ ანდა გამონაკლის) შემთხვევაში. ასეთ დროს, აღქმელი ახდენს მის მეხსიერებაში არსებული კატეგორიის მოდიფიცირებას, ინდივიდუაციური ინფორმაციის საფუძველზე, მაგ: გამყიდველი, რომელიც არის გონიერი, მაგრამ ინტროვერტი, ქვეკატეგორიზირებულ იქნა, როგორც მეგობრული/რბილი ტიპის გამყიდველი (Fiske et al., 1987, p:404). თუკი ქვეკატეგორიზაცია ვერ ხორციელდება (ანუ მან დამაკმაყოფილებლად ვერ ახსნა აღქმული რეალობა(ინდივიდი)), მაშინ აღქმელი ახდენს *ახალი კატეგორიის გენერირებას*, რაც საკმაოდ რთული პროცესია. ამ შემთხვევაშიც ინფორმაციის დამუშავება წარმართება კატეგორიზაციით, მაგრამ მასში მნიშვნელოვან წილად გათვალისწინებულია ინდივიდუაციური ინფორმაციის ის ნაწილიც, რომელიც ამ კატეგორიასთან შეუთავსებელია, მაგ: გამყიდველი, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი, ჩასმულია ახალ კატეგორიაში - „ფრუსტრირებული აკადემიკოსი“ (Fiske et al., 1987, p:404) *ქვეკატეგორიასა და ახალ კატეგორიას შორის განსხვავება, იმაში მდგომარეობს, რომ ქვეკატეგორია დაგროვილი ძველი გამოცდილების საფუძველზე, უკვე არის მოცემული აღქმელის მეხსიერებაში (მენტალური რეპრეზენტაციაში); ხოლო ახალი კატეგორია, იქმნება სოციალური ინფორმაციის დამუშავების პროცესში, აქ და ამჟამად აღქმული ინფორმაციის საფუძველზე (Kunda & Thagard, 1996).* იმ შემთხვევაში, თუ ახალი კატეგორიის პროცესიც ვერ ხორციელდება, მაშინ აღქმელი მიმართავს *საკუთარ თავთან მიმართებების დამყარებას* ანუ მე მე-კონცეფციის კატეგორიებთან შედარებას, მაგ: „ჰმ...ინტროვერტი, ეს ადამიანი უფრო მეტად იცნობს საკუთარ თავს, ვიდრე მე...“ (Fiske et al., 1987, p:404).

• კონტინუუმის მოდელის მიხედვით, შთაბეჭდილების ჩამოყალიბება სამ ძირითად საფეხურად მიმდინარეობს. საფეხურიდან საფეხურზე გადასვლამდე აღქმელი ახდენს აღქმული ინდივიდის ტიპიურობის შეფასებას იმ კატეგორიასთან, რომელიც გააქტიურდა მის მხსიერებაში. პირველ ეტაპზე აღქმელი ახდენს სამიზნის კატეგორიაში მოთავსებას და მისი ამ კატეგორიასთან შეთავსების გადამოწმებას (**კატეგორიის დადასტურება**) - თუკი აღქმული ინდივიდი სრულიად შეესატყვისება და ჯდება გააქტიურებული კატეგორიის (ან ქვეკატეგორიის) მენტალურ წარმოდგენაში, მაშინ შთაბეჭდილების პროცესი სრულდება ამ ეტაპზე; თუმცა თუ აღქმული ინდივიდი ბოლოდღე არ შეესატყვისება მოცემულ კატეგორიას, რადგან ავლენს გააქტიურებული სტერეოტიპისადმი შეუთავსებელ ქცევა-მახასიათებლებს, შთაბეჭდილების პროცესი გრძელდება და რთულდება. ამ დროს ხდება გადანაცვლება კონტინუუმის შემდგომ საფეხურებზე, რაც არის **რეკატეგორიზაცია** და ინდივიდუაცია. ამ დროს ხდება სოციალური ინფორმაციის გადამუშავების გაგრძელება და გაღრმავება (Fiske et al., 1987; Fiske, 1988; Fiske & Neuberg, 1990). შთაბეჭდილების კონტინუუმის ბოლო წერტილს წარმოადგენს **ინდივიდუაციის პროცესი**, როცა სამიზნე ინდივიდი აღიქმება ობიექტურად - მისთვის რეალურად დამახასიათებელი მახასიათებლების საფუძველზე და არა სტერეოტიპის ანუ ავტომატურად, დაკვირვების გარეშე, მიწერილი მახასიათებლების საფუძველზე.

შთაბეჭდილების ფორმირების ყველაწილი შემთხვევა იწყება **I) კატეგორიზაციის პროცესით** (კონტინუუმის დასაწყისი). კატეგორიზაცია ხდება აშკარა ფიზიკური ნიშნების, მკაფიო იარლიყის ან სხვა ისეთ ინფორმაციის აღქმის შედეგად, რაც შეესატყვისება რომელიმე კატეგორიას (Fiske, 1988). ამ დროს, აღქმელი მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მხსიერებაში ეძებს ყველაზე შესატყვის კატეგორიას და შესაბამისი კატეგორიის პოვნის შემდეგ, აფასებს აღქმული ინდივიდის ტიპიურობას შერჩეულ კატეგორიის პროტოტიპთან (ან ეგზემპლართან). მოცემული პროცესი აბსოლუტურად ავტომატურია და მიმდინარეობს ცნობიერი კოგნიტური ძალისხმევის ჩართვის გარეშე. თუ კი კატეგორიზაციის პროცესი წარმატებულად ახდენს ინდივიდის იდენტიფიცირებას, მაშინ მოცემულ ინდივიდს მიეწერება ამ კატეგორიისთვის დამახასიათებელი მახასიათებლები, თუმცა მიწერის ეს პროცესი იმდენად შეკუმშულია ამ კატეგორიის იარლიყის ქვეშ, რომ მიწერილი მახასიათებლები ხდება ნაგულისხმები და ცნობიერად აღარ განიხილება - ასეთ დროს აქტივირებულია კატეგორიის იარლიყი, მაგრამ ამ იარლიყთან დაკავშირებული მახასიათებლების გახანგრძლივებული აქტივაცია აღარ არის საჭირო. თუკი კატეგორიზაციის პროცესი არ არის წარმატებული ანუ აღქმული ინდივიდი ბოლომდე არ ერგება მოცემულ კატეგორიას, მაშინ შთაბეჭდილების პროცესი არ ჩერდება და გრძელდება **II) რეკატეგორიზაციისაკენ** - რეკატეგორიზაცია მაშინ იჩენს თავს, თუკი ინფორმაციული კონფიგურაცია არის ასეთი: *სხვა ინდივიდის შესახებ გარემოში მოცემულია, როგორც აშკარა სტერეოტიპული, ასევე ამ სტერეოტიპის საწინააღდეგო ან არაშესატყვისი ან ირელევანტური-ნეიტრალური ნიშნები*. ამ დროს აღქმელი მეტ ყურადღებას აქცევს ინდივიდუაციურ ინფორმაციას, ანუ იმას, რომელიც არ

შეესატყვისება აქამდე გააქტიურებულ კატეგორიას(Fiske,1988). სწორედ ამის გამო, რეკატეგორიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება უფრო ზუსტია, ვიდრე კატეგორიზაციის საფუძველზე მიღებული(Fiske,1988). რაგან, იგი კატეგორიზაციისგან განსხვავებით, ითვალისწინებს აღქმული ინფორმაციის უფრო სრულ ნაწილს. ამ დროს შთაბეჭდილება უფრო მეტად ეფუძნება ობიექტურად აღქმულ მახასიათებლებს, ვიდრე აბსტრაქტულად მიწერილ მახასიათებლებს. ამგვარად, რეკატეგორიზაციის პროცესი, ინდივიდის შესახებ ინფორმაციის გადამუშავების დროს ეყრდნობა არა მხოლოდ კატეგორიზაციის პროცესს, არამედ ინდივიდუალური პროცესსაც, თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საწყისი კატეგორიის დომინანტობა აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მაგ: გონიერი, მაგრამ ინტროვერტი გამყიდველი რეკატეგორიზირებული იქნა კვლავ, როგორც გამყიდველი, მაგრამ არატიპიური გამყიდველი (რბილი ტიპის გამყიდველი) (Fiske, et al., 1987; Fiske & Neuberg, 1990).

რეკატეგორიზაციის პროცესი მოიცავს კონტინიუმის შუალედურ პროცესებს. შუალედურ პროცესებს აქვს თავისი თანმიმდევრობა. ესენის: ა) თავდაპირველად გააქტიურებულ კატეგორიაში, ქვეკატეგორიის მოძებნა ბ) სულ ახალი კატეგორიის გენერირება და გ) საკუთარ თავთან მიმართების დამყარება. იმ შემთხვევაში, თუკი აღმქმელი ვერ ახდენს სამიზნის რეკატეგორიზირებას (ვერ მოიძებნა ქვეკატეგორია ან ახალი კატეგორია), იგი მიმართავს ინდივიდუალური პროცესს. **III) ინდივიდუალური** -ფისკესა და მკვლევარების თანახმად (1987), ინდივიდუალური პროცესი აქტიურდება მაშინ, როცა ინდივიდის შესახებ სტერეოტიპული ინფორმაციის პარალელურად მოწოდებულია სტერეოტიპის აშკარად (ძლიერ) საწინააღდეგო ინფორმაცია ან როცა მიწოდებულია ინფორმაცია არ ააქტიურებს არც ერთი კატეგორიის მეხსიერებაში (Fiske & Neuberg, 1990). ასეთ დროს, ინფორმაციის დამუშავება მიმდინარეობს ა) *მართლაც კვაზი ალგებრულად ანუ ნაწილ ნაწილ ატრიბუტებზე დაფუძნებით* (Fiske et al., 1987) - აღმქმელი ცალკე განიხილავს და აფასებს აღქმულ მახასიათებლებს და მათ შორის არ ამყარებს რამე აზრობრივ კავშირს, რაც ამ მახასიათებლებს გააერთიანებდა ერთი ლოგიკური აზრის (ან იარლიყის) ქვეშ (Fiske, 1988). მაგ: შიზოფრენიული დიაგნოზის მქონე ადამიანი, რომლის მრავალი მახასიათებელი არ შეესატყვისება შიზოფრენიას, შეფასებულ იქნას სათითაო ატრიბუტის ანუ აღქმული ქცევა ან თვისების მიხედვით - არ არის ობსესიური, უცნაურია, დაბნეულია. საბოლოოდ, ასეთი ნაწილ ნაწილ დამუშავების შემდეგ, მის შესახებ მიღებული ეს ცალკეული შეფასებები არ ერთიანდება ერთი აზრობრივად გამთლიანებულ, ლოგიკურ წარმოდგენაში (Fiske & Pavelchak, 1986). ამ ეტაპზე გადამუშავების/შეფასების პროცესი, ყველაზე ნაკლებად განიცდის რომელიმე კატეგორიის გავლენას. კატეგორიული იარლიყი, ამ დროს, განიხილება არა როგორც დანარჩენი მახასიათებლების „შემკვრელი“, არამედ თავად როგორც ერთი ცალკეული და მორიგი ატრიბუტი (Fiske & Neuberg, 1990).

საინტერესოა ის, რომ ინდივიდუალური პროცესის დროს, გარდა ნაწილ-ნაწილ დამუშავებისა, ადგილი აქვს ახალი კატეგორიების შექმნის შემთხვევებსაც. მაგ: პროფესორი, რომელსაც ახასიათებს აბსოლუტურად საწინააღდეგო მახასიათებლები - არის ძლიერი, ხმამაღლა მოსაუბრე, გაუნათლებელი და გაუთლელი ჩასმულია, „ლუდის

მოყვარული ადამიანის“ ან „ქარიზმატული პროფესორის“ ახალ კატეგორიაში (Fiske et al., 1987, p: 420), (იხ. ფიგურა 3).

შეგახსენებთ, რომ ახალი კატეგორიის შექმნა მიმდინარეობს რეკატეგორიზაციის პროცესის დროსაც. თუმცა, კონტინიუმის მოდელის წარმომადგენლები მკაფიოდ არ მიუთითებენ იმას, თუ რა განსხვავება რეკატეგორიზაციის დროს შექმნილ ახალ კატეგორიასა და ინდივიდუაციის დროს შექმნილ ახალ კატეგორიას შორის. ერთადერთ მკადიო განსხვავება მდგომარეობს იმ ინფორმაციულ კონფიგურაციაში, რომლის საფუძველზეც აქტიურდება ინფორმაციის დამუშავების პროცესი - ინდივიდუაციის დროს სტერეოტიპის პარალელურად მიწოდებული ინფორმაცია მთლიანად არაკონსისტენტურია ამ სტერეოტიპის მიმართ ან/და როცა მიწოდებული ინფორმაციის არც ერთი ნაწილი არ ააქტიურებს სტერეოტიპს.

- ფისკესა და ნიუბერგის მოდელის თანახმად, კატეგორიზაციის პროცესი არის შთაბეჭდილების ფორმირების ყველაზე დომინანტური, ავტომატური და საწყისი ფორმა (Kunda & Thagard, 1996). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტინიუმზე ინფორმაციის სტერეოტიპულად დამუშავებას მეტი პრიორიტეტი აქვს, ვიდრე ნაწილ ნაწილ დამუშავებას ანუ ინდივიდუაციას. ამიტომაც არის, რომ მოცემული პროცესი, შთაბეჭდილების კონტინიუმზე პირველ საფეხურად არის წარმოდგენილი (Fiske, 1988). იგი იმდენად ავტომატური და კოგნიტურად ეკონომიურია (Fiske, 1988, p:67), რომ შთაბეჭდილების ფორმირების ნებისმიერ შემთხვევაში ავტომატურად აქტიურდება - აღქმელი თავიდან ყოველთვის ცდილობს სამიზნის კატეგორიზირებას, მაშინაც კი როცა იგი აღიქვავს არა მკაფიო სტერეოტიპულ, არამედ სტერეოტიპისთვის წინააღმდეგობრივ ინფორმაციას ან როცა მიწოდებული ინფორმაცია საერთოდ არ ააქტიურებს რომელიმე სტერეოტიპს.

ავტომატური ბუნებისა და კოგნიტური ეკონომიურობის გამო, კატეგორიზაცია მიმდინარეობს ცნობიერის პროცესების ჩართვის გარეშე. თუმცა, კონტინიუმის შემდეგ ეტაპებზე ამოქმედებული შთაბეჭდილების პროცესები, სულ უფრო და უფრო მოითხოვენ გონებრივ ძალისხმევას. საბოლოოდ ინდივიდუაციის პროცესი აღმქმელისგან საჭიროებს მეტ დროსა და ფიქრს, შესაბამისად ეს პროცესი აღმქმელის მხრიდან ცნობიერი ძიების გზით მიმდინარეობს. იგი მიზანმიმართული პროცესცია, მაშინ როცა კატეგორიზაცია არა ცნობიერად და მიზანმიმართულების გარეშე მიმდინარე პროცესია (Kunda & Thagard, 1996).

- ფისკესა და პაველჩაკის თანახმად, კონტინიუმზე თითოეული ტიპის პროცესის გააქტიურება დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, ეს ფაქტორებია: აღქმული ინფორმაციის ტიპი და აღმქმელის მოტივაცია (ციტირებული Fiske, 1988; Fiske & Neuberg, 1990); ასევე, ყურადღების ოდენობა, რომელიც შეუძლია აღმქმელმა დაუთმოს სამიზნე ინდივიდის შესახებ მიწოდებულ მრავალფეროვანი ინფორმაციის ნაწილებს (Fiske, 1988) და აღმქმელის პიროვნული ღირებულებები - ზოგიერთი ადამიანი მიიჩნევს, რომ სხვის

შესახებ მსჯელობა უნდა განახორციელოს მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოებით (Fiske & Neuberg, 1990).


მოტივაციის ფაქტორი განსაკუთრებით მაშინ არის ძლიერი, თუ აღმქმელი დამოკიდებულია აღქმული ინდივიდზე რამენაირად (ურთერთობა საფრთხეს შეიცავს თვით-შეფასებისთვის, არსებობს შიში, რომ აღმქმელი ურთერთობაში გამოჩნდეს უუნარო, არსებობს კომუნიკაციის აუცილებლობა, აღმქმელი ანგარიშვალდებულია ინდივიდის წინაშე) (Fiske, 1988, p: 67). შთაბეჭდილების პროცესში მოტივაცია იმდენად წარმმართველი ფაქტორია, რომ ის აშუალებს ყურადღების ფაქტორსაც (Fiske, 1988, p: 68; Fiske & Neuberg, 1990). რაც შეეხება მიწოდებული ინფორმაციის კონფიგურაციას, ეს ფაქტორი ასევე ერთ ერთი პირველი განმსაზღვრელი ძალაა იმისა, თუ როგორ მოხდება ინფორმაციის დამუშავება ანუ კონტინიუმის რომელ წერტილამდე ამოქმედდება პროცესები.

სწორედ ამ ფაქტორების გავლენით, შთაბეჭდილება საწყისი ეტაპიდან - კატეგორიზაციიდან გადავდივართ შემდგომ საფეხურებზე და ასე ვაღწევთ სამიზნის ინდივიდუალიზაციამდე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღმქმელს აქვს გარკვეული მოტივაცია, როცა მასზე მოქმედებს არაშესატყვისი ინფორმაციის შედეგად შექმნილი გაკვირვების განცდა (surprise), როცა მას შესწევს არაშესატყვისი ინფორმაციის დამუშავების კოგნიტური უნარი ან/და აქვს ამისთვის დრო, იგი არ კმაყოფილდება სხვა ინდივიდის სტერეოტიპული აღქმით და ცდილობს მის ობიექტურ და სიღრმისეულ გაგებას. თუმცა, “იმ შემთხვევაში თუ კი სამიზნე არასაინტერესო და ირელევანტურია აღმქმელისთვის, საწყისი და ავტომატური კატეგორიზაციის პროცესი იქნება ერთადერთი რასაც დაეყრდნობა შთაბეჭდილება” (Fiske, 1988, p:66).

• კონტინიუმის მოდელის მიხედვით, ინფორმაციის დამუშავება მიმდინარეობს ბადის მაგვარ მენტალურ რეპრეზენტაციებში, რომელშიც მოცემულია ყველა ტიპის სოციალური ინფორმაცია - ქცევა, მახასიათებლები, სტერეოტიპები (Fiske, 1988). ავტორების თანახმად სტერეოტიპის მენტალური რეპრეზენტაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედგენა კატეგორიის იარლიყისაგან და ამ იარლიყთან დაკავშირებული მახასიათებლებისგან (Fiske & Pavelchak, 1986; Fiske et al., 1987). მოცემულ ბადეში მოცემულია მახასიათებლებია და მათ შორის კავშირები, რომლის გავლით ერთი მახასიათებლიდან აქტივაცია გადაეცემა მეორე და ა.შ. სტერეოტიპულ სტრუქტურაში, მახასიათებლებს ძლიერი კავშირი აქვს იარლიყთან, და შედარებით სუსტი კავშირი აქვთ ერთნამეთთან. შესაბამისად, კატეგორია აორგანიზირებს მახასიათებლებს და არა პირიქით. ამის გამო, კატეგორიის იარლიყს უფრო ძლიერი გავლენა აქვს შთაბეჭდილების პროცესზე, ვიდრე მასში შემავალ ერთ მორიგ თვისებას (Fiske & Pavelchak, 1986, p: 171).

კონტინიუმის მოდელი იმით, არის გამორჩეული, რომ მან შთაბეჭდილების პროცესში მოიაზრა არამარტო კოგნიტური ელემენტი, არამედ აფექტურიც. ფისკე და პაველჩაკის (1986) თანახმად, კატეგორიის ბადეში იარლიყსაც და მასთან ასოციაციურად დაკავშირებულ თითოეულ მახასიათებელს შეესაბამება თავისი შეფასებითი ღირებულება

ანუ აფექტური მნიშვნელობა. მათი თქმით, იარლიყის აფექტური მნიშვნელობა არის მასთან დაკავშირებული მახასიათებლების აფექტური მნიშვნელობების ჯამი ან გასაშუალოებული მნიშვნელობა. შთაბეჭდილების პროცესში, იმის გამო, რომ იარლიყი და მასთან დაკავშირებული აფექტური მნიშვნელობა მკვეთრადაა მოცემული, აღარაა საჭირო ცალკეული მახასიათებლების აფექტური მნიშვნელობების წვდომა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა სამიზნე ინდივიდს რომელიმე კატეგორიაში ვათავსებთ, აქტიურდება ამ კატეგორიის არამართო კოგნიტური მახასიათებლები, არამედ აფექტური შეფასებაც. აფექტური შეფასებად ითვლება ის, რომელიც მიბმულია იარლიყზე და არა სათითოა მახასიათებელზე (იხ. ფიგურა 2).




ფიგურა 2. კატეგორიული რეპრეზენტაციის სტანდარტული სქემა, კონტინიუმის მოდელის მიხედვით.

ადაპტირებულია ფისკესა და პაველჩაკის სტატიიდან, *Category-Based versus Piecemeal-Based Affective Responses - Developments in Schema-triggered Affect* (Fiske & Pavelchak, 1987, p: 172).

ამრიგად, ფისკესა და ნეუბერგის კონტინიუმის მოდელის (1990) უპირატესობა, აქამდე არსებული მოდელენისგან იმაში მდგომაროებს, რომ მან შთაბეჭდილების პროცესი წარმოგვიდგინა ერთოვლად, როგორც კატეგორიულ, ასევე ინდივიდუალური პროცესების საფუძველზე მიმდინარე (Fiske, 1988). აღსანიშნავია, რომ კონტინიუმის მოდელი წარმოადგენს შთაბეჭდილების სერიული მოდელეებიდან ერთ ერთს. მანამდე არსებული ბრიუერის (1988) სერიული მოდელი, რომელსაც ქვია ორმაგი დამუშავების

მოდელი, ეხმიანება კონტინიუმის მოდელს ისეთ ძირითად პრინციპებში, როგორც არის შთაბეჭდილების საფეხურეობრიობადა კატეგორიის დომინანტურობა; ამ მოდელის მიხედვით, თითოეულ საფეხურზე სოციალური ცოდნა წარმოდგენილია სხვადასხვანაირად, ზოგან ვიზუალურად (მრავალგანზომილებიან სივრცეში) ზოგან კი ვერბალურად. მისგან განსხვავებით, კონტინიუმის მოდელი ეყრდნობა რა ბადეში ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლების მექანიზმს, წარმოადგენს შთაბეჭდილების პროცესის არა უბრალოდ აღწერის, არამედ ახსნის მცდელობას (Fiske, 1988, p:69).

მიუხედავად იმისა, რომ კონტინიუმის მოდელი სრულად ახდენს შთაბეჭდილების ფორმირების სრული პროცესის ახსნას, ის არარეალისტურად დიდ უპირატესობას ანიჭებს კატეგორიზაციის პროცესს და მის დონინანტურობას (Kunda & Thagard, 1996). გარდა ამისა, მახასიათებელთა კავშირების ბადე, რომელიც საფუძვლად უდევს იარლიყიდან მახასიათებლებისკენ აქტივაციის გავრცელებას, მოცემულ მოდელს წარმოდგენილი აქვს სქემის სახით. სქემა კი იმდენად სტაბილური და ხისტია, რომ ის ვერ ხსნის შთაბეჭდილების მოქნილ პროცესს (Kunda & Thagard, 1996). შთაბეჭდილების ყოველ სხვადასხვა შემთხვევაში ერთსა და იმავე ატრიბუტს (ქცევას, თვისება, კატეგორიას) შესაძლოა ქონდეს სხვადასხვა მნიშვნელობა, იმისდა მიხედვით თუ რომელ კონტექსტში გააქტიურდა იგი (ანუ სხვა მახასიათებლების რომელ წყებასთან ერთად არის იგი აღქმული), ასეთი კონტექსტი სოციალურ გარემოში არის მრავალნაირი, შესაბამისად საეჭვოა სქემატური სტრუქტურის მქონე რეპრეზენტაციებმა, რომელთაც აქვს სტაბილური მნიშვნელობა და ვერ ავლენენ მოქნილობას, სწორად ახსნას შთაბეჭდილების პროცესი. კუნდასა და თაგარდის (1990) მიხედვით, ერთი და იმავე მახასიათებელმა სხვადასხვა აფექტური თუ კოგნიტური მნიშვნელობა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ინდივიდის ან სიტუაციის პირობებში, ან სხვა მახასიათებლების პარალელურად აღქმის შემთხვევაი, რადგან სქემა - მასში არსებული იარლიყითა და ასოციაციური მახასიათებლებით - ყოველთვის ერთსა და იმავე მნიშვნელობას გულისმობს, ის არაა სოციალური სამყაროს გაგების ადექვატური მექანიზმი. კონტინიუმის მოდელის საპასუხოდ არსებობს პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი, რომელიც ეფუძნება ასევე ურთიერთდაკავშირებული ბადის მექანიზმს, მაგრამ უფრო მოქნილად ასახავს შთაბეჭდილების პროცესებს.



ფიგურა 3. კონტინიუმის მოდელის გამოსახულება

2.6. პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის თეორია (Kunda, Thagard, 1996)

სერიული მოდელისგან განსხვავებით, პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის თეორია (**პდშთ**) აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოგვიდგენს შთაბეჭდილების ფორმირების პროცესს. არის რამდენიმე ბაზისური დაშვება, რომლითაც მოცემული მოდელი არსებითად განსხვავდება ზემოხსენებული მიდგომებისგან. აღსანიშნავია, რომ პდშთ ეყრნობა გეშტალტის პრინციპს, ამიტომ შთაბეჭდილებას ის ხსნის, როგორც ერთ მთლიან და არასაფეხურებრივ პროცესს (Read et al., 1997). მოცემული მოდელი ახერხებს ახსნას შთაბეჭდილების ისეთი შემთხვევები, რომელსაც ვერ ხსნის კონტინიუმის თეორია (Kunda & Thagard, 1996). თუმცა ეს მოდელი, ფართო ექსპერიმენტული შესწავლის ნაცვლად, წარმოადგენს კონპიუტერულ პროგრამას, რომელიც შეიქმნა ამ თეორიის მოსაზრებების საფუძველზე. მოცემული პროგრამა წარმატებით ახდენს ყველა იმ ექსპერიმენტული შედეგის სიმულირებას, რომელიც ჩატარდა სოციალური ინფორმაციის ინტეგრაციასთან დაკავშირებით (Kunda & Thagard, 1996).

პდშთ-ის მიხედვით:

- სტერეოტიპული ანუ კატეგორიული დამუშავება არ წარმოადგენს სოციალური ინფორმაციის დამუშავების **დომინანტურ პროცესს**, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სტერეოტიპული შთაბეჭდილება არ არის ისეთი დომინანტური ტიპის შთაბეჭდილება, როგორც ამას მოიაზრებენ ფისკე და მისი კოლეგები (Kunda & Thagard, 1996; Kunda, Sinclair & Griffin, 1997).

- გარდა ამისა, ინფორმაციის სერიული ანუ საფეხურეობრივი დამუშავების ნაცვლად, სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია **მუშავდება პარალელურად** და შედეგად ერთროულად ახდენს გავლენას, როგორც შთაბეჭდილებაზე, ასევე ერთმანეთის მნიშვნელობაზე (Kunda & Thagard, 1996, p: 285). პდშთ-ის ამ დაშვებით, მივედით კვლავ ამის კონფიგურაციულ პრინციპამდე, რომელსაც ასევე ეყრდნობა კონტინიუმის მოდელი, თუმცა ამ ორ შემთხვევას შორის ის სხვაობაა, რომ პდშთ-ს შემთხვევაში კონფიგურაციულ დამუშავებაში ჩართულია ყველა ტიპის ინფორმაცია - კატეგორიული და ინდივიდუალური, ხოლო კონტინიუმის მოდელის შემთხვევაში, კონფიგურაციული დამუშავება შეესაბამება მხოლოდ კატეგორიულ და არა ინდივიდუალურ ინფორმაციას.

- ინდივიდი ახდენს სამი ტიპის სოციალური ინფორმაციის გადამუშავებას და ინტერგრირებას ერთ მთლიანობაში, ესენია: სტერეოტიპი, თვისება და ქცევა. ამ გადამუშავების დროს, მნიშველოვანია არა მარტო მათი ცალკეული მნიშვნელობები, არამედ მათ შორის არსებული აზრობრივი კავშირებიც (Kunda & Thagard, 1996, Kunda et al., 1997).

- სტერეოტიპები, თვისებები და ქცევები წარმოადგენენ გამოცდილების საფუძველზე დაგროვილ მენტალურ რეპრეზენტაციებს. ხსენებული სოციალური ინფორმაციის ტიპები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან **ბადის სახეთ**, რომელშიც ვრცელდება აქტივაცია. შეგახსენებთ, რომ ბადისმიერი კავშირები დაშვებული არის კონტინიუმის მოდელშიც, სადაც იარლიყი და მასთან დაკავშირებული ასოციაციები ბადისმსგავსი ქსელით უკავშირდება ერთმანეთს, თუმცა პდშთ-ში ბადის სტრუქტურა გაგებულია უფრო რთულად (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

- **ბადისმიერი ქსელი** წარმოადგენს ცალკეული კონცეფტებისკან შემდგარ სტრუქტურას, რომელშიც ეს კონცეფტები (ცნებები) ურთერთდაკავშირებულნი არიან ერთანეთთან. კონცეფტები არის ინფორმაციული ნაწილები - ქცევა, თვისებები, სტერეოტიპები და სხვა მახასიათებლები. ხოლო, მათ შორის არსებული ქსელები, არის ის კავშირი, რომელიც აზრობრივად არსებობს ამ კონცეფტებს (ცნებებს) შორის, დაგროვილი ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე. აღსანიშნავია ის, რომ ეს კავშირები შეიძლება იყოს ორნაირი **პოზიტიური და ნეგატიური** (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

- **პოზიტიურია** ის კავშირი, როცა ერთ კონცეფტის გააქტიურება ადაგზნებს მეორე კონცეფტსაც. **ნეგატიური** ის კავშირია, როცა ერთი კონცეფტის გააქტიურება ახდენს მასთან დაკავშირებული, რომელიმე მეორე კონცეფტის შეკავებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბადისმიერ ქსელში მიმდინარეობს კონცეფტების *აქტივაცია დეაქტივაციის პროცესი*.

აღსანიშნავია, რომ დადებით და უარყოფითი კავშირების სიძლიერე განისაზღვრება აღმქმელის მიერ რეალურ სოციალურ გარემოსთან ურთიერთობის გამოცდილების საფუძველზე (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

- კონტინიუმის მოდელის საპირისპიროდ, პდშთ-ა ეყრდნობა რა ბადისმიერი ქსელური კავშირების პრინციპს, განსხვავებულად განიხილავს სოციალურ კონსტრუქტის მნიშვნელობას. ამ მოდელის მიხედვი, უწყვეტი ასოციაციური კავშირის გამო, რომელიც მოიცავს კავშირებს უამრავიქცევის, თვისების და სტერეოტიპის მენტალურ

რეპრეზენტაციას შორის, იქმნება ერთი მთლიანი - ერთიანი ბადე. ყოველი მორიგი სიტუაცია ააქტიურებს ერთ ან რამდენიმე კონსტრუქტს, მაგრამ არა მთელ მენტალურ ბადეს. ანუ აქტიურდება მოცემული ერთიანი მენტალური ბადის ის არე, რომელშიც მოცემულია მიმდინარე სიტუაციის მიერ გააქტიურებული შინაარსი. ასეთი ერთიანი ქსელის პრინციპიდან გამომდინარე, ერთმა და იგივე კონცეფტმა (ცნებამ) შესაძლოა სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა მნიშვნელობა მიიღოს. ეს იმის გამო, რომ ყოველ მორიგ სიტუაციაში გააქტიურებისას, მოცემული კონსტრუქტი აქტიურდება სხვადასხვა ასოციაციური ქსელით (Kunda & Thagard, 1996); ქსელური კავშირების ასეთბადეში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეული ერთი კონცეფტისთვის არსებობს მრავალმხრივი ასოციაციური კავშირები. შესაბამისად, სიტუაციიდან სიტუაციამდე, ერთ და იგივე კონცეფტის მნიშვნელობა ოდნავ შეიძლება შეიცვალოს. ამგვარად სოციალური კონსტრუქტის მნიშვნელობა იცვლება დროისა და სივრცის მიხედვით (Kunda & Thagard, 1996, p: 186), ამის კლასიკური მაგალითია, ხელის კვრის ქცევა (კონცეფტი), რომელიც შავკანიანის შესრულების შემთხვევაში ინტერპრეტირებულია უარყოფითი მნიშვნელობით, თუმცა დიასახლისის შემთხვევაში აბსოლუტურად საწინააღდეგო მნიშვნელობით. სხვა სიტყვებით, ყოველი კონსტრუქტის მნიშვნელობა, მოცემული მოდელის შემთხვევაში, დამოკიდებულია იმ ასოციაციათა კონტექსტზე, რომელშიც აქტიურდება ბადე. ეს არის **კონსტექსტით მართული მნიშვნელობები** (Kunda & Thagard, 1996, p: 186). კონტინიუმის მოდელში, სტერეოტიპის მენტალური რეპრეზენტაცია განიხილება, როგორც სტატიკური სქემა, რომელიც მუდამ ერთ და იგივე სახით გვხვდება ყველა სიტუაციაში - იარლიყი და მასთან დაკავშირებული კონკრეტული ასოციაციური მახასიათებლები. ასეთ სქემა თავის მნიშვნელობას არ იცვლის სიტუაციების მიხედვით, შესაბამისად, მოცემული მოდელიც ვერ ახერხებს შთაბეჭდილების ფორმირების ყველა შემთხვევის ახსნას (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

- სწორედ ასეთი ერთიანი ქსელისა და ცვალებადი მნიშვნელობების გამო, მოცემული მოდელი გამორიცხავს **სტერეოტიპის მთავარ როლს**, სოციალური ინფორმაციის დამუშავების პროცესში. თვისებებთან და ქცევებთან ერთად, ის არის მორიგი სოციალური რეპრეზენტაცია, რომლის დომინანტურობა იზღუდება მოცემულ ერთიან ბადეში, პარალელურად გააქტიურებული ქცევითი და თვისებათა რეპრეზენტაციებით (ასოციაციური კავშირებით) (Kunda & Thagard, 1996 Kunda et al., 1997).

- პდშთ-ი უშვებს, რომ მენტალურ ბადეში, ქცევებს უფრო ძლიერი ასოციაციური კავშირი აქვს თვისებებთან, ვიდრე სტერეოტიპებს (Kunda & Thagard, 1996, p: 287).

შთაბეჭდილების პროცესის მიმდინარეობა: აღსანიშნავია, რომ მოცემული მოდელის ავტორები არ გვთავაზობენ ქსელურ ბადეში მიმდინარე დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის პროცესის მექანიზმის ახსნას. ამის ნაცვლად, ისინი ეყრდნობიან აქამდე არსებულ ქსელური კავშირების მოდელს, რომელიც მოწოდებულია მაკლელანდისა,

რუმელჰარტის და კინჩის მიერ. პდშთ-ის მიხედვით, შთაბეჭდილების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

- ინდივიდი გარემოში ამჩნევს სხვა ადამიანს და მის შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, რომელშიც საოციალური ყოველდღიური რეალობიდან გამომდინარე, უმეტეს წილად არის როგორც სტერეოტიპული, ასევე ქცევითი ინფორმაცია.

- აღმული ინფორმაცია ააქტიურებს შეაბამის მენტალურ რეპრეზენტაციებს, ანუ ასოციაციათა ქსელს, რომელშიც ხდება აღზნების აქტივაცია ან დეაქტივაცია (შეკავება). როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუკი ორ ასოციაციურ მახასიათებელს შორის არის უარყოფითი კავშირი, მაშინ აქტივაცია შემცირდება და მოხდება მეორე ასოციაციური მახასიათებლის შეკავება - იგი არ გააქტიურდება. დადებითი კავშირის შემთხვევაში, შეკავების ნაცვლად ხდება ასოციაციური მახასიათებლის აღძვრა, გააქტიურება. გააქტიურების შემდეგ, ქცევით მენტალურ რეპრეზენტაციებს ანუ ინდივიდუალური ინფორმაციას, ისეთივე ძალა აქვს, როგორც სტერეოტიპს. შეგახსენებთ, რომ მოცემული მოდელის დაშვების მიხედვით, ქცევები უფრო მჭიდრო კავშირშია თვისებებთან, ვიდრე სტერეოტიპები. შესაბამისად ქცევის აღქმის შედეგად გააქტიურებული თვისებები გავლენას ახდენს და ზღუდავს სტერეოტიპულ ასოციაციებს (Kunda & Thagard, 1996, p: 287; Kunda etal., 1997).

- აღზნების იმპულსი, რამდენჯერმე წრიულად ტრიალებს გააქტიურებული ბადის არეში. რამდენჯერმე გააქტიურების შედეგად, აღძვრა შეკავების იმპულსები ახლდება (update) და ძლიერდება (Kunda & Thagard, 1996). საბოლოოდ აღწევს აქტივაციის სტაბილურ დონეს.

- შთაბეჭდილების ის პროცესი, რომელიც მოცემულია პდშთ-ში, ეხება შთაბეჭდილების მხოლოდ ავტომატურ (სწრაფ) შემთხვევებს - შემთხვევებს, რომელშიც სხვა ადამიანის შესახებ აღქმული ინფორმაცია ერთმანეთის კონსისტენტურია და მათი ინტეგრაცია არ საჭიროებს დამატებით დაფიქრებას (რათა მოხდეს აღქმული ინდივიდის გაგება). იმ შემთხვევაში, თუ კი აღქმული ინფორმაცია არაკონსისტენტურია ანუ აზრობრივად ერთმანეთის წინააღდეგობრივია, მაშინ საჭირო ხდება არა ავტომატური, არამედ კოგნიტურად კონტროლირებადი პროცესის გააქტიურება, რომელიც გულიხსმობს მიღებული ინფორმაციის ცნობიერ ანალიზს და წინააღდეგობრივი ინფორმაციის ამხსნელი მიზეზის მოძებნას. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინდივიდუალური პროცესი არის ცნობიერი, მიზანმიმართული პროცესი, რომელიც არ არის ავტომატური და მოითხოვს კოგნიტურ ძალისხმევას აღქმელის მხრიდან. ამის საპირისპიროდ კატეგორიზაცია არის ავტომატური პროცესი, რომელიც არ არის არც ცნობიერი და არც მიზანმიმართული, თუმცა კუნდასა და თაგარდის (1996) თანახმად, მანაც შეიძლება მოითხოვოს ცნობიერი ანალიზის პროცესი - ეს მაშინ, როცა სიტუაცია არ არის საკმარისად

ნათელი, და აღმქმელს ჭირდება ქცევის საფუძვლად არსებული რამდენიმე ალტერნატიული თვისების (ან მიზეზის) მოაზრება (Kunda & Thagard, 1996). თეორიის ავტორთა თქმით, პარალელური შეზღუდვის მექანიზმი შესაძლებელია, ხსნიდეს არამართო ავტომატური დასკვნების პროცესს, არამედ კოგნიტურად კონტროლირებადი პროცესის შედეგად მიღებულ ინტერპრეტაციებსაც, თუმცა ის კომპიუტერული მოდელი, რომელიც შეიქმნა თეორიის საფუძველზე, ახდენს შთაბეჭდილების მხოლოდ ავტომატური ასპექტების სიმულირებას (Kunda & Thagard, 1996, p: 287) .

დომინანტობის საკითხი: როგორც უკვე ვთქვით, პდშთ-ის თანახმად, ინფორმაციის სტერეოტიპული დამუშავება არ წარმოადგენს სხვა ინდივიდის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების მთავარ გზას-ფორმას. შესაბამისად, არც გარემოდან აღქმულ შესაბამის სტერეოტიპულ ინფორმაციას არ აქვს უპირატესობა პარალელურად აღქმულ სხვა სოციალურ ინფორმაციასთან შედარებით (როგორც შეიძლება იყოს ქცევა). ინდივიდის შესახებ ინივიდუალისტური ინფორმაციაც, რომელიც გარემოში ჩვეულებრივ მოცემულია ქცევის სახით, იგივენაირ სტატუს ფლობს, როგორსაც ფლობს სტერეოტიპული ინფორმაცია (Kunda & Thagard, 1996). ყოველივე ეს გამომდინარეობს ხსენებული მოდელის მთავარი პრინციპიდან, რომელიც მდგომარეობს ინფორმაციის მთლიანობით და არა სერიოულ-საფეხურეობრივ დამუშავებაში. ყველანაირი სოციალური ინფორმაცია, რომელსაც აღიქვავს აღმქმელი, პარალელურად და ერთდროულად მუშავდება ასოციაციური ბადის დახმარებით. ამ ბადეში, ინფორმაციის ნაწილები პარალელურად ზღუდავენ ერთმანეთის მნიშვნელობას და საბოლოოდ ამ სახით, ერთდროულად ახდენენ გავლენას შთაბეჭდილებაზე (Kunda & Thagard, 1996).

კუნდა და თაგარდის (1996) მიხედვით, სტერეოტიპის დომინანტურობა დასაშვებია ძირითადად ერთ შემთხვევაში - მაშინ, როცა იგი აღქმულია პირველ რიგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტერეოტიპული ინფორმაციის დომინანტურობას განსაზღვრავს გარემოში ინფორმაციის აღქმის რიგი - კერძოდ კი პირველობის ეფექტი. მათი ეს მოსაზრება მომდინარეობს აშის კლასიკური კვლევიდან, რომელიც აშკარად ავლენს პირველობის ეფექტს - შეგახსენებთ, რომ ამ კვლევის მიხედვით, პირველ რიგად მიწოდებული ზედსართავი განსაზღვრავდა მომდევნო რიგად მიწოდებული ზედსართავების მნიშვნელობას, რაც საბოლოოდ აისახა ინდივიდის განსხვავებულ შეფასებაში (როგორც მოწონების მიხედვით, ასევე თვისებათა შინაარსობრივი ინტერპრეტაციის მიხედვით) - მაშინ, როცა პირველი ზედსართავი იყო „გონიერი“, მომდევნო ზედსართავები და მთლიანად ინდივიდი შეფასდა უფრო დადებითად,

ვიდრე მაშინ, როცა იგივე ზედსართავების წყებაში პირველ რიგად „გონიერის“ ნაცვლად მიწოდებულ ზედსართავი „შურიანი“ (Kunda & Thagard, 1996, p:299).

სწორედ, ასეთ პირველობის ეფექტს ეფუძნება, პდშთ-ის მოსაზრება სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მოცემული მოდელი ასევე ამოდის ეკოლოგიური პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად მართლაც არა ერთროულად, არამედ რიგრიგობით ვიღებთ ინფორმაციას - არის, როცა სხვა ინდივიდის შესახებ ვიგებთ ჯერ სტერეოტიპულ ინფორმაციას, ხოლო მოგვიანებით გადავაწყდებით მის მაინდივიდუალურიზირებელ ქცევას ან პირობით. სწორედ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ რომელიმე ტიპის ინფორმაციის ან დამუშავების ფორმის დომინანტურობაზე. ყველა სხვა შემთხვევაში, როცა ორივე ტიპის ინფორმაცია წარმოდგენილია ერთროულად, დამუშავება წარმართება პარალელურად და ჰოლისტურად (Kunda & Thagard, 1996). გამოდის, რომ მოცემული მოდელის თანახმად, სტერეოტიპი არც მაშინ არის დომინანტური, როცა ინფორმაცია აღიქმება ერთდროულად და არა გარკვეული რიგით. სწორედ ეს არის ის მთავარი სხვაობა, რომელიც არსებობს პდშთ-სა და კონტინიუმის მოდელს შორის, ამ უკანასკნელის თანახმად, ნებისმიერ შემთხვევაში და მაშინაც კი, როცა ორივე ინფორმაცია აღიქმება ერთდროულად, ინფორმაციის დამუშავება იწყება სტერეოტიპულად და საჭიროების შემთხვევაში (სხვა ინდივიდის უკეთ გაგების მიზნით) გრძელდება ინდივიდუალურად.

ამგვარად, კონტინიუმის მოდელისგან განსხვავებით, პდშთ-ა სტერეოტიპული აზროვნების დომინანტურობას უშვებს მხოლოდ მაშინ, როცა სტერეოტიპული ინფორმაცია არის მიწოდებული პირველ რიგად (ინდივიდუალური ქცევით ინფორმაციამდე). თუმცა იგივენაირად, ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია დომინანტურ გავლენას მოახდენს შთაბეჭდილებაზე, თუკი სტერეოტიპის ნაცვლად ის არის წარმოდგენილი პირველ რიგად. საბოლოოდ, ამ თეორიაში, არც ერთ ინფორმაციის ტიპს ან დამუშავების ფორმას არ ენიჭება განსაკუთრებული როლი და უპირატესობა სოციალური შთაბეჭდილების წარმართვაში (Kunda & Thagard, 1996, p:299). თანაბარი სტატუსი მაშინაც ჩანს, როცა ორივე ტიპის ინფორმაცია აღიქმულია ერთროულად - ამ დროს სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია ერთნაირად და პარალელურად ახდენს გავლენას შთაბეჭდილებაზე (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

„IMP მოდელი წარმატებით ახდენს ამის კვლევის მოდელირებას“ (Kunda & Thagard, 1996, p:299) ანუ იგი იმეორებს რიგის, კონკრეტულად კი, პირველობის იმ ეფექტს, რომელიც აქვს მიწოდებული ინფორმაციის ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაზე (შეფასებაზე).

თუმცა გარდა, ამ შემთხვევისა, ხსენებული პროგრამა ასევე წარმატებით ახდენს ორივე ტიპის ინფორმაციის პარალელური დამუშავების სიმულირებასაც.

ბადისმიერი ქსელი და მასში მიმდინარე დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის პროცესი:

პდშთ-ის ძირითადი პრინციპების განხილვის შემდეგ აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ ქსელური კავშირების ის ასოციაციური ბადე, რომელშიც მიმდინარეოს აღქმული ინფორმაციის ინტეგრაცია, მნიშვნელობათა შეკავება - გააქტიურების გზით.

პდშთ-ის თანახმად, გარემოდან შემოსული ინფორმაციის დაკვირვების შემდეგ აქტიურდება ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული ასოციაციები, რომლებიც აქტივაციის ქსელურ ბადეში ააქტიურებენ ან აკავებენ (დეაქტივაცია) ერთმანეთს. მოცემული მოდელის მიხედვით, ამ მრავალფეროვან სოციალურ სამყაროში, აღმქმელი ერთდროულად შეიძლება დააკვირდეს, როგორც სტერეოტიპულ, ასევე ინდივიდუალურ ინფორმაციას. მიღებული ინფორმაციის შედეგად გააქტიურებული მახასიათებლები კი ბადისმაგვარი ქსელით ააქტიურებენ ან აკავებენ ერთანეთის მნიშვნელობას. საბოლოო ჯამში, ასეთი ერთდროული მოქმედებით „იმერწება“ და გარკვეულ „ჩარჩოში ლაგდება“ შთაბეჭდილება, ინდივიდის შესახებ (Kunda & Thagard, 1996). დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელის მიხედვით, ერთმანეთისგან გამოყოფილია დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია და მის შედეგად ინტერპრეტირებული ინფორმაცია. დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია არის ის, რომელიც რეალურად არსებობს გარემოში (ნამდვილია) და შესაბამისად, გარედან გვაძლევს ძლიერ აქტივაციის იმპულსს მენტალურ ბადეში (Kunda & Thagard, 1996). ქვევით დეტალურად არის წარმოდგენილი მენტალური ბადის მოქმედების პრინციპები:

- **კვანძები და კავშირები:** ბადე შედგება კვანძებისგან და მათ შორის დამაკავშირებელი ქსელისგან.

✓ **კვანძები არის კონცეფტები** (ქცევა, სტერეოტიპი, თვისება ან ნებისმიერი სხვა ატრიბუტური მახასიათებელი). კონცეფტებს შორის არსებობს კავშირი, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ კონცეფტს შორის არსებულ აზრობრივ კავშირს. ეს კავშირი ასახავს ამ კონცეფტის აღმნიშვნელი ობიექტის მდგომარეობას გარემოში და აღმქმელის მასთან ურთიერთობის გამოცდილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვთ, ბადე - თავისი კონცეფტებითა და ქსელური კავშირებით აღმქმელის გონებაში მენტალურად ასახავს აღმქმელის გარემოსთან ურთიერთობის შედეგად მიღებულ ცოდნას. კუნდასა და

თაგარდის თეორიაში, მოცემული ბადე წარმოადგენს სხვადასხვა მახასიათებელს და მათ შორის არსებულ ასოციაციურ კავშირს, რომელიც ყალიბდება ინდივიდის გამოცდილების საფუძველზე (Read et al., 1997).

- **ერთიანი ბადე:** ყველანაირი კონცეფტი გაერთანებულია ერთიან მენტალურ ბადეში. ამ ბადეში კონცეფტების უთვალავი ოდენობა ერთმანეთთან დაკავშირებულია -ან + კავშირით (Kunda & Thagard, 1996; Read et al., 1997; Kunda et al., 1997).

- **კავშირები:** „-“ კავშირი აღნიშნავს ორ კონცეფტს შორის უარყოფით კავშირს, ასეთ დროს ერთი კონცეფტის აქტივაცია ახდენს მასთან უარყოფითად დაკავშირებული მეორე (და სხვა მსგავსი კავშირის) კონცეფტების დეაქტივაციას - შეკავებას. „+“ კავშირი აღნიშნავს კონცეფტებს შორის დადებით კავშირს, როცა ერთი კონცეფტის აქტივაცია, იწვევს მასთან დადებითად დაკავშირებული კონცეფტის აქტივაციას. (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997)

- **კავშირების წონა:** კონცეფტებს შორის არსებული კავშირებს აქვს თავისი წონა. წონა აქვს როგორც „-“ კავშირებს, ასევე „+“ კავშირებს (Kunda & Thagard, 1996; Read et al., 1997).

- **აქტივაცია:** გარემოსთან შეხების შედეგად აქტივირდება არა მთელი ბადე, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ასახავს მოცემულ მომენტში აღქმულ გარემოს. კერძოდ კი აქტივირდება გარკვეული კვანძები - კონცეფტები, რომლებიც თავის მხრივ ააქტიურებენ სხვა, მათთან დაკავშირებულ კვანძებს (Read et al., 1997; Kunda et al., 1997).

✓ აქტივაცია გადაეცემა ბადეში და ვრცელდება ერთ კვანძიდან მეორეზე და ა.შ. ერთ მიმართულების გაგრძელების გარდა, აღსანიშნავია, რომ ბადეში აქტივაცია ბრუნდება უკუმიმართლებითაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კვანძებს შორის კავშირი ორიმიმართლებით ხდება - პირდაპირ და უკან (Read et al., 1997).

✓ *აქტივაციის ზომას განსაზღვრავს კვანძებს შორის არსებული კავშირის წონა და სახე (- თუ +) (Read et al., 1997).* თითოეული კვანძის აქტივაციის ზომა განისაზღვრება სხვა კვანძებიდან მიღებულ აქტივაციით, მანამდე წრიულად დატრიალებულ აქტივაციით და აქტივაციის დაქვეითებით.


- აქტივაციის ზომა შეიძლება იყოს ნებისმიერი მნიშვნელობა - **1 დან +1მდე**. შემომავალი აქტივაცია უმეტეს წილად არ არის სწორხაზოვანი; მას შეიძლება ქონდეს **სიგმოიდური ფუნქციის ან S-ის ფორმა** (Read et al., 1997, p: 28), სადაც აქტივაციის მაქსიმალური დონე არის +1 და მინიმალური - 1. ამ დროს აქტივაციის მინიმალურ და მაქსიმალურ დონეზე, აქტივაცია ჩერდება ერთ დონეზე (S -ის ფორმა), (იხ. ფიგურა 4).

აუცილებელია აღნიშნოს, რომ მოდელი უშვებს კვანძებს შორის სწორხაზოვანი კავშირების არსებობასაც. ასეთ დროს აქტივაციის დონე არა განგრძობითი (-1 +1), არამედ დისკრეტულია (0 ან 1). თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს, რომ პარალელური დამაკმაყოფილებელი მოდელის მთავარი განმასხვავებელი მახასიათებელი მდგომარეობს ორიმიმართულებიანი კავშირების არსებობაში (უკუკავშირების არსებობაში).

- ✓ აქტივაციის მუხტი ბადის აქტივირებულ არეში განმეორებით ვრცელდება რამდენჯერმე. თითოეული განმეორებით გავრცელებისას აქტივირებული არე უფრო მეტად იკვეთება და ყალიბდება (Read et al., 1997; Kunda et al., 1997). ასეთ განმეორებით აქტივაციის დატრიალება გრძელდება მანამ, სანამ აქტივაციის დონე კვანძებში არ გაჩერდება ერთ დონეზე (არ მიაღწევს ასიმპტოტს).
- ✓ „ასიმპტოტური დონის მიღწევა ანუ აქტივაციის „რელაქსაცია“ ხდება მაშინ, როცა კვანძებს შორის არსებული კავშირები დამაკმაყოფილებლად შეზღუდავს ერთმანეთს“ (Read et al., 1997, p: 28; Kunda et al., 1997). დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის ცნება გულისმობს იმ - და + კავშირებს, რომლებიც არსებობს კონცეფტებს შორის (მიღებული გამოცდილების საფუძველზე). ყოველი საწყისი აქტივაციის შედეგად ეს კავშირები მიისწრაფიან იმ სახის დადებითი თუ უარყოფითი შეზღუდვის გაზრდისკენ, რომელიც არსებობს ბადის კონკრეტულ არეში გააქტივირებულ კონცეფტებს შორის (შესაბამის მოვლენებთან ურთიერთობის გამოცდილების შედეგად).
- ✓ პარალელური შეზღუდვების ბადეში, აქტივაციას აქვს განგრძობითი ფორმა (ის არ არის დისკრეტული). ამის მიზეზი არის ურთიერთობის ის ტიპი, ტომელიც არსებობს კვანძებს ანუ კონცეფტებს შორის. უკუკავშირების არსებობის გამო, თითოეული გააქტიურებული კვანძი, გარდა იმისა, რომ სხვა კვანძებს ააქტიურებს, ასევე უკან იღებს მათგან აქტივაციასაც. შესაბამისად, თითოეულ კვანძში აქტივაციის დონე ნელნელა იცვლება და საბოლოოდ აღწევს ასიმპტოტს, დონეს როცა აღარ ხდება არანაირის ცვლილება და ხდება აქტივაციის სტაბილიზირება (Read et al., 1997). ეს სწორედ ის დონეა, როცა აქტივაციის წრიული ტრიალი ქსელში ჩერდება.
- ✓ აქტივაციაში იგულისხმება არამარტო პოზიტიური, არამედ კვანძებს შორის ნეგატიური კავშირის შედეგად წამოსული შეკავების ძალაც. შესაბამისად, როცა თითოეული კვანძის აქტივაცია იცვლება, ეს ხდება არამარტო პოზიტიური კავშირებიდან მიღებული აქტივაციის შედეგად, არამედ ნეგატიური კავშირის მქონე კვანძების შემკავებელი აქტივობის შედეგადაც. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ კონცეფტის აქტივაციის დონე არის, საწყისი ანუ ინფორმაციის გარედან აღქმის შედეგად მიღებული აქტივაციისა და ამ კონცეპტთან დაკავშირებული აღმგზნები და შემკავებელი კავშირები ზემოქმედების და უკუზემოქმედების შედეგი. ასიმპტოტის დონე კი განისაზღვრება, როგორც შემომავალი აქტივაციით, ასევე ამ აქტივაციის შესუსტებით. შეგახსენებთ, რომ თითოეულ კონცეფტთან შესაძლოა რამდენიმე კონცეფტი იყოს დაკავშირებული პოზიტიურად და ასევე რამდენიმე ნეგატიურად (Read et al., 1997).

- ✓ იმის, გამო რომ აქტივაცია არის ყველა დადებით და უარყოფით კავშირების შედეგი, საბოლოო აქტივაციის დონე წარმოადგენს ყველა ამ კავშირებით გამოხატული შეზღუდვების დაკმაყოფილებას(Read et al., 1997, p: 29).
- ✓ ამგავრად, სისტემას და აქტივაციას განსაზღვრავს, არამარტო გააქტიურებული კონცეფტების რაოდენობა, არამედ ამ კონცეფტებს შორის არსებული კავშირების ბუნებაც - დადებითი ან უარყოფითი კავშირები (Read et al., 1997).

მოდელის ერთავტორის - რუმელჰარტის - მიხედვით, მოცემული ქსელური კავშირების ბადე და დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის პროცესები, კარგად ასახავენ კატეგორიული რეპრეზენტაციების მოქმედებას. ასეთ კვანძოვან და ასოციაციურ სისტემას შეუძლია იმოქმედოს სქემატურად და ერთი (ან რამდენიმე)კვანძის გააქტიურების შედეგად შეუძლია აღადგინოს მთელი სტერეოტიპული ან პროტოტიპული რეპრეზენტაცია, მაგ: ერთი სოციალური ჯგუფის წარდგენის შედეგად, სისტემას შეუძლია აღადგინოს ამ სოციალურ ჯგუფთან დაკავშირებული ყველა სტეროეტიპული მახასიათებელი/თვისება; იგივე ხდება გარკვეული ეთნოსის ან პროფესიის მქონე ინდივიდის წარდგენის შედეგადაც (Read et al., 1997).



ფიგურა 4. არასწორხაზოვანი სიგმოიდური ფორმის ფუნქციის სტანდარტული გრაფიკი (Read et.al., 1997, p:29).

შემთხვევები, რომლის მოდელირებასაც ახდენს პდშთ-ა: როგორც უკვე ვახსენეთ, პდშთ-ა წარმოადგენს კომპიუტერულ მოდელს (IMP), რომელიც ეფუძნება ბადისმიერ ქსელურ კავშირებს და მათში მიმდინარე შემაკავებელ პროცესებს და რომელიც, წარმატებულად ახდენს ყველა იმ ექსპერიმენტული შედეგების სიმულირებას, რაც აქამდე ჩატარებული შთაბეჭდილების ფენომენის შესწავლაში. ეს შედეგები გამოხატავს სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის სხვადასხვანაირ გავლენას ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაზე. ინფორმაციის სხვადასხვანაირი მიქსის შემთხვევაში, გავლენაც შესაბამისად იცვლება. ჩატარებული კვლევითი მონაცემებისა და IMP მოდელის მიხედვით, შთაბეჭდილებაზე ეს გავლენა ასეთი შეიძლება იყოს:

- **სტერეოტიპი გავლენას ახდენს ქცევის მნიშვნელობის აღქმაზე** (Kunda & Thagard, 1996). თუმცა გავლენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ ქცევაზე, რომელიც ორაზოვანია და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

- **სტერეოტიპი ცვლის თვისების მნიშვნელობასაც** - ერთ და იგივე თვისება, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შემთხვევაში განსხვავებული მნიშვნელობით ფასდენა. კუნდასა და თაგარდის (1996) მიხედვით, ამას სტერეოტიპი ახერხებს, მასში გააქტიურებული სხვა ასოციაციების დახმარებით, რომელიც თავის შესაფერის ელფერს აძლევენ ამ თვისებას.

- **ინდივიდუაციური ინფორმაცია გავლენას ახდენს იმაზე, თუ რომელი ქვეკატეგორია გააქტიურდება** - სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაცია გარკვეული დონით ზღუდავს და ცვლის სტერეოტიპის მნიშვნელობას (Kunda & Thagard, 1996). მაგ: მხდალი ქცევის აღქმის შემთხვევაში, რომელსაც ასრულებს ჯარისკაცი, შეიძლება გააქტიურდეს მშიშარა ჯარისკაცის ქვესტერეოტიპი (სტანდარტული ჯარისკაცის სტერეოტიპის ნაცვლად).

- **მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაცია (ყოველგვარი ინდივიდუაციური ინფორმაციის გარეშე) გავლენას ახდენს მთელს შთაბეჭდილებაზე**, როგორც თვისებების, ასევე ქცევების ინტერპრეტაციაზე (Kunda & Thagard, 1996).

- **სტერეოტიპი ვერ ახდენს გავლენას შთაბეჭდილებაზე, მაშინ, როცა პარალელურად მოცემულია დიაგნოსტიკური ინდივიდუაციური ინფორმაცია** (Kunda & Thagard, 1996). დიაგნოსტიკური ინდივიდუაციური ინფორმაცია არის ქცევა, რომელიც აშკარად და ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს გარკვეულ თვისებაზე. სქესობრივი სტერეოტიპის საწინააღდეგოდ, ქალის მიერ შესრულებული აშკარა ასერტიული ქცევა შეფასებულია ისევე ასერტიულად, როგორც მამაკაცის მიერ შესრულებული იგივე ქცევა (Locksley, Borgida, Brekke & Hepburn, 1980). დიაგნოსტიკური ქცევითი ინფორმაციის გავლენას მოცემული მოდელი ხსნის იმ დაშვებით, რომ თვისებას უფრო ძლიერი და უშუალო კავშირი აქვს ქცევებთან ვიდრე სტერეოტიპს (მენტალური რეპრეზენტაციების ბადაში). შესაბამისად, აშკარა ქცევის აღქმის შემთხვევაში ძლიერ აქტიურდება თვისება და შედარებით ნაკლებად აქტიურდება სტერეოტიპი (Kunda & Thagard, 1996, p: 292). თუმცა ისიც შესაძლებელია, როცა მრავალფეროვანი კავშირების მქონე სტერეოტიპი უშუალო

კავშირშია შედარებით სუსტად გამოკვეთილ ქცევასთან, მაშინ სტერეოტიპი ახდენს გადამწყვეტ გავლენას (Kunda & Thagard, 1996, p: 293). ამისთვის განვიხილოთ შემდეგი შემთხვევა.

- სტერეოტიპი გავლენას ახდენს თვისების მნიშვნელობის ინტერპრეტაციაზე, როცა სახეზეა ბუნდოვანი (ორაზროვანი) ინდივიდუალური ინფორმაცია (Kunda & Thagard, 1996).

- სტერეოტიპი გავლენას ახდენს შთაბეჭდილებაზე არადიაგნოსტიკური ინდივიდუალური ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში - არადიაგნოსტიკური ინდივიდუალური ინფორმაცია არის ის ინფორმაცია, რომელიც არის ირელევანტური და ტრივიალური ქცევა, რომელიც არ არის რომელიმე ქცევის ან სტერეოტიპის მომხატველი - მაგ: იპოვა 20 ცენტი, დროზე მივიდა საკლასო ოთახში, მიირთვა პიცა, ყავს და/მმა და ა.შ.(Kunda & Thagard, 1996, p: 296).

- არადიაგნოსტიკური, მაგრამ ფსევდო-რელევანტური ინფორმაცია ასუსტებს სტერეოტიპის გავლენა შთაბეჭდილებაზე - ფსევდო დიაგნოსტიკური არის ის ინფორმაცია, რომელიც ობიექტურად არ არის გარკვეული თვისების აშკარა გამომხატველი, თუმცა ის მაინც აღიქმება ასეთად. მაგ: ლოქსლის კვლევის მიხედვით, ინდივიდის შესახებ მიწოდებულმა ინფორმაციამ - მშობლების პროფესია, ღამის/დღის ადამიანი, კოლეჯში სწავლის ხარისხი, მეგობრების რაოდენობა, IQ ქულა - გავლენა მოახდინა სტერეოტიპული თვისებების შეფასებაზე (ციტირებული Kunda & Thagard, 1996, p: 298).

- რამდენიმე სტერეოტიპის ერთდროული აქტივაცია გავლენას ახდენს ქვესტერეოტიპის გააქტიურებაზე - მაგ: გეი, რომელიც მუშაობს მშენებლობაზე, შეფასებულ იქნა, როგორც „კაცური გეი“ (ციტირებული Kunda & Thagard, 1996, p: 299).

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევას ხსნის პდშთ-ა. თუმცა შთაბეჭდილების ისეთ ფორმებს, როცა ინფორმაციის ავტომატური დამუშავების ნაცვლად საჭიროა ცნობიერი ანალიზის ჩართვა (კაუზალური დამუშავება), მოცემული ავტორების IMP მოდელი ვერ ხსნის. ასეთი შემთხვევები, როცა:

- სტერეოტიპის გავლენა შთაბეჭდილებაზე დიაგნოსტიკური ქცევის არსებობის შემთხვევაში გაშუალებულია სამსჯელოდავალებით - დიაგნოსტიკური ქცევის არსებობის შემთხვევაში სხვა ინდივიდი შეფასებულია მეტწილად ამ ქცევაზე და შესაბამის თვისებაზე დაყრდნობით (სტერეოტიპი, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ მორიგ ატრიბუტს წარმოადგენს); თუმცა როცა საქმე ეხება არა მიმდინარე შეფასებას, არამედ სამომავლო ქცევის წინასწარმეტყველებას, აქტიურდება აღქმული სტერეოტიპული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ხდება წინასწარმეტყველება(Kunda & Thagard, 1996). ბოდენჰაუსენისა და ვაიერის (1985) კვლევის მიხედვით, ეთნიკურმა სტერეოტიპმა განსაზღვრა

წინასწარმეტყველება იმისა, რომ ესპანური წარმომავლობის ინდივიდები უფრო ჩაიდენდნენ დანაშაულს, ვიდრე ევროპული წარმოშობის ინდივიდები.

- სტერეოტიპის გავლენა მნიშვნელოვნად მცირდება, როცა პარალელურად მოწოდებულია სტერეოტიპის საწინააღმდეგო კონტრასტული ქცევითი ინფორმაცია (Kunda & Thagard, 1996).

კაუზალურ აზროვნებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კუნდა და თაგარდის (1996) თქმით, კომპიუტერული სიმულაციის მოდელი ვერ ახდენს ისეთი შთაბეჭდილებების მოდელირებას, რომელიც საჭიროებს დაფიქრებასა და ანალიზს. მოკლედ რომ ვთქვათ, ის ვერ ახდენს კაუზალური აზროვნების წინასწარმეტყველებას. თუმცა რიდის და მისი კოლეგების (1997) თქმით, ქსელში მიმდინარე აღძვრა-შეკავების პრინციპებით შეიძლება აიხსნას სამი ტიპის პროცესი - შთაბეჭდილების ფორმირების პროცესი, კაუზალურ აზროვნებისა და კოგნიტური კონსისტენტობის პროცესები. პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვების მოდელის დახმარებით შეიძლება აიხსნას არაკონსისტენტური ინფორმაციის ინტეგრაციის შემთხვევები, ანუ ის შემთხვევები, როცა ხდება ორი საწინააღმდეგო როლის სტერეოტიპის და მისი საწინააღმდეგო ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის გაერთიანება და ა.შ. ასეთი წინააღმდეგობრივი ინფორმაციის ინტეგრირების პროცესს, მოცემული მოდელი ხსნის თითოეული წინააღმდეგობრივი კონცეფტის მიერ გააქტიურებული ასოციაციების აღზნება/შეკავებით და შემდეგ თავად ამ ასოციაციებს შორის ისეთი კავშირების გაბმით, რაც შექმნის მოცემული წინააღმდეგობრივი ინფორმაციის ლოგიკურად (დამაკმაყოფილებელი) ახსნის საშუალებას. გამოდის, რომ კომპიუტერულად სიმულირებული მოდელი ვერ ხსნის შთაბეჭდილების ისეთ შემთხვევებს, როცა საჭიროა ფართო კაუზალური კავშირების გაბმა აღქმულ წინააღმდეგობრივ ინფორმაციებს შორის, თუმცა თავად პარალელური შეკავება-აღზნების ბადისებრი ქსელის პრინციპი, რომელსაც თავის მხრივ ეყრდნობა ეს კომპიუტერული მოდელი, ასეთი შემთხვევების ასახსნელადაც გამოიყენება.

შეგახსენებთ, რომ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ყველა ეს გავლენა, რაც ვლინდება ერთმანეთის მნიშვნელობის ცვლაში, პდშთ-ის მიხედვით აიხსნება გააქტიურებული ასოციაციების ურთიერთგააქტიურებითა (აღძვრით) და შეკავებით - ინდივიდუალური ინფორმაციის გარკვეული ნაწილი აძლიერებს პარალელურად აღქმული სტერეოტიპის მიერ გააქტიურებული ასოციაციების ნაწილს, მაგრამ აკავებს ამ ასოციაციების სხვა ნაწილს. იგივე მიმდინარეობს სტერეოტიპული ასოციაციების მხრიდან. სწორედ ასეთ პროცესის შედეგად, ვიღებთ ისეთ შემთხვევებს,

როცა ერთ და იგივე ქცევა ან/და თვისება, სხვადასხვა ინდივიდის ან სიტუაციის კონტექსტში სხვადასხვანაირად ფასდება. სწორედ ამას ვერ ხსნის კონტინუუმის მოდელი. ის იმდენად სწორხაზოვანია და დამოკიდებულია მკაცრად მოცემული სტერეოტიპულ სქემაზე (მყარად განსაზღვრული იალიყითა და ასოციაციებით), რომ ვერ ითავსებს ასოციაციათა მნიშვნელობის ცვლის შესაძლებლობას, სხვადასხვა კონტექსტში (Kunda et al., 1997). სწორედ ამით არის უნიკალური პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი, რომელიც გარდა ასეთი მოქნილობისა, გამოირჩევა მარტივი ასოციაციური და არა საფეხურეობრივი მექანიზმით და გამოირჩევა ამ მექანიზმის დაწვრილებით ახსნის მცდელობით (რაშიც იგულისმხება შეკავება გააქტიურების პროცესის დეტალური ახსნა) (Kunda & Thagard, 1996).

იმის გამო რომ პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის პროცესები არ არის სწორხაზოვანი და უშვებს ერთდროულად რამდენიმე პარალელური კავშირის შესაძლებლობას, აღემატება უბრალოდ დაჯამების ან გასაშუალოების მოდელებსაც. სწორედ კდშთ-ის დახმარებით გახდა შესაძლებელია მრავალფეროვანი სოციალური ინფორმაციის ერთდროულად და მთლიანობაში დამუშავების პროცესის ახსნა, პროცესის, რომელიც დროსაც ცალკეული ნაწილები პარალელურად ზემოქმედებენ ერთანეთზე და ცვლიან ერთანეთის მნიშვნელობას. ამიტომ საბოლოო ჯამში, ასეთი ზემოქმედების შედეგად მიღებული მნიშვნელობა უფრო მეტია, ვიდრე მისი ნაწილების უბრალო ერთობლიობა. ასეთ მოდელში რომელიმე ახალი ინფორმაციული ნაწილის (ელემენტის) დამატება რადიკალურად ცვლის აქტივაციის ბადეს ანუ შინაარსს (Read et al., 1997).

ამგვარად მოცემული მოდელის მიხედვით, რომელიმე კონსტრუქტის (*თვისების, ქცევის ან სტერეოტიპის*) მნიშვნელობა ანუ ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც მოცემული კონსტრუქტი გააქტიურდება. კონტექსტში იგულისხმება ის სხვა კონცეფტები, რომელთა საწყისი გააქტიურებაც ხდება ამ კონცეფტი პარალელურად, სოციალურ გარემოზე დაკვირვების შედეგად. შეგახსენებთ, რომ გარემოში ხომ ერთდროულად რამდენიმე ტიპის ინფორმაციის აღქმა ხდება პარალელურად. ამ კონტექსტის შედეგად გააქტიურებული კავშირების ტიპი და ძალა განსაზღვრავს მოცემული კონცეფტების მნიშვნელობას. ერთმა და იგივე კონცეფტმა, თუ ის გააქტიურდა სხვადასხვა კონტექსტში, შეიძლება მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობა. ეს დამოკიდებულია იმ დადებითი და უარყოფითი კავშირების ტიპზე, რომელიც გააქტიურდა მოცემულ სიტუაციაში (Read et al., 1997).

3. კვლევის მიმოხილვა

3.1. კვლევის მიზანი

შთაბეჭდილების ფორმირებასთან დაკავშირებით, მკვლევარების მიერ გამოყოფილია ორი ტიპის შთაბეჭდილება - კატეგორიზაცია და ინდივიდუაცია. თითოეული ფორმა აქტიურდება მისთვის შესაფერისი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შემოდის გარემოდან - კატეგორიზაციის შემთხვევაში ეს ინფორმაციაა იმ სოციალურ ჯგუფთან კუთვნილება, რომელსაც ეკუთვნის სამიზნე ინდივიდი; ხოლო ინდივიდუაცია შემთხვევაში ეს ინფორმაცია არის ინდივიდის ქცევა და ამ ქცევიდან გამომდინარე თვისება (Pratto & Bargh, 1991; Kopetz & Kruglanski, 2008; Fiske & Neuberg, 1990).

კატეგორიზაციის პროცესი წარმოადგენს ინფორმაციის ზევიდან ქვევით დამუშავების შემთხვევას (Fiske et al., 1987; Brewer, 1990) - რაც არის ინფორმაციის დამუშავების სქემატური ფორმა, სადაც სამიზნე ინდივიდი აღიქმება არა მისი ინდივიდუალური ხასიათის, არამედ იმ სოციალური ჯგუფის ჭრილში, რომელშიც ის „ჯდება“. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მას მიეწერება ის თვისებები, რომელიც ახასიათებს ამ სოციალურ ჯგუფს და არა უშუალოდ მოცემულ ინდივიდს, მისი რეალურად განხორციელებული ქცევებიდან გამომდინარე. როგორც უკვე ვახსენეთ, ყველაზე ავტომატური და აშკარა სოციალური კატეგორიები არის სქესი, ასაკი და ეთნიკურობა (Fiske & Neuberg, 1990; Pratto & Bargh, 1991; Gawronski, Ehrenberg, Banse, Zukova & Klauer, 2003; Quinn & Macrae, 2005; Kopetz & Kruglanski, 2008). კატეგორიზაციისა და სტერეოტიპიზაციის საპირისპიროდ, ინდივიდუაცია წარმოადგენს ინფორმაციის ქვევიდან ზევით დამუშავების შემთხვევას - პროცესი მთლიანად ორიენტირებულია ინდივიდის რეალურ აღქმაზე. ამ დროს არ ხდება მახასიათებლების მიწერა გარკვეული სქემის საფუძველზე, ინდივიდის გაგება ხდება იმ თვისებების ჭრილში, რომელსაც ეფუძნება მისი რეალურ გარემოში შესრულებული ქცევა (ები) (რომელზე დაკვირვების საშუალებაც მიეცა აღმქმელს). ინდივიდუაციის დროს სამიზნე ინდივიდი დანახულია მისი უნიკალური ხასიათით, ხოლო სტერეოტიპული კატეგორიზაციის დროს, იგივე ინდივიდი აღქმულია, როგორც რომელიმე სოციალური ჯგუფის მორიგი - საშუალო წარმომადგენელი.

ასევე, კატეგორიული დამუშავების დროს ინფორმაცია მუშავდება გააქტიურებული კატეგორიის გავლენით - ყოველი ცალკეული ინფორმაცია აზრობრივად „გარდატყდება“ გააქტიურებული სოციალური კატეგორიის შესაბამისად, მაგ: ხელისკვრის ქცევა ნაკლებად ნეგატიურად და მიუღებლად ფასდება მაშინ, როცა ის შესრულებულია თეთრკანიანის მიერ, ვიდრე შავკანიანი მამაკაცის მიერ (Kunda

&Thagard, 1996) ან გამყიდველი, რომელიც არის მეგობრებთან ერთად სალამოზე უფრო ექსპტრავარტად აღიქმება, ვიდრე ბიბლიოთეკარი, რომელიც არის ასევე მეგობრებთან ერთად გასართობ სალამოზე (Kunda & Sherman-Williams, 1993) და ა.შ. ინდივიდუაციის დროს ინფორმაციის ნაწილების დამუშავება ხდება ნაწილ-ნაწილ, მათი ერთ აზრობრივ კონტექსტში გაერთიანების გარეშე - ერთ მთავარ მახასიათებელზე დაქვემდებარების გარეშე. ასეთ დროს, სოციალური ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის ინდივიდი, წარმოადგენს არა გამაერთიანებელ სტრუქტურას, რომელსაც ექვემდებარება ყველა დანარჩენი ინფორმაცია, არამედ წარმოადგენს ერთ მორიგ და ცალკეულ მახასიათებელს, სხვა დანარჩენ მახასიათებლებთან ერთად (Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997). კატეგორიზაციისაგან განსხვავებით, ინვიდუალიზაციის დროს ყოველი ცალკეული ინფორმაცია, არათუ ერთიანდება ერთი საერთო აზრის ქვეშ, არამედ განიხილება და ფასდება ერთმანეთისაგან განყენებულად და ცალცალკე (Fiske & Pavelchak, 1986; Fiske et al., 1987; Fiske & Neuberg, 1990).

იმის მიუხედავად, რომ აქამდე არსებული კვლევები ადასტურებენ კატეგორიზაციის და სტერეოტიპული აზროვნების გაშუალებულ ზეგავლენას, ეს უკანასკნელი მაინც მიჩნეულია სოციალური ინფორმაციის დამუშავების დომინანტურ, ავტომატურ და პირველ საფეხურზე მდგომ მექანიზმად. მონაცემების მიხედვით, სხვა ინდივიდის ავტომატური კატეგორიზაცია ფერხდება ისეთი შუალედური ფაქტორების ზემოქმედებით, როგორც არის ნეგატიური განწყობა (Bless, Schwarz & Wiekand, 1996; Chartrand, Bargh & Baaren, 2006), აღმქმელის მიერ ძლიერი სტერეოტიპული წარმოდგენების ქონა (Gawronski et al., 2003), აღქმული სამიზნის ნაცნობობა (Quinn et al., 2009), მკაფიოდ წინააღდეგობრივი ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაციის არსებობა (Pratto & Bargh, 1980; Locksley et al., 1980; Locksley et al., 1982; Kunda & Sherman-Williams, 1993; Bron, Albright & Malloy, 1995; Mettrick & Cowan, 1996), კაუზალური აზროვნების საჭიროება (Tobin, Weary, Brunner, Gonzalez & Han, 2009), ყურადღების საკმარისი მოცულობა (Pratto & Bargh, 1980; Fiske & Neuberg, 1890), ნაკლებად გადატვირთული კოგნიტური აპარატი/დავალების სიმარტივე (Bodenhausen & Lichtenstein, 1987) და მოტივაცია (Fiske, 1988; Fiske & Neuberg, 1890; Tobin et al., 2009).

ზამოჩამოთვლილი ფაქტორების მიუხედავად, შთაბეჭდილების ფორმირების ერთ-ერთ ძირითად თეორიაში (კონტინიუმის მოდელი), რომელიც ეკუთვნის ფისკესა და ნიუბერგს (1990), კატეგორიზაცია წარმოადგენს შთაბეჭდილების ფორმირების მთავარ ფორმას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემული მოდელის თანახმად აღქმელი ჩვეულებრივ მიდრეკილია და „განწირულია“ სტერეოტიპული აზროვნებისკენ. ეს კარგად ჩანს მოდელის იმ მოსაზრებებში, რომლის თანახმადაც ყოველ სიტუაციაში,

როგორი მოტივაცია ან/და ყურადღების მოცულობაც არ უნდა ჰქონდეს აღქმელს, სამიზნე ინდივიდის შეფასებას იწყებას მაინც სტერეოტიპულად - კატეგორიაზე დაფუძნებით. მეტიც, კატეგორიზაციის მცდელობასადგილი აქვს მაშინაც კი, როცა გარემოდან აღქმული ინფორმაცია აღმქმელის მეხსიერებაში არ ააქტიურებს რომელიმე კატეგორიას. ფისკესა და ნეუბერგის (1990) მიხედვით ინდივიდის უნიკალურობის აღქმა, ანუ მისი ინდივიდუაცია მხოლოდ მაშინ ხდება თუ მარცხს განიცდის საწყისი კატეგორიზაციის პროცესი ან აღმქმელის მიერ სამიზნის ინტერესი იმდენად ძლიერია, რომ ის არ კმაყოფილდება ზედაპირული სტერეოტიპიზაციით. ამ მოდელის მიხედვით, შთაბეჭდილების პროცესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ გადის შემდეგ საფეხურებს: კატეგორიზაცია, რეკატეგორიზაცია (რომელშიც შედის ქვეკატეგორიის ან ახალი კატეგორიის პოვნა) და ინდივიდუაცია. როგორც ვხედავთ შთაბეჭდილების პროცესი მუდამ იწყებს სამიზნე ინდივიდის ამა თუ იმ კატეგორიაში ჩასმით, და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში სრულდება იგი ინდივიდუაციით. სწორედ ასეთი ხედვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ თეორიაში ინდივიდუაციური შთაბეჭდილება წარმოადგენს მეორეხარისხოვან პროცესს, რომელიც გამონაკლისის სახეს ატარებს (რადგან უკავშირდება განსაკუთრებულ შემთხვევებს). მართალია კონტინიუმის მოდელმა მოახერხა მანამდე ერთმანეთისგან განცალკევებით განხილული დამუშავების პროცესების (კატეგორიზაცია და ინდივიდუაცია) ერთ მთლიან და თანმიმდევრულად გაწერილ სერიულ პროცესში გაერთიანება (Fiske et al., 1987), თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი თანმიმდევრობამნიშვნელოვნად გაკრიტიკებულ იქნა მოგვიანებით.

სტერეოტიპის გარდაუვალობა ეჭვქვეშ დააყენა პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის თეორიამ (პდშთ), რომელიც ეკუთვნის კუნდას და თაგარდს (1996). ცხოვრების ყოველდღიური რეალობიდან გამომდინარე, როცა ყველანაირი ტიპის ინფორმაცია ერთდროულად მოქმედებს ჩვენს აღქმაზე, ინფორმაციის დამუშავება არა თანმიმდევრულად, არამედ პარალელურად და ერთიანად მიმდინარეობს. ინფორმაციის ამ მთლიანობით დამუშავებაში ადგილი არ აქვს რამე ტიპის თანმიმდევრობას და რომელიმე პროცესის დომინანტურობას. მოცემული მოდელი შთაბეჭდილების პროცესს წარმოადგენს, როგორც არა თანმიმდევრულ, არამედ ასოციაციური ბადეში მიმდინარე ქსელურ პროცესს. სწორედ ასეთი ბადე და მასში მოცემული ასოციაციური კავშირები უზრუნველყოფს გარემოდან შემოსული მრავალფეროვანი სოციალური ინფორმაციის პარალელურ დამუშავებას¹. ასეთი

¹ ქსელს აქვს ბადისმაგვარი ფორმა და მასში გაბმულია ასოციაციური კავშირები ისეთ სოციალური ინფორმაციის ნაწილებს შორის, როგორც არის ქცევა, თვისება, სტერეოტიპები და სხვა პიროვნული მახასიათებლები (რაც გამოსადეგია სოციალური სიტუაციისა და ინდივიდის

პარალელური დამუშავების, ბადეში არსებული ასოციაციური კავშირებისა და უკუკავშირების გამო, გარემოდან გააქტიურებული ყოველი ინფორმაციული ნაწილი ააქტიურებს თავის ასოციაციებს ამ ბადეში; ასე პარალელურად გააქტიურებული ასოციაციები კი გავლენას ახდენენ და ცვლიან ერთმანეთის მნიშვნელობას. ადგილი აქვს კატეგორიული და ინდივიდუალური ინფორმაციის არა ცალცალკე თანმიმდევრულ, არამედ ერთდროულად დამუშავებასა და ურთიერთზეგავლენას (Kunda & Thagard, 1996; Kunda & Sherman-William, 1997).

ამგვარად, პდშთ-ის მიხედვით, კატეგორიზაცია მართლაც შეუძლებელია იყოს დომინანტური პროცესი. კუნდასა და თაგარდის (1996) თანახმად, ორივე ტიპის ინფორმაციას შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში აქვს თანაბარი სტატუსი, არც ერთი არ არის პირველადი და შესაბამისად დომინანტური. ინდივიდუალური ინფორმაციას ზუსტად იგივე სტატუსი აქვს შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში, როგორც შეიძლება ქონდეს კატეგორიულ ინფორმაციას (Kunda & Thagard, 1996; Kunda & Sherman-William, 1997). ერთადერთი შემთხვევა, როცა დასაშვებია კატეგორიზაციის დომინანტურობის გარდაუვალობა, არის ინფორმაციის მიწოდების რიგში პირველობის გავლენით მიღებული ეფექტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პდშთ-ის მიხედვით სტერეოტიპის დომინანტობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ის აღქმულია პირველ რიგად, ინდივიდუალური ინფორმაცია კი მის შემდეგ არის მიწოდებული. იგივენაირად, ინდივიდუალურმა ინფორმაციამ შესაძლებელია დომინანტურად განსაზღვროს შთაბეჭდილება, თუ კი სტერეოტიპულ ინფორმაციამდე, ის იქნა აღქმული პირველ რიგად. გამოდის, რომ დომინანტურობის პრინციპის დაშვების მიუხედავად, სტერეოტიპის დომინანტურობა არ არის სტაბილური და მუდმივი მოვლენა.

ჩვენი კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ მართლაც რამდენად დომინანტური შეიძლება იყოს კატეგორიული ინფორმაცია და კატეგორიზაციის პროცესი, ინდივიდის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში? გარდა ზემოხსენებული

გაგებისთვის). მოცემული კავშირების საფუძველზე იქმნება უსაზღვრო კავშირების და უკუკავშირების ერთი საერთო ბადე. გარემოდან შემოსული ინფორმაციის აღქმის შედეგად აქტიურდება მოცემული ბადის ერთ კონრეტული არე და არა სრული ბადე. გააქტიურებული არე არის ბადის სწორედ ის ნაწილი, რემელიც ასახავს გარემოდან შემოსულ ინფორმაციას და უზრუნველყოფს მის გადამუშავებას. გარემოდან აღქმული ყოველი ტიპის ინფორმაცია იქნება ეს სტერეოტიპული თუ ინდივიდუალისტური, ხსენებულ ბადეში ერთდროულად ააქტიურებს მის შესაბამის ასოციაციებს. ამგვარად, კონტინიუმის თეორიისგან განსხვავებით სტერეოტიპული და ინდივიდუალისტური ინფორმაციის დამუშავება არა ცალცალკე და თანმიმდევრულად, არამედ პარალელურად მიმდინარეობს (Kunda & Thagard, 1996; Kunda & Sherman-William, 1997; Read et al., 1997).

ფაქტორებისა, რომლებიც ახდენენ სტერეოტიპის მოქმედების შესუსტებას, საიტერესოა რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციის მიწოდების რიგს, სტერეოტიპის დომინანტურობის და ზოგადად როლიმელიმე ინფორმაციის (ან დამუშავების პროცესის) დომინანტურობის განსაზღვრაში?

მოცემული პდშთ წარმოადგენს კომპიუტერულ მოდელს - IMP, რომელიც ახდენს შთაბეჭდილების ფორმირებაზე ჩატარებული კვლევების წარმატებულ სიმულირებას. მოდელი იმეორებს და ხსნის ყველა იმ მრავალფეროვან ექსპერიმენტულ შემთხვევებს, რომლებიც ჩატარებულა სოციალურ კოგნიციაში აშის ზედსართავებზე ჩატარებული კვლევებიდან მოყოლებული. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევითი მონაცემების სიმულირების გარდა, მოცემული მოდელი ემპირიულად დამოუკიდებლად არ შესწავლილა (Kopetz & Kruglanski, 2008). შესაბამისად, არ მომხდარა ამ თეორიის იმ დაშვების ექსპერიმენტული შესწავლაც, რომელიც ეხება ინფორმაციის მიწოდების რიგს.

ჩვენი კვლევა ეფუძნება პდშთ-ს და მიზნად ისახავს, სოციალური ინფორმაციის მიწოდების რიგის მნიშვნელობის შესწავლას პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში.

3.2. საკითხის დასმა

ინფორმაციის მიწოდების რიგის კვლევა არა ერთი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა. რიგის ფაქტორის შესწავლა სათავეს იღებს აშის კლასიკური ექსპერიმენტიდან, რომელშიც გამოვლინდა პირველად მიწოდებული ზედსართავი სახელის განსაკუთრებული გავლენა, შემდგომ მიწოდებულ ზედსართავების მნიშვნელობის ინტერპერტაციაზე და სოციალური შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე (Nauts, Langner, Huijsmans, Vonk & Wigboldus, 2014). პირველობის ეფექტი არამარტო სოციალური მსჯელობის, არამედ პროდუქტზე მსჯელობის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა (Kardes & Herr, 1990). რიგის ფაქტორის კვლევაში, მოგვიანებით პირველობის (Primacy) ეფექტთან ერთად წინ წამოიწია ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის გავლენის ეფექტის (Recency) კვლევამაც. ორივე შემთხვევითვის მოპოვებულ იქნა ემპირიული მონაცემები, რომელიც ადასტურებს, როგორც პირველობის ასევე ბოლოს მიწოდების გავლენას შთაბეჭდილებაზე/შეფასებაზე. თუ პირველობის ეფექტი აიხსნება პიველად მიწოდებული ინფორმაციის მეტი წონით ან ყურადღების მეტი მოცულობით (Brink, 1974; Dreben, Fiske & Hastie, 1979), ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის გავლენა აიხსნება მეხსიერებაში მეტი ხელმისაწვდომობითა (Kopetz & Kruglanski, 2008) და

თანმიმდევრობაში მყოფი ინფორმაციის თითოეული ნაწილის თანაბარი გამოკვეთით² (Dreben, Fiske & Hastie, 1979). პირველობისა და ბოლოს მიწოდების ეფექტი გადახლართული აღმოჩნდა მეხსიერების - კერძოდ კი დამახსოვრების და აღდგენის - პროცესებთან (Dreben, Fiske & Hastie, 1979). რაც ლოგიკურიცაა, რადგან ბოლოს მიწოდებული ინფორმაცია მართლაც უფრო ხელმისაწვდომი და „ცოცხალია“ იმ მომენტისთვის, როცა მათი აღდგენა მიმდინარეობს, ვიდრე მანამდე მიწოდებული ინფორმაცია.

მიუხედავად ამისა ანდერსენისა და ჰუბერტის აზრით, რიგის ფენომენის მეხსიერების პროცესთან დაკავშირებისას, უნდა გავითვალისწინოთ ორი პროცესის სხვაობა - ზედსართავი სახელების აღდგენა-დამახსოვრებას და შთაბეჭდილების ჩამოყალიბებას, მეხსიერების ორი განსხვავებული პროცესი უდევს საფუძვლად (ციტირებული Brink, 1974, p: 561; Dreben, Fiske & Hastie, 1979, p:1760) . შესაბამისად, პირველობის ან ბოლოს ეფექტის გამოწვევა გარკვეულ წილად დამოკიდებულია მიწოდებულ ინსტრუქციაზე ან მიზანზე - დამახოვრებაზე და აღდგენაზე გათვლილი ინსტრუქციის შემთხვევაში ძლიერდება ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის ეფექტი; შთაბეჭდილებაზე გათვლილი ინსტრუქციის შემთხვევაში ნარჩუნდება პირველობის ეფექტი. ამგვარად, პირველობის ჩვეული ეფექტი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უთმობს ადგილს ბოლოს მიწოდების ეფექტს³.

რიგის გავლენასთან დაკავშირებით, პდშთ-აც უშვებს პირველად მიწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებულ გავლენას სოციალური ინფორმაციის გადამუშავების პროცესზე. პირველობის ასეთი ძლიერი ეფექტი, სრულიად თანმიმდევრულად გამომდინარეობს იმ ბადესმიერი ქსელის მუშაობის ბუნებიდან, რომელსაც ეფუძნება ინფორმაციის დამუშავება, მოცემული მოდელის მიხედვით. რიდის, ვანმანისა და მილერის (1997) თანახმად, ქსელში საწყის ეტაპზე შემოსული ინფორმაცია ააქტიურებს ბედის იმ არეს, რომელშიც მდებარეობს მისი შესაბამისი ასოციაციები. ამ არის გააქტიურების შედეგად იწყება აქტივაციის წრიული ბრუნვა (update), რის შედეგადაც აქტივაცია აღწევს დამაკმაყოფილებელ შეზღუდვას⁴ და სტაბილიზირდება (აღწევს ასიმპტოტს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პროცესის შედეგად სისტემის ერთ არეში

²გაკრვეული რიგით მიწოდებული ინფორმაციის ნაწილების თანაბარი გამოკვეთა მაშინ ხდება, როცა ინსტრუქციის მიხედვით, ცდისპირებს ევალუბათ თითოეული მიწოდებული ნაწილის (მაგ: ზედსართავის) ხმამალა წაკითხვა, ან თითოეულის ცალცალკე შეფასება.

³ ამ ფაქტორებზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ მეთოდისა და კვლევის დიზაინის ნაწილში.

⁴ ასოციაციებს შორის არსებული დადებითი და უარყოფითი კავშირები მისწრაფიან გააქტიურებისკენ, დადებითი კავშირი მისწრაფვის აღძვრისკენ, უარყოფითი დეაქტივაციისკენ - ხდება არსებული კავშირების დაკმაყოფილება.

იქმნება ველი, რომელიც ხდება სტაბილური. სისტემაში ახალი ინფორმაციის შემოსვლის შედეგად, რთული ხდება ასეთ სტაბილიზირებული ველიდან ამოსვლა. სწორედ ამის გამო, ყოველი შემდგომი ინფორმაცია მცირე გავლენას ახდეს პირველად შემოსულ ინფორმაციაზე. ქსელის მოქმედების სწორედ ეს მექანიზმი განაპირობებს პირველად მიწოდებული ინფორმაციის დომინანტურობას ინფორმაციის დამუშავების პროცესში. გარდა ამისა, სწორედ ამ პრინციპის გამო არის დაშვებული სტერეოტიპულ და ინდივიდუალური ინფორმაციას შორის თანაბარი სტატუსის ფლობა - ხსენებული ქსელის მოქმედებისას, სულ ერთია თუ რომელი ინფორმაცია შევა ასოციაციურ სისტემაში პირველი - სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური.

მიუხედავად მრავალფეროვანი კვლევებისა, რაც ჩატარდა მიწოდებული ინფორმაციის რიგის გავლენასთან დაკავშირებით, არ ჩატარებულა კვლევა კონკრეტულად სოციალური ინფორმაციის ტიპების პირველობაზე. კერძოდ კი იმაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ინფორმაციის მიწოდების რიგმა უშუალოდ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობაზე, შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში:

- სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით შესწავლილ იქნა მრავალი ისეთ საკითხი, როგორც არის: ინფორმაციის ინტეგრაციის ფორმები (Gollin, 1954), სტერეოტიპული აღქმის გავლენის შემცირება ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით (Locksley et al., 1980; Locksley et al., 1982; Kunda & Sherman-Williams, 1993; Baron et al., 1995; Beckett & Park, 1995; Mettrick & Cowan, 1996; Quinn, Lason & Macrae, 2009; Ko, Judd & Stapel, 2009), ურთიერთსაწინააღდეგო თვისებების და სტერეოტიპების ინტეგრაცია შთაბეჭდილებაში (Casselden & Hampson, 1990; Hastie, Schroeder & Weber, 1990), სტერეოტიპების გავლენა კატეგორიულ და ინდივიდუალურ დამუშავებაზე (Gawronski, 2003), მაგრამ არ იქნა შესწავლილი რიგის და ამ რიგში პირველად მიწოდების გავლენა კატეგორიული და ინდივიდუალური ტიპის ინფორმაციის დომინანტურობაზე.

- ამ კვლევებისგან განსხვავებით, ლუხინებისმიერ, 1984 და 1986 წლებში ჩატარებულ ექსპერიმენტში, მართლაც დაპირისპირებულ იქნა სხვადასხვა რიგით მიწოდებული ორი ინფორმაცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ კვლევაში მონაწილეებისთვის წარგდენილი ინფორმაციიდან, ორივე კატეგორიულ ინფორმაციას წარმოადგენს (კატეგორიას დაფუძნებულს თვისებაზე - ინტროვერტი ექსტროვერტი). გარდა ამისა, ლუხინების კვლევაში, არ არის გააზრებული სტერეოტიპული და ინდივიდუალური დამუშავების განსხვავებულობა, შესაბამისად, კვლევა არ ისახავს მიზნად, რომელიმე ინფორმაციის ან დამუშავების სტილის დომინანტურობის შესწავლას. რაც შეეხება ჩვენს კვლევას, მოცემული კვლევისგან განსხვავებით, იგი ეყრდნობა რა პდშთ-ს, რიგის ფაქტორის

გავლენის გაზომვას ახდენს არა სამიზნე ინდივიდის მოწონების შეფასებით, არამედ ქსელურ ბადეში გააქტიურებული კონკრეტული ასოციაციების აქტივაციის დონის განსაზღვრით. ვფიქრობთ, რომ შთაბეჭდილების კოგნიტური, და არა აფექტური, ნაწილის გაზომვა უფრო სრულ და ზუსტ სურათს მოგვცემს იმის განსაზღვრაში თუ რა მასშტაბით ახდენს პირველად მიწოდებული ინფორმაცია გავლენას შთაბეჭდილებაზე; უფრო კონკრეტულად კი, ნათლად გამოჩნდება ის ცვლილება, რომელსაც მოახდენს მიწოდებული ინფორმაცია სამიზნის შეფასების პროცესში გააქტიურებულ კოგნიტურ ბადეზე და მის ასოციაციებზე. რიგის გავლენის საკითხის განყენებულადმესწავლის გარდა, სხვა კვლევებისგან განსხვავებით, ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს პარალელური დამაკმაყოფილებები შეზღუდვის მოდელის ემპირიულ შესწავლასაც და რაც მთავარია, იმ ბადისმიერი ქსელის (ასოციაციური კავშირების) გადამოწმებას, რომლის დახმარებითაც ხდება ინფორმაციის დამუშავება მენტალურ რეპრეზენტაციებში. რაც შეეხება უშუალოდ რიგის ფაქტორთან დაკავშირებული მოსაზრებას, ის არის პდშმ-ის ის ერთ ერთი დაშვება, რომელიც ეპირიულად ჯერ არ დადასტურებულა (Kopetz & Kruglanski, 2008). მოდელის მიხედვით, სწორედ რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაცია არის ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებას.

- რიგში პირველობის ეფექტი დადასტურდა დრებენისა და სხვა ავტორების (1979) კვლევაშიც, მათი აზრით პირველად მიწოდებული ინფორმაცია ის საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც მუშავდება მთელი შთაბეჭდილება (Bodehausen & Wyer, 1985). თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ არც ეს კვლევა ეხება უშუალოდ სხვადასხვა რიგით მიწოდებული კატეგორიული და ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის შესწავლას. მაშინ როცა ლუხინების, 1984 და 1986 წლების კვლევა ეხება ორი არაკონსისტენტური კატეგორიული ინფორმაციის დაპირისპირებას, დრებენისა და მისი კოლეგების (1979) ექსპერიმენტი ორიენტირებულია ამოცანის და ინსტრუქციის თავისებურებით გამოწვეული პირველობის და ბოლოს ეფექტის კვლევაზე. მიუხედავად იმისა, რომ პირველობის ეფექტი დასტურდება მაშინ, როცა აღმქმელის ამოცანა არის სამიზნე ინდივიდის შეფასება და არა მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრება (Dreben, et al., 1979), ეს ეფექტი არ არის შესწავლილი მიწოდებული ინფორმაციის ტიპების ჭრილში. პირველობის ეფექტის გარდა, დადასტურებულია ბოლოს მიწოდებული ეფექტიც (Kopetz & Kruglanski, 2011), თუმცა არც მოცემულ კვლევას არ მოუხდენია კატეგორიული და ინდივიდუალური ინფორმაციის დაპირისპირება. ყველაფერთან ერთად, როგორც უკვე ვთქვით ყველა ზემოხსენებული კვლევა, რიგში მიწოდების გავლენას ზომავს სამიზნე ობიექტის მხოლოდ აფექტური შეფასების - მომწონს არ მომწონს - გზით. შთაბეჭდილების კოგნიტური ნაწილი კი ჯერ არ გამოყენებულა ამ გავლენის გასაზომად - შესასწავლად.

ამგვარად, პდშმ-დან და ბადისებრი ქსელის მოდელზე დაფუძნებით, ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს უშუალოდ სტერეოტიპული და

ინდივიდუაციური ინფორმაციის სხვადასხვა რიგად მიწოდების გავლენა პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესზე. უფრო კონკრეტულად კი კვლევის მიზანია შეამოწმოს რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის დომინანტურობა, მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაში შემავალი მახასიათებლების ანალიზზე დაყრდნობით. უფრო გლობალურ დონეზე კი, რიგის ფაქტორის შესწავლით, ის მიზნად ისახავს პდშთ-ის ემპირიულ შესწავლასაც და იმ ბადისმიერი ქსელის მოქმედების შემოწმებასაც, რომლის დახმარებითაც ხდება ინფორმაციის გადამუშავება, პდშთ-ის თანახმად.

3.3 კვლევის ამოცანები(მოკლედ)⁵

მოცემული კვლევის ამოცანაა აჩვენოს, რომ :

- ინდივიდუაციური ინფორმაცია ისეთივე დომინანტური და შთაბეჭდილების წარმმართველი ძალაა, როგორც შეიძლება იყოს სტერეოტიპული ინფორმაცია
- მიწოდებული ინფორმაციის რიგი განსაზღვრავს ინფორმაციის დამუშავების სტილს და შესაბამისად ცვლის შთაბეჭდილების შინაარსს

ქვეამოცანებია:

- კონკრეტული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციების მოპოვება
- მათთან დაკავშირებული ასოციაციური ბადის შესწავლა
- მოპოვებული ინფორმაციის ექსპერიმენტულად მანიპულირება, სხვადასხვა რიგით მიწოდების მიხედვით
- ისეთი სკალის შემუშავება, რომლითაც გაიზომება მიწოდებული სტერეოტიპული თუ ინდივიდუაციური ინფორმაციის დომინანტურობა შთაბეჭდილებაში

3.4. კვლევის ჰიპოთეზა

პდშთ-ზე და ბადისმიერი ქსელური კავშირების მექანიზმე დაყრდნობით, ჩვენ ვარაუდობთ, რომ ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების გამო სტერეოტიპის გავლენა შთაბეჭდილებაზე არ იქნება ისეთი ძლიერი, როგორც ეს მოაზრებულია კონტინიუმის მოდელში. მეტიც, ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მანიპულირება აჩვენებს, რომ ინდივიდუაციური ინფორმაცია იგივენაირად წარმართავს შთაბეჭდილებას, როგორც სტერეოტიპული ინფორმაცია.

⁵ კვლევის ამოცანების უფრო დეტალური ანალიზი მოცემული იქნება მოგვიანებით, კვლევის დიზაინის ნაწილში

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვით, ჩვენ ვუშვებთ, რომ: ერთი და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევაში აღმქმელის შთაბეჭდილებაში უფრო მეტად ინტეგრირებული იქნება ის ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულ (აღქმულ, წარდგენილ) იქნა პირველ რიგად. შესაბამისად, ა) *სტერეოტიპული (კატეგორიული) ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილება უფრო მეტად დაეყრდნობა სტერეოტიპს და სამიზნის შესახებ მიწოდებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის ინდივიდუალურიც, დანახული იქნება შესაბამისი სტერეოტიპული კატეგორიის ჭრილში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დომინანტური იქნება ინფორმაციის კატეგორიული (სტერეოტიპული) დამუშავების სტილი*) ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალისტური ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილება დაეყრდნობა ამ ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს და ყველა ინფორმაცია, მათ შორის სტერეოტიპულიც დანახულ იქნება ინდივიდუალური ინფორმაციის ჭრილში - ამ შემთხვევაში დომინანტური იქნება ინდივიდუალური დამუშავების სტილი. ამგვარად, სტერეოტიპის დომინანტურობა შესაძლებელია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მაშინ, როცა ის მიწოდებულ იქნება პირველ რიგად.

მიწოდების რიგი - ინფორმაციის თანმიმდევრობით მიწოდების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ორნაირი ეფექტი - პირველად მიწოდებული (Primacy) და ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის (Recency) ეფექტი. *პდშთ-ისა და ბადისებრი ქსელის მოქმედების პრინციპის საფუძველზე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინფორმაციის თანმიმდევრულად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილებაში დომინანტურად ის ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი, რომელიც მიწოდებულია პირველ რიგად. გამოვლინდება პირველობის ეფექტი.*

ამგვარად, რიგის გავლენასთან დაკავშირებით, პდშთ-აც უშვებს პირველად მიწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებულ გავლენას სოციალური ინფორმაციის გადამუშავების პროცესზე. პირველობის ასეთი ძლიერი ეფექტი გამომდინარეობს ქსელის მუშაობის წესებიდან. რიდის, ვანმანისა და მილერის (1997) თანახმად, ქსელში საწყის ეტაპზე შემოსული ინფორმაცია ააქტიურებს ბადის იმ არეს, რომელშიც მდებარეობს მისი შესაბამისი ასოციაციები. ამ არის გააქტიურების შედეგად იწყება აქტივაციის წრიული ბრუნვა (update), რის შედეგადაც აქტივაცია აღწევს დამაკმაყოფილებელ შეზღუდვას და სტაბილიზირდება (აღწევს ასიმპტოტს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ პროცესის შედეგად სისტემის ერთ არეში იქმენა აქტივაციის ველი, რომელიც ხდება სტაბილური. ამიტომ, სისტემაში ყოველ ახლად შემოსულ ინფორმაციას, უჭირს ასეთი სტაბილიზირებული ველის დარღვევა. სწორედ ამის გამო,

ყოველი შემდგომი ინფორმაცია მცირე გავლენას ახდეს პირველად შემოსულ ინფორმაციაზე. ქსელის მოქმედების სწორედ ეს მექანიზმი განაპირობებს პირველად მიწოდებული ინფორმაციის დომინანტურობას ინფორმაციის დამუშავების პროცესში.

მიწოდებული ინფორმაცია- მიწოდებულ ინფორმაციაში იგულისხმებს ორი ტიპის ინფორმაცია, კატეგორიული, იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალური. შეგახსენებთ, რომ *კატეგორიული ანუ სტერეოტიპული არის ის სოციალური ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ინდივიდის რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობაზე-კუთვნილებაზე. ასეთი კატეგორიებია, პროფესია, აღმსარებლობა, სქესი, ასაკი, ეთნოსი და ა.შ.* (Fiske & Neuberg, 1990; Kunda & Sherman-William, 1993; Kunda & Thagard, 1996; Gawronski et al., 2002)

რაც შეეხება ინდივიდუალურ ინფორმაციას, მისი განმარტება არ არის მკაფიოდ მოცემული ლიტერატურაში, თუმცა მაინც, *ინდივიდუალური ინფორმაციად მიჩნეულია ყველა დანარჩენი რაც არ არის კატეგორია - ბიოგრაფიული მახასიათებლები, ქცევითი მახასიათებლები და თვისებები* (Kunda & Thagard, 1996, p: 235).

კუნდასა და თაგარდის (1996) მიხედვით, თუ კარგად დავუკვირდებით ძნელია ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოვყოთ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია. მათი თქმით, ერთი და იგივე მახასიათებელმა ერთ შემთხვევაში შეიძლება შეასრულოს კატეგორიის (სტერეოტიპის), ხოლო სხვა შემთხვევაში ინდივიდუალური ინფორმაციის როლი, მაგ: თვისება ინტელექტუალური შეიძლება მიუთითებდეს, როგორც ცალკეულ თვისებაზე, ასევე გარკვეულ სოციალურ ჯგუფზე (Kunda & Thagard, 1996). ანალიზის ამ ხაზს თუ გავაგრძელებთ, ინდივიდუალური ინფორმაციის ბუნება განისაზღვრება იმ როლით, რომელსაც ის ასრულებს მოცემულ სიტუაციაში სხვა ინფორმაციასთან მიმართებაში (Kunda & Thagard, 1996, p: 202). თუმცა, კლატკისა და ანდერსენის (1987) კვლევას გავიხსენებთ, ინფორმაციის ამ ორ ტიპს შორის სხვაობა სტრუქტურულ შემადგენლობაშიც მდგომარეობს. მათი კვლევით დადასტურდა, რომ სტერეოტიპული კატეგორია უკავშირდება უფრო მრავალფეროვან, ურთერთგანსხვავებულ, მეტად კონკრეტული შინაარსის კატეგორიებს, მაშინ როცა თვისებების მენტალური რეპრეზენტაცია შედგება ნაკლებად მდიდარი, ნაკლებად მრავალფეროვანი და ნაკლებად კონკრეტული (ხილვადი) ასოციაციებისგან.

სტრუქტურულად თვალსაზრისით, ასევე აღსანიშნავია ის სტრუქტურული კავშირები, რომლებიც არსებობს ამ სხვადასხვა ტიპის სოციალურ რეპრეზენტაციებს შორის. ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ქცევები უშუალოდ უკავშირდება თვისებებს, შესაბამისად ქცევაზე დაკვირვება ავტომატურად იწვევს დასკვნას გარკვეულ თვისებაზე. ქცევა სტერეოტიპს ძირითადად უკავშირდება ამა თუ იმ თვისების გავლით. თუმცა შესაძლებელია, რომ ქცევა სტერეოტიპსაც დაუკავშირდეს უშუალოდ, თვისებით გაშუალების გარეშე. თავის მხრივ სტერეოტიპი კავშირშია მრავალ მახასიათებელთან, რომელთა შორის არის თვისებები და ქცევები (Andersen & Klatzki, 1987; Pratto & Bargh, 1989; Kunda & Thagard, 1996).

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ სოციალურ ინფორმაციას შეესაბამება მისი შესაბამისი მენტალური რეპრეზენტაცია ზადისებრ ქსელში; ეს რეპრეზენტაციები არ არის ერთმანეთისგან იზოლირებული და რაც მთავარია ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება იმ ასოციაციური კავშირების მრავალფეროვნებით, რომელსაც ამყარებს ირგვლივ მყოფ სხვა მახასიათებლებთან (კოცენფტებთან/ცოდნასთან/ატრიბუტებთან).

სოციალურ შთაბეჭდილებაზე ჩატარებულ ყველა კვლევაში სტერეოტიპულ ინფორმაციად გამოყენებულია სოციალურ ჯგუფზე მიმანიშნებელი ინფორმაცია/ნიშანი, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციად გამოყენებულია ქცევითი ინფორმაცია - უფრო ზუსტად კი - სტერეოტიპის საწინააღდეგო ქცევითი ინფორმაცია. ექსპერიმენტულ კვლევებში გამოყენებული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის მაგალითებია: სქესის კატეგორია და ასერტიულობის ქცევა (Locksley, 1980; Beckett & Park, 1995), პროფესია (ბიბლიოთეკარი და გამყიდველი) და გასართობ სადამოებზე სიარულის ქცევა (Kunda & Sherman-William, 1993), სოციალური სტატუსის კატეგორია (შეძლებული, ნაკლებად შეძლებული ოჯახიდან წარმომავლობა) და მასწავლებლის შეკითხვებზე სწორად გაცემული პასუხების ქცევა (Baron et al., 1995), სქესის კატეგორია და დიასახლისის ან ბიზნესმენის საქმიანობით დაკავების ქცევა (Gawronski et al., 2002) და ა.შ.

რატომ არის კონტრასტი მნიშვნელოვანი?

სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ურთიერთმიმართების შესწავლის დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორი ინფორმაციის შინაარსობრივ კონტრასტს ანუ არაკონსისტენტურობას. კვლევების შედეგად დიდი ხანია დადასტურებულია, რომ სტერეოტიპი გავლენას ახდენს იმ ქცევის შინაარსის ინტერპრეტაციაზე, რომელიც არის ა) ამ სტერეოტიპის შესაბამისი ან ბ) არის ორაზროვანი ანუ ბუნდოვანი (მაგ: ხელის კვრა) ან გ) აქვს ირელევანტური შინაარსი, რადგან არ ააქტიურებს რომელიმე სხვა სტერეოტიპს ან თვისებას (ყავს და/ძმა, დროზე მივიდა საკლასო ოთახში, იპოვა დაგდებული ხურდა და სხვა) (Kunda & Sherman-Williams, 1993; Kunda & Thagard, 1996). ასეთი ქცევების გამოყენება, სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის შესასწავლად ბუნებრივია არასწორია, რადგან სტერეოტიპული ინფორმაცია ადვილად მოახდენს გავლენას არამართო ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაზე (შეფასებაზე მოწონება/არმოწონების მიხედვით), არამედ მთელი ქცევით შინაარსის ინტერპრეტაციაზეც. მსგავსი კვლევების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენას უნდა დაუპირისპირდეს სტერეოტიპის საწინააღდეგო და არაორაზროვანი შინაარსის მქონე ინდივიდუალური ქცევა - მხოლოდ ასეთ დროს იქნება შესაძლებელი ორივე ტიპის ინფორმაციის გავლენის შესწავლა ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაზე.

ისეთი ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია, რომელიც კვლავ სტერეოტიპს გააძლიერებს, არ გამოდგება სტერეოტიპის საწინააღმდეგოდ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის გასაზომად, რადგან მიღებული შთაბეჭდილებაში არ გამოჩნდება ის განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც აქვს სტერეოტიპულ გავლენას და ინდივიდუალურ გავლენას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქცევა შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული თვისების მადაგნოზირებელი ან ამ კონკრეტული თვისების საწინააღმდეგო ან საერთოდ ირელევანტური. თავის მხრივ თვისებაც შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტული სტერეოტიპის შესატყვისი ანუ სტერეოტიპული ან მისი საწინააღმდეგო, კონტრესტერეოტიპული (Kunda & Thagard, 1996, p:289). თუ გავყვებით ბადისმიერ ქსელში არსებულ ქსელურ კავშირების ლოგიკას, სადაც ქცევა ძირითადად დაკავშირებულია თვისებასთან, ხოლო თვისება თავის მხრივ დაკავშირებულია სტერეოტიპთან (ებთან), არამადაგნოზირებელი ქცევის ან სტერეოტიპისთვის კონსისტენტური თვისების გააქტიურება დიდი ალბათობით შეამცირებს ამ ქცევის ან თვისების დამოუკიდებელი ასოციაციების გააქტიურებას და დააქვემდებარებს მათ სტერეოტიპის გავლენას.

სწორედ ყოველივე ამის გამო, ჩვენს კვლევაში რიგის ფაქტორის შესწავლის მიზნით გადავწყვიტეთ ორი ერთმანეთისადმი არაკონსისტენტური ინფორმაციის მანიპულირება; ერთი მხრივ გამოყენებულ იქნა სტერეოტიპული კატეგორიის შემცველი ინფორმაცია და მეორე მხრივ, ამ სტერეოტიპის საწინააღმდეგო ქცევითი ინფორმაცია, რომელიც ამავე დროს არის ისეთი, კონკრეტული თვისების მადაგნოზირებელი, რომელიც გააქტიურებული სტერეოტიპის საწინააღმდეგოა. ქცევით თვისების არაკონსისტენტურობა სტერეოტიპთან და მისი მკაფიო კავშირი რომელიმე თვისებასთან, რომელიც ასევე არაკონსისტენტურია გააქტიურებული სტერეოტიპის მიმართ, მოგვცემს ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის გამოვლენის საშუალებას. მხოლოდ ასეთი ქცევის შემთხვევაში არის შესაძლებელია გაიზომოს ის თუ რამდენად მოექცა სამიზნე ინდივიდის შეფასება სტერეოტიპის ჩარჩოებში ან რამდენად მოხდა ამ ჩარჩოების გარღვევა და სამიზნეზე, მის მიერ შესრულებული ქცევის (თვისების) საფუძველზე მსჯელობა.

ინფორმაციის დომინანტურობა - ჩვენი კვლევის მთავარი მიზანია შეისწავლოს ის გავლენა, რომელიც აქვს ინფორმაციის მიწოდების რიგს, აღქმული ინფორმაციის დამუშავებაზე. როგორც ვთქვით დამუშავება შეიძლება იყოს სტერეოტიპული, ასეთ დროს სამიზნე ინდივიდის შესახებ აღმული ყველა ინფორმაცია ინტერპრეტირებულ იქნება გააქტიურებული კატეგორიის (სტერეოტიპის) კრილში; მეორე მხრივ

სოციალური ინფორმაციის დამუშავება შეიძლება წარიმართოს ინდივიდუალურად, ასეთ დროს შთაბეჭდილება მთლიანად დაეფუძნება, არა სტერეოტიპის ქრილში ინტერპრეტირებულ ინფორმაციას, არამედ ქცევით ინფორმაციას.

სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობა მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაში განისაზღვრება იმ მახასიათებლების გაზომვით, რომელსაც ასოციაციურად ააქტიურებს ან აკავებს აღქმული სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაცია. ბადისებრი ქსელის პრინციპზე დაყრდნობით, სტერეოტიპული ინფორმაციის დომინანტურობა გამოვლინდება ამ ინფორმაციის მიერ გააქტიურებული ასოციაციების აღზნებაში და მისთვის არაშესატყვისი ინდივიდუალური ქცვიდან მომდინარე ასოციაციების შეკავებაში. ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობა პირველ შთაბეჭდილებაში, განისაზღვრება ამ ინფორმაციისთვის შესაბამისი ასოციაციების აღძვრით, მაგრამ სტერეოტიპული ასოციაციების შეკავებით.

ამრიგად, სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობა მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაზე (სამიზნე ინდივიდის შესახებ) გაიზომება, იმ ასოციაციების შეკავება/აღზნების პროცესით, რომელიც გააქტიურდება აღქმული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის აღქმის შედეგად, შესამაბის მენტალურ (ბადისებრი) ქსელში. მთიანობაში, კი შთაბეჭდილებების შესწავა მოხდება იმ ასოციაციათამენტალური ბადეზედაყრდნობით, რომელიც გააქტიურდება შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში, აღქმელის გონებაში. თვის მხრივ, ამა თუ იმ ასოციაციური მახასიათებლების აღძვრა შეკავება გაიზომება სპეციალური სკალის დახმარებით, რაზეც ვისაუბრებთ მოგვიანებით. *მოცემული კვლევა, ორიენტირებულია შთაბეჭდილების მხოლოდ კოგნიტური და არა აფექტური ნაწილის (მოწონება/არ მოწონება) გაზომვაზე;* ეს იმით არის განპირობებული, რომ პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის თეორია, რომელსაც ეფუძნება მოცემული კვლევა, არ ითვალისწინებს აფექტის მახასიათებელს ასოციაციათა ბადის სტრუქტურაში.

პირველი შთაბეჭდილება - არსებობს პირველი შთაბეჭდილების მრავალი ფორმა - შთაბეჭდილება სამიზნის შესახებ, რომელიც აღქმელს მიეწოდება მესამე პირისგან ვერბალური გადმოცემით, შთაბეჭდილება რომელიც ყალიბდება უშუალოდ სამიზნე ინდივიდზე დაკვირვებით (მის ქცევაზე და გარეგნობაზე) (Ames, Fiske & Todorov, 2011) და შთაბეჭდილება, რომელიც გადმოგვეცემა სემანტიკურად - წაკითხვის შედეგად. *წარმოდგენილ კვლევაში ვსწავლობთ პირველი შთაბეჭდილების ისეთ პროცესს, რომელიც აღქმელს უყალიბდება მისთვის უცნობ სამიზნე ინდივიდზე, მისი ერთხელობრივი ვიზუალური დაკვირვების შედეგად (ქცვისა და გარეგნული*

მახასიათებლების ვიზუალური აღქმა). ბარგის მიხედვით, სოციალური კოგნიციის კვლევა საჭიროებს მეტ სიზუსტეს, რადგან ვერბალურ მასალაზე ჩამოყალიბებული შთაბეჭდილების პროცესები ვერ განზოგადდება სხვა ტიპის შთაბეჭდილების პროცესებზე. მოცემულ ორი ტიპის შთაბეჭდილებას ინფორმაციის დამუშავების სხვადასხვა მექანიზმი უდევს საფუძვლად (ციტირებული Macrae & Bodenhausen, 2001). სავარაუდოა, რომ ვერბალური მასალით შესრულებული შთაბეჭდილების შემთხვევაში ინფორმაციის დამუშავებაში ჩართულია ვერბალური ცნებების გადამუშავების პროცესიც. შესაბამისად, ვერბალურ მასალაზე მიღებული შთაბეჭდილების მექანიზმის განზოგადება, ზოგადად შთაბეჭდილების პროცესზე არასწორია (Macrae & Bodenhausen, 2001). გილბერტისა და კრულის მიხედვით, არავებალურ მასალაზე დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილება უფრო ზუსტია, ვიდრე ვერბალური მასალით გადაცემულის (Bargh, 1989), ამიტომ სამომავლოდ საინტერესოა ისეთი კვლევების განხორციელება, რომელიც სწავლობს იმას, თუ როგორ აყალიბებს აღქმელი აზრს, რეალური ადამიანის აღქმის შედეგად (Macrae & Bodengausen, 2001).

აქამდე ჩატარებულ კლასიკურ კვლევებში შთაბეჭდილების შესაქმნელად უმეტესწილად სწორედ ვერბალური მასალაა გამოყენებული, ამიტომ ჩვენი კვლევის მიზანი, შთაბეჭდილების იმ ფორმის შესწავლაა, რომელიც აქამდე ნაკლებად შესწავლილა ინფორმაციის გადამუშავების კუთხით. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ შთაბეჭდილების პროცესი ისე, როგორც ის მიმდინარეობს რეალურ ცხოვრებაში. რეალურ ცხოვრებაში კი შთაბეჭდილებების დიდი ნაწილი, ვერბალური მასალის გარდა, სწორედ ვიზუალური ნიშნებიდან ფორმირდება.


3.5. კვლევის დიზაინი

მეთოდი

ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე შესწავლილ იქნა ექსპერიმენტის გამოყენებით. ექსპერიმენტში მოხდა ინფორმაციის მიწოდების რიგის ვარირება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. *ჩვენი მოსაზრების თანახმად, ერთი და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ მიწოდებული ერთი და იგივე ინფორმაცია, სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევაში განსხვავებულ შთაბეჭდილებებს გამოიწვევს.*

შეიქმნა მიწოდების რიგის 5 ექსპერიმენტული პირობა, რომელიც ვიზუალურად შეიძლება გამოისახოს კონტინიუმის ფორმით, სადაც კონტინიუმის ორი უკიდურესი

მხარე წარმოადგენს მხოლოდ სტერეოტიპულ (მოცემულია მხოლოდ კატეგორიული/სტერეოტიპული ინფორმაცია) და მხოლოდ ინდივიდუაციურ (მოცემულია მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია) ინფორმაციულ პირობას, ხოლო კონტინუუმის შუა ნაწილი შეესაბამება ისეთ შერეულ პირობებს, რომელშიც ორივე ტიპის ინფორმაცია (კატეგორიულიც და ინდივიდუაციურიც) მოცემულია პარალელურად ან სხვადასხვა რიგით. უფრო კონკრეტულადკი ექსპერიმენტული პირობების კონტინიუმი ასე გამოიყურება:



ფიგურა 5. ექსპერიმენტული პირობების კონტინიუმი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ყველა პირობაში ხდება ერთ და იგივე ობიექტის შესახებ, ერთ და იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის ვარირება. შესაბამისად, ის სტერეოტიპული ინფორმაცია, რომელიც გამოყენებულია მხოლოდ სტერეოტიპულ პირობაში (N1) და ის ინდივიდუაციური ინფორმაცია, რომელიც გამოყენებული იქნა მხოლოდ ინდივიდუაციურ პირობაში (N5), ასევე გამოყენებულ იქნება ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში. გამოდის, რომ ინფორმაციის შინაარში დარჩება იგივე, თუმცა N2 და 4 და ასევე, N3 პირობაში შეიცვლება მათი წარდგენის რიგი:

N1 პირობაში– მიწოდებულია მხოლოდ სტერეოტიპული (კატეგორიული) ინფორმაცია - **მხოლოდ სტერეოტიპული პირობა**

N5 პირობაში - მიწოდებულია მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია - **მხოლოდ ინდივიდუაციური პირობა**

N2 პირობაში - მიწოდებულია ჯერ სტერეოტიპული ინფორმაცია (N1 პირობიდან) და შემდეგ ინდივიდუაციური ინფორმაცია (N5 პირობიდან) - **სტერეოტიპული რიგის პირობა**

N4 პირობაში - მიწოდებულია იგივე ინფორმაცია შებრუნებული რიგით - ჯერ ინდივიდუაციური ინფორმაცია (N5 პირობიდან) და შემდეგ სტერეოტიპული ინფორმაცია (N1 პირობიდან) - **ინდივიდუაციური რიგის პირობა**

N3 პირობაში - მიწოდებულია ორივე ტიპის ინფორმაცია ერთდროულად/პარალელურად - **ერთდროული მიწოდების პირობა.**

როგორც ხედავთ, N2 და 4 არის ის ორი პირობა, სადაც უშუალოდ არის მანიპულირებული დამოუკიდებელი ცვლადი - მიწოდებული ინფორმაციის რიგი. ამიტომ ეს პირობები არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ორი ექსპერიმენტული პირობა. პირობა N3 არის ის საკონტროლო პირობა, რომელშიც ზუსტად იგივე ინფორმაციაა მიწოდებული, თუმცა ყოველგვარი რიგის მანიპულირების გარეშე. რაც შეეხება, დარჩენილ ორ ექსპერიმენტულ პირობას - N1 და N5 - ეს პირობები წარმოადგენს გამოყენებული ორი ინფორმაციიდან თითოეულის ცალცალკე ანუ დამოუკიდებლად მიწოდების პირობებს. მოცემული ექსპერიმენტული პირობების არსებობა განპირობებულია, იმ გავლენის გაზომვის მიზნით, რომელიც აქვს თითოეულ გამოყენებულ ინფორმაციას ცალცალკე, ერთმანეთთან ყოველგვარი დაწყვილების გარეშე. ასეთი დამოუკიდებელი გავლენის გაზომვა შესაძლებლობას მოგვცემს ვნახოთ, თუ როგორ იცვლება თითოეული ინფორმაციის გავლენა ცალკე მიწოდებიდან, სხვა ინფორმაციასთან გარკვეული რიგით წყვილში მიწოდების შემთხვევაში. კონტინიუმის ეს უკიდურესი ცალკე მიწოდების პირობები წარმოადგენენ ერთგვარ ათვლის წერტილს, საიდანაც კარგად გამოჩნდება თუ რა გავლენას ინარჩუნებს ერთი მხრივ სტერეოტიპული ინფორმაცია და მეორე მხრივ ინდივიდუალური ინფორმაცია შთაბეჭდილებაზე, გარკვეული რიგით ან ერთროულად მიწოდების შემთხვევაში.

ამრიგად ინფორმაციის მიწოდების რიგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს, ხოლო შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები, კერძოდ კი მათში შემავალი სტერეოტიპული და ინდივიდუალური ასოციაციების აღძვრა შეკავების დონე, წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს. დამოუკიდებელი ცვლადის გაზომვა ახსნილია ქვევით.

მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვა

რიგის ცვლადის ვარიანტების შედეგად თითოეულ ექსპერიმენტულ პირობაში, ერთი და იგივე სამიზნე ობიექტის შესახებ, უნდა მივიღოთ განსხვავებული შინაარსის შთაბეჭდილებები. შთაბეჭდილებებს შორის სხვაობა უნდა გამოვლინდეს სტერეოტიპული ინფორმაციის ან ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობაში. ის თუ უმეტესად რომელ ინფორმაციას დაეყრდნობა შთაბეჭდილება გაიზომავთ ასოციაციების აქტივობით, რომლებიც გააქტიურდება აღმქმელის შესაბამის მენტალურ რეპრეზენტაცია (ებ) ში.

- ქსელში მიმდინარე გააქტიურების ანუ აღძვრა-შეკავების პროცესებზე დაყრდნობით, სტერეოტიპული ინფორმაცია მაშინ ჩაითვლება დომინანტურად, თუ ასოციაციათა ბადეში

ამ სტერეოტიპული კატეგორიაზე დადებითი კავშირით მიბმული მახასიათებლები აღიგზნება, ხოლო მოცემული კატეგორიისთვის არაკონსისტენტური მახასიათებლები (ასოციაციები) შეკავდება. ჩვენს კვლევაში, სტერეოტიპული კატეგორიისთვის არაკონსისტენტურ ინფორმაციად გამოყენებულია ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაცია. შესაბამისად, მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაში სტერეოტიპის დომინანტურობის დროს ინდივიდუაციური ქცევიდან მომდინარე ასოციაციები შეკავდება და სტერეოტიპული ასოციაციები კი აღიმკვრება. სხვა სიტყვები რომ ვთქვათ, სამიზნე შეფასებულ იქნება სტერეოტიპულად და მისი ქცევაც დანახულ იქნება სტერეოტიპის ჭრილში.

- ამის საპირისპიროდ, ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა მაშინ ჩაითვლება დომინანტურად, თუ სამიზნის შესახებ ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაში გააქტიურდება ამ ინფორმაციისთვის შესატყვისი ასოციაციური მახასიათებლები, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებლები შეკავდება.

ასოციაციების აღძვრა-შეკავების პროცესი გაიზომება სპეციალურად შედგენილი **ასოციაციურ მახასიათებელთა სკალის** გამოყენებით. მოცემულ სკალაში წარმოდგენილ იქნება ის ასოციაციები, რომლებიც ბადისებრ ქსელში უკავშირდება ჩვენ მიერ შერჩეულ სტერეოტიპულ კატეგორიას და ასევე, ის ასოციაციები, რომლებიც უკავშირდება ჩვენს მიერ შერჩეულ ინდივიდუაციური ქცევის (თვისების) კატეგორიას. გამოდის, რომ მახასიათებელთა ეს სკალა ასახავს ბადისებრი ქსელის იმ არეს, რომელშიც მოცემულია ჩვენს მიერ შერჩეული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის რეპრეზენტაციები. შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა ეს სკალა შეიქმნა კვლევის პროცესში ჩვენს მიერ⁶. არ არსებობს ბადისმიერი ქსელის უნივერსალური საზომი სკალა. ბადის თითოეული არე ასახავს აღმქმელის გამოცდილებას კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით, ამიტომ ამ არის შინაარსების გაზომვისთვის საჭიროა ისეთი სკალა, რომელიც სწორედ მოცემული კონკრეტულ შინაარსებზეა მორგებული. მახასიათებელთა სკალაში შემავალი ასოციაციების ჩამონათვალი მიბმულია კონკრეტულ სტერეოტიპულ და ინდივიდუაციური შინაარსებზე.

- მოცემული სკალაში შემავალი ასოციაციური მახასიათებლების გამოყენებით, მოხდა სამიზნე ინდივიდის შეფასება თითოეულ ექსპერიმენტულ პირობაში. ასოციაციური მახასიათებლები ჩამოყალიბდა დებულებების სახით და შეფასდა 11 ბალიანი შეფასებითი სკალის დახმარებით, რომლის მნიშვნელობები არის 1-11, სადაც 1 აღნიშნავს ყველაზე უარყოფით შეფასებას, ხოლო 11 ყველაზე დადებითს.

⁶ სკალის შექმნის პროცედურა გამოყოფილია ცალკე კვლევით ეტაპად (ეტაპი VI)

შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში: ა) ალბერად ითვლება 11 ბალიან შეფასებით სკალაზე მიღებული მაქსიმალური შეფასება (7-11)ბ) ხოლო ასოციაციის შეკავებად ითვლება 11 ბალიან შეფასებით სკალაზე მიღებული დაბალი შეფასება(1-6).

ამრიგად, ნეიტრალური შეფასება გავიდა დაბალ შეფასებაში, იმის გამო, რომ ის მკაფიოდ არ აჩვენებს ასოციაციის ალბერას ამიტომ ასეთი ორწარმოვანების გამო, ის მივაკუთვნეთ დაბალ შეფასებათა რიგს.

ამრიგად, კვლევაში შთაბეჭდილებების გაზომვა მოხდება იმ 11 ბალიანი შეფასებების მიხედვით, რომელსაც ფიგურის შეფასების პროცესში განახორციელებენ მონაწილეების პეციალურად შექმნილი შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის გამოყენებით.

შეგახსენებთ, რომ ორი ა) ურთერთწინააღდეგობრივი სტერეოტიპული ინფორმაციების ან ბ) წინააღმდეგობრივი სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციების აღქმის დროს, შესაძლებელია აღქმელის შთაბეჭდილება დაეფუძნოს არა მიწოდებულ სტერეოტიპს, არამედ წინააღმდეგობრივი ინფორმაციების გაერთიანების შედეგად შექმნილ ახალ კატეგორიას ან უკვე არსებულ ქვეკატეგორიას (რომელიც ექვემდებარება არსებულ სტერეოტიპს) (Hastie, Schroder & Weber, 1990; Kunda & Thagard, 1996; Hutter & Crisp, 2007). ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს სტერეოტიპიზაციის პროცესების კატეგორიზაცია ახლად შექმნილი, ან უკვე არსებული ქვეკატეგორიების გააქტიურების სახით. ამ მიზნის განსახორციელებლად, საჭირო იქნებოდა მიღებული ღია ვერბალური პასუხების ვრცელი კონტენტ ანალიზიც. რომელიც ჩვენს კვლევაში არ არის დაგეგმილი.

მოცემულ კვლევაში ორიენტირებულნი ვართ იმ ინფორმაციის გაზომვაზე, რომელსაც ყველაზე ძლიერ ეყრდნობა მიღებული შთაბეჭდილება (რომლის ინტეგრირება ყველაზე მეტად მოხდა შთაბეჭდილებაში). ამ მიზნისთვის, საკმარისად მივიჩნევთ ასოციაციების აქტივაციის შეფასებას. გაზომვის ეს ხერხი მკაფიოდ აჩვენებს შთაბეჭდილებაში სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური შეფასებების დომინანტურობას.

შეგახსენებთ, რომ ურთიერთწინააღმდეგობრივი ინფორმაციის აღქმის შედეგად, იმის გამო რომ აღქმელმა მოახდინოს ამ ინფორმაციის ლოგიკური შეჯერება ანუ შეძლოს აზრის გამოტანა, საჭირო ხდება კაუზალური აზროვნების გააქტიურება. ინფორმაციის ავტომატური გადამუშავება ასეთ შემთხვევაში არასაკარისია. ჩვენს კვლევაში, ურთიერთწინააღმდეგობრივი ინფორმაციის წარგდენის გამო, სწორედ ინფორმაციის კაუზალური დამუშავების პროცესი გააქტიურდება. პდშთ-ია დ ის კომპიუტერული მოდელი, რომელიც შეიქმნა შთაბეჭდილების პროცესების სიმულირებისთვის, ორიენტირებულია მხოლოდ ავტომატური შთაბეჭდილების ფორმების ახსნაზე. ავტორების თქმით, მოცემული IMP მოდელის მიზანი არის ავტომატური პროცესების მოქმედების დემონსტრირება პარალელური დამუშავების პროცესში. ამიტომ ისინი, არ ახდენენ კაუზალური პროცესების განხილვას. თუმცა უშვებენ, რომ მოცემული მოდელი, ავტომატური პროცესების გარდა, ინფორმაციის კაუზალური დამუშავების გარკვეული ფორმების სიმულირებასაც ახდენს (Kunda & Thagard, 1996, p: 288).

კუნდა და თაგარდის ამ აზრის მიუხედავად, მიჩნეულია რომ ქსელში მიმდინარე აღძვრა-შეკავების პრინციპით სამნაირი პროცესი შეიძლება აიხსნას - შთაბეჭდილების ფორმირების პროცესი, კაუზალურ აზროვნებისა და კოგნიტური კონსისტენტობის პროცესები (Read et.al., 1997). პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვების მექანიზმის დახმარებით შეიძლება აიხსნას არაკონსისტენტური ინფორმაციის ინტეგრაციის შემთხვევები, ანუ ის შემთხვევები, როცა ხდება ორი საწინააღმდეგო როლის გაერთიანება ან სტერეოტიპისა და მისი საწინააღმდეგო ინდივიდუალური ქცევით ინფორმაციის გაერთიანება და ა.შ. ასეთი წინააღმდეგობრივი ინფორმაციის გადამუშავებას, მოცემული მოდელი ხსნის, თითოეული წინააღმდეგობრივი კონცეფტის მიერ გააქტიურებული ასოციაციების აღზნებით და შემდეგ თავად ამ ასოციაციებს შორის ისეთი კავშირების გაზომით, რაც შექმნის მოცემული წინააღმდეგობრივი ინფორმაციის ლოგიკურად (დამაკმაყოფილებელი) ახსნის საშუალებას. გამოდის, რომ კომპიუტერულად სიმულირებული მოდელი არ ისახავს მიზნად შთაბეჭდილების ამ ფორმების ახსნას (რომელიც ცნობიერ ანალიზს მოითხოვს), თუმცა ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შექმნილია ეს კომპიუტერული მოდელი, მსგავსი პროცესებისას ახსნელადაც არის განკუთვნილი.

ჰიპოთეზა თითოეული ექსპერიმენტული პირობისთვის

მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვის ზემოგანხილული პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ ველით, რომ :

N1 ექსპერიმენტულ პირობაში - მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების გამო, მივიღებთ სტერეოტიპულ შთაბეჭდილებას, სადაც აღიძვრება სტერეოტიპიდან გამომდინარე ასოციაციური მახასიათებლები და შეკავდება სხვა ასოციაციები - სტერეოტიპული ასოციაციები შეფასებულ იქნება მაღალი ქულით (7-11), ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის მახასიათებლები დაბალი ქულით (1-7).

N5 პირობაში - მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდების გამო, მივიღებთ შთაბეჭდილებას, სადაც გააქტიურდება ინდივიდუალური ინფორმაციიდან გამომდინარე ასოციაციები, მაგრამ შეკავდება სტერეოტიპული ასოციაციები. შესაბამისად ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებლები შეფასდება მაღალი ქულით (7-11), ხოლო სტერეოტიპული მახასიათებლები დაბალი ქულით (1-6).

N2 პირობაში(სტერეოტიპის პირველობის ეფექტი)- სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების გამო, მივიღებთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომელშიც უფრო მეტად აღიძვრება სტერეოტიპთან დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლები - მაღალი შეფასებით 7-11 ქულა, ხოლო ინდივიდუალური ქცევასთან დაკავშირებული

მახასიათებლები შეკავდება - დაბალი შეფასებით 1-6 ქულა. N1 პირობისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გააქტიურებული სტერეოტიპული ასოციაციები, ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის გამო ისევე ძლიერ ვერ გააქტიურდება.

რაც ყველაზე მთავარი, სტერეოტიპული ინფორმაციის პირველად რიგად მიწოდების გამო, მოცემულ პირობაში სტერეოტიპული ასოციაციური მახასიათებლები უფრო მეტად აღიძვრება, ვიდრე ეს მოხდება ამობრუნებული რიგის პირობაში (N4), რომელშიც სტერეოტიპი არ არის მიწოდებული პირველ რიგად.

N4 პირობაში (ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის ეფექტი) - შთაბეჭდილება უნდა წარიმართოს ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის (და მის საფუძვლად მდებარე თვისების) ასოციაციების გააქტიურებით. უფრო კონკრეტულად კი ვვარაუდობთ, რომ უმეტეს წილად აღიძვრება ამ ინფორმაციიდან მომდინარე ასოციაციები - მაღალი შეფასებით 7-11 ქულა, ხოლო სტერეოტიპული ინფორმაციიდან მომდინარე მახასიათებლების უდიდესი ნაწილი შეკავდება - დაბალი შეფასებით 1-6 ქულა. N5 პირობისგან განსხვავებით, სტერეოტიპული ინფორმაციის ზემოქმედების გამო ინდივიდუალური მახასიათებლები ისევე ძლიერ ვერ გააქტიურდება.

რაც შეეხება ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან ვარაუდს, მოცემულ პირობასთან დაკავშირებით, ის მდგომარეობს შემდეგში - ინდივიდუალური ინფორმაციის პირველრიგად მიწოდების გამო, მოცემულ პირობაში ამ ინფორმაციასთან დადებითად დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლები უფრო მეტად აღიძვრება, ვიდრე ეს მოხდება ამობრუნებული რიგის პირობაში (N2), სადაც, არა ინდივიდუალური, არამედ სტერეოტიპი ინფორმაციაა მიწოდებული პირველ რიგად.

N3 პირობაში (პარალელური/ერთდროული მიწოდების პირობა) - ორივე ინფორმაციის ერთდროული მიწოდების გამო, მიღებულ შთაბეჭდილებაში თანაბარად იქნება გააქტიურებული, როგორც სტერეოტიპული ასევე ინდივიდუალური ინფორმაციის ასოციაციები. შეგახსენებთ, რომ პდშთ-ია ინფორმაციის სწორედ ასეთი ერთდროული აღქმის შემთხვევებს ეხება, რომლის შედეგად მიღებულ პარალელურ დამუშავებაში, სტერეოტიპულ და ინდივიდუალური ინფორმაცია თანაბარი სტატუსით იღებს მონაწილეობას. ეს თანაბრობა ვვარაუდობთ, რომ გამოვლიდება გასაშუალოებულ შეფასებებში, როცა არ იკვეთება არც სტერეოტიპული და არც ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის დომინანტობა.

კვლევის მასალა

შინაარსები

ექსპერიმენტში ინფორმაციის რიგის მანიპულირება მოხდა იმ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის გამოყენებით, რომლებიც შევარჩიეთ წინასწარ.

სტერეოტიპული ინფორმაციას წარმოადგენს ისეთ კატეგორიული ინფორმაციას როგორც არის - სქესი, პროფესია, ასაკი, ეთნიკურობა, აღმსარებლობა, სტატუსი, სოციალური როლი, ეკონომიკური შეძლების დონე და ნებისმიერი სხვა მახასიათებელი, რომელიც მიუთითებს სოციალური ჯგუფის წევრობაზე, რომელიმე ნიშნის საფუძველზე (Fiske & Pavelchak, 1986; Andersen & Klatzky, 1987; Fiske & Neuberg, 1990; Kunda & Sherman-William, 1993; Kunda & Thagard, 1996; Gawronski et al., 2002; Quinn, Mason & Macrae; 2009). ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალური ინფორმაციად მიჩნეულია ყველა დანარჩენი ინფორმაცია რაც არ არის კატეგორია - ბიოგრაფიული მახასიათებლები, ქცევითი მახასიათებლები და თვისებები (Kunda & Thagard, 1996, p: 235).

- ჩვენს კვლევაში **სტერეოტიპულ ინფორმაციად გამოყენებულ იქნა პროფესიული კატეგორია**. შეირჩა ოთხი პროფესიული კატეგორია და ერთი სოციალური როლის აღმნიშვნელი კატეგორია- ექიმი, ლექტორი, IT სპეციალისტი, მზარეული და ტიპიური ქართველი კაცი. მოცემული სტერეოტიპული კატეგორიების არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მათ ვიზუალური გამოსახვა ადვილი განსახროციელებელია ჩვენს ექსპერიმენტულ პირობებში, მონაწილეებისვის წარსადგენად.

- რაც შეეხება **ინდივიდუალური ინფორმაციას**, შევარჩიეთ თითოეული ზემოდასახელებული **კატეგორიის საწინააღდეგო ქცევა, რომელიც მიუთითებს გარკვეულ თვისებაზე**. ინდივიდუალური ინფორმაციად ქცევის არჩევის მთავარი მიზეზი არის ის ფაქტი, რომ პირველ შთაბეჭდილებაზე ჩატარებულ კლასიკურ თუ სხვა ნაკლებად ცნობილ კვლევებში ინდივიდუალური ინფორმაციად მუდამ გამოყენებულია ქცევითი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს გარკვეულ თვისებაზე და რომელიც არსობრივად ეწინააღდეგება, პარალელურად გააქტიურებულ რომელიღაც კონკრეტულ სტერეოტიპულ კატეგორიას.

ასევე აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური ინფორმაციად შეირჩა არა ნებისმიერი, არამედ შერჩეული კატეგორიის/სტერეოტიპის საწინააღდეგო ქცევა. ამის მიზეზი არის აქამდე არსებული კვლევითი მონაცემები, რომლებიც ნათლად აჩვენებს, რომ მხოლოდ იმ ინფორმაციას აქვს სტერეოტიპის რღვევის და ინდივიდის ინდივიდუალურ ჭრილში აღქმის ძალა, რომელიც ეწინააღდეგება პარალელურად გააქტიურებულ სტერეოტიპს.

ასეთ ინდივიდუალური ქცევით ინფორმაცია არის ის, რომელიც : ა) ნათლად-მკაფიოდ არის მოწოდებული გარემოში ბ) შინაარსობრივად არის გარკვეული ანუ არაორაზროვანი გ) არის რომელიმე თვისების მადიაგნოზირებელი, ხოლო თავის მხრივ ეს თვისება არის იმ მომენტში გააქტიურებული სტერეოტიპის საწინააღდეგო-არაკონსისტენტური (Locksley et al., 1980; Pratto & Bargh, 1991; Kunda & Sherman-William, 1993; Baron et al., 1995; Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

ამ მონაცემებზე დაყრნობით, შერჩეულ იქნა მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი და წინააღდეგობრივი ხასიათის მქონე ქცევითი ინფორმაცია. არამკაფიო, ორაზროვანი და სტერეოტიპის შესაბამისი (ან ნეიტრალური) ქცევა ვერ უძლებს სტერეოტიპის გავლენას, რადგან ასეთი ინფორმაცია სტერეოტიპის გააქტიურებისთანავე სტერეოტიპის ჭრილში განიხილება. რადგან ჩვენი კვლევის მიზანი არის მკაფიო სტერეოტიპული და მკაფიო ინდივიდუალური ქცევების დაპირისპირება, ბუნდოვანი და სტერეოტიპისადმი დაქვემდებარებადი ქცევების გამოყენება არამიზანშეწონილი იქნებოდა, მიზანდასახული პროცესის შესასწავლად.

ექსპერიმენტის სტიმულ-მასალა

ინფორმაციული შინაარსების განსაზღვრის შემდეგ, შეიქმნა ექსპერიმენტული მასალა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი კვლევის მიზანი არის ისეთი შთაბეჭდილების კვლევა, რომელიც აღმქმელს უყალიბდება უცნობი ინდივიდის ერთხელობრივი ვიზუალური აღქმის შედეგად. სწორედ ამის გამო, ექსპერიმენტულ პირობებში სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდება მოხდა არა სემანტიკური (დაწერილი ან სიტყვიერი), არამედ ვიზუალური ფორმით.

ხუთივე შერჩეულ თემაზე (ექიმი, ლექტორი, მზარეული, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი - IT და ტიპიური ქართველი კაცი) შეიქმნა სპეციალური ფოტოები. მოცემულ ფოტოებში, თითოეულ ტიპაჟთან დაკავშირებით გამოსახულ იქნა ერთი მხრივ სტერეოტიპული და მეორე მხრივ ინდივიდუალური ქცევის დეტალები⁷.

- სტერეოტიპული ინფორმაცია გადმოცემულ იქნა ისეთ ვიზუალური ნიშნებით როგორც არის შერჩეული კატეგორიისთვის შესაფერისი სტერეოტიპული ფონი, ფიგურის გარეგნობა და ის ნივთები, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიულ კატეგორიაზე მიმანიშნებელ რეკვიზიტებს.

⁷ სტერეოტიპული კატეგორიების და მათი საწინააღდეგო ინდივიდუალური ქცევების შერჩევის და ფოტოების შექმნის პროცედურა დაწვრილებით არის მოცემული კვლევის დახასიათების I-IV ეტაპებზე.

კვლევების საფუძველზე, კარგად არის ცნობილი რომ სტერეოტიპის გააქტიურება ადვილად ხდება სამიზნე ინდივიდზე მკაფიო ვერბალური სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების შედეგად (მისი სქესი, პროფესია, როლი ოჯახში) და მკაფიო ვიზუალური ნიშნების აღქმის შედეგად. ეს არის ისეთ ვიზუალური ნიშნები, რომლების საკმარისია სოციალურ ჯგუფში მიკუთვნებულობაზე დასკვნის გასაკეთებლად (Martin & Macrae, 2007), და რომლთა გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ძლევს არაფიზიკური გამოვლინების მქონე სტერეოტიპულ ნიშნებსაც (Fiske & Neuberg, 1988; Pratto & Bargh, 1991). ეს ნიშნებია სახე, გარეგნობა, ვარცხნილობა, გარემო და სხვა. სახიდან მიღებული შთაბეჭდილებების კვლევებს თუ არ ჩავთვლით, ვიზუალური მალასა არც ისე ფართოდ არის გამოყენებული პირველი შთაბეჭდილების საკითხის კვლევაში: გოლინს (1954) და მოგვიანებით ბეკეტსა და პარკს (1995) გამოყენებული აქვს ფოტოები სტერეოტიპული და ქცევითი ინფორმაციის გადმოსაცემად, ხოლო გავრონსკისა და ავტორებს (2002) და ბერონსა და ავტორებს (1995) იგივე მიზნით, ვიდეო მასალა აქვს გამოყენებული.

- ინდივიდუალური ინფორმაცია გადმოცემულ იქნა ისეთი *ქცევითი გამოსახულებით, რომელიც აშკარად გადმოსცემს ჩვენს მიერ დაგეგმილ ქცევას და მის უკან არსებულ თვისებას (რომელიც ეწინააღმდეგება სტერეოტიპს)*. ინდივიდუალური ინფორმაციის ფოტოში გამოყენებულ იქნა ნეიტრალური მნიშვნელობის მქონე ფონი.

ამრიგად, შეიქმნა ისეთი ფოტოები, რომლებიც ასახავს ჩვენ მიერ შერჩეული პროფესიების სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ქცევით სცენებს. ყველა ფოტო ასახავს რეალურ ადამიანს, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. მნიშვნელოვანი იმის აღანიშვნა, რომ თითოეული პროფესიული კატეგორიის შიგნით გამოყენებულ იქნა ერთ და იგივე ფიგურა (რადგან სულ შერჩეულ 5 სტერეოტიპული თემა, შესაბამისად გამოყენებულ იქნა 5 ფიგურა - ექიმის ფოტოები შეიქმნა ერთსა და იმავე ფიგურის გამოყენებით, ლექტორის ფოტოები შეიქმნა ერთი და იმავე ფიგურის გამოყენებით და ა.შ.). კვლევის მიზანი, ხომ სწორედ მიწოდებული ინფორმაციის რიგის მანიპულირებაა, ერთი და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ.

თუ მივყვებით ექსპერიმენტული პირობის მიხედვით, სულ გვაქვს 5 პირობა. შესაბამისად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სულ შეიქმნა 25 ფოტო, თუმცა ეს ასე არაა. შეგახსენებთ, რომ N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში გამოიყენება ზუსტად იგივე ინფორმაცია, რაც N1 და 5 პირობაში, მაგრამ მათი წარგდენა N2 და 4 პირობაში არა ცალცალკე, არამედ რიგით ხდება. რაც შეეხება პარალელური/ერთროული მიწოდების პირობას, აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია მიწოდებულ იქნა არა გარკვეული რიგით, არამედ ერთდროულად ერთი ფოტოს სახით (სადაც ერთადაა გაერთიანებული N1 და 5 პირობაში წარმოდგენილი სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ვიზუალური დეტალები). ამგვარად თითოეულ

შერჩეულ თემაზე შეიქმნა სამი ფოტო - ფოტო N1, N5 და N3 პირობისთვის. N2 და N4 პირობაში კი N1 და N5 პირობის ფოტოების გამოყენება მოხდა.

- N1 ექსპერიმენტულ პირობაში შეიქმნა სტერეოტიპული ინფორმაციის გამომხატველი ფოტო
- N5 პირობაში - ინდივიდუაციური ქცევის გამომხატველი ფოტო
- N2 პირობაში - გამოყენებულ იქნა N1 და N5 ფოტო, თანმიმდევრობით: ჯერ სტერეოტიპული ინფორმაცია და შემდეგ ინდივიდუაციური
- N4 პირობაში - გამოყენებულ იქნა N1 და N5 ფოტო, თანმიმდევრობით: ჯერ ინდივიდუაციური ინფორმაცია და შემდეგ სტერეოტიპული
- N3 პირობაში შეიქმნა ფოტო, რომელშიც გაერთანდა N1 და N5 პირობაში მოცემული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის ვიზუალური დეტალები.

ფიგურის სახე

აღსანიშნავია, რომ ფოტოების შექმნის დროს ინფორმაციის ვიზუალურად გადმოცემის მიზნით გამოყენებულ იქნა ფიგურის გარეგნობა, მაგრამ არა სახე. მოგეხსენებათ, სახის მახასიათებლებიდან მომდინარე შთაბეჭდილებების კვლევა წარმოადგენს სოციალური კოგნიციის კვლევის ცალკე მიმართულებას. სახე არის ინდივიდის ის ნაწილი რომელიც იძლევა მრავალფეროვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას სამიზნე ინდივიდის ხასიათის შესახებ (Terry & Krantz, 1993; Willis & Todorov, 2006; Martin & Macrae, 2007; Todorov, Baron & Oosterhof, 2008;). იმის გამო, რომ მოცემულ კვლევაში გაგვიჭირდებოდა სახის მახასიათებლების გაკონტროლება, ჩვენ მოვახდინეთ მისი დაბურვა. სახის დეტალებიდან გამოჩნდა მხოლოდ, სტანდარტული ტიპის ვარცხნილობა.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევებით დასტურდება, რომ თმები, ნიკაპის, წარბების და ტუჩების ფორმა გავლენას ახდენს სამიზნე ინდივიდის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე (Vernom, Sutherland, Young & Hartley, 2014; Schmerler, J.(2015, June 18) Your Facial Bone Structure Has a Big Influence on How People See You. Retrieved from <https://www.scientificamerican.com/article/your-facial-bone-structure-has-a-big-influence-on-how-people-see-you/>; Webb, (2014, July 28). How facial features drive our first impressions. Retrieved from <http://www.bbc.com/news/science-environment-28512781>) ჩვენ, შექმნილი ფოტოების მეტი რეალისტურობისთვის, არ დავბურეთ ვარცხნილობა. ჩვენს კვლევაში ფიგურაზე გამოსახულ იქნა სტანდარტული ტიპის ვარცხნილობები.

ფიგურის სქესი

იმის გამო, რომ სქესი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ავტომატურად აქტიურ კატეგორიას, მოსალოდნელია, რომ ჩვენს მიერ გამოყენებული პროფესიული კატეგორიის პარალელურად აღმქმელის რეპრეზენტაციულ ბადეში გააქტიურდეს, არამარტო პროფესიის, არამედ სქესის შესაბამისი კატეგორიაც. სქესის ფაქტორის გაკონტროლების მიზნით, ხუთივე სტერეოტიპულ თემაში წარმოდგენილ იქნა მამრობითი სქესის ფიგურა. უფრო კონკრეტულად კი გამოყენებულ იქნა ისეთი სტერეოტიპული ინფორმაცია, რომელიც ეხება მოცემული პროფესიის მამრობითი სქესის წარმომადგენლებს. რაც შეეხება ეთნიკურობას, ყველა ფიგურა თეთრკანიანია. სქესის კატეგორიის გარდა, ექსპერიმენტში არ გაკონტროლებულა მესამე ისეთი ავტომატური მახასიათებელი როგორც არის ასაკი. ხუთი ტიპაჟიდან თითოეული სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელია. ამის მიზეზი ნაწილობრივ არის შესაფერისი ფიგურის პოვნის შეუძლებლობა (ფოტოების გადაღების მიზნით) და ის ტიპიური დახასიათებები, რომლებიც მივიღეთ თითოეულ ტიპაჟზე (თუ IT -ის ტიპიური ტიპაჟი დახასიათდა როგორც ახალგაზრდა, ექიმი დახასიათდა , როგორც შუა ხნის მამაკაცი).

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-23 წლის ორივე სქესის ახალგაზრდებმა. კვლევა არ არის ორიენტირებული ასაკობრივი სხვაობის, ან სტერეოტიპული შინაარსების სხვაობის შესწავლაზე. ის ორიენტირებულია იკვლიოს გარკვეული ბაზისური კოგნიტური პროცესი. თუმცა რადგან ამ პროცესის კვლევაში დამოკიდებული ვართ ისეთ კონკრეტულ შინაარსებზე (როგორც არის სტერეოტიპული და ქცევასთან დაკავშირებული მენტალური წარმოდგენები), რომლებიც ყალიბდება გამოცდილებით ასაკთან ერთად, გადავწყვიტეთ ერთი ასაკობრივი ჯგუფით შემოფარგვლა. ხსენებული ასაკის მონაწილეების შერჩევა მოხდა მათ ხელმისაწვდომობის გათვლით. ასაკობრივი მახასიათებლების გარდა, სტერეოტიპული და ქცევით შინაარსები იცვლება კულტურის გავლენითაც. ამიტომ ჩვენს კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ეროვნებით ქართველმა მონაწილეებმა, რომლებიც ცხოვრობენ თბილისში სამი წლის განმავლობაში მაინც⁸.

⁸თბილისში ცხოვრების ხანგრძლივობის შერჩევისას არ დავყრდნობივართ, სტერეოტიპის ცვლილებასთან დაკავშირებულ რომელიმე კვლევით მონაცემს.

შეგახსენებთ, რომ მოცემულ კვლევაში, რიგში პირველობის ფაქტორის შესწავლა მიმდინარეობს სტერეოტიპთან და ინდივიდუაციურ ქცევასთან დაკავშირებული ასოციაციების აღმზრდა/შეკავების პროცესის საფუძველზე. ამ პროცესის გამოსაწვევად საჭიროა სტერეოტიპული მენტალური სქემის და ინდივიდუაციური ქცევის მენტალური სქემის გააქტიურება ანუ საჭიროა კონკრეტული შინაარსების გააქტიურება. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კვლევაში ვიკვლევთ ბაზისურ პროცესს/მექანიზმს და არა უშუალოდ კონკრეტული სტერეოტიპულ ან სხვა შინაარსებს, ამ მექანიზმების კვლევა ვერ ხერხდება ამ კონკრეტული სტერეოტიპული თუ ქცევითი შინაარსების გარეშე. აღმქმელის მენტალურ ბადეში, ასეთი შინაარსების გააქტიურების მაგალითზე გვეძლება შესაძლებლობა სისტემატურად შევისწავლოთ ის ცვლილება, რომელსაც ინფორმაციის მიწოდების რიგი იწვევს ინფორმაციის გადამუშავების პროცესში - შთაბეჭდილებაში. ამ მექანიზმის სისტემატიზირებული შესწავლის მიზნით, საჭირო ხდება ისეთი შინაარსების გააქტიურება, რომელიც საერთოა ყველა მონაწილისათვის, თუმცა თუ გავიხსენებთ მენტალური სტრუქტურების და ასოციაციური ბადის ბუნებას, ვნახავთ რომ ის დამოკიდებულია აღმქმელის ინდივიდუალურ გამოცდილებაზე. ასაკთან ერთად, იზრდება რა გამოცდილება, იცვლება მენტალური ასოციაციური წარმოდგენებიც - შინაარსებიც. შესაბამისად, ჩვენი კვლევისთვის საჭიროა ისეთი მონაწილეების შერჩევა, რომლებსაც დაახლოებით მსგავსი წარმოდგენები აქვთ (შერჩეულ სტერეოტიპულ და ქცევით შინაარსებთან დაკავშირებით) ანუ იმყოფებიან ერთ ასაკობრივ ჯგუფში, ამავე დროს განიცდიან საერთო კულტურულ გავლენას.

მარტივად რომ ვთქვათ, შევარჩიეთ ისეთი მონაწილეები, რომლებსაც ცხოვრებისეულ გამოცდილებიდან გამომდინარე, აქვთ მსგავსი სტერეოტიპული შინაარსები და წარმოდგენები. მსგავსების კრიტერიუმად გამოვიყენეთ ასაკი და კულტურული გარემო, რომელშიც ისინი იმყოფებიან.

პროცედურა

შეგახსენებთ, რომ დაგემიმილი ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით, მის ჩატარებამდე განხორციელდა რამდენიმე წინასწარი კვლევა. თითოეულ კვლევაში არის შესაბამისი პროცედურა და ინსტრუქცია⁹. აქ მოკლედ წარმოდგა დეტალურ მხოლოდ მთავარი ექსპერიმენტის მიმდინარეობას და ინსტრუქციას.

ინსტრუქცია

ექსპერიმენტის დასაწყისში მონაწილეებს ვთხოვეთ ენახათ ფოტო და მასზე გამოსახული ფიგურის შეესახებ მოეცათ ის ასოციაციები ან ნებისმიერი აზრი, რაც მოსდიოდათ თავში მისი აღქმის შედეგად. მონაწილეებს არ ვუთხარით კვლევის ნამდვილი მიზანი, თუმცა ის მიზანი რომელიც მათთვის დასახელდა არ არის შორს რეალობისგან - პირველი შთაბეჭდილების ნაცვლად, კვლევის მიზნად დასახელდა იმ

⁹ თითოეული წინასწარი კვლევისა და ექსპერიმენტის დეტალური პროცედურული დახასიათება შეგიძლიათ იხილოთ თითოეული კვლევიითი ეტაპის აღწერით ნაწილში.

ასოციაციების კვლევა, რომელიც ჩნდება გონებაში ნებისმიერი ობიექტის აღქმის შედეგად. კვლევის დასასრულს თითოეულს განემარტა კვლევის ნამდვილი მიზანი.

კვლევის მიზნის ასეთი შენიღბვა განპირობებულია ჩვენი სურვილით, შევისწავლოთ რეალობასთან მიახლოებული პირველი შთაბეჭდილების ფორმირების პროცესი. რეალურ ცხოვრებაში კი სწორედ წინასწარი მიზნის გარეშე, ინდივიდის აღქმის პარალელურად, გვექმნება შთაბეჭდილებები სხვადასხვა ადამიანების შესახებ. ბარგის მიხედვით (1989) წინასწარ მიწოდებული ინსტრუქციების გამო ექსპერიმენტული მიგნებების უდიდესი ნაწილი არ უნდა იყოს გენერალიზებული შთაბეჭდილების იმ შემთხვევებზე, რომლებიც ჩამოყალიბდა ინსტრუქციის გარეშე (p: 8), რასაც ადგილის აქვს რეალურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ჩოის (2011) თანახმად, შთაბეჭდილების ჩამოყალიბების ძლიერი მოტივაცია იზრდება პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენა მიღებულ შთაბეჭდილებაზე. ამიტომ, პირველად მიწოდებულის ეფექტის ხელოვნურად გაზრდის თავიდან ასარიდებლად და შთაბეჭდილების ბუნებრივი პროცესის წარსამართად გამოვიყენეთ ისეთი ინსტრუქცია, რომელიც არ ამხელს კვლევის საბოლოო მიზანს, თუმცა მონაწილეებს ნათლად უმარტავს იმ დავალებას, რომელიც მათ უნდა შეასრულონ.

მიმდინარეობა

ინსტრუქციის შემდეგ თითოეულ მონაწილეს წარედგინა იმ ექსპერიმენტული პირობის შესაბამისი ინფორმაცია (ფოტო), რომელშიც ის მოხვდა. რამდენიმე ფოტოს მიწოდების პირობაში (N2 4), მიწოდების რიგის ეფექტის შესაქმნელად გამოვიყენეთ 10-15 წუთიანი დროის ინტერვალი (ტიხარი), რომლის განმავლობაშიც მონაწილე დაკავდა განსხვავებული დავალების შესრულებით¹⁰.

3.6. ამოცანები და კვლევის ეტაპები

ზემოხსენებული ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით ჩვენი ამოცანა არის:

- სტერეოტიპული და მისი საწინააღდეგო ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის შერჩევა. მეტი ობიექტურობისთვის გადაწყდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სტერეოტიპული თემის გამოყენება, ანუ გადაწყდა რიგში პირველობის გავლენის შესწავლა რამდენიმე მენტალური რეპრეზენტაციის მაგალითზე.
- იმ ასოციაციების გამოვლენა, რომელიც კავშირშია თითოეულ შერჩეულ სტერეოტიპთან და შერჩეულ ინდივიდუალურ ქცევასთან. შინაარსების მხოლოდ ასეთ შესწავლის დახმარებით გახდა შესაძლებელი ვიზუალური ფოტო მასალის ჩამოყალიბება და შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის შედგენა.

¹⁰ ექსპერიმენტის პრცედურის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია იხილეთ ექსპერიმენტული კვლევის ნაწილში (ეტაპი VII) სადაც ახსნილია ტიპახის და დავალების შერჩევის სირთულებები და მიზეზი.

- თითოეულ შერჩეულ სტერეოტიპულ და ინდივიდუაციურ თემასთან დაკავშირებით სცენარების შექმნა და ექსპერიმენტული მასალის - ფოტოების ჩამოყალიბება
- და ბოლოს, მახასიათებელთა სკალის შედგენა, რომელითაც გაიზომა მიღებულ შთაბეჭდილებებში სტერეოტიპული თუ ინდივიდუაციური ინფორმაციის დომინანტობა.

ამ ამოცების შესრულების მიზნით, ძირითად ექსპერიმენტამდე დაიგეგმა წანასწარი კვლევები, რომლებმაც მოამზადა საფუძველი ექსპერიმენტის ჩატარებისთვის. კვლევის თითოეულ ეტაპზე მოხდა ექსპერიმენტულ მასალაზე და შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაზე მუშაობა. სულ გამოიყო კვლევის 7 ეტაპი, რომელთა მოკლე დახასიათება არის მოცემული ქვევით:

- 1 სტერეოტიპული თემების შერჩევა - მოხდა 5 სტერეოტიპული თემის შერჩევა
- 2 სტერეოტიპული ბადის გამოკვლევა - თითოეული კატეგორიული თემისთვის, მოხდა სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ქცევითი შინაარსების გამოვლენა.
ამ ეტაპზე ჩატარდა ორი კვლევა:
 - თვითადმინისტრირებული ღია კითხვიანი კითხვარის დახმარებით სტერეოტიპული შინაარსების გამოვლენა
 - ფოკუს ჯგუფი - ინდივიდუალისტური ქცევითი შინაარსების განოვლენა.
- 3 სტერეოტიპული შინაარსების რაოდენობრივი გადამოწმება - ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა, შერჩეული ხუთი ტიპაჟის სტერეოტიპულ დახასიათებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე გამოვლინდა დამატებითი ინდივიდუაციური ქცევითი დახასიათებებიც თითოეული სტერეოტიპული ტიპაჟისთვის.
- 4 შეიქმნა სცენარები და ფოტოები - ჩატარდა პილოტაჟი შექმნილ ფოტოებთან დაკავშირებით
- 5 მოხდა ინდივიდუაციურ ქცევებთან დაკავშირებული ასოციაციების გამოვლენა (ინდივიდუაციური მენტალური ბადის გამოვლენა)
- 6 შეიქმნა შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალა - ამ მიზნით, ჩატარდა ორი კვლევა:
 - თითოეული პროფესიული თემისთვის შეიქმნა შთაბეჭდილების გასაზომი სკალა, რომელშიც შევიდა ამ პროფესიული თემის სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ასოციაციები
 - სკალის გადამოწმების მიზნით ჩატარდა პილოტაჟი
- 7 ჩატარდა ძირითადი ექსპერიმენტი

ამრიგად, მთლიანობაში ამ წინასწარი კვლევებით ა) განისაზღვრა ის კატეგორიული თემები, რომელთა შესახებაც მოხდა ინფორმაციის ვარირება - შეირჩა პროფესიები ბ) შესწავლილ იქნა არჩეული კატეგორიების სტერეოტიპული და ინდივიდუალური შინაარსები გ) შესწავლილი შინაარსების საფუძველზე შეიქმნა სტერეოტიპული და კატეგორიული ფოტოები და ბოლოს დ) ჩატარდა ძირითადი ექსპერიმენტი, რომელშიც შემოწმდა რიგის გავლენა შთაბეჭდილებაზე.

თითოეული კვლევითი ეტაპის დეტალური აღწერა და მიღებული მონაცემები მოცემულია თანმიმდევრულად, ქვევით.

4. კვლევის ეტაპები

4.1. I ეტაპი

პროფესიული სტერეოტიპების შერჩევა

ამ ეტაპზე ჩატარებული წინასწარი კვლევის დახმარებით გამოყოფილ იქნა ის პროფესიული თემები, მოგვიანებით, რომელთა მანიპულირებაც მოხდა ექსპერიმენტში. აღსანიშნავია რომ შეირჩა არა ერთი, არამედ 5 თემა, საიდანაც 4 არის პროფესიული კატეგორია - *ექიმი, ლექტორი, მზარეული და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი (IT)*, ხოლო ერთი არის არაპროფესიული კატეგორია - *ტიპიური ქართველი კაცი*.

მიზანი

მოცემული ეტაპის მიზანი არის ისეთი კატეგორიული პროფესიული თემების გამოვლენა, რომელთა იდენტიფიცირებაც ადვილად ხორციელდება აღქმელების მიერ, ფოტოს დახმარებით.

ამ მიზნით, ინტერნეტიდან და სოციალური ქსელიდან ამორჩეულ იქნა 27 ფოტო. ფოტოების ამორჩევა არ მომხდარა შემთხვევითი გზით. შერჩეულ იქნა ისეთ ფოტოები, რომლებიც შეიცავენ სტერეოტიპულ კატეგორიაზე მიმანიშნებელ აშკარა ნიშნებს; ასევე შეირჩა ფოტოები, რომლებიც გადმოსცემენ ქცევით

ინფორმაციას და ფოტოები, რომლებიც მოიცავენ ორივე ტიპის ინფორმაციას (ქცევა და სტერეოტიპული კატეგორია).

ამ ფოტოებთან დაკავშირებით მოხდა რესპონდენტების გამოკითხვა ქუჩაში, ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდის გამოყენებით.

შერჩევა

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 90 რესპონდენტმა (მამრობითი სქესის 30 და მდედრობით სქესის 50 რესპონდენტი), ყველა მათგანი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. მათი საშუალო ასაკი არის 20 წელი (18-23 წელი).

მეთოდი

რესპონდენტებისგან ინფორმაციის აღება მოხდა ქუჩაში შემთხვევითი შერჩევის გზით, ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით. პასუხების ჩაწერა მიმდინარეობდა დიქტოფონზე. თითოეულ რესპონდენტს წარედგინა სათითაოდ სამი ფოტო. რესპონდენტებს ვთხოვეთ, ეთქვათ ის თუ რას ფიქრობდნენ ფოტოზე გამოსახულ ინდივიდთან დაკავშირებით (რას ფიქრობთ ამ ადამიანის შესახებ? რა შეგიძლიათ თქვათ მასზე?). საჭიროების შემთხვევაში განხორციელდა ჩაკითხვები. პასუხის დრო არ იყო შეზღუდული.

თითოეულ ფოტოსთან დაკავშირებით მოხდა 10 რესპონდენტის გამოკითხვა

მონაცემების დამუშავება

მიღებული შედეგი დამუშავდა კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით. რესპონდენტებისგან მიღებული დახასიათებები, თითოეულ ფოტოში გამოსახულ ფიგურასთან დაკავშირებით, გაერთიანდა უფრო ფართო მახასიათებლებში.

ვიზუალური გამოხატვის სიმარტივის გამო, შერჩეულ იქნა შემდეგი კატეგორიები - ტიპური ქართველი კაცი (ტქკ), ლექტორი და IT (ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი). ეს ის კატეგორიებია, რომლებიც ადვილად აქტიურდება აღქმელის გონებაში: მიუხედავად ფოტოების სხვადასხვაობისა, ყველა იმ ფოტოზე, სადაც გამოსახული იყო კომპიუტერი, ფიგურა ერთნაირად შეფასებულ იქნა როგორც „ატიმნიკი“. ამის მსგავსად ფოტოებზე სადაც წარმოდგენილი იყო დაფა ან ფლიპჩარტი, შინაარსი ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც სალექციო სიტუაცია, სადაც ლექტორი (ტრენერი) ხსნის მასალას. და

ბოლოს, რაც შეეხება ტქკ-ის ფიგურას, ის ამ სახელწოდებით იდენტიფიცირებულ იქნა 10 დან 8 რესპონდენტის მიერ; ლაბაბის, სიმსუქნის, სიმელოტის და ხელში დაჭერილი ლუდის კათხის გამო, ერთ ერთ ფოტოზე გამოსახული ფიგურა ერთმნიშვნელოვნად დახასიათებულ იქნა, როგორც ტიპური ქართველი კაცი, რომელსაც უყვარს ქეიფი, ძმაკაცები, არის „ჯიგარი“ ტიპი, კეთილი და ცოტა უსაქმური.

სწორედ იმის გამო, რომ ეს სტერეოტიპული კატეგორიები მარტივად იდენტიფიცირებადია ფოტოებიდან და ტექნიკურად მათი გამოსახვა ადვილია ვიზუალურად, ჩვენს გადავწყვიტეთ მათი შერჩევა ჩვენი ექსპერიმენტული მიზნებისთვის.

შერჩეული სამი კატეგორიის გარდა, ჩვენ დავამატეთ კიდევ ორი პროფესიული კატეგორია - **ექიმი და მზარეული**. ამ პროფესიული კატეგორიების არჩევაც გამოხატვის სიმარტივის გამო მოხდა - თითოეული პროფესია გულისხმობს ისეთ ვიზუალურ ნიშნებს, როგორც არის სპეციალური ფორმა და ფონი. ამ ნიშნების მანიპულირებით ადვილია ექიმისა და მზარეულის პროფესიული შთაბეჭდილების შექმნა.

მთლიანობაში 5 კატეგორიის არჩევა იმით არის განპირობებული, რომ ძირითად ექსპერიმენტში, კატეგორიების საბოლოოდ შერჩევის მიზნით, მეტი არჩევანის გაკეთების საშუალება გვექნება.

4.2. II ეტაპი

სტერეოტიპული შინაარსების გამოვლენა

სტერეოტიპული თემების შერჩევის შემდეგ, სიღრმისეულად შევისწავლეთ ის სტერეოტიპული შინაარსები, რომლებიც უკავშირდება თითოეულ შერჩეულ ტიპაჟს. სტერეოტიპული შინაარსების გარდა, გამოიკვეთა ის ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციაც, რომელიც არაკონსისტენტურია შერჩეულ სტერეოტიპული კატეგორიებისთვის (ტიპაჟებისთვის). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, კვლევის ამ ეტაპზე მივიღეთ ის ინფორმაცია, რომელიც ძლიერ ასოცირდება და ძლიერ არ ასოცირდება ჩვენს მიერ არჩეული თითოეულ კატეგორიის ტიპურ წარმომადგენელთან.

კვლევის მოცემულ ეტაპზე ჩატარდა ორი თვისებრივი კვლევა - თვითადმინისტრირებული გამოკითხვა ღია კითხვების დახმარებით და ფოკუს ჯგუფი.

კვლევა 1

თვითადმინისტრირებული ანკეტირება ღია შეკითხვების გამოყენებით მიზანი

ღია შეკითხვების გამოყენებით თვითადმინისტრირებული ანკეტირების მიზანია:

მოხდეს **სტერეოტიპული ინფორმაციის მოპოვება** შერჩეულ კატეგორიების ტიპიურ წარმომადგენლებთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი უდნა გამოვლინდეს ის მახასიათებლები, რომელიც ასოცირდება ამ ტიპაჟებთან. ესენია: ქცევები და პიროვნული თვისებები, გარემო, რომელშიც ისინი მუშაობენ ან ცოხვრობენ, აღნაგობა/გარეგნობა და ა.შ.

სტერეოტიპული ინფორმაციის მოპოვების გარდა, განსაკუთრებულად საინტერესოა იმ ინფორმაციის მოპოვება რომელიც ეხება თითოეული ტიპაჟის ტიპიურ სქესსა და ასაკს. ამ მახასიათებლების გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თითოეული ტიპაჟის ფოტოზე გამოსახვის დროს. ნებისმიერი პროფესიულ თემაზე შეიძლება არსებობდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სტერეოტიპული რეპრეზენტაცია სხვადასხვა სქესისა ან/და ასაკის გათვალისწინებით, რაც მიუთითებს ქვეკატეგორიების არსებობაზე. მოცემული ეტაპის კვლევა მოგვცემს ზოგად წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ არის რეპრეზენტირებული ხსენებული სტერეოტიპული თემები აღმქმლების გონებაში.

შერჩევა

რესპონდენტების მოძიება მოხდა ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 220 რესპონდენტმა, საიდანაც 165 არის მდედრობით, ხოლო 55 მამრობით სქესის რესპონდენტი. მათი საშუალო ასაკი არის 20 წელი (19 - 23). ყველა მათგანი არის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტი. თითოეულ ტიპაჟთან დაკავშირებით მოხდა საშუალოდ 42 რესპონდენტის ანკეტირება.

მეთოდი

ჩატარდა თვითადმინისტრირებული ანკეტირება, რომელშიც შერჩეულ ტიპაჟებთან დაკავშირებით დასმულ იქნა 20 ღია შეკითხვა.

- თვითადმინისტრირებული ანკეტა **სათითაოდ შეიქმნა თითოეულ ტიპაჟისთვის.** (თითოეულისთვის დაისვა 20 ერთი და იგივე შეკითხვა)

- ტიპეების შესახებ ამომწურავი სტერეოტიპული ინფორმაციის მიღების მიზნით, შეკითხვები შეეხო ყველა ცხოვრებისეულ სფეროს: *სქესი, ასაკი, პიროვნული თვისებები, ფიზიკური აღნაგობა და ჩაცმულობა, პროფესიასთან დაკავშირებული აქტივობები (საქმიანობა რომელსაც ასრულებს პროფესიიდან გამომდინარე, ტიპიური სამუშაო გარემო, სამსახური სადაც მუშაობს), ქცევები, ცხოვრებისეული ინტერესები, ჰობი, გართობის ფორმა, ოჯახში ურთიერთობის სტილი, მეგობრებთან ურთიერთობის საკითხი, თანამშრომლებთან ურთიერთობა, საწინააღდეგო სქესთან ურთიერთობა, ნივთები რომელიც უყვარს და აქვს და ასევე, საცხოვრებელი სადაც ცხოვრობს.*

- თითოეულმა რესპონდენტმა შეავსო მხოლოდ ერთი ანკეტა (5 ტიპაჟის ანკეტიდან ერთი ტიპაჟის შესაბამისი ანკეტა).

- **ინსტრუქციის თანახმად**, რესპონდენტს არსებული 20 ღია კითხვის გამოყენებით უნდა დაეხასიათებინა მოცემული პროფესიის ტიპიური წარმომადგენელი. ეს დახასიათება ორიენტირებული იყო ტიპაჟის ზოგად დახასიათებაზე და არა დახასიათებაზე კონკრეტულად სქესის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ **მზარეულის პროფესიის** აღნიშვნელი ცნება, ანკეტაში თავიდან წარმოდგენილი გვექონდა **პოვარის** სახელწოდებით. თუმცა, კვლევის ჩატარების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ეს ორი ცნება რესპონდენტებს განსხვავებული მნიშვნელობით ესმით. ამის გამო, მოცემული ეტაპის კვლევის მიმდინარეობის პროცესში მოხდა **მზარეულის** ცნების გამოყენებით ახალი ანკეტის შექმნა. ამ კითხვარში შევიდა ზუსტად იგივე 20 ღია შეკითხვა, რაც პოვარის და სხვა ტიპაჟების ანკეტებში. მზარეულისა და პოვარისთვის ცალცალკე შექმნილი ანკეტების დახმარებით მოგვეცა შესაძლებლობა ერთმანეთს შეგვედარებინა ორი სხვადასხვა სახელით აღნიშნული ერთ და იგივე პროფესიის რეპრეზენტაციები.

მონაცემების დამუშავება

თითოეულ შეკითხვასთან დაკავშირებით მივიღეთ ვრცელი წერილობითი ტექსტური ინფორმაცია, რომლის დამუშავებაც მოხდა კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით. მსგავსი შინაარსის მქონე მახასიათებლები გაერთიანდა ერთ ზოგადი თვისების სახელწოდების ქვეშ, მაგ: „*ორგანიზებული*“, „*დისციპლინირებული*“ გავაერთიანეთ თვისებაში *მოწესრიგებული საქმეში*; „*ტანადი*“, „*ბრგე*“, „*ძლიერი აღნაგობის*“ გაერთიანდა *ტანადში*; „*მეგობრული*“, „*ლოიალური*“, „*თბილი*“ გაერთიანდა თვისებაში *მეგობრული* და ა.შ.

კონტენტ ანალიზის შედეგად ტექსტის შინაარსიდან თითოეული ტიპაჟისთვის გამოვლენილი მახასიათებლები დამუშავდა კლასტერული ანალიზით, რომლის საფუძველზეც თითოეული ცხოვრებისეული თემის (ანუ 20 შეკითხვის) მიხედვით

გამოიყო ის მახასიათებლები, რომლებიც ყველაზე მეტად - შემთხვევათა 17%-ში ან მეტი - დასახელდა მოცემულ ტიპაჟთან დაკავშირებით. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები იხილეთ ქვევით¹¹, ცხრილებში N 1, 2, 3, 4, 5

(ტიპაჟების ძირითადი მახასიათებლებისგან განსხვავებით, ცხრილებში ინფორმაცია თითოეული ტიპაჟის სქესისა და ასაკის შესახებ სრულად არის წარმოდგენილი)

ექიმის დახასიათება - ექიმის დახასიათებაში გამოიყო ორი ასაკობრივი ჯგუფი 36–50 (90%) და 51–60 (41%) წელი (იხ. ცხრილი 1). რაც შეეხება სქესს, კლასტერული ანალიზის მიხედვით, ჩანს რომ ის უფრო მეტად ასოცირდება ორივე სქესის ადამიანთან (58.5%), თუმცა მდედრობით სქესთან შედარებით (17.1%), ექიმის უფრო მეტად წარმოდგენიან, როგორც კაცი (24.4%). ექიმის სხვა მახასიათებლები შეგიძლია იხილოთ ცხრილში 1.

ცხრილი 1. კლასტერული ანალიზით მიღებული ექიმის მახასიათებლები

ასაკი	სქესი	ჩაცმულობა	გარეგნობა	ცხოვრებისეული ინტერები	ჰობი	ქცევები	პირთვნილი თვისებები
არის 36–50წ 90%	მდედრ. 17%	აცვია სპეციალური ფორმა 46%	საშუალო სიმაღლის 31.3%	ავადმყოფების მორჩენა 40%	მისდევს სპორტს (ცურვა, ვარჯიში, სერფინგი, ბოქსი, უყუვარს ყურება)	გაწონასწო რებული/ თავშეკავებული	მეგობრული 52.8%
არის 51–60წ 41%	მემრ. 24% ორივე 58%	კლასიკური/ სოლიდური 33%	ტანადი 31.3%	პროფესიული ინტერესები 37%	ფულის შოვნა 27%	ბული ქცევები 39.4%	ჩვეულებრივი ადამიანია 33.3%
		მაღალი 28.1%	მოდული 28.1%	ფულის შოვნა 27%	სპორტის) 40.0%	მოწესრიგებული	მოწესრიგებული 27.8%
		სიმპატიური 21.9%	მოდული 28.1%	სიმპატიური 21.9%	უყვარს ხელოვნება 31.4%	უყვარს მუსიკის მოსმენა 28.6%	საქმეში 27.8%
					უყვარს წიგნების კითხვა 25.7%		

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

¹¹ ტიპაჟების ვრცელი დახასიათება იხილეთ დანართში A

ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის (IT) ¹² დახასიათება - კლასტერული ანალიზის საფუძველზე, მთლიანობაში IT დახასიათდა, როგორც გამხდარი, მაღალი ან საშუალო სიმადლის, სათვალეებიანი ბიჭი, რომელიც არის 21-35 წლის¹³. IT-ის მეტი დახასიათებისთვის იხილეთ ცხრილი 2.

ცხრილი 2. კლასტერული ანალიზით მიღებული IT-ის დახასიათებლები

ასაკი	სქესი	ჩაცმულობა	გარეგნობა	ცხოვრებისეული ინტერები	ჰობი	ქცევები	პიროვნული თვისებები
მამრ. 90.0 %	21-35 წ 100.0%	ჯინსი 52.6%	გამხდარი 47.4%	კომპიუტერები/ტექნიკა 43.3%	პროფესიასთან დაკავშირებულ 30.9%	შეზოჭილი (წინდახედულ 20% 13.4%)	გონიერია პრობლემურ სიტუაციაში 39.0%
		თავისუფალი სტილის ჩაცმულობა 36.9%	სათვალეებიანი 36.8%	კარიერული წინსვლა 36.6%	სპორტი 31.0%	(ზრდილობიან 6.7%)	კომუნიკაბელურია 25.0%
			მაღალი 26.3%		მუსიკა 24.1%		თავდაჭერილია 19.4%
			საშუალო სიმადლის 23.7%				არაკომუნიკაბელურია 19.4%
			სიმაკტიური 23.7%				

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

IT -ის ქცევის შესახებ უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის ქონის მიზნით, მიღებული დახასიათებებიდან შევარჩიეთ ის დახასიათებლები, რომლებსაც არ აქვს მაღალი მაჩვენებელი (17% და მეტი), მაგრამ მაინც ყველაზე მაღალი სიხშირით დასახელდნენ IT-თვის ყველა სხვა დანარჩენ ქცევასთან შედარებით.

ლექტორის დახასიათება - კლასტერული ანალიზის მიხედვით, გამოიყო ორი ასაკობრივი ჯგუფის ლექტორი: ახალგაზრდა ლექტორი (21-35წ) და შუა ხნის ლექტორი (36-60წ). რაც შეეხა სქესს, ეს პროფესია თითქმის ერთნაირად ასოცირდება,

¹² რესპონდენტების მცირე ნაწილი ამ პროფესიას, კომპიუტერული ტექნიკის მუშაობის უზრუნველყოფის გარდა, პროგრამისტის ფუნქციებსაც მიაწერს - პროგრამების წერა და კომპიუტერულ ინჟინერია. ეს მიუთითებს რესპონდენტების მხიდან მოცემული პროფესიის არასწორ გაგებაზე. ოფიციალური განმარტების მიხედვით, IT არის სპეციალისტი რომელიც, უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკისა და მასთან დაკავშირებული პერიფერიული მოწყობილობების (პრინტერი და ა.შ) მუშაობის ტექნიკური, პროგრამულ და მექანიკურ უზრუნველყოფას (Retrieved February 10, 2016 from <https://www.sokanu.com/careers/technical-support-specialist/>).

¹³ IT-ის სერველი დახასიათება იხილეთ დანართში A, ცხრილში A 2

როგორც მამრობითი (16.7%), ასევე მდედრობითი სქესის ტიპაჟთან(14.3%) (ორივე სქესი - 69.0%)¹⁴. ლექტორი მეტი დახასიათებისთვის იხილეთ ცხრილი 3.

ცხრილი 3. კლასტერული ანალიზით მიღებული ლექტორის მახასიათებლები

სქესი	ასაკი	ჩაცმულობა	გარეგნობა	ცხოვრებისეული ლინტერები	ჰობი	ქცევები	პიროვნულითვის ისებები
ორივე 69.0 %	36–50წ 78.6%	კლსიკური სტილის 67.5%	საშუალო სიმაღლის 37.0%	აკადემიური ცოდნის გადრამავება 48.0%	ხელოვნებ ა (ხატვა, ცეკვა, მუსიკა) 39.1%	გაწონასწორ ებულია 41.2%	კომუნიკაბელუ რი 50.0%
მამრ. 16.7. %	21–35წ 45.2%		სიმპატიურ ი 25.9%			მკაცრია 20.6%	განათლებული /ჭკვიანია 52.4%
მდედ. 14.3 %				ახალგაზრდებ ის აღზრდა 32.0%	სპორტი 26.1%		მკაცრი, სერიოზული 31.0%
				პროფესიული წარმატება – კარიერა 24.0%	კითხვა 26.1%		

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

ტიპიური ქართველი კაცის (ტქკ) დახასიათება - ტქკ -ი ძირითადად დახასიათდა, როგორც საშუალო სიმაღლის და მსუქანი აღნაგობის მქონე ადამიანი, რომლის ასაკს არ აქვს მნიშვნელობა. ასაკის მიხედვით გამოიყო სამი ტიპის ტქკ-ი: შედარებით ახალგაზრდა (21-35 28.2%), შუახნის (36-50 74.4%) და მოწიფული (51 – 60 28.2%). ყველაზე მეტად ის მაინც ასოცირდება 36-50 წლის კაცთან¹⁵. მეტი დახასიათება იხილეთ ცხრილში 4.

¹⁴ ლექტორის ვრცელი დახასიათება იხილეთ დანართში A, ცხრილი A 3

¹⁵ ტქკ-ის ვრცელი დახასიათება იხილეთ დანართში A, ცხრილში A 5

ცხრილი 4. კლასტერული ანალიზით მიღებული ტექ-ის მახასიათებლები

ასაკი	ჩაცმულობა	გარეგნობა	ცხოვრებისეული ინტერები	ჰობი	ქცევები	პიროვნული თვისებები
36-50 74.4%	მუქი ტანსაცმელი 37.5%	ლუარსაბ თათქარი ბე 56.4%	ოჯახი და მასთან დაკავშირებული საკითხები	სპორტის ყურება 45.2%	თავმომწონე- დემონსტრაციულ ი 23.5%	მოქეიფე 26.3% ტოლერანტულ ი 21.1%
21-35 28.2%	ჯინსები 30.0%	საშუალო სიმაღლი ს	(შვილი, ცოლი, კეთლდღეობა სახლში) 56.8%	მეგობრებთან ქეიფი 35.5%	ტემპერამენტთან 20.6%	თავმომწონე- დემონსტრაცი ული 21.1%
51 – 60 28.2%	პერანგი 30.0%	46.2%		თევზაობა/ნადი რობა 25.8%	აქვს უკულტურო მანერები 23.5%	
	სოლიდური -				აზიატი 23.5%	
	კლასიკური 25.0%					

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

პოვარის დახასიათება -დახასიათების მიხედვით, პოვარი წარმოდგენილია, როგორც შუა ხნის (36-50, 87.5%) მამრობით სქესის ადამიანი (75.0%), რომელსაც აქვს მსუქანი საშუალო სიმაღლის აღნაგობა¹⁶ (იხ. ცხრილი 5.)

¹⁶პოვარის ვრცელი დახასიათება იხილეთ დანართში A, ცხრილში A 6

ცხრილი 5. კლასტერული ანალიზით მიღებული „პოვარის“ მახასიათებლები

ასაკი	სქესი	ჩაცმულობ	გარეგნობა	ცხოვრებისეუ ლინტერები	ჰობი	ქცევები	პიროვნული თვისებები
21–35წ 37.5%	მამრობი თი 75.0%	სპეციალუ რი ქუდი 62.5%	მსუქანი 43.8%	პროფესიულ განვითარება 38.5%	წიგნების კითხ. 30.0%	მოქნილი/სწრაფი 41.7%	თბილი (მეგობრულ ი, კეთლი, კარგი) 40.0%
51–60 წ 37.5%	ორივე 25.0%	თეთრი ფორმა 56.3%	საშუალო სიმაღლი ს 31.3%	ოჯახის კეთილდღეო ბა 23.1%	მუსკის მოსმენა 20.0%	მეგობრული (დამთმობი, დადებით, გულჩვილი) 25.0%	მოქნილი/ სწრაფი (ენერგიული მოხერხებუ ლი) 26.7%
		წინსაფარ ი 37.5%		საკუთარი ბიზნესი (რესტორანი) 23.1%	ტელევიზორ ის ყურება 20.0%		მოწესრიგებ ული საქმეში 26.7%
				ალიარება 23.1%	მზარეულობ ა 20.0%		
					ბუნება/პიკნი კზე სიარული 20.0%		
					სპორტი 20.0%		
					გეკვა 20.0%		

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

მზარეულის დახასიათება - მზარეული, პოვარის მსგავსად ასოცირდება შუა ხნის (36 – 50წლის, 93%) ადამიანთან, თუმცა პოვრისგან განსხვავებით შესაძლებელია ის თანაბრად იყოს, როგორც მამრობითი (25.6%), ასევე მდედრობით სქესის (23.1%) ადამიანი¹⁷ (იხ. ცხრილი 6).

¹⁷მზარეულის ვრცელი დახასიათება იხილეთ დანართში A, ცხრილში A 4

ცხრილი 6. კლასტერული ანალიზით მიღებული მზარეულის მახასიათებლები

ასაკი	სქესი	ჩაცმულობა	გარეგნობა	ცხოვრებისეული ინტერები	ქცევები	პროვნიული თვისებები
36 – 50 წ 92.3%	ორივე 51.3%	აცვია ფორმა 100.0%	მსუქანი 34.5%	პროფესიული განვითარება 66.7%	სწრაფი /მარჯვე 38.7%	მეგობრული 43.2%
21-25წ 33.3%	მამრ. 25.6%	თეთრ ფერებშია 52.6%	ლიპიანი 31.0%	ოჯახური ბედნიერება 12.1%	მოწესრიგებული საქმეში 25.8%	მოწესრიგებული საქმეში 54.4%
51-60 წ 28.2%	მდედრ. 23.1%	მოწესრიგე ბულია 28.9%	სრული 31.0%			

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

კვლევა 2

ფოკუს ჯგუფების შედეგები

მიზანი

მოცემულ ეტაპზე, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით მოხდა თვითადმინისტრტირებული ანკეტით მიღებული მონაცემების გადამოწმება და მისი შევსება. სტერეოტიპული შინაარსების ხელახლა გამოვლენის გარდა, თითოეული სტერეოტიპული ფიგურისთვის გამოვლინდა ინდივიდუალური ინფორმაციაც - ის ქცევები, რომლებიც ეწინააღმდეგება მოცემული ტიპაჟის სტერეოტიპულ ხატს.

ფოკუს ჯგუფების მონაცემების დახმარებით, საბოლოოდ გადაწყდა თითოეულ ტიპაჟისთვის დამახასიათებელი ტიპური სქესი და ასაკი, რომლის გამოყენებაც მოხდა მოგვიანებით ექსპერიმენტში.

ფოკუს ჯგუფის მეთოდის დახმარებით, ასევე განისაზღვრა „პოვარისა“ და მზარეულის რეპრეზენტაციებს შორის არსებულ განსხვავება. ამ განსხვავება - მსგავსების საფუძველზე ამ ორიდან გადაწყდა ის პროფესიული თემა, რომელსაც გამოვიყენებდით ექსპერიმენტში.

შერჩევა

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტებმა და არასტუდენტებმა. მონაწილეების მოზიდვა მოხდა სოციალურ ქსელში გაკეთებული განცხადების საფუძველზე. განცხადებაში განსაზღვრული იყო მონაწილეთა ასაკიც - 18 - 23 წლამდე.

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა ოთხ ჯგუფად. იმისათვის, რომ ჯგუფის წევრებს თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები, მოხდა მონაწილეთა დაყოფა სქესის მიხედვით. შედეგად მივიღეთ გოგონების ორი და ბიჭების ორი ჯგუფი.

ფოკუს ჯგუფი გაგრძელდა საშუალოდ 1. 30 საათის განმავლობაში. თითოეულ ტიპაჟთან დაკავშირებით დაისვა ორი ძირითადი შეკითხვა, რომელიც შეეხო თითოეული ტიპაჟის ტიპიურ მახასიათებლებს და ასევე, მის ატიპიურ მახასიათებლებს. ფოკუს ჯგუფის სადისკუსიო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ დანართში A, ცხრილში A7.

შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ პოვარსა და მზარეულს შორის არსებული მსგავსება - განსხვავების ნათლად დადგენის მიზნით, ფოკუს ჯგუფში განცალკევებით შევისწავლეთ ორივეს რეპრეზენტაციები. შესაბამისად ფოკუს ჯგუფი შეეხო არა 5 ტიპაჟის, არამედ 6 ტიპაჟის ტიპიურ რეპრეზენტაციას

მონაცემების დამუშავება

ფოკუს ჯგუფის მონაცემების დამუშავება მოხდა კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით. თითოეული ტიპაჟის დახასიათებაში გამოიყო შემდეგი თემატური ბლოკები: ჩაცმულობა, გარეგნობა, ქცევა, ხასიათი, ინტერესები-ჰობი, ატიპიური ქცევები.

ტიპაჟების დახასიათება ძირითადად მოცემულია სტერეოტიპული მახასიათებლების ტერმინებში; სამწუხაროდ მონაწილეებმა ვერ მოახერხეს ასეთივე ვრცელი ინდივიდუალური მახასიათებლების (ქცევების) გენერირება, თუმცა მაინც გამოიყო გარკვეული ქცევები, რომლებიც შეესაბამება თითოეული პროფესიის ინდივიდუალურ ინფორმაციას.

ფოკუს ჯგუფით გამოვლენილი ტიპაჟების დახასიათებები, მოკლედ არის მოცემული ქვევით.

ტიპიური ექიმი (ძირითადი მიგნებები):

- ტიპიური ექიმი ძირითადად არის კაცი.
- ექიმის ჩაცმულობა წარმოდგენილი არის სამუშაო ფორმის სახით. აცვია სუფთადაა ამ მხრივ არის ძალიან მოწესრიგებულია (მოვლილი ხელები, გაპარსული).
- გარეგნულად (კაცი) ექიმები არიან, მამაკაცურები, მაღლები ან საშუალო სიმაღლის, თეთრი, გრძელი და ნაზი თითებით, სიმპატიური (განსაკუთრებით ქირურგი) და „მოსული“ ტიპები (საშუალო წონის ან პუტკუნები), პატარა ღიპით, არიან როგორც საშუალო ასაკის, ასევე ასაკოვანნი. ოდნავ ჭადარაშერეული წვერებიანი გარეგნობა აქვთ.
- აქიმს აქვს დაბალანაზღაურებადი სამუშაო.
- მას ყავს “ჩვეულებრივ ოჯახი, და სალხში ძალიან დადლილი ბრუნდებიან, მძიმე სამუშაო გრაფიკის შემდეგ”.
- მიუხედავად იმისა, რომ იმისა რომ ჰუმანური პროფესია აქვთ, ექიმები რობოტები და უემოციოები არიან. ხშირად ისინი არიან ცივები და არ გამოხატავენ თანაგრძნობას.
- სხვა პიროვნული მახასიათებლებიდან მას ახასიათებს: არაიმპულსურობა, პედანტობა. ექიმს გააჩნია იუმორის გრძნობა, თუმცა შესაძლებელია იყოს მკაცრი, სერიოზული, უხეში და იუმორის არ მქონე ადამიანი. რომელის ასევე შეიძლება იყოს, ამაყი, თავდაჯერებული ან/და არ უყვარდეს შეცდომების აღიარება. სამუშაოს სიმძიმის გამო ექიმებს აქვთ ძლიერი ნებისყოფა და მოთმინების უნარი.
- აქვთ მრავალფეროვანი ჰობი და ინტერესები, რომელშიც შედის როგორც აკადემიური აქტივობა, ასევე ბუნებაში ფიზიკური აქტივობები და ასევე, ქეიფი.
- ეწევა სიგარეტს

ექიმის სტერეოტიპში არ ჯდება შემდეგი ქცევები:

- წარმოდგენილია, რომ ექიმი იყოს გრძელთმიანი როკერი და უსმენდეს ჰარდროკს, იგინებოდეს საცობში ყოფნის დროს, ყავდეს მოტოციკლეტი, დადიოდეს კლუბში და თავაშვებულად ერთობოდეს („ტაბლეტები“ და „კოქტეილები“) - „ ექიმი დადის კლუბში მაგრამ მაგრამ მაგიდაზე არ ცეკვავს“.
- ასევე ექიმს არ უყვარს ფეხბურთი, არ თამაშობს რაგბის, ბოქსს, კალათბურთს; ექიმი არ უყურებს სერიალებს და არ საუბრობს ქურდული მანერით, არ არის დაკავებული კარატით. ასევე, არ არის ჰომოსექსუალი და არ დადის გეიკლუბებში.
- ჩაჩები, შლაქსები და ბითლზების ფორმა, ბრიჯები ჯიბეებით, ჰოლივუდის ვარსკვლევებიანი მოკლემკლავიანი მაისური და შორტები წარმოდგენს ექიმისთვის ატიპიური ჩაცმულობას . ასევე წარმოდგენილია ექიმი ხალათს გარეშე .
- წარმოდგენილია ბინძური მოუვლელი კაცი ექიმი, რომელსაც არ ყავს მანქანა, რომელსაც აქვს ნაზი მანერები, არის მშიშარა. ასევე წარმოდგენილია ექიმი იყოს უშნო, ან იყოს არაჰიგიენური, ქონდეს გამონაყარი.

ტიპიური ლექტორი (ძირითადი მიგნებები):

- ლექტორი უფრო მეტად არის კაცი. ის არის, ჭადარა,თეთრი წვერით, 40-50 წლის, გამხდარი, შესაძლებელია რომ ქონდეს გრძელი თმები და ზოგადად გავდეს აინშტაინს, თუმცა შეიძლება იყოს მელოტიც. ასევე შესაძლებელია რომ ეკეთოს სათვალები.
- არის ორი ტიპის ლექტორის, ერთი ახლაგაზრდა ლექტორები და შედარებით ასაკიანი (40 წელი) ლექტორები.
- ლექტორი იცვავს კლასიკურად/აკადემიურად. ასევე შესაძლებელია თავისუფალი სტილის ჩაცმულობაც: ჯინსები (დახეულიც კი შესაძლებელია), მაისური, კეტები, ბოტასები.
- ხელშილექტორს უჭრავს პაპკა და წიგნები. ასევე ლექტორის ჩანთა.
- ხასიათის თავისებურებებიდან აღსანიშნავია ქედმაღლობა, სიმკაცრე, სერიოზულობა, გამორჩეული მზერა, ღირსეულობა. იმსახურებს პატივისცემას, საუბრობს ბევრს ლექციაზე, არის საინტერესო და მცოდნე. არის კრიტიკული, თუმცა პატივს სცემს ტრადიციებსაც. ასევე არის დინჯი, ჩაფიქრებული და ეწევა სიგარეტს.
- ლექტორი უნივერსიტეტის გარეთ ძალიან მხიარული ადამიანი არის. ერთობა კლუბში (თავზე ხელაღებულად), ხოლო ასაკში წერს ნოველებს, თევზაობს, უყვარს მუსიკა და წიგნების კითხვა, ინტელექტუალური თამაშები (რა სად როდის), იტაცებთ ისტორია და ლიტერატურა, პოლიტიკა და ძველი ნივთების შეგროვება. ასევე მოგზაურობა, ექსკურსიები, ტრადიციული ძეგლები.

ლექტორების სტერეოტიპში ვერ მოიაზრება შემდეგი ქცევები:

- ლექტორი არ არის დაკუნთული.
- არ არის ბაიკერი. ასაკიანი ლექტორი არ მისდევს ავტოსპორტს, არ დადის სტრიფტიზბარებში. ლექტორი ასევე, არ თამაშობს გოლფს, არ ეწევა სიგარეტს, არ თამაშობს აგრესიულ თამაშებს (კომპიუტერული თამაშები, პეინტბოლი) . ლექტორი წარმოუდგენელია ეკლესიანი სამაჯურით, ბევრი აქსესუარით, და გაკრვეული რელიგიური სიმბოლიკების გამომხატველი ყელსაბამებით , სქელი ოქროს ჯაჭვით ყელზე, კიკინით, ღრმად აღმოჭრილი მაისურით, და მზის სათვალით. არ ატარებს ტატუს

ტიპიური მზარეული (ძირითადი მიგნებები):

- მზარეულის უმეტესად არის მამრობითი სქესის.
- ასაკთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა ამოსაზრება - მთლიანობაში მზარეული წარმოუდგენიათ, როგორც ახალგაზრდა, ასევე „შუა ხნის ადამიანი - დაახლოებით 40-50 წლის“.
- ის არის მსუქანი ან „მოსული კაცი“, ღიპიანი, ულვაშებიანი, შესაძლებელია იყოს წითური, წითელი ლოყებით და დიდი ყურებით, ასევე მელოტიც, შეიძლება ქონდეს გრძელი ლამაზი თითები . თუმცა შესაძლებელია იყოს გამხდარი ან საშუალო წონისაც.
- ძირითადად მზარეულს აცვია სპეციალური ფორმა, რომელშიც აუცილებლად იგულისხმება თეთრი ქუდი, თავსაფარი, წინსაფარი, ხელთათმანები და თეთრი ხალათი. ფორმის გარდა, აცვია ჯინსები, კეტები, სპორტული, პერანგი, სამსახურის გარეთ შეიძლება ეცვას შორტებიც.
- მზარეულს მუდამ ხელში უკავია დანა ან სწრაფად ჭრის მწვანე ან სხვა პროდუქტს, ასრულებს სხარტ მოძრაობებს, ატრიალებს ტაფას, როცა მზადებას იწყებს იხსნის საათს, გრძელი თითებით მარილს ყრის საჭმელში, სინჯავს საჭმლის გემოს.
- მზარეულების უმეტესობას უყვარს მუსიკა, მეტიც სამუშაო პროცესის დროს ჩართული აქვთ და ყვება კიდეც
- არსებობს ორი ტიპის მზარეული: ერთი „ქელეხის მზარეული და მეორე „ხელოვანი“ მზარეული, რომელის დახასიათებაც მოცემულია ზევით.ხელოვანი მზარეულისგან განსხვავებით, ქელეხის მზარეული არის უხეში,

ნაკლება ჰიგიენური და მოწესრიგებული, ის არ აქცევს ყურადღებას საქმლის ვიზუალურ გაფორმებას, მთავარია გემრიელი, „ცხიმისანი და ქონიანი საჭმელი გააკეთოს და ამით კმაყოფილია“ ან „მთავარია უბრალოდ ხალხი დაანაყროს და რას აჭმევს სულ ერთია“. ხელოვანი მზარეული კი ყველა დეტალს – „მარილის ფირმასაც“ კი ყურადღებას აქცევს. ქელების მზარეული კახელ ღიპიან კაცთანაც არის გაიგივებული, რომელსაც უყვარს სმა, რომელიც ტრიალებს ოხშივარში და სამუშაო გარემო, ხელოვანი მზარეულისგან განსხვავებით ნაკლებად აქვს დახვეწილად მოწყობილი სამუშაო გარემო. ქელების მზარეული მუშაობს სასადილოებში, პატარა დაწესებულებებში ხელოვანი მზარეული კი მდიდრულ რესტორნებში.

- **ქელების მზარეული არის იგივე პოვარი**

მზარეულის სტერეოტიპს არ შეესაბამება შემდეგი ქცევები:

- წარმოდგენელია ისეთი მზარეული, რომელსაც აცვია შარვალ-კოსტუმი, რომელიც არის შავგვრემანი ანდა არის გამხდარი, არის დაკუნთული.
- წარმოდგენელია რომ იყვნენ გატაცებული ალგებრით
- წარმოდგენელია დაკავებული იყოს ბოქსით, კალათბურთით.
- წარმოდგენელია ქონდეს „ბინძური ხელები“ ან კაც მზარეულს ქონდეს შეღებილი თმები.

ტიპური IT(ძირითადი მიგნებები):

- IT სპეციალისტი არის მამრობითი სქესის - ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც უკეთია მხედველობის სათვალეები, მხრებში მოხრილია და არის გამხდარი. თუმცა შესაძლებელია იყოს მსუქანიც. არის საშუალო სიმაღლის, მაღალიც და დაბალიც. ჩვეულებრივ არის სიმპატიური.
- ძირითადად აცვია დახეული ჯინსები, ჭუჭყიანი კეტები და მაისური, ასევე პერანგი, ჩაჩები, ჯინსის ფართო შარვლები. მისი დანახვა წარმოდგენელია კლასიკური სტილის ჩამცულობაში. ჩვეულებრივ არ მისდევს მოდას.
- არის საკმაოდ მოუწესრიგებელი (გაუპარსავი და თმაშეუჭრელი). ნაკლებად აქცევს ყურადღებას გარეგნობას
- უკეთია მაჯის საათი, რომელიც შეიძლება იყოს სპორტული. შეიძლება ეკეთოს საყურეები, ქონდეს ტატუ.
- IT არის არაორდინალური ტიპის ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი სამყარო, არის უცნაური და საუბრობს ტექნიკური ენით. არის „არაკომუნიკაბელური და ამის გამო დაკომპლექსებული ხდება“.
- არის უპასუხისმგებლო ტიპი, არაპუნქტუალური და“ ფეხებზემკიდია ტიპი“. შესაძლოა ქონდეს მატერიალისტური მიზნები- საიტის გატეხვით იმდენი ფულის შოვნა რომ მერე იყიდოს კომპიუტერი, ტელეფონი ან მანქანა.
- გამოირჩევა ჭკუით, არის ძალიან სხარტები, კრეატულები და ერკვევიან ტექნიკურ საგნებში (მათემატიკა, ფიზიკა). ნაკლებად აინტერესებს ისეთი დარგები რომლებიც ფილოსოფიური განსჯას მოითხოვენ (ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სოციოლოგია), უფრო მეტად ერკვევა ისტორიაში რაგდან წლებს, როგორც ტექნიკურ ინფორმაციას, ადვილად იმახსოვრებს. იცის ინგლისური ენა. ძალიან უყვარს თავისი საქმე და არის კარგი სპეციალისტები. იმ საკითხში, რაც კომპიუტერს ეხება ძლიერ თავდაჯერებულები არიან. არის არაკომუნიკაბელური.
- სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მთელი დღე და ღამე უზის კომპიუტერს.

- კომპიუტერის გარდა სხვა საქმეში არის ძალიან პასიური და ზარმაცი. ეს მის მოუწესრიგებელ და არეულ ოთახში, რომელიც არის ჩაბნელებული და ჩვეულებრივ სავსე არის კომპიუტერული ნივთებითა და სიგარეტის კვამლით. უყვარს ლუდის და ყავის სმა. ეწევა სიგარეტს.

- შესაძლოა აინტერესებს ასტროლოგია, ცხენზე ჯირითი, ბასეინზე ცურვა ან ქონდეს რამე სხვა „ძალიან უცნაური“ ჰობი. შესაძლებელია უყვარდეს ლაშქობებში სიარული.

ქცევები, რომლებიც არ შეესაბამება IT-ის სტერეოტიპს:

- წარმოუდგენელია, რომ წურავდეს ღვინოს.
- IT სპეციალისტს არ უყვარს ქართულ ტრადიციულ სუფრაზე ქეიფი. შესაბამისად, არ უყვარს ნათესავებთან ერთად, სუფრაზე, ქორწილებში, დაბადებისდღეებზე ან ქელეხში სიარული.
- არ აინტერესებს ბალეტი და თეატრი, ქართული ცეკვები, ლიტერატურა, ოპერა, კლასიკური მუსიკა და პოეზიაც კი.
- IT სპეციალისტები შეიძლება სულაც არ იყოს ჯენტლმენი.
- წარმოუდგენელია რომ იყოს არატრადიციული ორიენტაციის.

ტიპიური ქართველი კაცი (ძირითადი მიგნებები):

- ფიზიკურად ტკ-ი არის ძლიერი აღნაგობის, არც მსუქანი და არც გამხდარი; თუმცა ასევე შესაძლებელია იყოს მსუქნიც და გამხდარიც. ტკ-ის ასაკთან დაკავშირებით დასახელება რამდენიმე ასაკობრივი კატეგორია - 40 წლის, 45 -50 წელს ზევით, 22-და 35 წელი.

- მთლიანობაში გამოიყვება ორი ტიპაჟი ერთ ახალგაზრდა ტკ და მეორე, ასაკოვანი – 40-ს გადაცილებული ტკ. ახალგაზრდა ტკ-ს ასაკონი ტკ-სგან განსხვავებით შეიძლება ეცვას კლასიკურად, ღიპი არ ქონდეს გამოკვეთილი და ატარებდეს წვერს. ასაკოვან ტკ-ს კი წვერი აღარ აქვთ, ღიპიანები არიან და კლასიკურადაც არ იცვან.

- ტკ-ს, აქვს წვერულვაში და არის შვეგრემანი ან ხორბლისფერი. სიმაღლით უფრო მაღალი და საშუალო სიმაღლის. აქვს ღიპი, კეხიანი ცხვირი, შეიძლება იყოს მელოტი, ბანჯგვლიანი, აქვს სქელი წარბები.

- ჩვეულებრივ ტკ-ი არ უვლის თავის ფიგურას და არის მოუწესრიგებლები, ზოგი ელემენტარულ ჰიგიენურ ნორმებსაც არ იცავს („არის ოფლიანები“).

- ძირითადად აქვს თავისუფალი ჩაცმულობა - ჯინსი, კეტი, პერანგი, ბოტასი, სადა მაისურები, კოსტიუმი, შავი ტყავის ქურთუკი; ასაკით ახალგაზრდა ტკ-ს შესაძლოა ეცვას კლასიკურადაც.

- **ხასიათის თავისებურებების მხრივ გამოიკვეთა ტკ-ის რამდენიმე ტიპაჟი -** ეს ტიპაჟები გაკრვეულ წილად ასაკობრივ ტიპებთანაც არის დაკავშირებული: **ერთ ტიპი არის ლუარსაზ თათქარიძისეული ქართველი კაცი, რომელიც ამავე დროს არის ასაკიანი ტკ-ი. მეორე ტიპი არის, ახალგაზრდა ტკ, რომელიც არის აზიატი, არის კომპლექსიანი და არის ტრადიციების მიმდევარი.**

- ტიპიური ქართველი კაცის ორივე ტიპაჟი ინაწილებს საერთო თვისებებს – ტიპიური ქართველი კაცი, არის მოქიფე ადამიანი, რომელიც გადაყოლილია მეგობრებზე და რომელსაც ევალეზა სადღეგრძელოების თანმიმდევრობის ცოდნა და სმა. ის არის ძალიან ამაყი, ჯიუტი, დარბაისელი. შეპყრობილია არასრულფასოვნების კოპლექსით და ხშირად იხნებეს 30 მანეთიან გაფრენებს რუსეთში. არის შეუგნებელი და

ნაკლებად განათლებული. არასდროს „არავის არ უხრის თავს, თუნდაც იყოს მტყუნა“. შეპყრობილია სტერეოტიპებით და უჭირს განსხვავებული აზრის მიღება. ანგარიშს უწევს საზოგადოების აზრს - ამიტომ არასდროს არ არის არაორდინალური. „ვერ იტანს გეებს“. „ოჯახში მზრუნველობა გადასდის დიქტატურაში“. მეოჯახეა, თუმცა არის ზარმაცი და უკანასკნელ ფულსაც ქეიფში და სმა ჭამასა ან ონლაინ პოკერში დახარჯავს, ისე რომ არ იფიქრებს საკუთარ შვილებზე. უყვარს ხორციანი საჭმელები. იმის მაგივრად რომ პრობლემა მშვიდად განიხილოს, ურჩევნია იყვიროს და ძალადობით დაძლიოს სხვების წინააღმდეგობები. შესაძლოა ქონდეს კონფლიქტი მეზობელთან, რომელსაც არჩევს მთელ უბანში. მეზობლის მიმართ შეიძლება შურიანიც კი იყოს. „აქვს ცუდი სიმთვრალე“ რადგან ბევრი ლაპარაკი და ჭკუის დარიგება უყვარს ამ დროს. აღმსარებლობით არის მართმადიდებელი ქრისტიანი, სხვა აღმსარებლობა მისთვის წარმოუდგენელია. დადის ეკლესიაში და ზედმეტად მიჯაჭვული ტრადიციებზე. შეიძლება იყოს თბილი და სტუმართმოყვარეც. თუმცა არის ტრაზახაც, მედიდური და „უყვარს ძალაუფლების დემონსტრაცია“, თავი გამოჩენის მიზნით ზოგი იტყუება კიდევ. შესაძლებელია რომ ტქკ არ დაგეგმოს თავისი ცხოვრება, არის მეოცნებე და „არ იღწვის მიზნების მისაღწევად“. ტქკ არის იმპულსური, ემოციური ადამიანი, რომელიც სიმთვრალეში, სიფხიზლისგან განსხვავებით, შეიძლება აგრესიულიც კი იყოს.

- ორივე ტიპის ტქკ ბრძანებლობს თავის ცოლზე და ხშირად უხეშადაც ეპყრობა. ჩვეულებრივ ის არის ეჭვიანი, თუმცა თავად ღალატობს ცოლს, რადგან არის მექალთანე. ჯენტლმენური მარენები აქვს მხოლოდ უცხო ქალებთან, სახლის გარეთ და არა სახლში - ცოლთან.
- მუშაობს ბიზნესში, ან დაბალი სტატუსის სამსახურებში, როგორც არის ტაქსისტი, სანტექნიკოსი და ა.შ.
- ტქკ-ს უყვარს ნადირობა, თევზაობა, სიგარეტის მოწევა, ფეხბურთის ყურება. ასევე შეიძლება დაინტერესებული და დაკავებული იყოს კალათბურთით, ცურვით, ძალისმიერი სპორტით. უყვარს ქართული ცეკვები და ქალაქური სიმღერები (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება ასაკოვან ტქკ-ს). შეიძლება წავიდეს თეატრშიც. დადის ტოტალიზატორში

ქცევები, რომლებიც არ შეესაბამება ტქკ-ის სტერეოტიპულ წარმოდგენას:

- არ აქვს პრესები და კუნთები, წარმოუდგენელია რომ ქონდეს გრძელი თმები ან საყურე, ორიგინალური ვარცხნილობა.
- წარმოუდგენელია რომ ეცვას კლასიკურად, ასევე წარმოუდგენელია ჰალსტუხი ან ფერადი ბრიჯები. არ უკეთია ბაზოჩკა.
- არ ჩაიცვას ფერად ტანსაცმელს - მაგ: წითელ შარვალს ან მაისურს.
- წარმოუდგენელია რომ იმუშავოს მეზოვედ, ასევე წარმოუდგენელია, რომ ტქკ „რეცხავდეს ჭურჭელს ან აპილასოსებდეს სახლს“ უვლიდეს ბავშვს, ყოველივე “ ეს ხომ ქალის საქმეა?!”.
- წარმოუდგენელია, რომ დაკავებული იყოს ბალეტით ან ოპერით. არ უსმენს როკ მუსიკას. სპორტიდან არ აინტერესებს გოლფით, წყლის თხილაბურები და ფიგურულ სრიალზე. არ არის ბაიკერი .

დასკვნა

საბოლოო ექსპერიმენტში, სქესის ფაქტორის გაკონტროლების მიზნით, ხუთივე სტერეოტიპულ თემაში ჩვენ ორიენტირებულნი ვართ ერთი და იგივე სქესის მქონე ფიგურის გამოსახვაზე. იმის, გამო, რომ ხუთი ტიპაჟიდან ერთ-ერთის- ტქკ-ის - სქესი უკვე განსაზღვრულია, სქესის ფაქტორის ერთ დონეზე შენარჩუნების მიზნით, პრიორიტეტს ვანიჭებთ მამრობითი სქესის ფიგურის გამოყენებას.

თვისებრივი კვლევის მონაცემებიდან ჩანს, რომ ექიმის, ლექტორის, და მზარეულის ტიპაჟები ორივე სქესთან ასოცირდება, თუმცა უფრო მეტად ისინი მამრობით სქესთან ასოცირდებიან, ვიდრე მდედრობითთან. ღია კითხვებით და ფოკუს ჯგუფის შედეგად მიღებულ დახასიათებებში, რესპონდენტებმა ექიმის და ლექტორის შემთხვევაში მოგვაწოდეს ქალი ტიპაჟების დახასიათებაც, თუმცა უფრო ვრცლად წარმოდგენილ იქნა ზოგადი დახასიათება ან მამრობითი სქესის დახასიათება. სქესის ფაქტორის გაკონტროლების მიზნით და თვისებრივ კვლევაზე დაყრდნობით, ჩვენ ვირჩევთ მამრობითი სქესის ტიპაჟების გამოსახვას ხუთივე სტერეოტიპულ თემაში, ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით.

რაც შეეხება პოვარისა და მზარეულის ტიპაჟებს, ეს ორი არის არა ორი სხვადასხვა პროფესია, არამედ ერთი და იგივე პროფესიის ორი განსხვავებული ქვესტეროტიპი. ამ ორიდან, ექსპერიმენტში გამოყენების მიზნით, ჩვენ ვარჩევთ მზარეულის (და არა პოვარის) სახელწოდებით აღნიშნულ რეპრეზენტაციას .

სხვა ქვესტეროტიპებიდან უნდა აღინიშნოს, ტქკ-ის ქვესტეროტიპები ასაკის და ხასიათის მიხედვით, ლექტორის ქვესტეროტიპები ასაკის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებს ჰქონდათ ქვესტეროტიპების დახასიათების საშუალებაც, კვლევის თვისებრივ ეტაპზე ჩვენ მივიღეთ ტიპაჟების მდიდარი ზოგადი სტერეოტიპული დახასიათება. ასაკის მახასიათებლის მხრივ, თითოეული ტიპაჟისთვის შეირჩევა იმ ასაკის ფიგურა, რომელ ასაკობრივ ჯგუფთანაც მოცემული ტიპაჟი ყველაზე მეტად არის ასოცირებული (თუმცა ამას კიდევ ერთხელ გადავამოწმებთ მომდევნო ეტაპის რაოდენობივ კვლევაში).

4.3. III ეტაპი

სტერეოტიპული შინაარსების რაოდენობრივი გადამოწმება

მიზანი

მოცემული კვლევის მიზანია, თვისებრივი კვლევებიდან თითოეულ ტიპაჟზე მიღებული დახასიათებების გადამოწმება 18-23 წლის ახალგაზრდების ჯგუფზე. ამ რაოდენობრივი კვლევის დახმარებით საბოლოოდ დადგინდება თითოეული სტერეოტიპული ტიპაჟის საშუალო ხატი და ასევე ის ინდივიდუალური ქცევები, რომლებიც არ ჯდება თითოეული ტიპაჟის სტერეოტიპულ ხატში.

მოცეული რაოდენობრივი კვლევის ჩატარება განპირობებულია ექსპერიმენტული კვლევის მიზნებით. მოგეხსენებათ, ჩვენი კვლევის მთავარი მიზანი არის ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენის შესწავლა სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის დამუშავებაზე. იმისათვის, რომ მოხდეს მოცემული კონკრეტული პროცესის შესწავლა, საჭიროა გარკვეული სტერეოტიპული (თუ სხვა) შინაარსების გამოყენება, რადგან მიწოდებული ინფორმაციის გავლენა, სწორედ ასეთ კონკრეტული შინაარსების მაგალითზე შეისწავლება. სწორედ ამ მიზნით, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ რომ ექსპერიმენტის ყველა მონაწილეს ერთ და იგივე შინაარსის რეპრეზენტაციები ქონდეს, შერჩეულ ტიპაჟებთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხდება შთაბეჭდილების სისტემატიზირებული გაზომვა.

მაგ: თუ ორ მონაწილეს ექიმის შესახებ აქვს სხავდასხვა სტერეოტიპი, მაშინ რომელიმე მონაწილეს, რომლის წარმოდგენა არ ჯდება ექიმის, ჩვენს მიერ შესწავლილ, საშუალო სტერეოტიპულ წარმოდგენაში (რომლის საფუძველზეც შეიქმნა ფოტო) არ გაუაქტიურდება ან გაუაქტიურდება სულ სხვა მახასიათებლების მქონე ექიმის ხატი. ამის გარდა, ასეთ დროს, ექიმის სტერეოტიპულ შინაარსში ასეთი განსხვავებების გამო, ექიმზე შექმნილი შთაბეჭდილების გაზომვა ჩვენს მიერ შემუშავებული საზომით, ვერ განხორციელდება. რადგან მოცემული საზომი, მხოლოდ კონკრეტულ სტერეოტიპულ შინაარსზე (კონკრეტულ მენტალურ რეპრეზენტაციაზე) იქნება მორგებული.

სწორედ ამ მიზნით, გვჭირდება ფართო სტერეოტიპული ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, რაოდენობრივი კვლევის ჩატარება ფართო პოპულაციაზე, ამ შინაარსების გავრცელებადობის დაზუსტების მიზნით. ჩვენთვის საინტერესო ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში, შერჩეულ პროფესიებთან დაკავშირებული წარმოდგენების საშუალო სურათის შესწავლით შეგვეძლება:

- 1) ექსპერიმენტში გამოვრიცხოთ იმ მონაწილეების მონაცემები, რომელთაც არ გაუაქტიურდათ ჩვენთვის საინტერესო პროფესიული შინაარსი ან რომელთაც, განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ამ პროფესიის ტიპურ წარმომადგენელზე.
- 2) სისტემატიზირებულად გავზომოთ ექსპერიმენტის მონაწილის მიერ მიწოდებული შთაბეჭდილება იმ ასოციაციების დახმარებით, რომელსაც იწვევს მიწოდებული პროფესიის ჩვენს მიერ შესწავლილი სტერეოტიპული შინაარსი.

შერჩევა

შერჩევა, რომელზედაც ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა მოიცავს 18-23 წლის ორივე სქესის წარმომადგენლებს, რომლებიც ეროვნებით არიან ქართველები და ცხროვრობენ თბილისში ბოლო 3 ან მეტი წელი.

გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი შერჩევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოცმა ინტერვიუერმა, საიდანაც თითოეულის მიერ გამოკითხულ იქნა 12 რესპონდენტი.

შერჩევის ზომა, 95% ნდობის დონეზე და 6.5% სანდოობის ინტერვალის მიხედვით (მაქსიმალური შესაძლო ცდომილება) განისაზღვრა 224 რესპონდენტი (139 მდედრობით, 75 მამრობითი სქესის რესპოდენტი).

მეთოდი

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა თვითადმინისტრირებული ანკეტის გამოყენებით¹⁸ (სადაც მოცემულია 290 შესაფასებელი მახასიათებელი, დებულების სახით).

ტიპეები, რომლებიც დახასიათდა მოცემული ანკეტით არის: ექიმი, IT, ლექტორი, მზარეული და ტქკ. შეგახსენებთ, რომ ხუთივე მათგანი არის მამრობითი სქესის ტიპაჟი. რესპონდენტებს დაევალოთ, დებულებების დახმარებით შეეფასებინათ თითოეული მამრობითი სქესის ტიპაჟი, კერძოდ კი 11 ბალიან (+5 -5) შეფასების სკალაზე მათ უნდა აღენიშნათ, ის თუ რამდენად ახასიათებს მოცემულ მახასიათებელი ამა თუ იმ ტიპაჟს, მათი წარმოდგენით. შეგახსენებთ, რომ ამ დებულებების გამოყენებით, თითოეული ტიპაჟი შეფასდა ცალცალკე. ხუთივე ტიპაჟის შესაფასებლად შეიქმნა ერთი საერთო ანკეტა.

ანკეტაში მოცემული დებულებები, შეეხო შემდეგ მახასიათებლებს: ასაკი, სოციალური ურთიერთობები, ოჯახი, ქალებთან ურთიერთობა, ინტელექტუალური აქტივობები, პროფესიულ საქმიანობა, გართობა, ჰობი, ჩაცმულობა, აღნაგობა და ა.შ.

დებულებების ფორმირების წესი: ანკეტისთვის დებულებების ფორმირება მოხდა თვისებრივი კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, ის რომ თავდაპირველად თვისებრივი კვლევის მონაცემების საფუძველზე დებულებების ფორმირება მოხდა სათითაოდ თითოეული ტიპაჟისთვის, შესაბამისად შეიქმნა დებულებების 5 წყება (5 ტიპაჟი). მოგვიანებით ეს დებულებების გაერთიანდა ერთ საერთო წყებაში, სადაც სხვადასხვა ტიპაჟისთვის საერთო შინაარსის დებულებები გაერთიანდა ერთ დებულებაში. გამოდის, რომ ტიპაჟების დახასიათება მოხდა არა მარტო მათთვის გენერირებული მახასიათებლების მიხედვით (რაც განხორციელდა თვისებრივი კვლევის ეტაპზე სათითაოდ ტიპაჟისთვის), არამედ სხვა ტიპაჟებისთვის გენერირებული მახასიათებლების მიხედვითაც. *ამის მიზეზი არის:* ა) **უფრო ვრცელი სტეროტიპული დახასიათებლების მოპოვება თითოეული ტიპაჟისთვის** - დასახელებული სტეროტიპული მახასიათებლების გარდა შესაძლოა არსებობდეს ისეთი მახასიათებლებიც, რომლებიც თვისებრივ კვლევაში შესაძლოა სულაც არ დასახელებულა რომელიმე ტიპაჟთან მიმართებაში, თუმცა ამის მიუხედავად ეს მახასიათებელი მაინც ახასიათებს მას. ასევე არსებობს ნეიტრალური ტიპის მახასიათებლები. ამ ტიპის მახასიათებლების გამოვლენა მნიშვნელოვანია

¹⁸ ანკეტა შეგიძლიათ იხილოთ დანართში B

მოგვიანებით ფოტოების და შთაბეჭდილებათა გასაზომი სკალის შექმნის პროცესში.
 ბ) უფრო მრავალფეროვანი ინდივიდუალური ინფორმაციის მოპოვება.

მონაცემების დამუშავება

რაოდენობრივი კვლევით მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა ფაქტორული ანალიზის გამოყენებით. ფაქტორული ანალიზით დამუშავება მოხდა ორნაირად:

- ერთ შემთხვევაში გამოთლილი იქნა ის ფაქტორები, რომლებიც საერთოა ხუთივე ტიპაჟისთვის (*საერთო ფაქტორები*), ხოლო მეორე შემთხვევაში ხუთივე ტიპაჟისთვის ცალცალკე გამოთვლილ იქნა მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფაქტორები (*ინდივიდუალური ფაქტორები*).

- საერთო ფაქტორების გამოთვლის შემდეგ, მოხდა თითოეული ტიპაჟისთვის ამ ფაქტორების მნიშვნელობების გამოთვლა. თითოეული ტიპაჟისთვის ცალცალკე, მოხდა თითოეული ფაქტორის საშუალო ქულის (ინდექსის) გამოთვლა, რაც განხორციელდა ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტორში შემავალი პარამეტრების (ცალკეული დებულებების) საშუალო მნიშვნელობების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოყოფილი ფაქტორები მნიშვნელოვანი ფაქტორებია ხუთივე ტიპაჟის დახასიათებაში, ისინი სხვადასხვა მნიშვნელობით (საშუალო ქულით) არის წარმოდგენილი თითოეულ ტიპაჟის დახასიათებაში.

ფაქტორთა მნიშვნელობის გამოთვლა იგივენაირად განხორციელდა ინდივიდუალური ფაქტორების შემთხვევაშიც.

- გამოვლენილი ფაქტორების მნიშვნელობების გამოთვლის შემდეგ, როგორც საერთო ასევე ინდივიდუალურად გამოთვლილი ფაქტორები თითოეული ტიპაჟისთვის დავახარისხეთ **სამ კატეგორიად**: 1) ფაქტორი, რომელიც ძლიერ ახასიათებს ტიპაჟს 2) ფაქტორი რომელიც საშუალოდ ახასიათებს და 3) ფაქტორი, რომელიც არ ახასიათებს ტიპაჟს.

- *ძლიერ დამახასიათებლად ჩაითვალა ის ფაქტორები, რომლებიც 11 ბალიან შეფასების სკალაზე საშუალოდ მიიღო 8-11 ქულით;*
- *საშუალოდ დამახასიათებლად ჩაითვალა ფაქტორები, რომლებიც შეფასდა 5-7 ქულით, ხოლო*
- *არადამახასიათებლად ჩაითვალა ის ფაქტორები, რომლებიც შეფასდა 1-4 ქულით.*

შენიშვნა: კითხვარში მოცემული დებულებებისა და შემდეგ, ფაქტორების გაზომვა მოხდა 11 ბალიან შეფასების სკალაზე, რომლის უკიდურეს უარყოფით მნიშვნელობას წარმოადგენს -5 ქულა, ხოლო უკიდურეს დადებით მნიშვნელობას +5 ქულა. მოგვიანებით, SPSS პროგრამაში მონაცემების დამუშავების ეტაპზე, მოცემული სკალა ტრანსფორმირდა ისეთ 11 ბალიან სკალად, რომლის მნიშვნელობები მოცემული 1დან 11 ქულის ჩათვლით (ყველაზე უარყოფითი მნიშვნელობას წარმოადგენს 1, ხოლო მაქსიმალურ დადებით მნიშვნელობას 11 ქულა). ფაქტორებისთვის საშუალო ქულების გამოთვლა, სწორედ ასეთი ტრანსფორმირებული შეფასებების საფუძველზე განხორციელდა.

ა) საერთო ფაქტორული ანალიზის შედეგად, 290 დებულებიდან გამოიყო 44 საერთო ფაქტორი:

ცხრილი 7. საერთო ფაქტორები

<p>FAC5 უყვარს ხელოვნების ფუნდამენტური დარგები - კლასიკური მუსიკა, ფერწერა, პოეზია, ფოტოგრაფია, თეატრი (კარგი შემფასებელია და შესაძლებელია რომელიმეს მისდევდეს კიდევ).</p> <p>FAC6 უყვარს სამზარეულოში ტრიალი და სახლში დიასახლისის დახმარება</p> <p>FAC7 მექალთანეა</p> <p>FAC8 ეთაკილება არაპრესტიჟულ სამსახურში მუშაობა</p> <p>FAC9 კეთილი ადამიანია</p> <p>FAC10 ამაყი ადამიანია, რომელიც ვერ იტანს კრიტიკას</p> <p>FAC11 მუდამ უკმაყოფილოა სიტუაციით/ გარემოთი</p> <p>FAC12 ფინანსურად შეძლებული ადამიანია და ფუფუნებაში ცხოვრობს</p> <p>FAC13 მოქნილად იყენებს ხელებს და უვლის მათ</p> <p>FAC14 უყვარს ველოსიპედით სეირნობა</p> <p>FAC15 იცვავს სმოკინგს</p> <p>FAC16 მგრძობობიარე ადამიანი, რომელსაც უყვარს ყვაილები (ან შესაძლოა ქსოვა/კერვაც კი)</p>	<p>FAC18 როცა კომპთან ზის პასიურია და ადგილიდან არ იძვრის</p> <p>FAC19 ზრდასრული ადამიანია 36 წელსზევით</p> <p>FAC20 ქეიფის დროს მაგიდაზე ადის და ცეკვავს</p> <p>FAC22 ძმაცაცობს და ერთობა ახალგაზრდებთან</p> <p>FAC23 ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა</p> <p>FAC24 ქალთან ურთიერთობაში შებოჭილია</p> <p>FAC25 გულჩათხრობილია</p> <p>FAC26 მღერის</p> <p>FAC27 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია</p> <p>FAC35 ბიზნესით არის დაკავებული</p> <p>FAC37 ერკვევა ელექტრონიკაში (შეუძლია ხელსაწყოების შეკეთება)</p> <p>FAC38 თუ დასჭირდა იმუშავებს ძიძად</p> <p>FAC39 მკაცრად აკონტროლებს თავის თანამშრომლებს</p> <p>FAC40 აცვია შავი ფერის ტანსაცმელი</p> <p>FAC41 გარეგნულად დაკუნთული სხეული აქვს</p>
--	--

FAC47	უყვარს	ბუნებაში	გასვლა
	დასასვენებლად		
FAC48	აქვს საკუთარი სამყარო		
FAC52	გულახდილი ადამიანია		
FAC61	განათლებული და ინტელექტუალური ადამიანი, ანალიტიკური აზროვნებითა და ინტერესებით		
FAC62	თავისი საქმის პროფესიონალია, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების მოძებნაზე და განვითარებაზე		
FAC63	ჯენტლმენია	ქალებთან	და
	გარშემომყოფებთან ურთიერთობაში		
FAC64	წარმატებული	საქმიანი	ადამიანია
	(მაღალიმე მოსავლით და პოზიციით)		
FAC65	იმდენად დაკავებულია საქმით, რომ დასვენებისთვის და გართობისთვის დრო არ რჩება		

FAC66	მის ჩაცმულობაში შესაძლებელია რომჭარბობდეს ჭრელიფერის, შემოტკეცილი და ნახატიანი სტილის ტანსაცმელი, რომლსაც უხამებს ეკლებიან სამაჯურს და პისინგს		
FAC67	მისი ინტერესების სფერო შედის პირველ რიგში კომპიუტერი, შემდეგ რეპი, ელექტრო მუსიკა და ბრეიკდანსი		
FAC68	უპირატესობას ნიჭებს თავისუფალი სტილის ან/და სროტული სტილის ჩაცმულობას		
FAC69	სამსახურში	ჩვეულებრივ	დადის
	სპორტულებითან/დაშორტებით ჩაცმული		
FAC70	უყვარს სმა და ქეიფი		
FAC71	უყვარს გემრიელად ჭამა		
FAC72	ტრადიციული ადამიანი, რომელსაც უყვარს ხალხური მუსიკა		
FAC73	უყვარს ნადირობა და თევზაობა		
FAC74	თამაშობს ნარდს		

შენიშვნა: Extraction Method: Principal Component Analysis. Rotation Method: Varimax with Kaiser Normalization. ამ ფაქტორების მიხედვით არსებული სხვაობა ტიპაჟებს შორის სანდოა ($P < .05$)¹⁹

მოცემული ფაქტორების გარდა გამოიყო სხვა საერთო ფაქტორებიც. თუმცა 5 ტიპაჟის შედარებამ აჩვენა, რომ ზოგიერთ საერთო ფაქტორს შორის სხვაობა არ არის სანდო. მოხდა ასეთი ფაქტორების ამოღება - ესენია: დაკავებულია სპორტით $F(4,1115)=1.60$, $p=.17 > .05$; საქმის კეთების დროს დროში ვერ ეტევა, სულ რაღაც უგვიანდება $F(4,1115)=.65$, $p=.62 > .05$; აქვს კეხიანი ცხვირი $F(4,1115)=.49$, $p=.74 > .05$; ცოლის შეხედულებისამებრ იცვავს $F(4,1115)=1.28$, $p=.28 > .05$; მელოტია $F(4,1115)=2.30$, $p=.06 > .06$; დადის ეკლესიაში $F(4,1115)=2.28$, $p=.06 > .05$; იცვავს ფართო სტილის შავრლებს $F(4,1115)=1.77$, $p=.13 > .05$; ყავს შინაური ცხოველები $F(4,1115)=1.43$, $p=.21 > .05$; არ გააჩნია ჰობი $F(4,1115)=.61$, $p=.65 > .05$; დადის კინოთეატრში $F(4,1115)=.33$, $p=.86 > .05$; ატარებს უღვაშს $F(4,1115)=.91$, $p=.46 > .05$; შავგვრემანია $F(4,1115)=.101$, $p=.09 > .05$; სუფრაზე უცხოებთან მხოლოდ დალევის შემდეგ ახერხებს ურთიერთობს დამყარებას $F(4,1115)=.70$, $p=.52 > .05$; არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს $F(4,1115)=1.98$, $p=.09 > .05$; არის მეწვრილმანე $F(4,1115)=2.07$, $p=.08 > .05$; შეიძლება იმუშავოს

¹⁹ სტატისტიკური მონაცემები დაწვრილებით იხილეთ დანართში C

ვაჭრობაში $F(4,1115) = 1.06, p = .37 > .05$; აქვს ბლანჟე $F(4,1115) = 2.08, p = .08 > .05$; იმპულსური ადამიანია $F(4,1115) = 1.35, p = .24 > .05$.²⁰

ბ) სანდო მნიშვნელობის მქონდე საერთო ფაქტორების გამოყოფის შემდეგ, მოხდა მათი დახმარებით თითოეული ტიპაჟის დახასიათება. ყოველ ტიპაჟთან დაკავშირებით მოხდა გამოყოფილი 44 საერთო ფაქტორის საშუალოს გამოთვლა და შემდეგ მათი დახარისხება ფაქტორთა სამ კატეგორიაში - ძლიერ დამახასიათებელი, არადამახასიათებელი და საშუალოდ დამახასიათებელი ფაქტორი. საერთო ფაქტორებიდან ყოველმა ფაქტორმა, სხვადასხვა მნიშვნელობა მიიღო სხვადასხვა ტიპაჟთან, შესაბამისად, ერთ და იგივე ფაქტორი ერთი ტიპაჟის შემთხვევაში მოხვდა ძლიერ დამახასიათებელ, ხოლო მეორე ტიპაჟის შემთხვევაში ნაკლებად დამახასიათებელ და ა.შ. კატეგორიაში.

ქვევით მოცემულია თითოეული ტიპაჟის დახასიათება საერთო ფაქტორების მიხედვით. ამ დახასიათებაში მოცემული მხოლოდ *ძლიერ დამახასიათებელი და ძლიერ არადამახასიათებელი მახასიათებლები* (თითოეულს მითითებული აქვს საშუალო სკალური ქულა (ინდექსი)).

²⁰ სტატისტიკურად სანდო ფაქტორის მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ დანართში C, ცხრილში C1.

ცხრილი 8. ექიმისთვის გამოთვლილი საერთო ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

ექიმი	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები	არადამახასიათებელი ფაქტორები
<p>FAC19 ზრდასრული ადამიანია 36 წელსზევით 9</p> <p>FAC17 მეოჯახეა 9</p> <p>FAC61 განათლებული და ინტელექტუალური ადამიანი, ანალიტიკური აზროვნებითა და ინტერესებით 9</p> <p>FAC62 თავისი საქმის პროფესიონალია, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების მოძებნაზე და განვითარებაზე 9</p> <p>FAC64 წარმატებული საქმიანი ადამიანია (მაღალი შემოსავლით და პოზიციით) 9</p> <p>FAC65 იმდენად დაკავებულია, რომ დასვენებისთვის და გართობისთვის დრო არ რჩება 9</p> <p>FAC13 მოქნილად იყენებს ხელებს და უვლის მათ 9</p> <p>FAC63 გენტლმენია ქალებთან და გარშემომყოფებთან ურთიერთობაში 9</p> <p>FAC23 ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა 8</p> <p>FAC39 მკაცრად აკონტროლებს თავის თანამშრომლებს 8</p> <p>FAC12 ფინანსურად შეძლებული დამიანია და ფუფუნებაში ცხოვრობს 8</p> <p>FAC36 დადის კინოთეატრში 8</p> <p>FAC47 უყვარს ბუნებაში გასვლა დასასვენებლად 8</p> <p>FAC73 უყვარს ნადირობა და თევზაობა 8</p> <p>FAC9 კეთილი ადამიანია 8</p> <p>FAC27 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია 8</p> <p>FAC10 ამაყი ადამიანია, რომელიც ვერ იტანს კრიტიკას 8</p> <p>FAC45 არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს 8</p> <p>FAC46 არის მეწვრილმანე 8</p>	<p>FAC66 მის ჩაცმულობაში შესაძლებელია რომ ჭარბობდეს ჭრელი ფერის, შემოტკეცილი და ნახატის სტილის ტანსაცმელი, რომლსაც უხამებს ეკლებიან სამაჯურსა და პირსინგს 3</p> <p>FAC69 სამსახურში ჩვეულებრივ დადის სპორტულებით ან/და შორტებით ჩაცმული 3</p> <p>FAC8 ეთაკილება არაპრესტიჟულ სამსახურში მუშაობა 4</p> <p>FAC49 შეიძლება იმუშავოს ვაჭრობაში 4</p> <p>FAC38 თუ დასჭირდა იმუშავებს ძიდად 4</p> <p>FAC67 მისი ინტერესების სფეროში შედის პირველ რიგში კომპიუტერი, შემდეგ რეპი, ელექტრომუსიკა და ბრეიკდანსი 4</p> <p>FAC76 დაკავებულია ექსტრემალური და ძალისმიერი სპორტით 4</p> <p>FAC75 უყვარს დახვეწილი და ეგზოტიკური აქტივობები (ფიგურული სრიალი; გოლფი; ფიგურული სრიალი; ბალეტი; ეგზოტიკური ცეკვები; ვიოლინოზე დაკვრა) 4</p> <p>FAC20 ქეიფის დროს მაგიდაზე ადის და ცეკვავს 4</p> <p>FAC34 არ გააჩნია ჰობი 4</p>

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე)

ცხრილი 9. IT-ისთვის გამოთვლილი საერთო ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

IT	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები	არადამახასიათებელი ფაქტორები
FAC62 თავისი საქმის პროფესიონალია, რომლიც ორიენტირებულია სიახლეების მოძიებაზე და განვითარებაზე 9	FAC15 იცვავს სმოკინგს 4
FAC68 უპირატესობას ანიჭებს თავისუფალი სტილის ან/და სპორტული სტილის ჩაცმულობას 9	FAC16 მგრძნობიარე ადამიანი, რომელსაც უყვარს ყვავილები (ან შესაძლოა ქსოვა/კერვაც კი) 4
FAC37 ერკვევა ელექტრონიკაში (შეუძლია ხელსაწყოების შეკეთება) 9	FAC20 ქეიფის დროს მაგიდაზე ადის/ცეკვავს 4
FAC67 მისი ინტერესების სფეროში შედის პირველ რიგში კომპიუტერი, შემდეგ რეპი, ელექტრო მუსიკა და ბრეიკდანსი 8	FAC38 თუ დასჭირდა იმუშავეს ძიძად 4
FAC69 სამსახურში ჩვეულებრივ დადის სპორტულებით ან/და შორტებით ჩაცმული 8	FAC 75 აინტერესებს დახვეწილი ეგზოტიკური აქტივობები (აინტერესებს ფიგურული სრიალი; გოლფი; ბალეტი; ეგზოტიკური ცეკვები; ვიოლინო) 4
FAC18 როცა კომპიუტერთან ზის პასიურია და ადგილიდარ არ იძვრის 8	
FAC22 ძმკაცობს და ერთბა ახალგაზრდებთან 8	
FAC48 აქვს საკუთარი სამყარო 8	
FAC 43 შავგვრემანია 8	
FAC 45 არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს 8	

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 10. ლექტორისთვის გამოთვლილი საერთო ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

ლექტორი	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები	არადამახასიათებელი ფაქტორები
<p>FAC61 განათლაბეული და ინტელექტუალური ადამიანი, ანალიტიკური აზროვნებითა და ინტერესებით 9</p> <p>FAC62 თავისი საქმის პროფესიონალია, რომელიც ორიენტირებულია სიახლეების მოძიებაზე და განვითარებაზე 9</p> <p>FAC63 კენტლმენია ქალებთან და გარშემომყოფებთან ურთიერთებაში 9</p> <p>FAC 47 უყვარს ბუნებაში გასვლა დასასვენებლად 9</p> <p>FAC 17 მეოჯახეა 9</p> <p>FAC19 ზრდასრული ადამიანია 36 წელს ზევით 9</p> <p>FAC64 წარმატებული საქმიანი ადამიანია (მაღალი შემოსავლით და პოზიციით) 8</p> <p>FAC71 უყვარს გემრიელად ჭამა 8</p> <p>FAC73 უყვარს ნადირობა და თევზაობა 8</p> <p>FAC5 უყვარს ხელოვნების ფუნდამენტური დარგები - კლასიკური მუსიკა, ფერწერა, პოეზია, ფოტოგრაფია, თეატრი (კარგი შემფასებელია და შესაძლებელია რომელიმეს მისდევდეს კიდევ) 8</p> <p>FAC9 კეთილი ადამიანია 8</p> <p>FAC10 ამაყი ადამიანია, რომელიც ვერ იტანს კრიტიკას 8</p> <p>FAC14 უყვარს ველოსიპედით სეირნობა 8</p> <p>FAC23 ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა 8</p> <p>FAC27 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია 8</p> <p>FAC40 აცვია შავის ფერის ტანსაცმელი 8</p> <p>FAC 33 ყავს შინაური ცხოველები 8</p> <p>FAC 36 დადის კინოთეატრში 8</p> <p>FAC 45 არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს 8</p> <p>FAC 46 არის მეწვრილმანე 8</p>	<p>FAC65 იმდენად დაკავებულია საქმით, რომ დასასვენებისთვის და გართობისთვის დრო არ რჩება 3</p> <p>FAC66 მის ჩაცმულობაში შესაძლებელია რომ ჭარბობდეს ჭრელი ფერის, შემოტკეცილი და ნახატიანი სტილის ტანსაცმელი, რომლისაც უხამებს ეკლებიან სამაჯურსა და პისინგს 3</p> <p>FAC69 სამსახურში ჩვეულებრივ დადის სპორტულებით ან/და შორტებით ჩაცმული 3</p> <p>FAC67 მისი ინტერესების სფეროში შედის პირველ რიგში კომპიუტერი, შემდეგ რეპი, ელექტრომუსიკა და ბრეიკდანსი 4</p> <p>FAC8 ეთაკილება არაპრესტიჟულ სამსახურში მუშაობა 4</p> <p>FAC20 ქეიფის დროს მაგიდაზე ადის/ცეკვავს 4</p> <p>FAC38 თუ დასჭირდა იმუშავეს ძიძად 4</p> <p>FAC 34 არ გააჩნია ჰობი 4</p> <p>FAC 49 შეიძება იმუშაოს ვაჭრობაში 4</p> <p>FAC 75 აინტერესებს დახვეწილი და ექზოტიკური აქტივობები (ფიგურული სრიალი; გოლფი; ბალეტი ეგზოტიკური ცეკვები; ვილინო) 4</p> <p>FAC 76 დაკავებულია ექსტრემალური და ძალისმიერი სპორტით 4</p>

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 11. მზარეულისთვის გამოთვლილი საერთო ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

მზარეული		
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები		არადამახასიათებელი ფაქტორები
<i>FAC 77</i> უყვარს საჭმელების ლამაზად გაფორმება	10	<i>FAC 81</i> იცის იაპონური ენა 4
<i>FAC 14</i> მისი ასაკი არის 51 ზევით	9	<i>FAC 41</i> პოლიტიკაში საქმიანობს 4
<i>FAC 43</i> არის 21 დან 35 წლამდე და ყავს ახალგაზრდა ძმაკაცები	8	<i>FAC 75</i> უყვარს ხელსაქმე 4
<i>FAC 79</i> მისი ასაკია 36 დან 50 წლამდე	9	
<i>FAC 73</i> საკუთარი საქმის პროფესიონალია	9	
<i>FAC 63</i> სახლში სამზარეულოში საქმიანობს	9	
<i>FAC 24</i> უყვარს ხორციანი საჭმელები	9	
<i>FAC 22</i> შემოქმედი ადამიანი რომელიც ეძებს და ქმნის სიახლეებს	9	
<i>FAC 21</i> მსუქანია და აქვს ღიპი	8	
<i>FAC 2</i> წარმატებული და მიზანდასახული ადამიანია, რომელიც მთლიანად ჩაფლულია საქმეში და არ აქვს დრო	8	
<i>FAC 20</i> სახლში აყენებს ღვინოს	8	
<i>FAC 6</i> უყვარს სმა და ქეიფი	8	
<i>FAC 58</i> მკაცრად აკონტროლებს თავის თანამშრომლებს	8	
<i>FAC 18</i> სამსახურში დადის ჯინსებით	8	
<i>FAC 34</i> აქვს დირექტორობის ამბიცია	8	
<i>FAC 38</i> სურივილი აქვს სწრაფად იშოვოს ბევრი ფული	8	
<i>FAC 55</i> არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	8	
<i>FAC 45</i> მუშაობის დროს ოფლიანობს	8	
<i>FAC 7</i> მეოჯახეა, რომელსაც ასევე ძალიან უყვარს მეგობრები	8	
<i>FAC 70</i> სურს რომ ყავდეს რეალიზებული და წარმატებული ცოლი	8	
<i>FAC 66</i> კულტურული ადამიანია	8	

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 12. ტკვ-თვის გამოთვლილი საერთო ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

ტკვ	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები	არადამახასიათებელი ფაქტორები
FAC70 უყვარს სმა და ქეიფი 10	FAC38 თუ დასჭირდა იმუშავებს ძიძად 3
FAC71 უყვარს გემრიელად ჭამა 9	FAC 75 აინტერესებს დახვეწილი და ეგზოტიკური აქტივობები (ფიგურული სრიალი გოლფი; ალპინიზმი; წყლის თხილამურები; ბალეტი; ეგზოტიკური ცეკვები; ვიოლინო) 3
FAC72 ტრადიციული ადამიანი, რომელსაც უყვარს ხალხური მუსიკა 9	
FAC73 უყვარს ნადირობა და თევზაობა 9	
FAC74 თამაშობს ნარდს 9	
FAC7 მექალთანეა 9	
FAC10 ამაყი ადამიანია, რომელიც ვერ იტანს კრიტიკას 9	FAC66 მის ჩაცმულობაში შესაძლებელია რომ ჭარბობდეს ჭრელი ფერის, შემოტკეცილი და ნახატიანი სტილის ტანსაცმელი, რომელსაც უხამებს ეკლებიან სამაჯურსა და პისინგს 4
FAC19 ზრდასრული ადამიანია 36 წელს ზევით 9	FAC6 უყვარს სამზარეულოში ტრიალი და სახლში დიასახლისის დახმარება 4
FAC22 მძაკაცობს და ერთობა ახალგაზრდებთან 9	FAC15 იცვავს სმოკინგს 4
FAC23 ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა 9	FAC16 მგრძნობიარე ადამიანი, რომელსაც უყვარს ყვავილები (ან შესაძლოა ქსოვა/კერვაც კი) 4
FAC27 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია 9	
FAC40 აცვია შავის ფერის ტანსაცმელი 9	
FAC 45 არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს 9	
FAC 60 აქვს ხშირი თმა 9	
FAC9 კეთილი ადამიანია 8	
FAC11 მუდამ უკმაყოფილოა სიტუაციით/გარემოთი 8	
FAC18 როცა კომპიუტერთან ზის პასიურია და ადგილიდან არ იძვრის 8	
FAC37 ერკვევა ელექტრონიკაში (შეუძლია ხელსაწყოების შეკეთება) 8	
FAC47 უყვარს ბუნებაში გასვლა დასასვენებლად 8	
FAC 21 საქმის კეთებიდ დროს დროში ვერ ეტება, სულ რაღაც უგვიანდება 8	
FAC 28 აქვს კეხიანი ცხვირი 8	
FAC 30 მელოტია 8	
FAC 43 შავგვრემანია 8	
FAC 49 შეიძლება იმუშავოს ვაჭრობაში 8	
FAC 53 იმპულსური ადამიანია 8	

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

გ) საერთო ფაქტორების გარდა, როგორც უკვე ვთქვით, ტიპაჟების დახასიათება მოხდა კონკრეტულად მათთვის გამოთვლილი ფაქტორების დახმარებით. ქვევით წარმოდგენილია თითოეული ტიპაჟისთვის ინდივიდუალურად გამოთვლილი ფაქტორები. წარმოდგენილია მხოლოდ ძლიერ დამახასიათებელი და არადამახასიათებელი ფაქტორები(თითოეულს მითითებული აქვს საშუალო სკალური ქულა (ინდექსი))²¹.

ცხრილი 13. ექიმისთვის გამოთვლილი ინდივიდუალური ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

ექიმი	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები (სტერეოტიპული)	არადამახასიათებელი ფაქტორები (ინდივიდუალური)
-ასაკით არის 36 წლიდან 50 წლამდე 10	-არის მგრძნობიარე ადამიანი, რომელიც დაკავებულია ფიგურული სრიალით , ვიოლინოზე დაკვრით,ანდა ხელსაქმით3
-ინტერესებს ბილოგია ან ბოტანიკა10	-უყვარს კომპიუტერთან ჯდომა (დაინტერესებულია და სულ კომპიუტერთან ზის)
-ოჯახში ფინანსრუად მთავარი შემომტანია 10	-ძირითადად მუშაობს სახლში ან სახლიდან 3
-ინტელექტუალური მეგობრები ყავს 10	
-გამუდმებით იბანს ხელებს 10	
-განათლებული ადამიანია, ანალიტიკური აზროვნებით 10	
-ასაკიანი ადამიანი 51 წელს ზევით 9	-არ თაკილობს დაბალპრესტიჟულ სამსახურში მუშაობას (ფიზიკურად, მიმტანად, მექანიკოსად, დისტრიბუციაში და ა.შ) 4
-მეოჯახეა 9	-საქმის კეთება უყვარს თავის გარემოში, მუსიკის თანხლებით ან/და ჩაბნელებულ ოთახში 4
-დაოჯახებულია 9	-თუ დასჭირდა იმუშავებს მიძად 4
-შესაძლებელია მოღვაწეობდეს აკადემიურ სფეროში 9	-ადრეულ ასაკში ქორწინდება 4
-გართობისთვის და დასვენებისთვის დრო არ რჩება 9	-მშობლებზე დამოკიდებული ადამიანია 4
-პოლიტიკაში საქმიანობს 9	-შეიძლება დაკავებული იყოს სპორტის ისეთი სახეობებით, როგორცაა ალპინიზმი, ბოქსი, კარატე, პეინტბოლი, ანდა წყლის თხილამურები 4
-წარმატებული პროფესიონალი და ჭკვიანი ადამიანი 9	-თამაშობს რაგბის 4
-ხელებს მოქნილად იყენებს 9	-არის მემამოხე ტიპი ჩამცულობითა და საქციელით/ სხვებისგან განსხვავებულად იცვავს (გავს ჰიპის/ ზაიკერს) 4
-აქვს ჭაღარა თმა ან საერთოდ მელოტია 8	- იყენებს ნარკოტიკულ საშუალებებს 4
-ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა (მეზოვე, დამლაგებელი) 8	
-მუშაობს მამასთან ან აგრძელებს მის საქმეს 8	
-აქვს საოფისე სამსახური 8	

²¹ფაქტორული ანალიზის შედეგად, ინდივიდუალურად გამოთვლილი ფაქტორები, თითოეული ტიპაჟისთვის შეგიძლიათ იხილოთ დანართში C, ცხრილი C3- C7.

-ინტერესებს გეოგრაფია და ისტორია	8
-ერკვევა ტექნიკურ საგნებში	8
-სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლიდერია	8
-არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	8
-უყვარს ძალაუფლების დემონსტრირება	8
-უყვარს დალევა და ქეიფი	8
-აქვს იუმორის გრძნობა	8

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 14. IT-თვის გამოთვლილი ინდივიდუალური ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

IT			
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები (სტერეოტიპული)	არადამახასიათებელი ფაქტორები (ინდივიდუალური)		
-არის 21- 35 წლამდე	10	-უყვარს ხელსაქმე	3
-აქვს ყველაზე თანამედროვე კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	10	-სენტემენტალური და მგრძობიარეა, აფასებს სილამაზეს, ამიტომ უყვარს სპორტის ლამაზი სახეობები, ყვავილები, ვიოლონო და ა.შ. (უვლის ოთახის მცენარეებს; უყვარს ყვავილები; აინტერესებს ფიგურული სრიალი; გატაცებულია ოპერით; ბალეტის მოყვარულია; უყვარს ეგზოტიკური ცეკვები; უკრავს ვიოლინოზე)	4
-აქტიურად არის სოციალურ ქსელში	10	-იცის იაპონური ენა	4
-აქვს დატვირთული სამუშაო გრაფიკი	9		
-უყვარს სპორტული ფეხსაცმელების და ნახტიანი მაისურების ჩაცმა	9		
-ერკვევა ელექტრონიკაში	9		
-მთელს დროს კომპიუტერთან ატარებს	9		
-შემოქმედებითი ადამიანია რომელიც ორიენტირებულია სიახლეების მოძიებასა და შექმნაზე	9		
-ნიჭიერი და წარმატებულია ადამიანი თავის საქმეში	9		
-შავგვრემანია	8		
-შარვალზე აქვს მიმაგრებული ფლეშკა	8		
-ძმაცაცობს და ერთობა ახალგაზრდებთან ერთად	8		
-ჯენტლმენია ქალებთან და ცოლთან ურთიერთობაში	8		
-არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	8		
-აქვს დირექტორობის ამბიციცა	8		
-სურვილი აქვს სწრაფად იმოგოს ბევრი ფული	8		

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 15. ლექტორისთვის გამოთვლილი ინდივიდუალური ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

ლექტორი	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები (სტერეოტიპული)	არადამახასიათებელი ფაქტორები (ინდივიდუალური)
-ასაკი 51-60 10	-მეამბოხე ტიპია, რომელიც იცვავს სპორტულად ან როგორც ჰიპი (აქვს სპორტული სტილის ჩაცმულობა, იცვავს წითელი ფერის შარვალს, აცვია ჩაჩები, აცვია მისური რომელსაც ახატია სენტიმენტალური ნახატი. ჩაცმულობით ბმავს ჰიპს, უკეთია ეკლებიანი სამაჯური, აქვსპირსინგი, თავზე წაკრული აქვს თავსაფარი/ბენდენა) 3
-ასაკი 35-50 10	-სამსახურში დადის კეპითა და შორტებით ჩაცმული 3
-გარეგნულად მუდამ მოწესრიგებულია 10	
-სერიოზული ადამიანია 10	
-ინტელექტუალური მეგობრები ყავს 10	
-დაოჯახებულია 9	
-აქვს დატვირთული სამუშაო გრაფიკი 9	
-კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას 9	
-აინტერესებს გეოგრაფია / ისტორია 9	
-არის 60 წელს გადაცილებული, მეწვრილმანე-ადამიანი 8	-ავცია შემოტკეცილი ჯინსები 4
-კეთილი ადამიანია 8	-არ გააჩნია ჰობი 4
-უყვარს ცხოველები 8	-მისი ინტერესების სფეროში შედის აქტიურის პორტი, კომპიუტერი და საქმელი 4
-უყვარს ძალაუფლების-დემონსტრირება 8	-ეგზოტიკურ ცეკვებთან ერთად, უყვარს აქტიური მუსიკა და სპორტი (თამაშობს ბოულლინგს; უსმენს როკ მუსიკას; გატაცებულია რეპით; უყვარს ბრეიკდანსის ცეკვები; უყვარს ეგზოტიკური ცეკვები; უსმენს კლუბურ ან ელექტრონულ მუსიკას) 4
-უყვარს სისუფთავე 8	-მგრძნობიარე სულის ადამიანია, რომელიც დაკავებულია ფიგურული სრიალით ანდა ხელსაქმით 4
-ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა 8	-საქმის კეთება უყვარს თავის გარემოში, მუსკის-თანხლებითან/დაჩაბნელებულ ოთახში 4
-აქვს საოფისე სამსახური 8	
-სამსხურის გამო, გართობასა და დასვენებისთვის ვერ იცლის 8	
-არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს 8	
-სამსახურში უკავია მაღალი პოზიცია 8	
-შეიძლება იმუშავოს ფსიქოლოგად 8	
-ძლიერ უყვარს კლასიკური და ჯაზმუსიკა, და ხელოვნების სხვა ფუნდამენტური დარგებიც 8	
-აინტერესებს რელიგია, ასტროლოგია ან/და მისტიკური თემები 8	-შეიძლება იმუშავოს ვაჭრობაში 4
-დაინტერესებულია პოლიტიკით 8	-თუ დასჭირდება იმუშავებს ძიხად 4
-ერკვევა ბიოლოგია/ბოტანიკაში და ტექნიკურ საგნებში 8	-თავისი საქციელით მკვეთრად იხრება საზოგადოებრივი ნორმებისაგან (ნარკოტიკები, ტრანსექსუალიზმი) 4
-უყვარს დალევა და ქეიფი 8	
-ეწევა სიგარეტს 8	

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 16. მზარეულისთვის გამოთვლილი ინდივიდუალური ფაქტორები (საშუალო ქულებთან ერთად)

მზარეული	
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები (სტერეოტიპული)	არადამახასიათებელი ფაქტორები (ინდივიდუალური)
-უყვარს საჭმელების ლამაზად გაფორმება 10	-იცის იაპონური ენა 4
-მისი ასაკი არის 51 ზევით 9	-პოლიტიკაში საქმიანობს 4
-მისი ასაკია 36 დან 50 წლამდე 9	-უყვარს ხელსაქმე 4
-საკუთარი საქმის პროფესიონალია 9	
-შემოქმედი ადამიანი რომელიც ეძებს და ქმნის სიახლეებს 9	
-სახლში სამზარეულოში საქმიანობს 9	
-უყვარს ხორციანი საჭმელები 9	
-არის 21 დან 35 წლის და ახალგაზრდა ძმკაცები ყავს 8	
-მსუქანია და აქვს ღიპი 8	
-წარმატებული და მიზანდასახული ადამიანია, რომელიც მთლიანად ჩაფლულია საქმეში და არ აქვს დრო 8	
-სახლში აყენებს ღვინოს 8	
-უყვარს სმა და ქეიფი 8	
-მკაცრად აკონტროლებს თავის თანამშრომლებს 8	
-სამსახურში დადის ჯინსებით 8	
-აქვს დირექტორობის ამბიცია 8	
-სურვილი აქვს სწრაფად იშოვოს ბევრი ფული 8	
-არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს 8	
-მუშაობის დროს ოფლიანობს 8	
-მეოჯახეა, რომელსაც ასევე ძალიან უყვარს მეგობრები 8	
-სურს რომ ყავდეს რეალიზებული და წარმატებული ცოლი 8	
-კულტურული ადამიანია 8	

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

ცხრილი 17. ტკ-თვის გამოთვლილი ინდივიდუალური ფაქტორები (საშუალო ქულებით)

ტკ		
ძლიერ დამახასიათებელი ფაქტორები (სტერეოტიპული)		არადამახასიათებელი ფაქტორები (ინდივიდუალური)
-უყვარს ძღაუფლების დემონსტრირება	10	-აქვს ჰიპისმაგვარი ჩაცმულობა, პირსინგითა და ეკლებიანი სამაჯურით 3 -ტრანსექსუალია 3 -შარვალზე აქვს მიმაგრებული ფლეშკა 4 -უყვარს ხატვა და კლასიკური მუსიკა, ასევე, ჯაზიც. შესაძლოა თავად უკრავდეს ვიოლონოზე ან პიანინოზე 4 -შიიძლება იმუშავოს ფსიქოლოგად 4
-არის 21 -60 წლის	9	
-არ უყვარს როცა მასზე ვინე უფროსობს	9	
-აკრიტიკებს მთავრობას	9	
-ამაყია	9	
-პატრიოტი ადამიანია	9	
-უყვარს ნადირობა და თევზაობა	9	
-უყვარს სპორტი	9	
-უსმენს ქლავურ მუსიკას	9	
-ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა (მეეზოვე, მენაგვე)	9	
-არის ტრაბახა 60 წელს გადაციელებული ადამიანი, რომლიც შეიღობება მუშაობდეს პოლიციელად	8	
-აქვს ხშირი თმა	8	
-ატარებს წვერს	8	
-შავგვრემანია	8	
-მექალთანია	8	
-ადრეულ ასაკში ქორწინდება	8	
-არ ეთაკილება ისეთ სამსახურში მუშაობა, სადაც საჭიროა ფიზიკური შრომა	8	
-მუშაობს მამასთან ან აგრძელებს მის საქმეს	8	
-მკაცრია	8	
-ჯიუტი და ბუზლუნა ხასიათის ადამიანია	8	
-სერიოზული გამომატყველება აქვს	8	
-იმპულსური ადამიანია	8	
-ჭორაობს	8	
-უხეშია ურთიერთობაში	8	
-კომპლექსიანი ადამიანია	8	
-კომუნიკაბელური ადამიანი რომელსც უყვარს ბავშვები	8	
-აკრიტიკებს ტრადიციებს და ახლებურად იზრებს მათ	8	
-უყვარ დაღვეა და ქეიფი	8	
-ყავს და უყვარს ცხოველები	8	
-უყვარს ბუნებაში გასვლა დასასვენებლად	8	
-უყვარს ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობა	8	
-ერკვევა ელექტორნიკაში	8	

შენიშვნა: ცხრილში, მახასიათებლებთან ერთად მოცემულია თითოეული ფაქტორის საშუალო სკალური შეფასება (თითოეული ფაქტორის სკალური შეფასება გამოთვლილია, ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრების საშუალო შეფასებების საფუძველზე).

დასკვნა

ჩანს, რომ **მზარეულთან** დაკავშირებით ვერ მივიღეთ ისეთი მრავალფეროვანი ინდივიდუალური ინფორმაცია, როგორც ეს მოხდა სხვა ტიპაჟებთან. ეს შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ მზარეულის ტიპაჟი სხვებისგან განსხვავებით უფრო მრავალფეროვანი ინტერესების მქონე ინდივიდია, რომელ შესახებაც სტერეოტიპულ წარმოდგენაში ჯდება უფრო მეტი საქმიანობა და ქცევა. რადგან ის ინდივიდუალური ინფორმაცია, რომლითაც დახასიათდა მზარეული ძალიან მწირია, *(იცის იაპონური ენა, პოლიტიკაში საქმიანობს, უყვარს ხელსაქმე)* მოხდა მისი ამოღება სამომავლო კვლევის გეგმიდან. ამოღება იმ მიზეზითაც განხორციელდა, რომ მზარეულის ინდივიდუალური ფოტოსთვის ვერ შევარჩიეთ ისეთი ქცევა, რომლის გადმოცემაც მკაფიოდ მოხერხდებოდა ფოტოზე, ასევე, რომლის გამოსახვაც ტენიკურად მარტივი შესასრულებელი იქნება ფოტოშოფის პროგრამაში.

რაც შეეხება დანარჩენ ტიპაჟებს, მათზე გაგრძელდა მუშაობა. კერძოს კი, თითოეული ტიპაჟის **მაღალქულიანი ფაქტორების** გამოყენება მოხდა სტერეოტიპული ინფორმაციის სახით. **დაბალქულიანი ფაქტორების** გამოყენება მოხდება ინდივიდუალური ინფორმაციის სახით, ხოლო **შუალედური ფაქტორების გამოყენება** არ მოხდება არც ერთი ფოტოში. შუალედური ფაქტორები ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც საერთოდ არ გადმოსცემენ ტიპაჟის ხასიათს, მის სპეციფიკურ მახასიათებლებს - *სტერეოტიპულად ტიპიურ ან სტერეოტიპულად გამომრიცხავ მახასიათებლებს*. ამიტომ ჩავთვალეთ, რომ მათი გამოყენება არაეფექტური იქნებოდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე - ფოტოების ფორმირების დროს მოხდა მათგან თავის არიდება.

გამოყოფილი ფაქტორების გათვალისწინებით შეიქმნება არამარტო ფოტოები, არამედ ექსპერიმენტში მონაწილეებისგან მიღებული შთაბეჭდილებების **გასაზომი მახასიათებელთა სკალაც**, რომელშიც მიღებული შთაბეჭდილება გაიზომება გააქტიურებული სტერეოტიპული და ქცევით ასოციაციების შეფასების დახმარებით (აღნიშნული ეტაპი განხილულ იქნება ქვევით).

4.4 IV ეტაპი

ფოტოების შექმნის ეტაპი

თითოეულ ტიპაჟთან დაკავშირებით, სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის მოპოვების შემდეგ დაიწყო ფოტოებზე მუშაობის პროცესი. ეს პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- შეიქმნა 12 ფოტო - თითოეულ ტიპაჟისთვის შეიქმნა სამი ფოტო²² - ერთი სტერეოტიპული, ერთი ინდივიდუალური და ერთი შერეული ფოტო.

შეგახსენებთ, რომ ფოტოებზე მუშაობის პროცესში გადაწყდა მზარეულის ტიპაჟის ამოღება. ამის მიზეზი არის ა) მზარეულის სტერეოტიპთან დაკავშირებული ინდივიდუალური ინფორმაციის სიმწირე, რის გამო გაგვიჭირდა ისეთი მაინდივიდუალიზირებული ქცევის შერჩევა რომლის გამოსახვად ტექნიკურად მოსახერხებელი და მკაფიო იქნებოდა ფოტოში, ბ) მზარეულის შესაფერისი ფიგურის პოვნის სირთულე.

- განხორციელდა შექმნილი ფოტოების პილოტაჟი

²² რატომ შეიქმნა თითოეული ტიპაჟისთვის სამი ფოტო? - შეგახსენებთ, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილია 5 ექსპერიმენტული პირობის ჩატარება თითოეულ სტერეოტიპულ თემაზე, თითოეული ტიპაჟისთვის შეიქმნა 3 და არა 5 ფოტო. ეს იმიტომ, რომ კვლევის მიზნიდან გამომდინარე ვარიირებას განიცდის არა ინფორმაცია, არამედ ამ ინფორმაციის მიწოდების რიგი. შესაბამისად სხვადასხვა რიგის ექსპერიმენტულ პირობაში (N2 და 4) მიეწოდება აბსოლუტურად ერთ და იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალისტური ინფორმაცია, მაგრამ განსხვავებული რიგით. აქედან გამომდინარე, ის სტერეოტიპული ინფორმაცია, რომელიც გამოყენებულია მხოლოდ სტერეოტიპულ პირობაში (N1) და ის ინდივიდუალისტური ინფორმაცია, რომელიც გამოყენებული იქნა მხოლოდ ინდივიდუალისტური პირობაში (N5), ასევე გამოყენებულ იქნება ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში (N2 და 4), უბრალო სხვადასხვა რიგით. გამოდის, რომ საჭიროა შეიქმნას **ორი ძირითადი ფოტო - სტერეოტიპული ფოტო და ინდივიდუალისტური ფოტო.**

რაც შეეხება N3 პირობას, ამ შემთხვევაში კვლავ იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალისტური ინფორმაცია მიწოდებულია პარალელურად-ერთდროულად. პარალელური მიწოდების განხორციელება დაგეგმილი არა ორი დამოუკიდებელი ფოტოს სახით, არამედ ერთი ფოტოს სახით - ამ ფოტოში მოხდება სტერეოტიპულ ფოტოში გადმოცემული სტერეოტიპული ინფორმაციის და ინდივიდუალისტურ ფოტოში გამოსახული ქცევითი ინფორმაციის გაერთიანება ერთი ფოტოს ფარგლებში. გამოდის, რომ N3 შერეული პირობისთვის **ცალკე ფოტოს შექმნა საჭირო** - სადაც იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალისტური ინფორმაცია მოწოდებული იქნება ერთად.

- პილოტაჟის მონაცემების შედეგად განხორციელდა შექმნილი ფოტოების ჩასწორება

ა) ინფორმაციის შერჩევის პროცედურა, ფოტოების შექმნის მიზნით.

ფოტოების შექმნის მიზნით წინასწარ შეიქმნა სცენარები, რომელშიც თითოეული ტიპაჟის სამივე ფოტოსთვის განისაზღვრა სამი რამ ა) ფიგურის მახასიათებლები, ბ) ფონის მახასიათებლები, ვ) ქცევა.

ფიგურა - ადამიანი, რომელიც გამოსახული ფოტოზე. აქ მნიშვნელოვანია ისეთ დეტალების განსაზღვრა როგორც არის ფიგურის ჩაცმულობა და აღნაგობა.

ფონი - გარემო, რომელშიც იმყოფება ფიგურა. იგულისხმება - ადგილის შერჩევა, ინტერიერის განსაზღვრა, სხვა დეტალების (ნივთების) შერჩევა (მაგ: ნივთები მაგიდაზე ან კედელზე)

ქცევა - ქცევა რომელსაც ასრულებს გამოსახული ფიგურა

ფიგურა: თითოეული სტერეოტიპული თემისთვის შექმნილ სამივე ფოტოზე გამოყვანილია ერთი და იგივე ფიგურა-ინდივიდი. ექიმის ერთ და იგივე ფიგურის ირგვლივ შეიქმნა ექიმის სამი ფოტო. ასევე IT-ის ერთი და იგივე ფიგურის ირგვლივ შეიქმნა IT -ის სამი ფოტო და ასე შემდეგ. ამრიგად, სტერეოტიპული თემები ერთმანეთისგან განსხვავდება ფოტოზე გამოყვანილი ფიგურის მიხედვით, თუმცა თითოეული თემის შიგნით, სამივე ფოტოზე ერთ და იგივე ინდივიდი გამოსახული.

ჩვენი კვლევის მიზანი, ხომ სწორედ ისაა რომ გავიგოთ, თუ რა გავლენას მოახდენს ერთი და იგივე ინდივიდის შესახებ, ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდება.

თითოეული ტიპაჟის სამივე ფოტოს შექმნა მოხდა იმ დახასიათებაზე და მახასიათებლებზე დაყრდნობით, რომელიც მივიღეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიდან. რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიდან, სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოებში ვიზუალური გამოსახვის მიზნით, მახასიათებლები ძირითადად ამორჩეულ იქნა ტიპაჟებისთვის ინდივიდუალურად გამოთვლილი ფაქტორებიდან. თუმცა გამოყენებულ იქნა მახასიათებლები საერთო ფაქტორების სიიდანაც.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიდან, მახასიათებლები, ფოტოში გამოყენების მიზნით, ამორჩეულ იქნა შემდეგი ორი კრიტერიუმით:

1) სკალური შეფასება რომელიც მახასიათებელმა მიიღო რაოდენობრივ კვლევაში 11 ბალანი შეფასების სკალის მიხედვით:

- **სტერეოტიპული ინფორმაციისთვის** ამოღებულ იქნა მახასიათებლები, რომლებიც 11 ბალიანი შეფასების სკალაზე შევასდა **8-11 ქულით** (ანუ მახასიათებლები, რომლებიც ტიპაჟისთვის დამახასიათებელი და ძლიერ დამახასიათებელი აღქმოჩნდა).
- **ინდივიდუაციური ინფორმაციისთვის** ამორჩეულ იქნა ის მახასიათებლები, რომლებიც მოცემულ სტერეოტიპულ ტიპაჟს ძლიერ არ ახასიათებს - მახასიათებელი, რომელიც შეფასებულია **1-4 ქულით**

მახასიათებლების ამორჩევა, მოხდა ფოკუს ჯგუფში მიღებული დახასიათებებიდანაც.

<ul style="list-style-type: none"> - სტერეოტიპულ ფოტოში გამოყენებულ იქნა სტერეოტიპული მახასიათებლები (ფონისთვის, ფიგურისთვის და ქცევისთვის) - ინდივიდუაციურ ფოტოში გამოყენებულ იქნა ინდივიდუაციური ქცევითი მახასიათებელი. ხოლო ფონის და ფიგურის მახასიათებლებად შერჩეულ იქნა ნეიტრალური მნიშვნელობის შინაარსები, ისეთები რომლებიც არ იწვევენ რომელიმე სტერეოტიპული კატეგორიის გააქტიურებას. - შერეულ ფოტოში მოხდა სტერეოტიპულ და ინდივიდუაციურ ფოტოში გამოყენებული მახასიათებლების განმეორება

1) მახასიათებლის გამოსახვის სიმარტივე

სტერეოტიპული და ინდივიდუაციური მახასიათებლების შერჩევის დროს, ასევე გავითვალისწინეთ ის, თუ რამდენად მარტივი იქნებოდა ჩვენთვის საინტერესო დაბალ თუ მაღალქულიანი მახასიათებლების ტექნიკური გამოსახვა ფოტოში.

2) ინდივიდუაციური ინფორმაციის მკაფიოდ გადმოცემის მიზნით, ზოგ ტიპაჟთან ერთოულად გამოყენებულ იქნა ინდივიდუაციური მახასიათებლის რამდენიმე ქცევითი გამოვლინება *(მაგ: ექიმი, რომელსაც უყვარს კომპიუტერული თამაშების თამაში და რომელიც, იმდენად ჩართულია მასში, რომ ზის მოუწესრიგებელ ოთახში; IT - რომელსაც უყვარს ოპერა, ბალეტი და ამავე დროს ოთახის ყვავილები; ლექტორის, რომელიც ატარებს არამარტო ეკლებიან სამაჯურს, არამედ ტატუსაც).* (დაწვრილებით იხილეთ ქვევით)²³

ინდივიდუაციური მახასიათებლის გადმოცემის მიზნით, რამდენი ქცევითი გამოვლინების გამოყენება განპირობებულია ჩვენი მიზნით, რომ ინდივიდუაციურმა ფოტომ აღმქმელში შეექმნას სტაბილური მახასიათებლის შთაბეჭდილება და არა იმ ქცევის შთაბეჭდილება, რომელსაც ფოტოზე გამოსახული ფიგურა ერთხელობრივად ასრულებს. ამის გარდა, რამდენიმე ქცევის გამოსახვა ფოტოზე, ხელს უწყებს

²³ასევე იხილეთ კვლევის V ეტაპი

გამოსახული ინდივიდუალური ინფორმაციის მკაფიოდ გადმოცემას. მკაფიო და არაორაზროვანი გადმოცემა, კი ძლიერ მნიშვნელოვანი ფაქტორია ინდივიდუალური ინფორმაციის ინტერპრეტაციის პროცესში (Kunda & Sherman-Williams, 1993; Kunda & Thagard, 1996).

ექიმისთვის ამორჩეული მახასიათებლები

ექიმის სტეროტიპულ თემად (სცენარისთვის და შესაბამისად ფოტოსთვის) არჩეულ იქნა, *მოწესრიგებული და სამუშაო ფორმაში გამოწყობილი ექიმი*, რომელიც არის სამუშაო გარემოში. მოცემული თემის ვიზუალიზაციის მიზნით შერჩეულ იქნა შემდეგი მახასიათებლები:

- აქვს ჭაღარა თმა ან საერთოდ მელოტია (8ქულა)
- ასაკით არის 36 - 50 წლამდე (10ქულა)
- აცვია სპეციალური ფორმა (სხვადასხვა ფერის შარვალი, და ზედა, თეთრი ხალათი და ქუდი, ბახილები)(*ფოკუს ჯგუფიდან*)
- მოწესრიგებული (სუფთა მოვლილი) (*ფოკუს ჯგუფიდან*)
- იძლევა კონსულტაციებს (ფ.ჯ)
- მოწესრიგებული (სუფთა) (ფ.ჯ)
- მაგიდაზე დევს პრეპარატები, ბუკლეტები, ფურცელები, კალმები, აპარატურა, რეცეფტები, სავიზიტო ბარათი და ავადმყოფი საქმეები. (ფ.ჯ)
- ზის ნათელ ოთახში (თეთრი ოთახი) აქვს ფონეიდოსკოპი (ფ.ჯ)

ექიმის ინდივიდუალური სცენარი და ფოტო შეიქმნა *კომპიუტერული თამაშებით გატაცების ქცევის ირგვით* (ძირითადი ინდივიდუალისტური ინფორმაცია) და ასევე, *სიბინძურე/უწესრიგობის თვისების ირგვლივ* (დამატებით ქცევითი ინფორმაცია, რომელიც აძლიერებს ინდივიდუალური ინფორმაციის გადმოცემას).

მოცემული თემის გადმოსაცემად გამოყენებულ იქნა შემდეგი მახასიათებლები:

- უყვარს კომპიუტერთან ჯდომა (3ქულა)
- სამუშაო ადგილი უსუფთაო და მოუწესრიგებელი აქვს (3ქულა)
- „წარმოდგენელია ბინძური“ და „მოუვლელი“ კაცი ექიმი (ფოკუს ჯგუფიდან)

IT-ისთვის ამორჩეული მახასიათებლები

IT-ის სტერეოტიპული თემა -IT *კომპიუტერებით და ნაწილებით სავსე ოთახში, მუშაობის პროცესში.* მოცემული თემის გადმოსაცემად შეირჩა შემდეგი სტერეოტიპული მახასიათებლები:

- ინტერესების სფეროში შედის პირველ რიგში კომპიუტერი, შემდეგ რეპი, ელექტრომუსიკა და ბრეიკდანსი (8ქულა)
- უპირატესობას ანიჭებს თავისუფალი სტილის ან/და სპორტული სტილის ჩაცმულობას (9ქულა)
- ერკვევა ელექტრონიკაში (შეუძლია ხელსაწყოების შეკეთება) (9ქულა)
- არის 21- 35 წლამდე (10 ქულა)
- ერკვევა ელექტრონიკაში (9ქულა)
- აქვს ყველაზე თანამედროვე კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები (10ქულა)
- კომპიუტერები – ტექნიკა არის ის ნივთები, რომელიც მას აქვს (ფ.ჯ)
- იცვავს ჯინსებს (ფ.ჯ)
- აქვს თავისუფალი სტილის ჩაცმულობა (ფ.ჯ)
- მუშაობს კომპიუტერების გარემოში (ფ.ჯ)
- „ოთახი და მაგიდა მუდამ არეულია“ და სავსეა კომპიუტერული ნივთებით (ფ.ჯ)

IT-ის ინდივიდუალური თემად შეირჩა - *მგრძნობიარე ადამიანი (ძირითადი ინდივიდუალური ინფორმაცია), რომელსაც უყვარს კლასიკური მუსიკა და ოთახის მცენარეები (ძირითადი ინდივიდუალური ინფორმაციის ორნაირი გამოხატულება).*

- მგრძნობიარე ადამიანი, რომელსაც უყვარს ყვავილები(ან შესაძლოა ქსოვა/კერვაც კი) (4 ქულა (ინდივიდუალურად გამოთვლილი ფაქტორებიდან))
- სენტიმენტალური და მგრძნობიარე- აფასებს სილამაზეს, ამიტომ უყვარს სპორტის ლამაზი სახეობები, ყვავილები, ვიოლონო და ა.შ. (3ქულა (საერთო ფაქტორებიდან))
- არ აინტერესებს ბალეტი და თეატრი, ქართული ცეკვები, ლიტერატურა, ოპერა, კლასიკური მუსიკა (ფ.ჯ)
- ბალეტის მოყვარულია (4ქულა)
- გატაცებულია ოპერით (4ქულა)

შენიშვნა:

- მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ **IT-ისთვის** შერჩეული ორივე ტიპის ინდივიდუალური ქცევა - ოპერა-ბალეტის სიყვარული და ოთახის მცენარეების სიყვარული (მოვლა) - წარმოადგენს ერთ საერთო ფაქტორში შემავალ ორ ქცევით გამოვლინებას. ამ ფაქტორს პირობითად “ მგრძნობიარე ადამიანი“-ის მახასიათებელი ვუწოდეთ (ადამიანი, რომელიც დაინტერესებულია სპორტისა თუ ხელოვნების დახვეწილი და ესთეტიკური სახეობებით). მოცემულ ფაქტორში შევიდა სხვა მრავალი ქცევით გამოვლინებაც, თუმცა მისგან შეირჩა მხოლოდ ის ქცევით მახასიათებლები, რომელიც ტექნიკურად ადვილად გამოისახებოდა ფოტოზე.

„სენტიმენტალური და მგრძნობიარე ადამიანი, რომელიც აფასებს სილამაზეს, ამიტომ უყვარს სპორტის ლამაზი სახეობები, ყვავილები, ვიოლინო და ა.შ.“ (ამ ფაქტორში შემავალი პარამეტრებია - უვლის ოთახის მცენარეებს; უყვარს ყვავილები; აინტერესებს ფიგურული სრიალი; დაკავებულია ფიგურული სრიალით; გატაცებულია ოპერით; ბალეტის მოყვარულია; უყვარს ეგზოტიკური ცეკვები; უკრავს ვიოლინოზე).

IT-ისგან განსხვავებით, **ექიმის** შემთხვევაში გამოყენებულ იქნა არა ერთი ფაქტორის სახით გაერთიანებული ორი ინდივიდუალური ქცევა, არამედ ორი დამოუკიდებელი ქცევა - კომპიუტერული თამაშებით გატაცება და მოუწესრიგებლობა/არაპიციენურობა. ამ ორი ქცევიდან **კომპიუტერებით დაინტერესების მახასიათებელი** გამოიყო როგორც ცალკე ფაქტორი, ხოლო **მოუწესრიგებლობა/არაპიციენურობის მახასიათებელი** ამორჩეულ იქნა ყველაზე არადამახასიათებელი პარამეტრების (ცალკეული დებულებების) სიიდან.

ფაქტორი - *„უყვარს კომპიუტერთან ჯდომა“ (რომელშიც შედის შემდეგი პარამეტრები - ძლიერ დაინტერესებულია კომპიუტერით; მისი ინტერესების სფერო შემოიფარგლება მხოლოდ კომპიუტერით; მთელი ღამე კომპიუტერთან ათენებს, ხოლო დღისით სძინავს)*

ცალკეული პარამეტრი - *უყვარს სისუფთავე (10 ქულიანი სკალური შეფასება); სამუშაო ადგილი უსუფთაო და მოუწესრიგებელი აქვს (3 ქულიანი შეფასებით შეფასების სკალაზე).*

ლექტორისთვის ამორჩეული მახასიათებლები

ლექტორის სტერეოტიპულ თემად შეირჩა **-ლექციის ჩატარების პროცესი და აუდიტორია, რომელშიც არის დაფა და არიან ახალგაზრდები, რომლებიც უსმენენ ლექციას.** ამ სცენარის გადმოსაცემად დავეყრდენით ლექტორის შემდეგ მახასიათებლებს:

- ასაკი 35-50 (10ქულა)
- გარეგნულად მუდამ მოწესრიგებულია (10ქულა)
- ცოდნას უზიარებს სხვებს (ფოკუს ჯგუფი)
- მუშაობს უნივერსიტეტში(ფ. ჯ.)
- აქვს საკანცელარიო ნივთები(ფ. ჯ.)
- უყვარს თავისუფალი სტილის ჩაცმულობაც- ჯინსები, მაისური(ფ. ჯ.)
- არაგამომწვევად აცვია (ფ. ჯ.)
- ხელში ლექტორს უჭრავთ პაპკა და წიგნები(ფ. ჯ.)

- ბევრს საუბრობს ლექციაზე (ფ. ჯ.)
- მისი სამუშაო არის სხვებისთვის ცოდნის გაზიარება (ფ. ჯ.)

ლექტორის ინდივიდუალური ინფორმაციად შეირჩა - **მეამბოხე ხასიათი** (ძირითადი ინდივიდუალური ინფორმაცია), **რომელიც ვლინდება ეკლესიანი სამაჯურის და ტატუს ტარებაში ტარებაში**. მოცემული ინდივიდუალური ინფორმაციის გადმოცემა მოხდა შემდეგ მახასიათებლებზე დაყრდნობით:

- მის ჩაცმულობაში შესაძლებელია რომ ჭარბობდეს ჭრელი ფერის, შემოტკეცილი და ნახატიანი სტილის ტანსაცმელი, რომლსაც უხამებს ეკლესიანი სამაჯურსა და პისინგს (3ქულა)
- მეამბოხე ტიპია, რომელიც იცვავს სპორტულად ან როგორც ჰიპი (აქვს სპორტული სტილის ჩაცმულობა, აცვია ჩაჩები, ჩაცმულობით ბაძავს ჰიპს, უკეთია ეკლესიანი სამაჯური, აქვს პირსინგი, თავზე წაკრული აქვს თავსაფარი/ბენდენა) (3ქულა(საერთო ფაქტორი))
- „ლექტორი წარმოუდგენელია ეკლესიანი სამაჯურით“ (ფ. ჯ.)

ტკც-ისთვის ამორჩეული მახასიათებლები

ტკც-ის სტერეოტიპულ თემად შეირჩა **ქეიფის და ჭამის სიყვარული**. ამისთვის, ტკც-ის წარმოდგენა მოხდა სახინკლის გარემოში, სადაც ის ქეიფობს მეგობართან ერთად. ტკც-ის ეს სტერეოტიპული თემა შერჩეულ იქნა შემდეგი სტერეოტიპული მახასიათებლებიდან:

- უყვარს სმა და ქეიფი (10ქულა)
- უყვარს გემრიელად ჭამა (9ქულა)
- არის 21 -60 წლის (9ქულა)
- უყვარ დალევა და ქეიფი (8ქულა)
- ლუარსაბ თათქარიძეს გავს (ფ.ჯ)
- არის საშუალო სიმაღლის (ფ.ჯ)
- თავისუფალ დროს ქეიფობს (ფ.ჯ)
- არის მოქეიფე (ფ.ჯ)
- ფიზიკურად ტკც-ი არის ძლიერი აღნაგობის, არც მსუქანი და არც გამხდარი (ფ.ჯ)
- ბანჯგვლიანია (ფ.ჯ)
- აქვს სქელი წარბები (ფ.ჯ)
- აქვს ღიპი (ფ.ჯ)
- აქვს თავისუფალი ჩაცმულობა - ჯინსი, კეტი, პერანგი, ბოტასი, სადა მაიკები, კოსტუმი, შავი ტყავის ქურთუკი (ფ.ჯ)
- უყვარს ხორციანი საჭმელები (ფ.ჯ)

- „ტიპიური ქართველი კაცი, არის მოქიფე ადამიანი, რომელიც გადაყოლილია მეგობრებზე და რომელსაც ევალეზა სადღეგრძელოების ცოდნა“ (ფ.ჯ)

ტკკ-თვის შეირჩა შემდეგი ინდივიდუალური ინფორმაცია: **სექსუალურ უმცირესობათა მხარდაჭერა**. ამისთვის ის წარმოდგენილ იქნა სქესობრივ უმცირესობათა მხარდამჭერ აქციაზე, მხარდამჭერი პლაკატით. აღნიშნული ინდივიდუალური ინფორმაციის შერჩევისას დავეყრდენით ტკკ-ის დახასიათებას იმასთან დაკავშირებით, რომ ის არის **აზიატი (10 ქულა)** და **ვერ იტანს „გეებს“ (აღებული თვისებრივი კვლევიდან)**.

ტკკ-თვის შესაძლებელი იყო სხვა ინდივიდუალური ინფორმაციის გამოყენებაც, მაგრამ რადგან ტექნიკურად ადვილად შესასრულებელი ინფორმაცია უკვე დაკავებულ იქნა ლექტორი და ექიმის ინდივიდუალურ თემებში, ტკკ-თვის შევარჩიეთ ის თემა, რომელიც ადვილად შესრულდებოდა ფოტოშოფის პროგრამის დახმარებით.

შენიშვნა:

ლექტორისა შემთხვევაშიც შერჩეული ორი ინდივიდუალური ქცევა - ეკლებიანი სამაჯურის და ტატუს ტარებ - წარმოადგენს ერთი ფაქტორის ორ გამოვლინებას.

„მეამბოხე ადამიანი“, რომელში შემავალი პარამეტრებიც არის - აქვს სპორტული სტილის ჩაცმულობა; იცვავს წითელი ფერის შარვალს; აცვია ჩაჩები; აცვია მასური რომელსაც ახატია სენტიმენტალური ნახატი; ჩაცმულობით ბაძავს ჰიპს; უკეთია ეკლებიანი სამაჯური; აქვს პირსინგი; თავზე წაკრული აქვს თავსაფარი/ზენდენა. როგორც ხედავთ, მოცეულ ფაქტორში შევიდა სხვა მრავალი ქცევითი გამოვლინებები, თუმცა აქაც შეირჩა მხოლოდ ის ქცევით მახასიათებლები, რომელიც ტექნიკურად ადვილად გამოსახებოდა ფოტოზე (ტატუ და ეკლებიანი სამაჯური).

ტკკ-ის ინდივიდუალური ქცევა - **აზიატია და ვერ იტანს გეებს** - წარმოადგენს ერთ ცალკეულ ქცევებს (პარამეტრს), რომელიც არ გამოყოფილა როგორც ფაქტორი.

ბ) 12 ფოტოს შექმნის პროცესი

ფოტოები შეიქმნა ფოტოშიფის პროგრამის გამოყენებით, დაქირავებული სპეციალისტის მიერ. დეტალები და ზოგ შემთხვევაში მთლიანი ფოტო მოპოვებულ იქნა ინტერნეტის საძიებო სისტემის გამოყენებით, თუმცა ფოტოების უმრავლესობა გადაღებულ იქნა ჩვენს მიერ.

ექიმის ფოტოები მოპოვებულ იქნა ინტერნეტის საძიებო სისტემაში -Google-ის დახმარებით მოძიებულ იქნა ერთი და იგივე ექიმის ორი ფოტო, საიდანაც ერთ გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური ფოტოს, ხოლო მეორე სტერეოტიპული ფოტოს შესაქმნელად. მოძიებული ორი ფოტო ინტენსიურად დამუშავდა ფოტოშიფის

პროგრამაში, ხოლო მესამე ფოტო - შერეული ექსპერიმენტული პირობისთვის - შეიქმნა ჩვენს მიერ, ექიმის იმავე ფიგურის გამოყენებით, ფოტოშოფის პროგრამის დახმარებით²⁴. ექიმის სამივე ფოტოში მოცემულია ერთი და იგივე ინდივიდი - ფიგურა.

ჩვენ მიერ სპეციალური ფიგურის გამოყენებით გადაღებულ იქნა IT-ის და **ლექტორის** სამივე ფოტო. ასევე გადაღებულ იქნა ტქკ-ის ფოტოებიც. მიუხედავად იმისა, რომ გადაღების პროცესში გავითვალისწინეთ ქცევის, ფონის და ფიგურის გარეგნობის დეტალები, ფოტოები მაინც ინტენსიურად დამუშავებულ იქნა ფოტოშოფის პროგრამაში - პროგრამის გამოყენებით ფოტოებს დაემატა ფონი და სხვა ცალკეული ვიზუალური დეტალები (*სამწუხაროდ, ფოტოების გადაღების დროს, ვერ მოხერხდა ყველა იმ დეტალის გათვალისწინება, რაც საჭირო იყო სუფთა და მკაფიო სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის გადმოსაცემად*). IT-ის სამივე ფოტოში გამოყენებული ერთიდაიგივე ინდივიდი/ფიგურა. ასევე, ლექტორის სამივე ფოტოში გამოყვანილი ერთი და იგივე ფიგურა. და ბოლოს, ტქკ-ის ფოტოც შექმნილი ერთსა და იმავე ფიგურაზე.

ამგვარად, ოთხი სტერეოტიპული თემისთვის სათითაოდ შეიქმნა სამ-სამი ფოტო. სულ 12 ფოტო. რადგან არის ოთხი სტერეოტიპული თემა, არის ოთხი განსხვავებული ფიგურაც (რომლის ირგვლივაც შეიქმნა ყოველი კონკრეტული თემის შესაბამისი სამი ფოტო).

ფიგურასთან დაკავშირებული დეტალები ფოტოში:

ფიგურის სახე დაფარულია ყველა ფოტოში. რადგან ჩვენ არ ვართ ორიენტირებული სახიდან მიღებული შთაბეჭდილების კვლევაზე, ფოტოებში მოხდა სახეების დაფარვა. სახის დეტალებიდან გამოჩნდა, მხოლოდ ვარცხნილობა, ყურები.

ვარცხნილობა-ფოტოს რეალისტურობის მიზნით არ მოხდა ვარცხნილობის დაფარვა. ვეცადეთ ყოველი ფიგურასთვის ყველა ფოტოში გამოგვეყენებინა სტანდარტული ტიპის ვარცხნილობა. (ვარცხნილობის სტანდარტულობის განსაზღვრაში მოხდა სუბიექტურად, ჩვენი მოსაზრებით, და არა რომელიმე კვლევის საფუძველზე).

ფიგურის ჩაცმულობა - სტერეოტიპულ ფოტოში გამოყენებულ იქნა სტერეოტიპული ტიპის ჩაცმულობა. ინდივიდუალურ ფოტოში კი გამოყენებულ იქნა, ჩვენის კულტურისთვის სტანდარტული ყოველდღიური ტიპის ჩაცმულობა (განსაზღვრაში მოხდა სუბიექტურად, ჩვენი მოსაზრებით).

²⁴ საწყისი და დამუშავების შედეგად შეცვლილი ფოტოების ნახვა შეგიძლიათ დანართში D

გ) შექმნილი ფოტოების შეფასება ექსპერტების მიერ

ექსპერტებად შევარჩიეთ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 10 სტუდენტი (5 ბიჭი 5 გოგონა), რომელთა საშუალო ასაკი არის 21 წელი. კვლევაში მათი ჩართვა მოხდა, შექმნილი ფოტოების შეფასების მიზნით. შეფასება განხორციელდა ჩვენს მიერ წინასწარი შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

ამ ტიპის ექსპერტების შერჩევის მიზეზი არის ჩვენი ძირითადი კვლევის მიზანი, რომელიც სწორედ 18-23 წლის ასაკობრივ ჯგუფზე არის მიმართული. ფოტოების მკაცრი შეფასება, სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომდგენელების მხრიდან არის საინტერესო.

ექსპერტებს დაწვრილებით განემარტათ ძირითადი კვლევის მიზანი, საბოლოო ექსპერიმენტის დიზაინი და ის ამოცანა, რომელიც მათ უნდა შეესრულებითან ამ ფოტოების შეფასების პროცესში. განემარტათ ფოტოს შეფასების თითოეული კრიტერიუმიც.

მონაცემების დამუშავება მოხდა სიხშირეების გამოთვლით.

მეთოდი

ფოტოების შეფასება მოხდა კითხვარის დახმარებით²⁵, სადაც კრიტერიუმები მოცემული არის კითხვების სახით. რადგან თითოეულ სტერეოტიპულ თემასთან კითხვარები ოდნავ განსხვავდება, ექსპერტებს მიეწოდათ ოთხი კითხვარი და 12 ფოტო. კითხვარში დასმულ იქნა 23 შეკითხვა - გამოვიყენეთ, როგორც დახურული ასევე ღია კითხვები. შეფასება განხორციელდა 5 ბალიანი სკალის გამოყენებით (სადაც 1 არის უკიდურესი უარყოფით მნიშვნელობა, 5 უკიდურესი დადებითი მნიშვნელობა).

ძირითადად შეკითხვები შეეხო ორ საკითხს ა) ფოტოს ტექნიკურ მახასიათებლებს - განსაკუთრებით მის ბუნებრიობას და ბ) ფოტოს შინაარსობრივ მახასიათებელს, კერძოდ კი იმას თუ რამდენად მკაფიოდ და სწორად გადმოსცემს ფოტო მასში გამიზნულად ჩადებულ ინფორმაციას.

ექსპერტების მიერ ასევე შეფასდა ფოტოს შემდეგი მახასიათებლები: რამდენად მკაფიოდ ჩანს ფოტოზე გამოსახული ფიგურა; რამდენად ძლიერ არის დებურული ფიგურის სახე (წესით სახე იმდენად დაბურული უნდა იყოს, რომ დამკვირვებელმა ვერ მოახერხოს მისი ვერც ერთ დეტალის აღქმა, რათა ამან შემდგომ გავლენა არ იქონიოს შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე); რამდენად ჯდება თითოეული ფოტოს გარემო, ფიგურის ჩამულობა, ქცევა, და მანერები იმ ტიპაჟის სტერეოტიპში, რომლის სტერეოტიპიც უნდა გააქტიუროს ფოტოს შინაარსმა;

²⁵ კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ დანართში E

რამდენად მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება გამოსახული ქცევის ინტერპრეტაცია; რამდენად წინააღმდეგობრივია სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში გადმოცემული ინფორმაციები; რამდენად ადვილად არის მოსახერხებელი ფოტოში გამოსახული ინდივიდის ერთი და იგივეობის იდენტიფიცირება;

შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ ერთი თემის ფარგლებში შეიქმნა სამი ფოტო. სამივე ფოტოზე გამოსახულია ერთი და იგივე პიროვნება. ასევე შეგახსენებთ, რომ კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე ფიგურის სახეები დაბურულია, არ მეორდება არც მათი ჩაცმულობა. იმის გამო რომ ექსპერიმენტის რამდენიმე პირობაში მონაწილეებს დაჭირდებათ ფიგურის ერთი და იგივეობის იდენტიფიკაცია, მნიშვნელოვანია რომ ფოტოებმა შექმნან ამის შესაძლებლობა.

ტექნიკური თვალსაზრისით ცალკე შემოწმდა **შერეულის ფოტო**, კერძოდ კი ის თუ რამდენად „თანაბარი„ ოდენობით არის გადმოცემული მასში ჩადებული ინფორმაცია.

შენიშვნა: შეგახსენებთ, შერეული ფოტოს მოიცავს ორი ტიპის ინფორმაციას - სტერეოტიპულს და ინდივიდუალისტურს. თუ კი მოცემული ორი ინფორმაციიდან რომელიმე ინფორაცია მისი დეტალების ოდენობით ან განსაკუთრებული ვიზუალური ხაზგასმით გადაწონის მეორე ინფორმაციას, მაშინ ეს შთაბეჭდილებას ხელოვნურად გადაწონის ცალმხრივი მიმართულებით (ჩვენ კი შერეულ ფოტოში შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესი სწორედ იმ პირობებში გვანტერესებს, როცა ორი ერთერთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია ვიზუალურად თანაბრად არის მოწოდებული).

ინდივიდუალური ფოტოში, სტერეოტიპული ფოტოსგან განსხვავებით, შემოწმდა ის თუ რამდენად ნეიტრალური ფორმით არის გადმოცემული ფონი - განსაკუთრებით ავეჯი და ოთახი. ასევე შემოწმდა მთავარი ფიგურის ჩაცმულობის ნეიტრალურობაც.

შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ ინდივიდუალური ფოტოში აღმქმელს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ძირითადად ქცევიდან და არა გარემოდან.

ექსპერტების შეფასებები

ექიმის სამივე ფოტოს შეფასება

ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 18), რომ ექიმის **სტერეოტიპული ფოტო** არის ბუნებრივი ($M=5$), და ფოტოშოფით დამუშავებული დეტალები, ექსპერტთა აზრით, თითქმის არ არის თვალსაჩინო ($M=2$). ფოტო, ასევე ზუსტად გადმოსცემს გამიზნულ შინაარსს. ამ ფოტოსთან დაკავშირებით, არც ერთ დეტალი არ დასახელებული როგორც „ზედმეტი“ და არასაჭირო. ქცევა ერთმნიშვნელოვნად ინტერპრეტირებული იქნა როგორც ექიმის მიერ პაციენტის მიღება. როგორც ცხრილში მოცემული

მონაცემებიდან ჩანს (იხ. ცხრილი 18), ექიმი როგორც მთავარი ფიგურა ძლიერ ფოკუსირებულად არის მოცემული (მიუხედავად იმისა რომ ამ მოცემულ ფოტოზე ექიმის გარდა სხვა ფიგურაც არის გამოსახული). შინაარსობრივი თვალსაზრისით, ქცევა და ფონი, რომელიც მოცემულია ფოტოზე, აბსოლიტურად შეესაბამება ექიმის სტერეოტიპს. ასევე აღსანიშნავია, რომ ექიმის სახე არ არის მკაფიო და აღქმადი ($M=1.9$).

ექიმის ინდივიდუალური ფოტო - შენიშნულ იქნა ფოტოში აშკარად დამუშავებული დეტალები - ჩიპსები, წვენი და დაკუჭული ორი ქალაქი იატაკზე. ქცევის ინტერპრეტაცია კი ერთმნიშვნელოვნად სწორად განხორციელდა. ცხრილი 18 - დან ჩანს, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, ფოტო ხელოვნურია (ექსპერტების შეფასება ბუნებრიობაზე $M=2.6$) და მასზე მართლაც აშკარად შეიმჩევა ფოტოშოფის კვალი ($M=4$). შინაარსობრივად მოცემული ფიგურა საერთოდ არ ასოცირდება ექიმთან ($M=1.6$). აშკარად ჩანს რომ მას უყვარს კომპიუტერების თამაში ($M=4.8$) და არის მოუწესრიგებელი ($M=4.6$). ფიგურის სახე იგივენაირად დაფარულია ამ შემთხვევაშიც და მთელი ფიგურაც ძლიერ ფოკუსირებულად არის წარმოდგენილი.

ექიმის შერეულ ფოტოში - ფიგურა იდენტიფიცირებული იქნა როგორც ექიმი ($M=3.8$). ფოტოში ფიგურის დამუშავებული დეტალებიდან კვლავ შემჩნეული იქნა ჩიპსები და წვენი. არ დასახელებული არც ერთ დეტალი რომელიც ზედმეტია შინაარსის თვალსაზრისით. ექიმის ქცევა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იქნა ინტერპრეტირებული, როგორც კომპიუტერული თამაშის თამაში, მოუწესრიგებლობასთან ერთად დასახელდა ექიმის პროფესიისთვის ყველაზე შეუსაბამო ქცევად. ცხრილიდან ჩანს (იხ. დანართი E), რომ ექიმის ქცევა ($M=4.7$) და უსუფთაობა/მოუწესრიგებლობა ($M=4.1$) გადმოცემულია ნათლად მოცემული ფოტოში, ისევე როგორც ნათლად არის გადმოცემული მისი პროფესიაც ($M=3.8$).

მთლიანობაში მოცემული თემის ფოტოები ასრულებენ თავის ფუნქციას, რადგან გადასცემენ იმ შინაარსს, რის გადასაცემადაც არიან შექმნილნი. სირთულეს წარმოადგენს სტერეოტიპულ და შერეულ ფოტოში არსებული ხელოვნური დეტალები - ჩიპსები, დაყრილი ქალაქები და წვენი.

IT-ის სამი ფოტოს შეფასება

IT-ის სტერეოტიპული ფოტო - შეფასებებიდან ჩანს (იხ. დანართი E) რომ, ფიგურა ძლიერ ფოკუსირებულად არის წარმოდგენილი ($M=4.8$), ფოტოში დამუშავებული დეტალები კი თითქმის შეუმჩნეველია ($M=2.0$). ფოტოს ბუნებრივობაც მაღალი ქულით შეფასდა ($M=4.3$). მოცემულ ფოტოში, მთავარი ფიგურის სახე თითქმის არ არის აღქმადი, თუმცა ინდივიდუალური და

სტერეოტიპულ ფოტოზე გამოსახული ერთ და იგივე ფიგურის იგივეობის იდენტიფიკაციის პროცესი გართულებულია. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ფიგურა საკმარისად დამაკმაყოფილებლად გადმოსცემს IT-ის პროფესიის შინაარსობრივ მხარეს ($M = 4.5$). ფოტოზე გამოსახული IT-ის ქცევა ($M = 4.6$) და მთლიანი ფონი ($M = 4.9$) ჯდება IT-ის ჩვეულ ქცევაში და ჩვეულ გარემოში. ფიგურის ქცევა საკმაოდ არაორაზროვნად არის გადმოცემული ($M = 3.7$).

IT-ის ინდივიდუალური ფოტო - რაც შეეხება ინდივიდუალურ ფოტოს, სტერეოტიპულისგან განსხვავებით, ეს ფოტო არ გამოიყურება ბუნებრივად ($M = 2.8$) და მასში მეტად არის შესამჩნევი ფოტოში დამუშავებული ვიზუალური დეტალები ($M = 3.3$). ხელოვნურად დასახელდა თაროები, წიგნები და კედელზე გარკული პლაკატები. შინაარსობრივი კუთხით, ფოტოში გადმოცემული შინაარსი მაღალი წინააღმდეგობაში მოდის IT-ის სტერეოტიპულ ფოტოსთან. გამოდის, რომ მოცემული ფოტო შინაარსობრივად ასრულებს თავის ფუნქციას, მით უმეტეს, მაშინ როცა მასზე გადმოცემული მთავარი ფიგურა, ქცევის გამო, აღქმულია როგორც ნაზი - მგრძნობიარე სულის მქონე ($M = 3.8$) და ხელოვნების მოყვარულ ადამიანად ($M = 4.7$). თუმცა, მიუხედავად ყოველივე ამისა, მთავარი ფიგურის ქცევის მაინც არ არის ინტერპრეტირებული ერთმნიშვნელოვნად ($M = 2.9$). თუ დავეყრდნობით ღია კითხვების ანალიზს ვნახავთ, რომ ქცევა დიდწილად აღქმულ იქნა როგორც წიგნის კითხვა ან/და მეცადინეობა (67%; 33.3%). ხოლო თავად ფიგურა, გარკვეულ წილად აღქმულ იქნა როგორც სტუდენტი (ხელოვნების სფეროში) (25%). ამ ანალიზით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოტო ნამდვილად გადმოსცემს მასში წინასწარ მიზანმიმართლად ჩადებულ შინაარს მთვარ ფიგურასთან დაკავშირებით - ოპერით გატაცება, რბილი მგრძნობიარე ბუნება - *თუმცა ამ შინაარსის გარდა, ის მოცემულ ფიგურასთან დაკავშირებით დამატებით ააქტიურებს სწავლასთან და წიგნის კითხვასთან დაკავშირებულ კატეგორიებს. ამის გამო, ვთვლით, რომ მოცემულ ფოტოში სასურველია მოხდეს წიგნთან და სწავლასთან დაკავშირებული ვიზუალური დეტალების ისეთ ჩანაცვლება, რომ არ დაზარალდეს ფოტოში ჩადებული ძირითადი ინფორმაცია. ფოტომ ასევე გააქტიურა მოწესრიგებულობის მახასიათებელი, რაც არ იყო ჩვენს მიერ წინასწარ გამიზნული.*

რაც შეეხება ინდივიდუალურ ფოტოზე გამოყენებულ ავეჯსა და მთავარი ფიგურის ჩამცულობას, ისინი შეფასდა სტანდარტული სტილი მქონდე ანუ ნეიტრალური შინაარსის მქონე ვიზუალურ დეტალებად (ავეჯი $M = 3.4$; ჩამცულობა $M = 4.9$).

IT-ის შერეული ფოტო - ისევე როგორც ინდივიდუალური ფოტო, შერეული ფოტოც არ აღმოჩნდა ბუნებრივი ($M = 3.2$). შინაარსობრივი კუთხით, შერეულ ფოტოში უფრო მეტად აღქმება სტერეოტიპული ინფორმაცია, რაც არის პროფესია ($M = 4.8$) და მოუწესრიგებლობა ($M = 2.1$), ვიდრე სტერეოტიპის საწინააღმდეგო - ინდივიდუალური ინფორმაცია, რაც არის მგრძნობიარე რბილი ბუნება ($M = 3.0$) და ხელოვნების სიყვარული ($M = 4.0$). გარდა ამისა, მთავარი ფიგურის ქცევა და

მთლიანობაში სიტუაციაც მიჩნეულია IT-ის დამახასიათებელ ქცევად. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდუალური შინაარსი მოცემულ ფოტოში არასაკამრისად მკაფიოდ არის გადმოცემული.

ღია პასუხებიდანაც ჩანს, რომ მოცემული მთავარი ფიგურის ქცევა IT-ის სტერეოტიპისთვის ჩვეულ ქცევად მიიჩნეეს (67%), თუმცა ცალკე აღებული ოპერისა და ბალეტის პლაკატები ამ სტერეოტიპისთვის შეუსაბამო დეტალებად შეფასდა (50%). ღია შეკითხვებიც ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ ფოტოზე ინდივიდუალური ინფორმაცია სუსტად არის წარმოდგენილი.

ამგვარად IT-ის ფოტოების მნიშვნელოვნად საჭიროებს როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ ცვლილებებს (მეტი ბუნებრივობის მიზნით).

ლექტორის ფოტოების შეფასება

ლექტორის სტერეოტიპული ფოტო - ტექნიკური თვალსაზრისით სამივე ფოტოზე გამოსახული ფიგურა ნათლად არის გამოკვეთილი, მისი სახე საკმარისი ოდენობით არის დაფარული, თუმცა ზემოგანხილული ფოტოების მსგავსად, რთულია ფიგურის იგივეობის იდენტიფიკაცია. სტერეოტიპული ფოტო, რომელშიც არაა გამოყენებული ხელოვნურად ჩამატებული დეტალები შეფასდა ყველაზე ბუნებრივად ($M= 4.8$). ფოტო ეფექტურად ასრულებს თავის ფუნქციას, რადგან ის ააქტიურებს ლექტორის სტერეოტიპულ ხატს ($M= 5.0$) და ქცევას ($M= 4.8$).

ლექტორის ინდივიდუალური ფოტო - ფოტოში ადვილად შეიმჩნევა ხელოვნურად ჩამატებული დეტალები, ამის გამო მოცემული ფოტო შეფასდა არაბუნებრივად ($M = 2.1$). ფოტოში დამუშავებული დეტალებიდან ამოიცნეს სამაჯური (63%), ტატუ (38%) და ბარის ინტერიერი (50%) (ღია კითხვების მონაცემების მიხედვით).

მოცემულ ფოტოში შინაარსობრივად არსად არ შეინიშნება ლექტორის პროფესიის კვალი, თუმცა მოცემული ფოტო არც იმ ინდივიდუალურ ინფორმაციას ააქტიურებს, რისთვისაც იგი არის შექმნილი. ფოტოს ფიგურა არ იწვევს მემოხზე ადამიანის შთაბეჭდილებას ($M = 3.2$) და ასევე მკაფიოდ არ გადმოსცემს ქცევის შინაარსსაც ($M = 3.0$). ინდივიდუალური ფოტოში გადმოცემული შინაარსი - ბარში მოქეიფე ადამიანი, ექსპერტთა შეფასებით, არ წამროადგენს ერთმნიშვნელოვნად შეუთავსებელ ქცევას ლექტორის პროფესიულ სტერეოტიპთან ($M = 3.2$). თუმცა, ფიგურის მკლავზე გამოყენებული ატრიბუტები - სამაჯური და ტატუ - შეუთავსებელი აღმოჩნდა ლექტორის ფიგურისთვის ($M = 2.1$). რაც შეეხება, ინდივიდუალური ფოტოზე გამოყენებულ ფიგურის ჩაცმულობას და ბარის

ინტერიერს, ორივე შეფასდა სტანდარტული სტილის მქონე გამოსახულებებად ($M = 4.8$; $M = 3.6$).

ლექტორის შერეული ფოტო - მოცემულ ფოტოშიც, სტერეოტიპული ფოტოს მსგავსად, ლექტორის სტერეოტიპი გამოკვეთილად არის წამორგდენილი ($M = 4.7$), გამოკვეთილია ლექტორის ქცევაც ($M = 4.1$) და ადვილად ხდება ლექტორის კატეგორიის იდენტიფიკაციაც ($M = 4.4$). გარდა ამისა, ინდივიდუაციურ ფოტოსგან განსხვავებით, ა) აქ უფრო მეტად ჩანს, რომ მთავარი ფიგურა არის მეამბოხე ტიპი ($M = 3.6$), ბ) ასევე, ამ ფოტოში, მიუხედავად მასში გამოყენებული იგივე დეტალებისა - სამაჯური და ტატუ - ასევე, შეფასდა ბუნებრივად ($M = 3.9$), (იხ. დანართი E).

ლექტორის სხვა ფოტოებთან შედარებით, ინდივიდუაციური ფოტო ყველაზე მეტად საჭიროებს ტექნიკური და შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებას.

ტქკ-ის ფოტოების შეფასება

ტქკ-ის სტერეოტიპული ფოტო - ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით, სამივე ფოტოში მთავარი ფიგურა ძლიერ ფოკუსირებულია, მისი სახე საკმარისად დაბურულია და ამ შემთხვევაშიც რთულია იგივეობის იდენტიფიკაცია (იხ. დანართი E). შინაარსობრივად მოცემული ფოტო გამოხატავს ტქკ-ის სტერეოტიპისთვის აბსოლიტურად შესაფერის სიტუაციას ($M = 4.5$), ის ნამდვილად აღძრავს ტქკ-ის ხატს ($M = 4.9$) და ასევე გადმოსცემს მის შესატყვის ქცევას ($M = 4.4$). *მიუხედავად ასეთი ძლიერი შესატყვისობისა, გადმოცემული ქცევა საჭიროებს დაფიქრებას, რადგან ის არც ისე ერთმნიშვნელოვანი შინაარსის მატარებელია ($M = 3.0$).*

ტქკ - ის შერეული ფოტო - ტქკ-ის ტიპაჟი არ არის მკაფიოდ გადმოცემული ($M = 2.1$), თუმცა გადმოცემული სიტუაცია და ქცევა ამ შემთხვევაშიც არ შეესაბამება ხსენებული სოციალური კატეგორიის სტერეოტიპს ($M = 1.5$; $M = 1.6$). ფოტოში კარგად ჩანს, რომ მთავარი ფიგურა არის ლგბტ იდეები მხარდამჭერი ($M=4.1$), *მაგრამ სამწუხაროდ ამავე დროს არ ჩანს, რომ ის არის ჩვეულებრივი ქართველი ტიპიური მოქეიფე კაცი ($M = 2.1$).* რაც შეეხება ჩამულობას, მოცემულ ფოტოშიც ნეიტრალური სტილი არის შერჩეული, ის რომელიც არ იძლევა დამატებითი ინტეპრეტაციის საშუალებას, ფიგურის პიროვნებასთან დაკავშირებით ($M = 4.5$). *შერეული ფოტო არ შეფასდა ბუნებრივად ($M=3.3$).* ასევე, უნდა ითქვას, რომ *შერეულ ფოტოში მოცემული ორი საწინაარდეგო ინფორმაცია არ არის მკაფიოდ თანაბრად წარმოდგენილი ($M = 3.1$).* ამას ადასტურებს ის შეფასებაც, რომელიც ვახსენეთ ზევით - ფოტოზე მკაფიოდ ჩანს რომ მთავარი ფიგურა არის ლგბტ იდეები

მხარდამჭერი, მაგრამ თითქმის არ ჩანს რომ ის არის ჩვეულებრივი ქართველი მოქვეყნე კაცი. *საჭიროა მოცემული ფოტოს ხელახალ გადაღება.*

ტქკ-ის ინდივიდუაციური ფოტო - ინდივიდუაციური ფოტო არ შეფასდა ბუნებრივად ($M=3.3$), სხვა ფოტოებთან შედარებით, მოცემულ ფოტოში განსაკუთრებით შესამჩვენია ხელოვნურად დამუშავებული დეტალები ($M=3.6$).

ექსპერტების შეფასებიდან გამომდინარე, ტქკ-ის შერეული ფოტო საჭიროებს მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას.

ექსპერტების მიერ ფოტოების შეფასების გარდა ჩატარდა პილოტური კვლევა, რომლითაც გადამოწმდა ფოტოების აღქმის და ინტერპრეტაციის პროცესი. პილოტური კვლევის ერთ ერთი მთავარი მიზანი ფოტოში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება.

დ) ფოტოების პილოტაჟური კვლევა

მიზანი

პილოტაჟური კვლევის მიზანია იმის დადაგენა თუ რამდენად ახერხებს თითოეული ფოტო მართლაც იმ ინფორმაციის გადმოცემას, რაც გამიზნულად არის ჩადებული მასში ჩვენს მიერ. ასევე საინტერესოა, ის თუ რამდენად აღქმადია რესპონდენტებისთვის ფოტოებში ვიზუალურად გამოსახული ესა თუ ის დეტალი და რამდენად ხელოვნურად გამოიყურება ფოტო მათთვის.

შერჩევა

გახორციელდა ხელმისაწვდომი შერჩევა. 12 ფოტოდან, თითოეულის პილოტაჟი ჩატარდა 10 რესპონდენტზე. ფოტოების პილოტაჟში მონაწილეობა მიიღეს 18-23 წლის ორივე სქესის წარმომადგენლებმა. ყველა მათგანი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

თითოეულ რესპონდენტს წარედგინა ორი ფოტო. თითოეულთან დაკავშირებით მათ უნდა გამოეთქვათ აზრი ფოტოზე გამოსახული ადამიანის შესახებ. პასუხების ჩაწერა მოხდა დიქტოფონზე. ფოტოების აღქმის და პასუხების მოცემის დრო არ იქ იყო განსაზღვრული.

მონაცემების დამუშავება

პილოტაჟის შედეგად მიღებული თითოეული ფიგურის (ფოტოს) დახასიათებით მიღებული პასუხები გავაანალიზეთ თვისებრივად. შედეგად გამოვლენდა ის კონკრეტული დეტალები, რომლებიც ორაზროვანი აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის გადაცემისთვის.

თითოეულ ფოტოში, გამოვლენილი ორაზროვან დეტალებთან დაკავშირებით მოხდა შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

გამოვლენილი ორაზროვნება და შეტანილი ცვლილებების წყება ერთდროულად არის წარმოდგენილი ქვევით, თითოეული ფოტოს მიხედვით.

ე) პილოტაჟის (და ექსპერტების შეფასების) შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე თითოეულ ფოტოში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები

ექიმის ფოტოებში განხორციელებული ცვლილებები

ექიმის სტერეოტიპი ფოტო - სიტუაცია და ფიგურა გადმოსცემს იმ ინფორმაციას, რომელიც ჩადებულია მასში, სცენარის გათვალისწინებით. ამიტომ, ამ ფოტოში არ შესულა არანაირი ცვლილება.


ექიმის შერეულ ფოტო- სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია იმ შინაარსით იკითხება, როგორც ეს ჩადებულია ფოტოში სცენარის მიხედვით. შესაბამისად, არც ამ ფოტოში არ შესულა ცვლილებები.

ექიმის ინდივიდუალური ფოტო -ექიმის ინდივიდუალურ ფოტოში პილოტაჟის კვლევამ გამოავლინა, რომ აქტიურდება გარკვეული პროფესიული კატეგორია. მოცემული ფოტოს შემთხვევაში ეს დაუშვებელია, რადგან ინდივიდუალური ფოტოს მიზანია გადმოსცეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არის ექიმის პროფესიის საწინააღდეგო და ამავე დროს, არ ააქტიურებს რომელიმე სხვა, თუნდაც პროფესიულ, კატეგორიას.

რადგან მოცემულ ფოტოში არსებული ფიგურა ააქტიურებს თამაშის დეველოპერის, ჩინოვნიკის ხატს, ფოტოში შევიტანეთ გარკვეული ცვლილებები:

- ამოღებულ იქნა მარჯვნივ კუთხეში არსებული მაგიდა, რომელზედაც დევს ფურცლები.
- **ოფისის სტილის კარადა** (და მასზე კალკულატორი) მთლინად ჩანაცვლებულ იქნა საყოფაცხოვრებო, ყავისფერი კარადით.
- იატაკზე **დაყრილი დაკუჭული ქაღალდები** ამოღებული იქნა ორი მიზეზის გამო: რესპონდენტების მიერ ძნელად მოხდა მაგიდის ქვეშ დადგებული ქაღალდის შემჩნევა, ასევე იმის, გამო დაკუჭული ქაღალდები მუშაობის ასოციაციას იწვევდა. მოუწესრიგებლობის ასოციაციის შექმნის მიზნით, დაკუჭული ქაღალდები ჩავანაცვლეთ შკოლადის ქაღალდით.
- იმის გამო, რომ დაგეგმილი ექსპერიმენტის N2 და 4 პირობაში ერთ და იგივე ფიგურის შესახებ უნდა წარვადგინოთ ორი სხვადასხვა ინფორმაცია, მნიშვნელოვანია ფიგურის იგივეობის იდენტიფიცირება. ფოტოების პილოტაჟმა გამოავლინა, რომ ფიგურის სახის დაბურვის გამო რესპონდენტებს უჭირთ ფიგურის იგივეობის განსაზღვრა. ამ მიზნით, სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში ექიმის ფიგურის იგივეობის აღქმის გამარტივების მიზნით, თითოეულ ფოტოს ქვედა მარჯვენა კუთხეში დავუმატეთ ინიციალი „ა“. ექსპერიმენტული მიზნიდან გამომდინარე იგივეობის აღმა უნდა მოხდეს სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში, რადგან მათი წარდგენა მოხდება ერთად, მაგრამ გარკვეული რიგით. რაც შეეხება შერეულ ფოტოს - მას სხვა ინიციალი მიიღო „ბ“, რადგან მისი წარდგენა ხდება განყენებულად - ცალკე ექსპერიმენტული პირობის სახით.

ფიგურა 5. ექიმის ფოტოები პილოტაჟის კვლევამდე და პილოტაჟი კვლევის შემდეგ (სტერეოტიპული, ინდივიდუალური და შერეული ფოტო)



IT-ის ფოტოებში განხორციელებული ცვლილებები

IT-ის სტერეოტიპული ფოტო- IT-ის სტერეოტიპულ ფოტოში საჭირო გახდა გარკვეული შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელება. ფოტოზე არსებულმა გამოსახულებამ გააქიტურა სოციალურ ფენასთან დაკავშირებული აზრები. იმის გამო, რომ ეს ასოციაციები არასასურველია კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გადაწყდა ამ აზრების გამომწვევი ვიზუალური დეტალების შეცვლა (ამოღება). ეს დეტალებია - ავეჯი, ფეჩი, და სკამზე გადაკიდებული ტანსაცმელი. გარდა ამისა, სტერეოტიპულ ფოტოზე IT-ის სპეციალისტი გამოსახულია სახლის და არა ოფისის პირობებში. სწორედ სახლის ფონის გამო ვერ ხერხდება მკაფიო პროფესიული ინფორმაციის გადაცემა - IT-ის ნაცვლად, მთავარ ფიგურას აღიქვავენ როგორც კონპიუტერული ტექნიკის მოყვარულს, ან ადამიანს, რომელსაც სახლში გაუფუჭდა კომპიუტერი და აკეთებს, რადგან ეხერხება. იმისათვის, რომ მოცემულმა ფოტომ უფრო მკაფიოდ გააქტიუროს IT-ის პროფესიული ხატი, საჭირო გახდა პროფესიაზე მიმანიშნებელი სხვა დეტალების დამატებაც.

- სახლის გარემო ჩანაცვლდა ოფისის გარემოთი
- დაემატა პროფესიული ინფორმაცია - პლაკატი კედელზე (Windows-ის ოპერაციული სისტემის ლოგოებით)
- ჩაცმულობა შეიცვალა - ლურჯი სტანდარტული პერანგი და ჯინსის შარვალი

ასეთი დიდი ფართო ვიზუალური ცვლილებების გამო საჭიროა გახდა IT-ის ფოტოს ხელახლა გადაღება.

IT-ის ინდივიდუალური ფოტო

➤ მოცემულ ფოტოზე თითქმის ყველა დეტალი რომელიც ფოტოშოპით იქნა ჩასმული იდენტიფიცირებულ იქნა რესპონდენტების მიერ როგორც **ხელოვნურად ჩასმული**. ფოტოს ბუნებრივობის გამოწვევის გამო, საჭირო გახდა მოცემული დეტალების ჩანაცვლება უფრო ბუნებრივი ვარიანტებით.

➤ გარდა ამისა, ფოტო ააქტიურებს ისეთ პროფესიულ კატეგორიებს როგორც არის **მუსიკოსი, ხელოვანი, მხატვარი**. ამ სტერეოტიპული კატეგორიების არიდების მიზნით, საჭირო გახდა ინდივიდუალური ინფორმაციის ისეთი გადმოცემა, რომ არ გააქტიურდეს რომელიმე პროფესიული კატეგორია.

➤ გარდა ზემოხსენებულისა, პილოტაჟის კვლევის ეტაპზე, რესპონდენტებმა ვერ მოახერხეს კედელზე დაკიდებული **საოპერო სცენის გამომხატველი პლაკატების** იდენტიფიცირება, ამიტომ მოხდა მათი ცვლილება, უფრო მკაფიო საოპერო პლაკატებით.

➤ **თაროებისა და წიგნების** არსებობამ ფოტოში გამოიწვია მოსწავლის ასოციაცია. ამ მიზეზის გამო, მთავარი ფიგურა ასევე დახასიათებული იქნა, როგორც ინტელექტუალური, ჭკვიანი, შემმეცნებელი ადამიანი, რომელიც ეძიებს ინფორმაციას. რადგან ეს არ არის ის შთაბეჭდილება, რომლის გააქტიურებაც

გვსურს მოცემული ფოტოთი, გადავწყვიტეთ წიგნების ამოშლა და კითხვის პროცესის სხვა ქცევით ჩანაცვლება. ახალ შემქნილ ფოტოში, IT სპეციალისტის მიერ ოპერა-ბალეტით გატაცების მახასიათებელი გადმოვეცით არა ბალეტზე წიგნის კითხვის ქცევით, არამედ საოპერო დადგმის ყურების ქცევით.

➤ მოცემულ ფოტოზე გამოსახულმა მაგიდამ რესპონდენტებში შექმნა წესრიგის შთაბეჭდილება, რადგან წესრიგი არ წარმოადგენს იმ ინფორმაცია, რომლის გადაცემაც გვინდა ამ ფოტოში, მოხდა წერილის გამომწვევი წყობის დარღვევა, ნივთების განლაგებაში.

➤ და ბოლოს, მეტი აქცენტისთვის რაფაზე დამატებულ იქნა კიდევ ერთი **ქოთნის ყვავილი**.


➤ იმის გამო, რომ დაგეგმილი ექსპერიმენტის N2 და 4 პირობაში ერთ და იგივე ფიგურის შესახებ უნდა წარვადგინოთ ორი სხვადასხვა ინფორმაცია, მნიშვნელოვანია ფიგურის იგივეობის იდენტიფიცირება. ფოტოების პილოტაჟმა გამოავლინა, რომ ფიგურის სახის დაბურვის გამო რესპონდენტებს უჭირთ ფიგურის იგივეობის განსაზღვრა. ამ მიზნით, სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში IT-ის ფიგურის იგივეობის აღქმის გამარტივების მიზნით, თითოეულ ფოტოს ქვედა მარჯვენა კუთხვეში დავუმატეთ ინიციალი „გ“. ექსპერიმენტული მიზნიდან გამომდინარე იგივეობის აღქმა უნდა მოხდეს სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში, რადგან მათი წარგდება მოხდება ერთად, მაგრამ გარკვეული რიგით. რაც შეეხება შერეულ ფოტოს - მას სხვა ინიციალი მიიღო „დ“, რადგან მისი წარდგენა ხდება განყენებულად - ცალკე ექსპერიმენტული პირობის სახით.

ამდენი საჭირო ცვლილების გამო, IT-ის ინდივიდუალური ფოტოც, არათუ უბრალოდ შეიცვალა დეტალებში, არამედ ხელახლა იქნა გადაღებული.

IT -ის შერეული ფოტო - მოცემულმა ფოტომ, სტერეოტიპული და ინდივიდუალური ფოტოების ცვლილების გამო ავტომატურად მოითხოვა ცვლილება. მოხდა მისი ხელახალი გადაღება. პილოტაჟის მონაცემების მიხედვით, გამოჩნდა რომ შერეული ფოტო დიდად ვერ ააქიტურებს IT -ის რბილ და მგრძობიარე ხასიათებს.

- სახლის გარემო შეიცვალა ოფისის გარემოთი
- დაემატა პროფესიის მიმანიშნებელი დეტალი - პლაკატი (ვინდოუსის ლოგოებით)
- ინდივიდუალური დეტალებიდან დაემატა ბალერინების პლაკატი
- კოპიუტერის ეკრანზე შენარჩუნდა იგივე საოპერო სცენა (მომღერალი ქალის გამოსახულება, რომელიც არის ნეიტრალური (არასექსუალური) და მკაფიო გამოსახულება.
- გამოყენებულ იქნა ერთი ქოთნის ყვავილი, რომელიც უფრო მკაფიოდ არის გამოსახული ახალ ფოტოზე
- ჩაცმულობა შენარჩუნდა იქნა იგივე - ლურჯი ფერის სტანდარტული პერანგი და ჯინსისი შარვალი, კეტები.

ფიგურა 6. IT-ის ფოტოები პილოტაჟამდე და პილოტაჟის ჩატარების შემდეგ (სტერეოტიპული, ინდივიდუალური და შერეული ფოტო)



შენიშვნა: IT -ის ხელახლა შექმნილი ფოტოებზე განმეორებით ჩატარდა პილოტაჟური კვლევა, თუმცა ფინანსური მიზეზების გამო აღარ მოხდა IT-ის ფოტოების შემდგომი ხელახალი ჩასწორება .

IT-ის ფოტოების ხელახალი პილოტაჟის შედეგად გამოჩნდა რომ სამივე ფოტოში გამოსწორდა ყველა ის დეტალი, რომელიც არასაკმარისად ან ორაზროვნად ააქტიურებდა ჩვენს მიერ სპეციალურად ჩადებულ შინაარს:

IT-ის სტეროტიპულ ფოტოში - ფიგურა აღარ იქნა აღქმული, მოყვარულად. ის აღქმულ იქნა როგორც IT სპეციალისტი, რომელიც რომელიც არ მუშაობის პროცესში. მისი გარემო, მიმოფანტული ნივთები მაგიდაზე და უწყესრიგებოდა შეფასდა ამ პროფესიისთვის დამახასიათებელ ტიპიურ გარემოდ. კედელზე ჩამოკიდებულმა პროფესიულმა პლაკატმაც მიიქცია ყურადღება და ხელი შეუწყო პროფესიის იდენტიფიკაციას.

მიუხედავად ამისა, მოცემული ფოტო მაინც ააქტიურებს ისეთ ასოციაციებს, რომლებიც არ ჯდება IT-ის ტიპიურ წარმოდგენაში. ეს მახასიათებლებია: ნებისყოფიანი, პასუხისმგებლიანი, მიზანდასახული, მოწესრიგებული, სერიოზული. რეპოდენტების თქმით, „ფიგურა ისეთ პოზაში ზის, რომ ძალიან ჩართულია და მონდომებულია“, ამიტომ „მიზანდასახული ადამიანია“.

IT-ის ინდივიდუალური ფოტოში - მოცემულ ფოტოზე, გამოსახული ფიგურა აღქმული იქნა, როგორც ოპერის მოყვარული. მიუხედავად ამისა, ფოტომ მაინც გააქტიურა ისეთი კატეგორიები, როგორიც არის: შემოქმედი/ხელოვანი, მოცეკვავე, რეჟისორი, ხელოვნების კრიტიკოსი .

ფოტოზე გამოსახული დეტალებიდან, ყველა დეტალმა მიიქცია ყურადღება. განსაკუთრებით მკაფიოდ იქნა აღქმული, ოპერის და ბალეტის თემა; ასევე აღქმული იქნა ქოთნის ყვავილებიც. ეს ჩანს ფიგურის ქცევის ინტერპრეტაციიდანაც და ფიგურის დახასიათებიდანაც - „*ოპერის მოყვარულია აშკარად... ყვავილიც კარგად ჩანს*“ ; „*ამ ადამიანის უყვარს ოპერა, მუსიკა, გემოვნებიანი მსმენელია*“; „*უყვარს კლასიკური მუსიკა, სასიამოვნო ადამიანი უნდა იყოს, რაგდან აქვს ყვავილები*“; „*ოპერის მოყვარულია, ოთახიც ისე აქვს მოწყობილი, კეთილი ადამიანი უდნა იყოს...*“ და ა. შ. რეპოდენტებმა მოცემული დეტალები ადვილად შემჩნევადი დეტალების ჩამონათვალშიც ახსენეს - ეკრანზე გამოსახული ოპერის სცენა, პლაკატი, ყვავილი, ყავის ჭიქა .

ფიგურის ქცევაც, ინტერპრეტირებული იქნა ერთნაირად სწორად, ყველა რესპონდენტის მიერ- უსმენს/უყურებს ოპერას.

მოცემულ ფოტოში, არც ერთ დეტალს არ გამოუწვევია ჩადებული შინაარსის მიღმა არსებული რომელიმე ასოციაციის გააქტიურება, თუ არ ჩავთვლით - „შემოქმედი/ხელოვანი“, „მოცეკვავე“, „რეჟისორი“, „ხელოვნების კრიტიკოსი“ გააქტიურების შემთხვევებს.

IT-ის შერეული ფოტოში - მთავარი ფიგურა აღქმულ იქნა, როგორ IT სპეციალისტი (პროგრამისტი, ტექნიკოსი); ასევე დასახელდა ისეთი პროფესია, როგორც არის ხელოვანი და მემონტაჟე.

ფოტოზე არსებული დეტალებიდან რესპონდენტებმა ყურადღება მიაქციეს ყველა მნიშვნელოვან დეტალს. ეს კარგად ჩანს მათ მიერ მოწოდებულ შაბეჭდილებებში, თუმცა ასევე კარგად ჩანს დეტალების იმ ჩამონათვალში, რომელსაც ზოგიერთ რესპონდენტი მიმართავდა შთაბეჭდილების გადმოცემის პროცესში: ბალერინების პლაკატი, ყვავილი, ხელში დაჭერილი ნაწილი, კომპიუტერული პლაკატი, მაგიდა. ასევე ყურადღება მიიქცეის ისეთმა დეტალებმა, როგორც არის სიგარეტი, ყავის ჭიქა, დისკები - „პროფესიიდან გამომდინარე აქტიური ასეთ ჰობის არ მისდევს. ოპერას და ბალეტს უყურებს. ჯანმრთელ ცოხვრებას არ მისდევს ეწევა და ყავას სვავს...მოწესრიგებულოც არ არის“; „მამაკაცი მუშაობს მაგიდასთან, არ გავს სახლს, ალბათ მემონტაჟეა, უდევს დისკები და რაღაცას ამონტაჟებს....თუმცა კედელზე რომ ვინდოუსის სურათი აქვს შეიძლება პროგრამისტიც იყოს, თუმცა ბალეტის სურათი რომ აქვს ამიტომ ვფიქრობ რომ მემონტაჟე შეიძლება იყოს. მგონი დიდი ხანი უწევს სამუშაო მაგიდასთან ჯდომა, რადგან ყავის ჭიქა და სიგარეტი აქვს“..და.ა.შ.

ფიგურის მახასიათებლებიდან ყველაზე გამოკვეთილად დასახელდა ფიგურის მუსიკისადმი სიყვარული. ამ თვისების გარდა, მოცემულ ფოტოზე დასახელდა მრავალი მახასიათებელი, რომელთაც თემატური გაერთანების შედეგად შეიძლება გამოიყოს ძირითადი მახასიათებლები - განათლებული (უყვარს კითხვა), მოწესრიგებული (პასუხისმგებლიანი, დეტალებზე დაკვირვებული), ესთეტი (უყვარს სინაზე, ყვავილები, კეთილი, მშვიდი, ნაზი, მარტოსული), შრომისმოყვარე და საქმეზე ორიენტირებული ადამიანი (დაკავებული, გამბედავი და ნესბისყოფიანი, ჩამოყალიბებული), მოუწესრიგებელი (თავქარიანი, ზარმაცი).

ფოტოზე არსებული დეტალებიდან, არც ერთ დეტალს არ გამოუწვევია ისეთი ასოციაცია, რომელიც არ შეესაბამება კვლევის მიზნებს.

მიუხედავად იმისა, რომ IT –ის ხელახლა შექმნილი ფოტოები IT-ის კატეგორიის გარდა მაინც ააქტიურებს სხვა კატეგორიებს, ტექნიკური თუ ფინანსური მიზეზების გამო, ვერ მოვახერხეთ ამ ფოტოების შესწორება.

ფოტოების პილოტაჟიდან გამოიკვეთა, რომ IT-ის პროფესიაზე არსებული რეპრეზენტაცია არ არის ისეთივე მკაფიო, როგორც არის ექიმის პროფესიაზე არსებული რეპრეზენტაცია. ეს ჩანს შემდეგიდან:

- რესპოდენტები ვერ არჩევენ IT-ის პროფესიას პროგრამისტის პროფესიისაგან. ზოგმა რესპოდენტმა საერთოდ არ იცის ამ პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება და უწოდებს ტექნიკოსს, რომელიც აკეთებს კომპიუტერებს და ასრულებს კომპიუტერულ მომსახურებას, ან უწოდებს პროგრამისტს - რომელიც არის „კომპიუტერშიკი“. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის,

რომ რესპონდენტები არიან სტუდენტები 18 დან 22 წლამდე. შესაბამისად, მათ ექიმისგან განსხვავებით, IT –თან ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება აქვთ.

- გამოცდილების სიმცირის გარდა, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ IT-ის პროფესია თავისი ბუნებით არ არის ისეთივე გამოკვეთილი, როგორც არის ექიმის პროფესია. გამოკვეთლობაში განსაკუთრებით ვგულისხმობთ იმ ვიზუალურ ნიშნებს, რომლითაც მარტივია პროფესიის ამოცნობა. ექიმის შემთხვევაში გვაქვს ფორმა, რომელიც მომენტალურად ადვილად ააქტიურებს შესაბამის რეპრეზენტაციას. IT-ის შემთხვევაში, ფორმის არ ქონის გამო, აქტიურდება სხვა პროფესიული კატეგორიებიც - ხელოსანი, მოყვარული.

ექიმისა და IT - ის გარდა, ფოტოების შეიქმნა ლექტორის და ტექ-ის თემასთან დაკავშირებითაც. მათზეც ასევე ჩატარდა პილოტაჟი. თუმცა პილოტაჟმა გვაჩვენა ხსენებული თემების ფოტოების ხელახლა გადაღების საჭიროება (ფოტოში ფონში განხორციელებულმა ცვლილებებმა არ მოგვცა სასურველი შედეგი). იმის გამო, რომ ტექნიკურად ვერ განხორციელდა ფოტოების ხელახლა გადაღება, ასევე იმის გამო, რომ ფოტოების დამუშავებისთვის არ გვეყოფინანსური რესურსები, მოხდა მოცემული თემების ამოღება კვლევის შემდგომი ეტაპებიდან. საბოლოოდ ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა მხოლოდ ექიმისა და IT-ის პროფესიული თემის გამომსახველი ფოტოები.

ქვევით მაინც წარმოგიდგინთ ლექტორისა და ტექ-ის ფოტოებზე მუშაობის ეტაპს:

ლექტორის ფოტოებში განხორციელებული ცვლილებები



ლექტორის სტერეოტიპულ ფოტოში განსახორციელებელი ცვლილებები:

- აუდიტორიის სიმწირემ რეპოდენტებში გამოიწვია უინტერესო ლექტორის შთაბეჭდილება, შესაბამისად სავსე აუდიტორიის შთაბეჭდილების შექმნის მიზნით, ცარიელ მაგიდებზე დაემატა საწერი კალმები და რვეული (რათა აღმქმელმა შეძლოა მეტი სტუდენტის მოაზრება მოცემულ ფოტოში).

ლექტორის ინდივიდუალური ფოტოში განსახორციელებელი ცვლილებები:

- ლექტორის ფიგურა მოცემულ ფოტოში ასოცირებულ იქნა ტექ-ის ტიპაჟთან. ამის მიზეზი, დასახელებულ იქნა ფოტოში გადმოცემული ქეიფის სიტუაცია და ფიგურის გარეგნული ნიშნები (ლიპი).
- ისეთ მთავარი დეტალები როგორც არის სამაჯური და ტატუ, ამოცნობილ იქნა როგორც ფოტოში ფიგურით ჩასმული გამოსახულებები.

ლექტორის შერეულ ფოტოში განსახორციელებელი ცვლილებები:

- სტერეოტიპული ფოტოს ცვლილების გამო, მოცემულ ფოტოსაც დაემატა იგივე დეტალები: ცარიელ მაგიდებზე დადებული რვეული და საწერი კალმები, იმ ასოციაციის შესაქმნელად რომ იქ კიდევ ზიან სტუდენტები
- იმის გამო, რომ ლექტორის ხელზე სამაჯური არ ჩანს კარგად, რესპონდენტები არ აქცევენ ამ მნიშვნელოვან დეტალს ყურადღებას. იგივე ეხება ტატუსაც. ამის გამო, საჭირო გახდა სხვა მსგავსი, მაგრამ ვიზუალურად უფრო მკაფიო სამაჯურის და ტატუს ჩასმა ფოტოში.

იმის გამო, რომ ლექტორის შერეულ ფოტოში ვერ მოხერხდა ეკლებიანი სამაჯურის ჩანაცვლება უფრო მკაფიო ვარიანტით და იმის გამო, რომ ვერ განხორციელდა ამ ფოტოების ხელახალი გადაღება, ლექტორის თემა ამოღებულ იქნა ჩვენი კვლევის შემდგომი ეტაპებიდან.

ფიგურა 6. ლექტორის ფოტოები (სტერეოტიპული, ინდივიდუალური და შერეული ფოტო)



ტქკ-ის ფოტოებში განხორციელებული ცვლილებები

ტქკ-ის სტეროტიპულ ფოტოში საჭირო გახდა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- ზოლიანი მაისურის გამო ტქკ-ი, გარდა ამ კატეგორიისა, აღქმულ იქნა როგორც მუშა და ტაქსისტი. დამატებით კატეგორიული ასოციაციების გააქტიურების თავიდან არიდების მიზნით, საჭირო გახდა ამ ჩაცმულობის შეცვლა.

ტქკ-ის ინდივიდუაციურმა ფოტომ მოითხოვა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- იმის გამო, რომ რესპონდენტები სწორად ვერ იგებდნენ ტქკ-ის ხელში დაჭერილ პლაკატზე გამოსახული წარწერის შინაარსს საჭირო გახდა ამ წარწერის იგივე, მაგრამ უფრო მარტივი შინაარსის მქონე წარწერით ჩანაცვლება.
- გარდა, ამისა, ამ ფოტოში გამოსახული ფიგურა აღქმულ იქნა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, ჰომოსექსუალი ან საერთოდ ჰომოფობი. არც ერთი ეს ინტერპრეტაცია არ შეესაბამება ჩვენს მიერ ფოტოში ჩადებულ შინაარსს. ფოტომ ამის გამო ითხოვს სერიოზული ცვლილებების განხორციელებას, გადმოცემული ქცევის მკაფიო გასაქტიურებლად და მოულოდნელი კატეგორიების გააქტიურების შეკავებას.

ტქკ-ის შერულ ფოტოში საჭირო გახდა შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

- ტქკ-ის ნაცვლად ხშირად ცენტრალურ ფიგურად აღქმულ იქნა წითელ პერანგში ჩაცმული ახალგაზრდა. საჭირო გახდა ტქკ-ის ფიგურის წინ წამოწევა.
- საჭირო გახდა კვლავ პლაკატზე გამოსახული წარწერების მარტივი წინადადებებით შეცვლა.
- ნივთები, რომელიც უჭირავს ტქკ-ს იძლევა ორაზროვან ინტერპრეტაციას. ლუდის ბოთლი აღმულ იქნა როგორც ტკბილი სასმელის ბოთლი, ხოლო ხინკლით სავსე პაკეტი, ბატიბუტით სავსე პაკეტად. საჭირო გახდა ამ ნივთების ვიზუალურად უფრო მკაფიოდ გამოკვეთა.
- მოცემულ ფოტოშიც, ტქკ აღქმულ იქნა, როგორც აქციის მოწინააღმდეგე და არა მხარდამჭერი.

ტქკ-ის სამივე ფოტომ მოითხოვა ისეთ ფართო ცვლილებების განხორციელება, რამაც გამოიწვია ფოტოების ხელახალი გადაღების საჭიროება. იმის გამო, რომ ტექნიკურად ვერ შევძელით იგივე ფიგურაზე სამი ახალი ფოტოს გადაღება, ტქკ-ის თემაც ამოღებულ იქნა შემდგომი კვლევიდან. ის არ იქნა გამოყენებული ექსპერიმენტში.

ფიგურა 7. ტკვ ფოტოები(სტერეოტიპული, ინდივიდუალური და შერეული ფოტო)



რადგან ლექტორისა და ტკვ-ის ფოტოები ამოღებულ იქნა კვლევიდან, ადარ მომხდარა მათი ინიციალიზაცია და დამატებითი ცვლილებების შეტანა.

4.5. V ეტაპი

ინდივიდუალური ქცევასთან დაკავშირებული ასოციაციების გამოვლენა მიზანი

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ეტაპზე თითოეული ტიპაჟისთვის გამოვლენილი მახასიათებლების საფუძველზე გადაწყდა მახასიათებელთა იმ სკალის შექმნა, რომელიც გააქტიურებული ასოციაციების (მახასიათებლების) მიხედვით, გაზომავს ექპერიმენტულ ნაწილში, ამ ტიპაჟებზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. იმისათვის, რომ შეიქმნას ასეთ სკალა, მასში უნდა შევიდეს ორი ტიპის ასოციაციები 1) ის სტერეოტიპული ასოციაციები, რომელსაც ააქტიურებს მოცემული ფიგურის პროფესიული სტერეოტიპი და 2) ის ინდივიდუალური ქცევის

ასოციაციები, რომელსაც ააქტიურებს ამ სტერეოტიპული თემისთვის შერჩეული ინდივიდუალური ქცევა. *სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მახასიათებელთა სკალის დახმარებით შემოწმდება გააქტიურებული ასოციაციების აქტივობა-შეკავების ზომბა და ამით დადგინდება, ის თუ რომელი მენტალური რეპრეზენტაციის საფუძველზე - სტერეოტიპული თუ ქცევითი - მოხდა აღქმული ინდივიდის შეფასება.*

იმის გამო, რომ გვაქვს რამდენიმე სტერეოტიპული თემა და თითოეულისთვის ინდივიდუალურად შერჩეული ინდივიდუალური ქცევა, შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის შექმნა თითოეული თემისთვის მოხდება ცალცალკე.

შეგახსენებთ, კვლევის ყველა ზემოხსენებულ ეტაპზე (თვისებრივი, რაოდენობრივი) მოხდა სტერეოტიპული ასოციაციების (მახასიათებლების) გამოვლენა, ხოლო რაც შეეხება იდივიდუალისტურ ინფორმაციას, მოხდა ინდივიდუალური ინფორმაციის კონკრეტული მაგალითების გამოვლენა, მაგრამ კვლევის ამ ეტაპებზე, არ მოხდარა ინდივიდუალური ქცევების შესაბამისი რეპრეზენტაციების შესწავლა. შთაბეჭდილებათა გასაზომი სკალის ფორმირების მიზნით, საჭირო გახდა ცალკე კვლევის ჩატარება, იმ მახასიათებლების (ქცევების) რეპრეზენტაციების გამოვლენის მიზნით, რომლებიც ჩვენს კვლევაში გამოყენებულია, როგორც ინდივიდუალური ინფორმაცია. ამრიგად, დაიგეგმა დამატებითი კვლევა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციის მენტალური ბადის შესწავლაზე და შესაბამისად, იმ ასოციაციების გამოვლენაზე, რომელთაც მოცემული ქცევები ააქტიურებენ აღმქმელში. *(შეგახსენებთ, რომ სწორედ ეს ასოციაციები და მათ მიერ შექმნილი მენტალური ბადე დაეყრდნობა საფუძველად, აღმქმელის მიერ მოწოდებულ შთაბეჭდილებაზე ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობის გაზომვას).*

კვლევის აღნიშნული ეტაპი წარმართა ორ ნაწილად:

- ჯერ მოხდა ექიმისთვის და IT-თვის შერჩეული ინდივიდუალური ქცევების კვლავ გადამოწმება და მათი საბოლოო არჩევა
- შემდეგ კი მოხდა საბოლოოდ შერჩეული ინდივიდუალური ქცევის ასოციაციების კვლევა, თითოეული პროფესიული კატეგორიის მიხედვით *(ეტაპების დაწვრილებითი აღწერა იხილეთ ქვევით).*

ა) ექიმისთვის და IT-თვის შერჩეული ინდივიდუალური ქცევების გადამოწმება

მიზანი

რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე თითოეული პროფესიული თემისთვის ამოირჩა ორი ინდივიდუალური ქცევა - ერთი ძირითადი, და მეორე დამატებითი,

რომელიც შინაარს მხოლოდ იმ მიზნით დაემატა, რომ ხელი შეუწყოს ძირითადი ინდივიდუალური ინფორმაციის მკაფიო გადმოცემას.

	ექიმი	IT
ძირითადი ინდივიდუალური ინფორმაცია	კომპიუტერული თამაშით გატაცება	ოპერა-ბალეტით გატაცება
დამატებითი ინდივიდუალური ინფორმაცია	მოუწესრიგებლობა (გამოხატული მოუწესრიგებელ ჯდომით)	ქოთნის სიყვარული (გამოხატული იქვე დადებული ქოთნის ლამაზი ყვავილებით)

კვლევის მოცემულ ეტაპზე გადამოწმდა ის თუ რამდენად განსხვავებულ და მრავალფეროვან ასოციაციებს ააქტიურებს ძირითადი ინდივიდუალური ქცევა აღებული ცალკე და იგივე ქცევა აღებული წყვილში, დამატებით ინდივიდუალურ ქცევასთან ერთად.

ასოციაციების მრავალფეროვნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევისთვის. რადგან, სწორედ გააქტიურებული ასოციაციების დახმარებით მოხდება მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვა, მნიშვნელოვანია სტერეოტიპული ასოციაციების გვერდით წარმოდგენილი იყოს მკაფიო და სპეციფიკური ინდივიდუალური ქცევის ასოციაციებიც. მრავალფეროვანი ინდივიდუალური ასოციაციის არსებობა დაგვეხმარება უფრო ზუსტად გავზომოთ ინფორმაციის ინდივიდუალური დამუშავების გავლენა.

ამ კვლევის შედეგად გადაწყდა ინდივიდუალური ინფორმაციის ისეთი ფორმით მიწოდება, რომელიც მეტ და უფრო სპეციფიკურ ასოციაციებს ააქტიურებს აღმქმელში

მეთოდი

ექიმის და IT-ის ინდივიდუალური ქცევის ასოციაციების მრავალფეროვნების გამოვლენა მოხდა გამოკითხვის მეთოდის გამოყენებით - რესპონდენტებს დავუსვით ორი ღია შეკითხვა (ყოველგვარი ფოტოს წარდგენის გარეშე), რომელიც შეეხო იმ ასოციაციური მახასიათებლების დასახელებას, რომელთაც ერთი მხრივ ააქტიურებს ძირითადი ინდივიდუალური ქცევის მქონე მამრობითი ფიგურა (ექიმის და IT-ის ფიგურა) და მეორე მხრივ ძირითადი და დამატებით ინდივიდუალური ქცევის მქონე (იგივე) მამრობითი ფიგურა.

აღსანიშნავია, რომ შეიქმნა ორი კითხვარი, საიდანაც ერთი შეეხო ექიმისა და IT-ის ძირითადი ინდივიდუალური ქცევების ასოციაციების გამოვლენას, ხოლო მეორე

ექიმისა და IT-ის ძირითადი და დამატებითი ინდივიდუალური ქცევების ასოციაციების გამოვლენას. ამრიგად, თითოეულმა კითხვარმა მოიცვა ორი ღია შეკითხვა²⁶. კითხვარები ჩატარდა ცალცალკე.

შერჩევა

ექიმის ინდივიდუალურ ქცევებთან (როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი) დაკავშირებით გამოიკითხა 15 რესპონდენტი (5მამრობითი, 10 მდედრობითი)²⁷. IT-ის ინდივიდუალურ ქცევებთან დაკავშირებითაც გამოიკითხა 15 რესპონდენტი, თუმცა ამ შემთხვევაში, მამრობით სქესის ჩართვის მიზნით, მოხდა რესპოდენტების დამატება. სულ გამოიკითხა 21 რესპოდენტი (6 მამრობითი, 15 მდედრობითი).

გამოკითხვა მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოკითხვა განხორციელდა ხელმისაწვდომი შერჩევის გამოყენებით. მონაწილეობა მიიღეს 18-23 წლის სტუდენტებმა.

მონაცემები

მონაცემების დამუშავება მოხდა კონტენ ანალიზის მეთოდის გამოყენებით - მსგავსი შინაარსის მახასიათებლები გაერთიანდა უფრო მსხვილ შინაარსობრივ კატეგორიებში - მახასიათებლებში.

მახასიათებელთა გამოყოფის შემდეგ, მოხდა მონაცემების დამუშავება კლასტერული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. კლასტერული ანალიზის შედეგად, თითოეული ქცევისთვის გამოიყო ის ასოციაციები, რომლებიც 18% და მეტი სიხშირით იქნა დასახელებული²⁸ (იხ. ცხრილი 18).

²⁶ კითხვარი იხ. დანართში F

²⁷ დემოგრაფიული მონაცემები იხ. დანართში F, ცხრილი F1 და F2

²⁸ სიხშირეები სრულად შეგიძლიათ იხილოთ დანართში F, ცხრილში F 3 – F 6 .

ცხრილი 18. კლასტერული ანალიზი შედეგად გამოყოფილი ინდივიდუალური ქცევის ასოციაციური მახასიათებლები, რომლებმაც დასახელდა მაღალი სიხშირით (ექიმი და IT)

ექიმის კომპიუტერთან თამაშის ქცევა <i>ძირითადი ინდივიდუალური ქცევა</i>	%	ექიმის ძირითადი ინდივიდუალური ქცევა დაწყვილებული მოუწესრიგებლო ბასთან	%	IT-ის კლასიკური მუსიკით გატაცების ქცევა <i>ძირითადი ინდივიდუალური ქცევა</i>	%	IT-ის ძირითადი ინდივიდუალური ქცევა დაწყვილებული ოთახის ყვევილებით გატაცებასთან	%
ჩაკეტილი	26.7 %	უსაქმური	53.8 %	ხელოვნების მოყვარული	57.1 %	თბილიდა მზრუნველი	42.9 %
არასერიოზული/ უპასუხისმგებლო	26.7 %	მოუწესრიგებ ლი	46.2 %	რომანტიული	50.0 %	მგრძნობიარე	42.9 %
აქვს ვიწრო ინტერესები	26.7 %	არ აქვს სხვა მიზნები	38.5 %	კულტურული	28. %	კულტურული	33.3 %
უსაქმური	26.7 %	არაპიგიენური	30.8 %	განათლებული და ინტელექტუალური	21.4 %	ჰარმონიული	28.6 %
აზარტული	20.0 %	უყურადღებო	30.8 %	ძლიერი და დამოუკიდებელი ადამიანი	21.4 %	ხელოვანი	23.8 %
აგრესიული	20.0 %	უპასუხისმგებ ლო	23.1 %			მოწესრიგებულ	19.0 %
ახალგაზრდა	20.0 %						

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage)

ანალიზი

მიღებული დახასიათებების შედარების საშუალებით გამოიკვეთის თუ რამდენად სპეციფიკურ და მრავალფეროვან ასოციაციებს იწვევს დამატებითი ინდივიდუალური ქცევის დამატება ძირითად ინდივიდუალურ ქცევაზე. აღმოჩნდა, რომ :

- **ექიმის ინდივიდუალური ქცევის შემთხვევაში** ცალკე კომპიუტერის თამაშით გააქტიურებული ასოციაციური მახასიათებლების ნაწილი ემთხვევა იმ მახასიათებლებს, რომელსაც იწვევს კომპიუტერით თამაშის გატაცება მოუწესრიგებლობასთან ერთად. ეს საერთო მახასიათებლებია **არასერიოზულობა, უსაქმურობა და ვიწრო ინტერესების ქონა** (იხ. ცხრილი 18). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთნაირ ასოციაციებთან ერთად, ძირითადი ქცევა უფრო მეტ განსხვავებულ მახასიათებელსაც ააქტიურებს, ვიდრე იგივე ქცევა დაწყვილებული მოუწესრიგებლობის ქცევასთან, ესენია - **ჩაკეტილი, აზარტული, აგრესიული,**

ახალგაზრდა. მრავალფეროვნების საფუძველზე, შესაძლოა უმჯობესი იყოს ექიმის ინდივიდუალური ინფორმაციად შევარჩიოთ მხოლოდ ძირითადი ინდივიდუალური ქცევა - კომპიუტერების თამაში, თუმცა თუ ამ მახასიათებლებს გავაანალიზებთ ვნახავთ:

✓ **აგრესიულობის თვისებით** დახასიათდა ექიმის სტერეოტიპული ტიპაჟი, ამიტომ მოცემული მახასიათებელი არ გამოგვადგება შთაბეჭდილების გასაზომ სკალაში ინდივიდუალური შთაბეჭდილების გასაზომად

✓ **ახალგაზრდულობის მახასიათებელი** ფიზიკური მახასიათებელია. ეს მახასიათებელი უფრო აღწერისა და აღქმის პროცესის შემოწმებისთვის გამოგვადგება და ნაკლებად გამოგვადგება შთაბეჭდილების გასაზომად სკალაში.

ამგვარად, გამორიცხული ორი მახასიათებლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ექიმის შემთხვევაშიც სასურველი იქნება დამატებით ინდივიდუალური ინფორმაციის დატოვება ფოტოში. ის ამრავალფეროვნებს ინდივიდუალური ინფორმაციის ასოციაციებს და უფრო სპეციფიკურს ხდის მათ.

➤ **ცალკე აღებული ოპერა ბალეტით გატაცება** იმავე ასოციაციებს იწვევს რაც ოპერა ბალეტით გატაცების ქცევა დაწყვილებული ოთახის ყვავილების ქონასთან. ეს საერთო ასოციაცია - **მგრძნობიარე, კულტურული, ხელოვნების მოყვარული, დამოუკიდებელი და განათლებული ადამიანი**. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ოთახის ყვავილების ქონის ქცევის დამატება, დამატებით ააქტიურებს ისეთ მახასიათებლებს, როგორც არის: **სითბო, მზრუნველობა, ჰარმონიულობა და მოწესრიგებულობა** (იხ. ცხრილი18).

ოპერა ბალეტით გატაცებული ადამიანის ქცევა მთლიანობაში იწვევს მგრძნობიარე, მაგრამ ამავე დროს ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას; იგივე ინფორმაცია დაწყვილებული ოთახის ყვავილების ფლობის ქცევასთან აძლიერებს რბილი და ემოციური ადამიანის შთაბეჭდილებას, რაც არის ჩვენის კვლევის მიზანი IT-ის ინდივიდუალური ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ამგვარად, მოცემული დამატებით კვლევის პირველი ეტაპის შედეგად გადაწყდა ორივე ინდივიდუალური ინფორმაციის შენარჩუნება, ორივე პროფესიული ტიპაჟის ინდივიდუალური ფოტოში.

ბ) ინდივიდუალური ქცევის ასოციაციების კვლევა, თითოეული პროფესიული კატეგორიის მიხედვით

მიზანი

მას შემდეგ, რაც თითოეული პროფესიული ტიპაჟისთვის განისაზღვრა ინდივიდუალური ინფორმაციის გამოყენების ფორმა, მოხდა შერჩეული

ინდივიდუაციური ინფორმაციების მიერ გააქტიურებული ასოციაციების გამოვლენა.

კვლევის ამ ეტაპის მთავარი მიზანი არის, იმ ასოციაციების განვლენა, რომლებიც შედის ჩვენს მიერ გამოყენებული ინდივიდუაციური ქცევის მენტალურ რეპრეზენტაციაში, და რომლებიც სტერეოტიპულ ასოციაციებთან ერთად, შევა ექიმისა და IT- ის შთაბეჭდილების გასაზომ სკალებში.

მეთოდი

მოცემულ შემთხვევაშიც რესპონდენტებს დაესვათ ორი ღია შეკითხვა, საიდანაც ერთი შეეხო იმ ასოციაციური მახასიათებლების გენერირებას, რომელაც ააქტიურებს კომპიუტერულ თამაშის მოყვარული და მოუწესრიგებელ ოთახში მჯდომი ქცევის მქონე მამრობითი ფიგურა, ხოლო მეორე შეეხო იმ ასოციაციებს, რომელსაც ააქტიურებს ოპერა ბალეტის მოყვარული და ოთახის მცენარეების მქონე მამრობითი სქესის ფიგურა²⁹.

დასმული შეკითხვებით რესპონდენტებს ვერბალურად (ფოტოების გამოყენების გარეშე) მივაწოდეთ ტიპაჟების შესახებ დახასიათება და შემდეგ ვთხოვეთ იმ მახასიათებლების გენერირება, რომელიც მათი წარმოდგენით ასოცირდება ამ ტიპაჟებთან.

შერჩევა

გამოკითხვა ჩატარდა 34 სტუდენტზე (17 მდედრობით და 17 მამრობით სქესის) რომელთა საშუალო ასაკი არის 21 წელი. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულ იქნა ქუჩაში გამოკითხვა, ხელმისაწვდომი შერჩევის სახით. რესპონდენტებს ევალუბოდათ, იმ მახასიათებლების გენერირება, რომელიც მათი წარმოდგენით ასოცირდება გარკვეული ინდივიდუაციური ქცევის მქონე მამრობითი სქესის ადამიანთან.

შედეგები

მიღებული პასუხები დამუშავდა კონტენტ ანალიზის გამოყენებით, ხოლო შემდეგ მოხდა მონაცემების კლასტერული ანალიზი. შედეგად თითოეული პროფესიული კატეგორიისათვის გამოიყო ის ინდივიდუაციური მახასიათებლების - ასოციაციები, რომლებიც ყველაზე მაღალი მაჩვენებლით - 18% ან მეტ შემთხვევაში -

²⁹ კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ დანართში G

დაფიქსირდა³⁰. თითოეული ინდივიდუალური ქცევისთვის გამოიყო შემდეგი ასოციაციები (იხ. ცხრილი 19):

ხრილი 19. ექიმის და IT-ის ინდივიდუალური ქცევის მიერ გააქტიურებული ასოციაციები

ექიმისთვის შერჩეული ინდივიდუალური ქცევის ასოციაციები	%	IT-თვის შერჩეული ინდივიდუალური ქცევის ასოციაციები	%
მოუწესრიგებელი (არაორგანიზებული, არასტაბილური, გულმავიწყი, დროის შეგრძნება არ აქვს)	50.0 %	მგრძობიარე (რომანტიული, ფაქიზი, რბილი, გულჩვილი, რბილი, მეოცნებე, ნაზი)	52.9 %
უპასუხისმგებლო (არასანდო, უყურადღებო, ეგოისტი)	40.6 %	კულტურული (ჯენტლმენი, არისტოკრატი, ინტელიგენტი, დახვეწილი)	41.2 %
უსუფთაო (არაჰიგიენური, ბინძური, არ უვლისთავს, არ ზრუნავს გარეგნობაზე, უთავმოყვარეო)	47.9 %	მშვიდი-გაწონასწორებული ადამიანი	35.3 %
უსაქმური (ზარმაცი, დაუსაქმებელი, პასიური, დარღვეული აქვს ძილის რეჟიმი)	31.3 %	ხელოვანი ადამიანი (შემოქმედებითი, უყვარსხელოვნება, კლასიკა)	38.2 %
არ აქვს მიზანი (ინტერესების ვიწრო სფერო აქვს)	31.3 %	მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანია (ყურადღებიანი, მეოჯახე, უფრთხილდება სხვას)	35.3 %
მოუმწიფებელი პიროვნება (ახალგაზრდა, ბავშვობაში ჩარჩენილი, ჩამოუყალიბებელი, ბავშვური)	21.9 %	მოწესრიგებული (საქმეში, სუფთა, უვლისთავს)	32.4 %
არაკომუნიკაბელური (ჩაკეტილი, ასოციალური)	18.8 %	თბილი და მეგობრული ადამიანია (სასიამოვნო ურთიერთობაში, კომუნიკაბელური)	17.6 %
		ესთეტი (ავასებს სილამაზეს, უყვარს ტკბობა-სიამოვნება)	14.7 %

შენიშვნა: IBM SPSS, იერარქიული კლასტერული ანალიზი (Method: Between group linkage).

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ გაერთიანდა კონკტენტ ანალიზის შედეგად მსგავსი შინაარსის მქონე მახასიათებლები.

ამგვარად, ცხრილში N23 ნაჩვენებია მახასიათებლები არის ის ასოციაციები, რომლებიც აქტიურდება ჩვენ მიერ შერჩეული ინდივიდუალური ქცევების შედეგად და რომლებიც, შევიდა სკალაში ინდივიდუალური შთაბეჭდილების გაზომვის მიზნით.

³⁰ სიხშირეები სრულად შეგიძლიათ იხილოთ დანართში G, G 5 - G 6.

4.6. VI ეტაპი

შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის ფორმირების პროცესი

მიზანი

მოცემული ეტაპზე ჩატარებული სამუშაოს მთავარი მიზანი არის მახასიათებელთა იმ სკალის შექმნა, რომელიც გაზომავს სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებულ შთაბეჭდილებებს. თითოეულ ტიპაჟისთვის სათითაოდ შეიქმნა ასეთი სკალა.

მახასიათებელთა სკალის შემქნის მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროცედურები:

- სკალის დაკომპლექტების მიზნით, ექიმის და IT-ის სტერეოტიპული დახასიათებებიდან, გამოიყო ის სტერეოტიპული მახასიათებლები, რომლებიც ასოციაციურად უკავშირდება მოცემულ პროფესიებს.
- ასევე გამოიყო, იმ ინდივიდუალური ქცევით ინფორმაციასთან დაკავშირებული ასოციაციები, რომლებიც აქტიურდება ექიმისთვის და IT-ისთვის შერჩეული ქცევების აღქმის შედეგად.
- განხორციელდა პილოტაჟური კვლევა შექმნილი მახასიათებელთა სკალის შესასწავლად

პროცედურა

ა) შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალაში შესაყვანი მახასიათებლების ამორჩევა

შთაბეჭდილებათა გასაზომი სკალაზე მუშაობის მთავარი მიზანი არის, ისეთი მახასიათებლების შერჩევა, რომელთა დახმარებითაც მკაფიოდ განვასხვავებთ სტერეოტიპული შთაბეჭდილებებს ინდივიდუალურისგან.

მახასიათებლების შერჩევა მოხდა შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- **სტერეოტიპული ინფორმაციის ასოციაციური მახასიათებლები** შევარჩიეთ უკვე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემებიდან. შეგახსენებთ, რომ ხსენებულმა რაოდენობრივმა კვლევამ მოგვარწოდა თითოეული (ხუთივე) ტიპაჟის დეტალური სტერეოტიპული დახასიათება.

✓ სტერეოტიპული ასოციაციების ამორჩევის მიზნით, რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოყოფილი სტერეოტიპული ფაქტორებიდან ამოირჩა ის ფაქტორები, რომლებიც შეფასებულ იქნა ყველაზე მაღალი დადებით ქულით - **საშაულო შეფასება 8, 9, 10, 11**).

✓ შეგახსენებთ, რომ ხსენებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემების ფაქტორული ანალიზი ორნაირად შესრულდა - ერთ შემთხვევაში გამოიყო

ხუთივე ტიპაჟისთვის დამახასიათებელი **საერთო ფაქტორები**, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოიყო განცალკევებით თითოეული ტიპაჟისთვის **ინდივიდუალურად დამახასიათებელი** ფაქტორები. მახასიათებელთა სკალაში შესაყვანი სტერეოტიპული მახასიათებლების ამორჩევა, ორივე ტიპის ფაქტორებიდან განხორციელდა (თითოეული პროფესიული კატეგორიისათვის).

✓ მაღალი შეფასების მქონე ფაქტორებიდან არ მომხდარა ყველა ფაქტორის გამოყენება. სკალაში შეყვანის მიზნით, ამორჩეულ იქნა ის მაღალქულიანი ფაქტორები, რომლებიც **მოცემულია ხასიათის ან ქცევის ტერმინებში**. ის ფაქტორები, რომლებიც გადმოსცემენ ტიპაჟის **გარეგნულ აღწერილობას** არ შეგვიყვანია მახასიათებელთა სკალაში, მაგ: ასეთი ფაქტორებია - არი 36 წლის ზევით, აქვს ჭაღარა თმა ან მელოტია. შეგახსენებთ, რომ ამ სკალის მიზანი არის იმ ინტეპრეტაციის წვდომა, რომელსაც აღმქმელი ახდენს მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სკალა ზომავს ინფორმაციის გადამუშავების შედეგს და არა აღქმის პროცესს. შესაბამისად, ის ფაქტორული მახასიათებლები, რომლებიც არის *აღწერით ბუნების* და *რომლებიც სწორედ ამის გამო ვიზუალური დეტალების სახით ისედაც ჩადებულ იქნა ფოტოში*, არ გამოგვადგება შთაბეჭდილების პროცესის გასაზომად.

✓ მაღალი შეფასების მახასიათებლებიდან, ასევე თავი ავარიდეთ ისეთი მახასიათებლების შეყვანასაც, რომელთა შესახებაც ფოტოში **აშკარად არის მოცემული** ინფორმაცია - ესენია: აქვს *საოფისე სამსახური*; *სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე გართობისთვის დრო არ რჩება*. ეს იმით არის განპირობებული, რომ ზოგიერთ ფოტოში (კერძოდ სტერეოტიპულ ფოტოებში) ფიგურა სამუშაო პროცესში არის წარმოდგენილი და ფოტოდან ნათლად ჩანს რომ მას არ სცალია. აღნიშნული მახასიათებლების შეფასებისას ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სკალა გაზომავს ფოტოს აშკარად გადმოცემული ინფორმაციის უბრალო დადასტურებას, ვიდრე ასოციაციური დასკვების პროცესს, (როგორც ვთქვით, ზოგიერთ ფოტოზე, აშკარად ჩანს „სცალია თუ არა გამოსახულ ფიგურას“. სწორედ, ამიტომ ხსენებული და მსგავსი ტიპის ასოციაციური მახასიათებლები, მაღალი სკალური შეფასების მიუხედავად, არ შევიყვანეთ მახასიათებელთა სკალაში).

➤ **ინდივიდუალური ინფორმაციის ამსახველი ასოციაციური მახასიათებლები** შევარჩიეთ, იმ გამოკთხვის შედეგებიდან, რომელიც ჩატარდა კვლევის მეოთხე ეტაპზე, ინდივიდუალური ქცევითი რეპრეზენტაციების შესწავლის მიზნით.

ექიმის შთაბეჭდილების გასაზომი სკალისთვის შერჩეული სტერეოტიპული მახასიათებლები

ექიმის სტერეოტიპული შთაბეჭდილების გასაზომად შეირჩა ფაქტორები, რომლებიც ჩამოყალიბდა დებულებებად (სულ 31 სტერეოტიპული დებულება); იგივენაირად ექიმის ინდივიდუალური შთაბეჭდილების გასაზომად შეირჩა ის მახასიათებლები, რომლებიც გამოვლინდა კომპიუტერით გატაცებისა და მოუწესრიგებელ ოთახში ჯდომის ქცევით გააქტიურებული ასოციაციების კლასტერული ანალიზის შედეგად (სულ 7):

ცხრილი 20. *ექიმის შთაბეჭდილების გასაზომად შერჩეული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ქცევის ასოციაციური მახასიათებლები*

ექიმის სტერეოტიპული მახასიათებლები-ასოციაციები	
<i>ოჯახში ფინანსურად მთავარი შემონტანია</i>	<i>კეთილია</i>
<i>შესაძლებელია მოღვაწეობდეს აკადემიურ სფეროში</i>	<i>მეწვრილმანია</i>
<i>უყვარს ბუნებაში გასვლა დასასვენებლად</i>	<i>მეოჯახეა</i>
<i>აგრძელებს მამის პროფესიას (საქმეს)</i>	<i>ამაყია</i>
<i>აქვს პოლიტიკაში საქმიანობის მისწრაფება</i>	<i>უყვარს ნადირობა ან/და თევზაობა</i>
<i>აინტერესებს გეოგრაფია და ისტორია</i>	<i>ეთაკილება გარკვეული პროფესიებით მუშაობა (მაგ: მეეზოვე, დამლაგებლად)</i>
<i>უყვავს ტრადიციული ქეიფი და დალევა</i>	<i>აინტერესებს ბიოლოგია ან/და ბოტანიკა</i>
<i>გონიერი და ინტელექტუალური ადამიანია</i>	<i>ინტელიგენტი მეგობრები ყავს</i>
<i>აქვს იუმორის გრძნობა</i>	<i>თბილი და მოსიყვარულე ადამიანია</i>
<i>ლიდერია</i>	<i>დადის კინოთეატრში</i>
<i>გამუდმებით იბანს ხელეებს</i>	<i>განათლებული ადამიანია</i>
<i>ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო</i>	<i>უყვარს ძალაუფლების დემონსტრირება</i>
<i>მკაცრია</i>	<i>ხელეებს მოქნილად იყენებს</i>
<i>ჯენტლმენია</i>	<i>საკუთარი საქმის პროფესიონალია</i>
<i>არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს</i>	<i>ერკვევა ტექნიკურ საგნებში</i>
<i>წარმატებული ადამიანია</i>	<i>ორინეტრულია ახალ იდეებზე და განვითარებაზე</i>

ინდივიდუალური ქცევის ასოციაციები
მოუმწიფებელი ადამიანია

„უსაქმური“ ადამიანია
 არაორგანიზებული და მოუწერსიგებელია საქმიან ურთიერთობებში
 უსუფთაო ტიპია ზოგადად ცხოვრებაში
 არაკომუნიკაბელური ადამიანია
 უპასუხისმგებლოა
 ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო

IT -ის შთაბეჭდილების გასაზომი სკალისთვის შერჩეული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური მახასიათებლები

IT -ის შთაბეჭდილების გასაზომად მოხდა შემდეგი სტერეოტიპული (სულ12) და ინდივიდუაციური(სულ7) მახასიათებლების ამორჩევა:

ცხრილი 21. IT-ის შთაბეჭდილების გასაზომად შერჩეული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ქცევის ასოციაციური მახასიათებლები

IT-ის სტერეოტიპული მახასიათებლები- ასოციაციები	IT-ის ინდივიდუაციური ქცევის ასოციაციები
ნიჭიერი პროფესიონალია საკუთარ საქმეში	კულტურულიადამიანია
განათლებულიადამიანია	მგრძნობიარე - ფაქიზი ბუნების ადამიანია
მთელს დროს კომპიუტერთან ატარებს	მშვიდი-გაწონასწორებული ადამიანია
ჯენტლმენია ქალებთან ურთიერთობაში	თბილი-მეგობრული ადამიანია ურთიერთობაში
არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	მზრუნველი და ყურადღებიანი ადამიანია
აქვს დირექტორობისკენ მისწრაფება	ესთეტია
ერკვევა ტექნიკურ საგნებში	ზოგადად მოწესრიგებული ადამიანია (საქმეში და საკუთარ თავთან მიმართებაში)
აქტიურად არის ჩართული სოციალურ ქსელში	
აქვს საკუთარი ჩაკეტილი სამყარო	

*ახალ იდეებზედა განვითარებაზე
ორიენტირებული ადამიანია
სურვილი აქვს იშოვოს ბევრი ფული*

*ზოგადად ცხოვრებაში, ორიენტირებულია
იქონიოს ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე
კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები*

შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში შეტანილი დებულებების გაზომვა

დებულებებად ჩამოყალიბებული ასოციაციური მახასიათებლების გაზომვა მოხდა 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, რომლის მნიშვნელობებია 1 - მაქსიმალურ დაბალ/ უარყოფით შეფასებას (ანუ შეფასება, რომლის თანახმადაც მოცემული მახასიათებელი საერთოდ არ ახასიათებს ექიმის ან IT-ის ფოტოზე გამოსახულ ტიპაჟს), ხოლო 11 წარმოადგენს ყველაზე მაქსიმალურ/დადებით შეფასებას (შეფასებას, რომლის თანახმადაც მოცემული მახასიათებელი ძლიერ ახასიათებს ექიმის ან IT-ის ფოტოზე გამოსახულ ტიპაჟს).

ბ) შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალების პილოტაჟი

მიზანი

კვლევის მოცემულ ეტაპზე მოხდა ექიმისთვის და IT -თვის შექმნილი მახასიათებელთა სკალების წინასწარი ტესტირება, რომელიც ჩატარდა ცალ-ცალკე.

ხსენებული ტესტირების მიზანი არის შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალებში შემავალი **გადამფარავი მახასიათებლების** გაცხრილვა, რათა სკალაში დარჩეს ა) მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც ნამდვილად **ძლიერ ასოცირდება** გამოყენებულ სტერეოტიპულ ინფორმაციასთან და ბ) ის მახასიათებლები, რომლებიც **ძლიერ ასოცირდება** ინდივიდუალური ინფორმაციებთან.

გადამფარავად ჩაითვლება ისეთი მახასიათებელი, რომელიც მიიღებს მსგავს ქულას, როგორც სტერეოტიპული, ასევე ინდივიდუალური ფოტოს ფიგურის შეფასებისას. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მახასიათებელი რომელიც ერთნაირად ასოცირდება, როგორც სტერეოტიპულ, ასევე ინდივიდუალურ ფოტოსთან.

მეთოდი

შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალების წინასწარი ტესტირება ჩატარდა ონლაინ გამოკითვის ფორმით. რესპონდენტებს ელექტრონულ მეილზე (მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე) დაეგზავნათ ორი სკალიდან ერთ ერთი; სკალასთან ერთად გაგზავნილ იქნა შესაბამისი პროფესიისთვის შექმნილი სამივე ფოტო.

რესპონდენტებს ევალუბოდათ მოცემული მახასიათებელთა სკალით შეეფასებინათ სამივე ფოტოზე გამოსახული ფიგურა. შეგახსენებთ, რომ მახასიათებელთა სკალაში შემავალი თითოეული დებულების შეფასება მოხდა 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, სადაც 1 აღნიშნავს ყველაზე უარყოფით მნიშვნელობას, ხოლო 11 ყველაზე დადებითს.

შერჩეული მახასიათებლების გარდა, ექიმისა და IT-ის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალას დაემატა რამდენიმე დებულება. ეს დებულებები არის აღქმის წარმმართველი დებულებები, რომელთა დახმარებითაც გადავამოწმეთ, ის თუ რამდენად ზუსტად აღიქვეს რესპონდენტებმა თითოეულ ფოტოში ჩადებული მთავარი ვიზუალური გამოსახულებები და ინფორმაცია (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22. შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალებში დამატებული დებულებები

ექიმის მახასიათებელთა სკალაში დამატებული დებულებები	IT -ის სკალაში მახასიათებელთა დამატებული დებულებები
ტიპიური ექიმია	ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (იგულისხმება IT (აიტი) სპეციალისტი ან პროგრამისტი)
უყვარს კომპიუტერული თამაშები	უყვარს ოპერა
ზის უსუფთაო ოთახში	უყვარს ოთახის ყვავილები

მონცემების დამუშავება

მონაცემების დამუშავება მოხდა აღწერითი სტატისტიკის გამოყენებით.

- თითოეული ფოტოს შეფასებაში გამოთვლილ იქნასაშუალო სტერეოტიპული შეფასება და საშაულო ინდივიდუალური შეფასება. თითოეული ეს შეფასება წარმოადგენს ცალკეული სტერეოტიპული

მახასიათებლების გაერთიანების საფუძველზე გამოთვლილ საშუალო მაჩვენებელს და ასევე, ცალკეული ინდივიდუაციური მახასიათებლების გაერთიანების საფუძველზე გამოთვლილ საშუალო მაჩვენებელს.

საშუალო სტერეოტიპული შეფასება - გამოითვალა მახასიათებელთა სკალაში შემავალი ყველა სტერეოტიპული მახასიათებლის ქულის გაერთიანებით და საშუალოს გამოთვლით;

საშუალო ინდივიდუაციური შეფასება - გამოითვალეთ ყველა ინდივიდუაციური მახასიათებლის გაერთიანებითა და საშუალო ქულის გამოთვლით.

ამ შეფასებების გამოთვლა მოხდა სამივე ტიპის ფოტოსთვის ცალცალკე, თითოეული პროფესიული თემის შიგნით.

➤ საშუალო შეფასებების გარდა, ერთმანეთს შევადარეთ მახასიათებელთა სკალაში შემავალი ყოველი ცალკეული მახასიათებელი, სამივე ფოტოში მიღებული შეფასების მიხედვით (ცალკე ექიმის ფოტოებისთვის და ცალკე IT - ის ფოტოებისთვის). ასეთი შედარების საფუძველზე მოხდა მახასიათებლების სკალიდან ამორიცხვა.

მახასიათებლის **შენარჩუნება** მოხდა შემდეგი პრინციპით:

1) ის მახასიათებელი, რომელიც სტერეოტიპულ და ინდივიდუაციური ფოტოს შემთხვევაში იღებს განსხვავებულ მნიშვნელობას, გამოდის რომ ახერხებს ფოტოს შინაარსების დიფერენცირებას. ასეთ შემთხვევაში ასეთი მახასიათებლები შენარჩუნდება შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში, თუმცა მხოლოდ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. 2) სკალაში მახასიათებლის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ მახასიათებელი ზომავდეს სწორედ იმ ინფორმაციას, რომლის გასაზომდაც ის არის გამოყენებული. ხსენებული შედარების საფუძველზე თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე სტერეოტიპული მახასიათებელი უფრო მაღალ ქულას იღებს არა სტერეოტიპულ, არამედ ინდივიდუაციურ ფოტოს შეფასებაში, მოხდება მისი ამოღება. იგივე გადაწყვეტილება მივიღეთ ინდივიდუაციური მახასიათებლის მსგავს შემთხვევებშიც.

ამგვარად, შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალიდან **ამოღებულ** იქნა: ა) არამართო გადამფარავი მახასიათებლები, რომლებიც ერთნაირ შეფასებას იღებს სტერეოტიპულ და ინდივიდუაციურ ფოტოში, არამედ ბ) ისეთი მახასიათებლებიც, რომლებიც ზომავენ მათთვის არაგანკუთვნილ ინფორმაციას (შემთხვევა, როცა სტერეოტიპული მახასიათებელი უფრო მაღალ ქულას იღებს ინდივიდუაციური ფოტოს შეფასებისას, ვიდრე სტერეოტიპული ფოტოს შეფასებისას და პირიქით).

რაც შეეხება მახასიათებლების შეფასებებს შერეულ ფოტოში, ამ შემთხვევაში ამ ფოტოზე მიღებული შეფასებები კვლევის მოცემულ ეტაპზე არ წარმოდგენ ჩვენს ინტერესს. შეფასების სკალიდან მახასიათებლების ამოღების მიზნით, ორიენტირებული ვართ მხოლოდ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ფოტოებზე მიღებულ შეფასებებზე.

შედეგები

ექიმის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის მონაცემები

ექიმის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის წინასწარ ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 17-მა სტუდენტმა (10 მდედრობითი, 7 მამრობითი სქესის). მათი საშუალო ასაკი არი 20 წელი.

- იმის გამო რომ რამდენიმე მახასიათებელმა სამივე ფოტოში მიიღო დაახლოებით ერთნაირი საშუალო შეფასება, ისინი ამოღებულ იქნა ექიმის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალიდან. ერთნაირად შეფასების მქონედ ჩაითვალა ის შეფასებები, რომელთა შორისაც სხვაობა არის 0.7 ან ნაკლები. ამ მიზეზით, სტერეოტიპული მახასიათებლებიდან გამოირიცხა მახასიათებლები, რომლებიც მოცემულია ცხრილში 23:

ცხრილი 23. მცირე სხვაობის გამო ამორიცხული სტერეოტიპული მახასიათებლები

	სტერეოტიპული ფოტო M	ინდივიდუალური ფოტო M	შერეული ფოტო M
აინტერესებს გეოგრაფია / ისტორია	4.71	4.59	5.00
უყვარს ნადირობა/თევზაობა	5.59	5.94	5.88

- ამ თვისებების მსგავსად მახასიათებელთა სკალიდან ამოღებულ იქნა ის სტერეოტიპული თვისებებიც, რომელთაც მაღალი ქულა მიიღეს არა სტერეოტიპულ, არამედ ინდივიდუალურ ფოტოზე გამოსახული ფიგურის შეფასებაში. გამოდის, რომ ეს მახასიათებლები, სტერეოტიპზე მეტად ზომავენ ინდივიდუალურ რეპრეზენტაციას (იხ. ცხრილი 24).

ცხრილი 24. ამორიცხული სტერეოტიპული მახასიათებლები, რომლებიც ზომავენ არა მათთვის განკუთვნილ რეპრეზენტაციას

	სტერეოტიპული ფოტო M	ინდივიდუაციური ფოტო M	შერეული ფოტო M
უყვარს ტრადიციული ქეიფი, დალევა	5.29	7.65	6.82
არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	6.29	7.00	6.94
ეთაკილება გარკვეული პროფესიით მუშაობა	7.24	7.65	8.63

• რაც შეეხება ინდივიდუაციური მახასიათებლების ანალიზს, მათგან არ მომხდარა რომელიმე მახასიათებლის ამოღება. შეფასებაში მცირე განსხვავების გამო, მხოლოდ ერთ მახასიათებელი იმსახურებს მახასიათებელთა სკალიდან ამოღებას - „ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო“ (იხ. ცხრილი 25), თუმცა იმის გამო, რომ მთლიანობაში სულ გვაქვს რამდენიმე ინდივიდუაციური მახასიათებელი, იგი მაინც დატოვებულ იქნა შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში, ძირითადი ექსპერიმენტის ეტაპზე ამოღების პერსპექტივით³¹.

ცხრილი 25. ამოსაღებად გამზადებული ინდივიდუაციური მახასიათებელი, რომელიც მაინც შენარჩუნებულ იქნა შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში

	სტერეოტიპული ფოტო M	ინდივიდუაციური ფოტო M	შერეული ფოტო M
ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო	5.65	6.18	5.06

ამგვარად, ამ ანალიზის შედეგად, ექიმის ასოციაციურ მახასიათებელთა სკალიდან დებულებების ამორიცხვის შემდეგ დარჩა 26 სტერეოტიპული დებულება და კვლავ 7 ინდივიდუაციური დებულება. ექიმის შთაბეჭდილებების გასაზომი საბოლოო სკალა შეგიძლიათ იხილოთ დანართში H, ნიმუში H 3.

³¹ პილოტაჟის შედეგად, ექიმის ფოტოების შეფასება შთაბეჭდილების სკალის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ დანართში H, ცხრილი H 1.

- თითოეულ ფოტოსთვის გამოთვლილ იქნა საშუალო სტერეოტიკული და საშუალო ინდივიდუაციური ქულა (იხ. ცხრილი 26).

ცხრილი 26. ექიმის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის საშუალო სტერეოტიკული და საშუალო ინდივიდუაციური შეფასების ქულები

	სტერეოტიკული ფოტო		ინდივიდუაციური ფოტო		შერეული ფოტო	
	სტერ.ქულა	ინდ. ქულა	სტერ. ქულა	ინდ.ქულა	სტერ. ქულა	ინდ.ქულა
	7.82	2.25	5.01	6.63	6.61	5.25
სხვაობა	5.57		1.62		1.35	

მონაცემებიდან ჩანს (ცხრილი 26), რომ სტერეოტიკულ ფოტოზე სტერეოტიკული მახასიათებლები მართლაც ძლიერ აქტიურდება ($M = 7.82$), ვიდრე ინდივიდუაციური მახასიათებლები ($M=2.25$). ამ ზედაპირული დამუშავებიდან შეიძლება ითქვას, რომ შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალა ახერხებს სტერეოტიკულ ფოტოში ჩადებული შინაარსის გაზომვას .

ინდივიდუაციურ ფოტოში შებრუნებული მდგომარეობაა - ფოტოს უფრო მეტად ააქტიურებს ინდივიდუაციურ ($M=6.63$) მახასიათებლებს, ვიდრე სტერეოტიკულს ($M= 5.01$), თუმცა სხვაობა ამ ორ საერთო მაჩვენებელს შორის არ არის მაღალი. იმის გამო, რომ საშუალო სტერეოტიკული და ინდივიდუალისუტირ ქულები ახლოს არის ერთმანეთთან (სხვაობა 1.62) გვაფიქრებინებს იმას, რომ მოცემული ინდივიდუაციური ფოტო (ფიგურა) არც ისე მკაცრად გამორიცხავს სტერეოტიკულ მახასიათებლებს (როგორც ამას აკათებს ინდივიდუაციური მახასიათებლების მიმართ სტერეოტიკული ფოტო) .

IT-ის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის მონაცემები

IT-ის შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის წინასწარი შემოწმება ჩატარად 18 სტუდენტზე (8 მდედრობით, 10 მამრობითი სქესის), რომელთა საშუალო ასაკი არის 20 წელი.

- მახასიათებელში სკალაში შემავალი მახასიათებლების სათითაოდ განხილვის შედეგად, გამოირიცხა ორი მახასიათებელი. მოცემულმა მახასიათებლებმა ერთნაირი ან დაახლოებით ერთნაირი შეფასება მიიღეს სტერეოტიკულ და ინდივიდუაციურ ფოტოში³². გამოდის, რომ მათი დახმარებით ვერ მოხერხდება ორ სხვადასვა ფოტოზე გამოსახული შინაარსისა და ფიგურის განსხვავება. ამ შემთხვევაშიც, ამოღებულ იქნა

³²პილოტაჟის შედეგად, IT-ის ფოტოების შეფასება შთაბეჭდილების სკალის მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ დანართში H, ცხრილი H2.

ის მახასიათებლები, რომელთა შეფასებებს შორის სხვაობაც არ აღემატება **0.7 ქულას** (იხ. ცხრილი 27)

ცხრილი 27. შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალიდან, მცირე სხვაობის გამო ამოღებული სტერეოტიპული ასოციაციური მახასიათებლები

	სტერეოტიპული ფოტო M	ინდივიდუაციური ფოტო M	შერეული ფოტო M
აქვს დირექტორობისკენ მისწრაფება	5.94	6.28	6.17
აქვს საკუთარი ჩაკეტილი სამყარო	6.22	6.22	5.89

ამ ანალიზის შედეგად, IT-ის ასოციაციურ მახასიათებელთა სკალიდან დებულებების ამორიცხვის შემდეგ დარჩა 10 სტერეოტიპული დებულება და კვლავ 7 ინდივიდუაციური დებულება. IT-ის შთაბეჭდილებების გასაზომი საბოლოო სკალა შეგიძლიათ იხილოთ დანართში H, ნიმუში H 4.

- ხსენებული 2 თვისების ამორიცხვის შემდეგ, IT-ის თითოეული ფოტოსთვის გამოთვლილ იქნა საშუალო სტერეოტიპული და საშუალო ინდივიდუაციური ქულა. ასევე გამოთვლილ იქნა ის სხვაობა რომელიც დაფიქსირდა ამ საშუალო შეფასებებს შორის.

ცხრილი 28. IT-ის სკალის საშუალო სტერეოტიპული და საშუალო ინდივიდუაციური შეფასების ქულა

	სტერეოტიპული ფოტო		ინდივიდუაციური ფოტო		შერეული ფოტო	
	სტერ. ქულა	ინდ. ქულა	სტერ. ქულა	ინდ. ქულა	სტერ. ქულა	ინდ. ქულა
სხვაობა	8.10	5.41	5.95	7.92	7.47	6.72
		2.70		1.97		0.74

როგორც ჩანს ცხრილიდან 28, სტერეოტიპულ ფოტოზე სტერეოტიპული მახასიათებლები გაცილებით ძლიერ აქტიურდება ($M = 8.10$), ვიდრე ინდივიდუაციური მახასიათებლები ($M=5.41$). ამაზე მიუთითებს საშუალო შეფასებებს შორის არსებული სხვაობაც (2.70). მიუხედავად ამ სხვაობისა, საერთო ინდივიდუაციური ქულით თუ ვიმსჯელებთ (რაც არის $M=5.41$), ვნახავთ რომ ის

არც ისე მცირეა, რომ გამოვრიცხოთ ინდივიდუალური მახასიათებლების პარალელურად აქტივაციაც სტერეოტიპულ ფოტოში.

ინდივიდუალურ ფოტოში შებრუნებული მდგომარეობაა - ფოტო უფრო მეტად ააქტიურებს ინდივიდუალურ ($M=7.92$) მახასიათებლებს, ვიდრე სტერეოტიპულს ($M=5.95$), თუმცა სხვაობა ამ ორ საერთო მაჩვენებელს შორის არ არის ისეთი მაღალი ($M= 1.97$), როგორც ეს იყო სტერეოტიპული ფოტოს შემთხვევაში. იმის გამო, რომ საშუალო სტერეოტიპული და ინდივიდუალური ქულები ახლოს არის ერთმანეთთან (სხვაობა 1.97), ასევე იმის გამო, რომ ამ ფოტოში სტერეოტიპული მახასიათებლები გარკვეულ წილად მაინც აქტიურდება ($M= 5.95$), მოცემული ინდივიდუალური ფოტოც არ გამორიცხავს სტერეოტიპული მახასიათებლების გააქტიურებას.

მონაცემების ანალიზი:

- ექიმის ფოტოები უფრო სუფთად ახერხებს სტერეოტიპული და არასტერეოტიპული ინფორმაციის გადმოცემას, ვიდრე IT - ის ფოტოები.
- ექიმის ფოტოსთან შედარებით, IT-ის ფოტოებში ვხედავთ, რომ კონკრეტული ფოტოს შინაარსისთვის დამახასიათებელი ასოციაციების გარდა, მაინც აქტიურდება მეორე ფოტოსთვის მოაზრებული ასოციაციური მახასიათებლები (*სტერეოტიპულ ფოტოში, ინდივიდუალური ინფორმაციისთვის დამახასიათებელი ასოციაციური მახასიათებლები და პირიქით*).

4.7. VII ეტაპი

პირითადი ექსპერიმენტი

მიზანი

კვლევის მოცემულ ეტაპის მთავარი მიზანი არის ექსპერიმენტის ჩატარება და უშუალოდ იმ გავლენის შესწავლა, რომელსაც ახდენს ინფორმაციის მიწოდების რიგი შთაბეჭდილებაზე.

კვლევის წინამდებარე ეტაპების დახმარებით ჩამოყალიბდა ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო მასალა და მიღებული შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალა: წინა კვლევების დახმარებით შეირჩა ა) ორი პროფესია - IT და ექიმი - რომლის შესახებაც მოხდა ინფორმაციის ვარირება სხვადასხვა რიგის

მიხედვით, ბ) თითოეული პროფესისტვის გამოიყო ის სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია, რისი ვარირებაც მოხდა ექსპერიმენტულ პირობებში და ბ) ბოლოს, თითოეული პროფესიული თემისთვის ცალცალკე შეიქმნა შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალა, რომელიც მორგებულია უშუალოდ ამ პროფესიული თემის და ტიპაჟის ირგვლივ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილების გაზომვაზე.

მეთოდი

რიგის გავლენის შესწავლის მიზნით, ჩატარდა კვაზი ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა 5 ექსპერიმენტული პირობა, სადაც მონაწილეთათვის მიწოდებულ იქნა ერთ და იგივე ფიგურის (ექიმი ან IT) შესახებ, ერთი და იგივე ინფორმაცია, სხვადასხვა რიგით³³. ის თუ როგორ მოხდა ინფორმაციის მიწოდება თითოეული ექსპერიმენტული პირობის მიხედვით, თითოეული პროფესიული თემისთვის იხილეთ ცხრილში 29 და 30.

მოცემულ ექსპერიმენტში არ განხორციელებულა მონაწილეების შემთხვევითი ალბათური განაწილება ექსპერიმენტულ ჯგუფებში.

ცხრილი 29. *ექიმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით*

N 1 პირობა- მხოლოდ სტერეოტიპული პირობა, სადაც ექიმის შესახებ მიწოდებულ იქნა მხოლოდ სტერეოტიპული ფოტო - ექიმის წარმოდგენილია პროფესიულ გარემოში, ექიმის ფორმითა და პაციენტთან კონსულტაციის ქცევით.

N 5 პირობა- მხოლოდ ინდივიდუალური პირობა, სადაც მიწოდებულ იქნა ექიმის შესახებ მხოლოდ ინდივიდუალური ფოტო - იგივე ფიგურა, სტანდარტული ყოველდღიური ჩაცმულობით, ზის მოუწერიგებელ ოთახში და თამაშობს კომპიუტერულ თამაშს.

N 2 პირობა- სტერეოტიპული პირობა, სადაც ექიმის სტერეოტიპული ფოტო წარმოდგენილია პირველ რიგად (ექიმის კაბინეტი, ფორმა და პაციენტთან კონსულტაცია), ხოლო ინდივიდუალური ფოტო წარმოდგენილია მეორე რიგად (იგივე ადამიანი, ჩვეულებრივი ჩაცმულობით, ზის მოუწესრიგებელ ოთახში და თამაშობს კომპიუტერულ თამაშს.)

N 4 პირობა- ინდივიდუალური პირობა, სადაც ექიმის ინდივიდუალური ფოტო წარმოდგენილია პირველ რიგად (ადამიანი, ჩვეულებრივი ჩაცმულობით ზის მოუწესრიგებელ ოთახში და თამაშობს კომპიუტერულ თამაშს, ხოლო სტერეოტიპული ფოტო წარმოდგენილია მეორე რიგად (ექიმის კაბინეტი, ფორმა და პაციენტთან კონსულტაცია).

N 3 პირობა - ერთდროული მიწოდების პირობა - ორივე ტიპის ინფორმაცია - სტერეოტიპული და ინდივიდუალური - წარმოდგენილია ერთდროულად, ერთი ფოტოს სახით.

³³ მეთოდის უფრო დეტალური დახასიათება იხილეთ 70-83გვ-ზე.

• შეგახსენებთ, რომ მოცემული კვლევის მიზანი არის ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენის შესწავლა შთაბეჭდილებაზე, სწორედ ამის გამო თითოეული პროფესიული თემისთვის სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში გამოყენებული ინფორმაცია შინაარსობრივად ერთი და იგივეა, თუმცა ეს ინფორმაცია განსხვავდება მიწოდების რიგის მიხედვით. ინფორმაციის იგივეობის შენარჩუნების მიზნით, ექსპერიმენტის N 2 და 4 პირობაში, სადაც გარკვეული რიგით მიეწოდება ორი ცალკეული ინფორმაცია, გამოიყენება ზუსტად ის ინფორმაცია ანუ ფოტო, რომელიც წარმოდგენილია N1 (მხოლოდ სტერეოტიპულ) და N5 (მხოლოდ ინდივიდუალური) პირობაში. რაც შეეხება N3 პირობას, ამ შემთხვევაში კვლავ გამოიყენება N1 და N5 პირობაში გამოყენებული ინფორმაცია, მაგრამ არა ორი ცალკეული ფოტოს სახით, არამედ ერთი ფოტოს სახით, რომელშიც გაერთანებულია N1 და N5 პირობის ფოტოებში მოცემული მავარი ვიზუალური დეტალები (რაც არის სტერეოტიპული მახასიათებლები (N1 ფოტოდან) და ინდივიდუალური ქცევა (ფოტოდან N5)). ამრიგად, ხუთივე ექსპერიმენტული თემა (თითოეული პროფესიული თემისთვის) აგებულია N1 და N5 პირობაში გამოყენებული ფოტოების საფუძველზე.

• ასევე შეგახსენებთ, რომ თითოეული პროფესიის შიგნით, სხვადასხვა ექსპერიმენტული პირობისთვის შექმნილ ფოტოებში წარმოდგენილია ერთი და იგივე ფიგურა - ექიმის პროფესიული თემის ირგვლივ შექმნილ ყველა ფოტოზე წარმოდგენილია ერთი და იგივე ადამიანი - პიროვნება. ასევე ერთ და იგივე ადამიანი არის გამოსახული IT-თვის შექმნილ ფოტოებზე. ყველა ფოტოში დარუბულია ფიგურის სახე. ამგვარად ექსპერიმენტულ პირობებში შენარჩუნებული არამარტო შინაარსის იგივეობა, არამედ ფიგურის იგივეობაც.

ცხრილი 30. IT-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით

N 1 პირობა - მხოლოდ სტერეოტიპული პირობა, სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ სტერეოტიპული ფოტო - IT სამუშაო ოფისში, დაშლილი პროცესორის, და კომპიუტერული ნაწილების გარემოში, მუშაობის პროცესში და მისთვის დამახასიათებელი თავისუფალი სტილის ჩამცულობით.

N 5 პირობა - მხოლოდ ინდივიდუალური ფოტო, სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაცია - იგივე ადამიანი, იგივე ჩაცმულობით ზის სახლის ოთახის გარემოში, რომლის ფანჯრის რაფაზე დგას ქოთნის ყვავილები, ხოლო კედლებზე ჩამოკიდებულია ოპერისა და ბალეტის პლაკატები. ფიგურა მის წინ გადაშლილ ლეპტოპში უსმენს ოპერას

N 2 პირობა- სტერეოტიპული პირობა, როცა ჯერ მიწოდებულ იქნა სტერეოტიპული ფოტო (IT სამუშაო გარემოში, ნაწილებითა და დაშლილი პროცესორის კეთების პროცესში), ხოლო შემდეგ ინდივიდუალური ფოტო (იგივე ადამიანი, სახლის გარემოში, ყვავილების გარემოცვაში და კლასიკური მუსიკის სმენის პროცესში).


N 4 პირობა - ინდივიდუალური პირობა, როცა ჯერ მიწოდებულ იქნა ინდივიდუალური ფოტო (ადამიანი, სახლის გარემოში, ყვავილების გარემოცვაში და კლასიკური მუსიკის სმენის პროცესში), ხოლო შემდეგ მიწოდებულ იქნა სტერეოტიპული ფოტო (იგივე ადამიანი სამუშაო გარემოში, ნაწილებითა და დაშლილი პროცესორის კეთების პროცესში).

N 3 პირობა - ერთდროული მიწოდების პირობა, როცა ორივე ტიპის ინფორმაცია - სტერეოტიპული და ინდივიდუალური - მიწოდებულ იქნა ერთდროულად, ერთი ფოტოს სახით.


ამრიგად, თითოეული პროფესიული თემისთვის, ფოტოების მიწოდება 5 ექსპერიმენტულ პირობაში მოხდა შემდეგნაირად:

ექიმი


N1 - მხოლოდ სტერეოტიპული პირობა




N2 - სტერეოტიპული პირობა




N3 - ერთდროული მიწოდების პირობა



N4 - ინდივიდუალური პირობა



N5 - მხოლოდ ინდივიდუალური პირობა




IT


N1 - მხოლოდ სტერეოტიპული პირობა



N2 - სტერეოტიპული პირობა



N3 - ერთდროული მიწოდების პირობა



N4 - ინდივიდუალური პირობა



N5 - მხოლოდ ინდივიდუალური პირობა



ექსპერიმენტული პირობები

ხსენებული 5 ექსპერიმენტული პირობიდან, რიგის გავლენის უშუალო კვლევა ხდება N2 და 4 პირობაში, სადაც მანიპულირებულია რიგის ცვლადი. მოცემული პირობები არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ექსპერიმენტული პირობები, რომელშიც ნათლად გამოჩნდება რიგში პირველობის ეფექტი. მათგან განსხვავებით, პირობა N3 არის ის საკონტროლო პირობა, რომელშიც იგივე ორი ინფორმაცია - სტერეოტიპული და ინდივიდუალური - არა გარკვეული რიგით, არამედ ერთდროულად არის წარმოდგენილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია N1 და 5 ექსპერიმენტული პირობის მნიშვნელობა. ეს არის ის პირობები, სადაც ექსპერიმენტში გამოყენებული ორი ინფორმაციული ნაწილიდან წარმოდგენილია მხოლოდ ერთი - N1 პირობაში წარმოდგენილია მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაცია, ხოლო N5 პირობაში იგივე ადამიანის შესახებ მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაცია. მოცემული ექსპერიმენტული პირობების არსებობა განპირობებულია, იმ გავლენის გაზომვის მიზნით, რომელიც აქვს გამოყენებული ორი ინფორმაციიდან თითოეულს ცალცალკე. ასეთი დამოუკიდებელი გავლენის გაზომვა შესაძლებლობას მოგვცემს ვნახოთ, თუ როგორ იცვლება თითოეული ინფორმაციის გავლენა ცალკე მიწოდებისას და ასევე, სხვა ინფორმაციასთან წყვილში (სხვადასხვა ფორმით) მიწოდების შემთხვევაში. კონტინუუმის ეს უკიდურესი, ცალკე მიწოდების, პირობები წარმოადგენენ ერთგვარ ათვლის წერტილს, საიდანაც კარგად გამოჩნდება თუ რა გავლენას ინარჩუნებს შთაბეჭდილებაში ერთი მხრივ სტერეოტიპული ინფორმაცია და მეორე მხრივ ინდივიდუალური ინფორმაცია, დამკვირვებლისთვის ერთდროულად ან სხვადასხვა რიგით წარდგენის დროს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, N2 და 4 პირობა წარმოადგენს ექსპერიმენტულ პირობას, სადაც ვარირებულია რიგის დამოუკიდებელი ფაქტორი, ხოლო N3 პირობა წარმოადგენს საკონტროლო პირობას, სადაც აბსოლუტურად იგივე ინფორმაცია მიწოდებულია ყოველგვარი რიგის გარეშე. რაც შეეხება N1 და 5 პირობას, ესენი არის დამატებითი პირობები, რომლებიც დაგვეხმარება რიგის ან ერთდროულად მიწოდების შედეგად მიღებული გავლენის დამატებით ანალიზში.

ჰიპოთეზა

პდშთ-ზე და ბადისმიერი ქსელური კავშირების მექანიზმე დაყრდნობით ვვარაუდობთ, რომ ერთი და იგივე შინაარსის მიუხედავად, ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა რიგი გამოიწვევს სხვადასხვა შთაბეჭდილებას, ერთი და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ. კერძოდ კი, სხვადასხვა რიგით მიწოდების დროს, სწორედ

პირველად მიწოდებული ინფორმაცია მოახდენს დომინანტურ გავლენას შთაბეჭდილებაზე:

- სტერეოტიპული ინფორმაციის პირველა რიგად მიწოდების შემთხვევაში, სტერეოტიპული ინფორმაცია წარმართავს მთელს პირველ შთაბეჭდილებას.
- ამის საპირისპიროდ, ინდივიდუაციური ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში, ინდივიდუაციური ინფორმაცია წარმართავს ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებას.

ინფორმაციის გავლენის **დომინანტურობა** გამოვლინდება შემდეგში: 1) პირველ რიგად მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისი ასოციაციური მახასიათებლების ძლიერ აღძვრაში და 2) სამიზნე ინდივიდის მთლიანად, ამ ასოციაციების ჭრილში შეფასებაში.

- უფრო კონკრეტულად რომ ვთქვთ ჩვენ ვუშვებთ, რომ: ერთ და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევაში აღმქმელის შთაბეჭდილებაში უფრო მეტად ინტეგრირებული იქნება ის ინფორმაცია, რომელიც წარდგენილ იქნა პირველ რიგად. შესაბამისად, ა) *სტერეოტიპული (კატეგორიული) ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილილება უფრო მეტად დაეყრდნობა სტერეოტიპს და სამიზნის შესახებ მიწოდებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის ინდივიდუაციურიც, დანახულ იქნება შესაბამისი სტერეოტიპული კატეგორიის ჭრილში; დომინანტური იქნება ინფორმაციის კატეგორიული (სტერეოტიპული) დამუშავების სტილი,* ბ) *ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალისტური ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილება დაეყრდნობა ამ ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს და ყველა ინფორმაცია, მათ შორის სტერეოტიპულიც ინტერპრეტირებული იქნება ინდივიდუაციური ინფორმაციის ჭრილში - ამ შემთხვევაში დომინანტური იქნება ინდივიდუაციური დამუშავების სტილი.*

ამგვარად, სტერეოტიპის დომინანტურობა შესაძლებელია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მაშინ, როცა ის მიწოდებულ იქნება პირველ რიგად.

სანამ ჩვენს ზემოხსენებულ ვარაუდს განვიხილავთ თითოეულ ექსპერიმენტულ პირობასთან მიმართებაში, მანამდე წარმოდგინთ შთაბეჭდილებების გაზომვის მეთოდს.

მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვა

რიგის ცვლადის ვარიანტების შედეგად შთაბეჭდილებებს შორის სხვაობა უნდა გამოვლინდეს სტერეოტიპული ან ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობაში. ის თუ უმეტესად რომელ ინფორმაციას დაეყრდნობა შთაბეჭდილება **გაიზომება შემდეგნაირად:**

ზადესმერ ქსელში მიმდინარე გააქტიურების ანუ **აღძვრა-შეკავების პროცესებზე დაყრდნობით**, სტერეოტიპული ინფორმაცია მაშინ ჩაითვლება დომინანტურად, თუ ასოციაციათა ბადეში ამ სტერეოტიპული კატეგორიაზე მიბმული მახასიათებლები აღიგზნება, ხოლო მოცემული კატეგორიისთვის არაკონსისტენტური მახასიათებლები (ასოციაციები) შეკავდება. ჩვენს კვლევაში, სტერეოტიპული კატეგორიისთვის არაკონსისტენტურ ინფორმაციად გამოყენებულია ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია. შესაბამისად, მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაში სტერეოტიპის დომინანტურობის დროს ინდივიდუალური ქცვიდან მომდინარე ასოციაციები შეკავდება და სტერეოტიპული ასოციაციები გააქტიურდება.

ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა მაშინ ჩაითვლება დომინანტურად, თუ სამიზნის შესახებ ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაში გააქტიურდება ამ ინფორმაციისთვის შესატყვისი ასოციაციური მახასიათებლები, ხოლო სტერეოტიპით გააქტიურებული ასოციაციური მახასიათებლები შეკავდება.

- ❖ ასოციაციების აღძვრა-შეკავების პროცესი გაიზომება სპეციალურად შედგენილი **მახასიათებელთა სკალის გამოყენებით**. მოცემულ სკალაში წარმოდგენილ იქნება ის ასოციაციები, რომლებიც ასოციაციათა მენტალურ ქსელში უკავშირდება ჩვენ მიერ შერჩეულ სტერეოტიპულ კატეგორიას და ასევე, ის ასოციაციები, რომლებიც უკავშირდება ჩვენს მიერ შერჩეულ ინდივიდუალურ ქცვის (და მის უკან მოაზრებული თვისების) კატეგორიას. გამოდის, რომ მახასიათებელთა ეს სკალა ასახავს ასოციაციათა ბადისებრი ქსელის იმ არეს, რომელშიც მოცემულია ჩვენს მიერ შერჩეული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის რეპრეზენტაციები და რომლებიც მონაწილეობს, ჩვენს მიერ მონაწილეთათვის წარდგენილი ინფორმაციის გადამუშავებაში.

- ❖ თითოეულ ექსპერიმენტულ პირობაში, სწორედ ამ სკალაში შემავალი ასოციაციური მახასიათებლების გამოყენებით, მოხდა სამიზნე ინდივიდის შეფასება. ასოციაციური მახასიათებლები ჩამოყალიბდა დებულებების სახით და შეფასდა 11 ბალიანი შეფასების სკალის დახმარებით, რომლის მნიშვნელობებია 1-11 ქულა³⁴ (1 - ყველაზე დაბალი/უარყოფითი მნიშვნელობა, 11-ყველაზე მაღალი/დადებითი მნიშვნელობა).

შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში: ა) ალბერად მიჩნეულია 11 ბალიან შეფასების სკალაზე მიღებული მაღალი შეფასება - 7-11 ქულით ბ) ხოლო ასოციაციის შეკავებად ითვლება 11 ბალიან შეფასების სკალაზე მიღებული დაბალი შეფასება - 1-6 ქულა.

ნეიტრალური შეფასება გავიდა დაბალ შეფასებაში, ეს იმიტომ რომ ის მკაფიოდ არ აჩვენებს ასოციაციის ალბერას, ამიტომ ასეთი ორაზროვნების გამო, ის მივაკუთვნეთ დაბალ შეფასებათა რიგს.

ამრიგად, ჩვენს კვლევაში შთაბეჭდილებების გაზომვა მოხდება იმ შეფასებების მიხედვით, რომელსაც ფიგურის შეფასების პროცესში განახორციელებენ მონაწილეები სპეციალურად შექმნილი შთაბეჭდილებათა გასაზომი მახასიათებელთა სკალის გამოყენებით.

მოცემულ კვლევაში ორიენტირებულნი ვართ იმ ინფორმაციის გაზომვაზე, რომელსაც ყველაზე ძლიერ ეყრდნობა მიღებული შთაბეჭდილება (რომლის ინტეგრირება ყველაზე მეტად მოხდა შთაბეჭდილებაში). ამ მიზნისთვის, საკმარისად მივიჩნევთ ასოციაციათა აქტივაციის დონის შეფასებას. გაზომვის ეს ხერხი მკაფიოდ აჩვენებს შთაბეჭდილებაში სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური შეფასებების დომინანტურობას.

ჰიპოთეზა თითოეული ექსპერიმენტული პირობის მიხედვით

მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვის ზემოგანხილული პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ ველით, რომ :

N1 ექსპერიმენტულ პირობაში - მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების გამო, მივიღებთ სტერეოტიპულ შთაბეჭდილებას, სადაც აღიმკვრება სტერეოტიპიდან გამომდინარე ასოციაციური მახასიათებლები და შეკავდება სხვა ასოციაციები - სტერეოტიპული ასოციაციები შეფასებულ იქნება მაღალი ქულით (7-11), ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის მახასიათებლები დაბალი ქულით (1-7).

³⁴ იხილეთ ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავების ნაწილი, 216-218გვ-ზე

N5 პირობაში - მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდების გამო, მივიღებთ შთაბეჭდილებას, სადაც გააქტიურდება ინდივიდუალური ინფორმაციიდან გამომდინარე ასოციაციები, მაგრამ შეკავდება სტერეოტიპული ასოციაციები. შესაბამისად ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებლები შეფასდება მაღალი ქულით (7-11), ხოლო სტერეოტიპული მახასიათებლები დაბალი ქულით (1-6).

N2 პირობაში(სტერეოტიპის პირველობის ეფექტი)- სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების გამო, მივიღებთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომელშიც უფრო მეტად აღიძვრება სტერეოტიპთან დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლები - მაღალი შეფასებით 7-11 ქულა, ხოლო ინდივიდუალური ქცევასთან დაკავშირებული მახასიათებლები შეკავდება - დაბალი შეფასებით 1-6 ქულა. N1 პირობისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში გააქტიურებული სტერეოტიპული ასოციაციები, ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის გამო ისევე ძლიერ ვერ გააქტიურდება.

რაც ყველაზე მთავარი, სტერეოტიპული ინფორმაციის პირველად რიგად მიწოდების გამო, მოცემულ პირობაში სტერეოტიპული ასოციაციური მახასიათებლები უფრო მეტად აღიძვრება, ვიდრე ეს მოხდება ამობრუნებული რიგის პირობაში (N4), რომელშიც სტერეოტიპი არ არის მიწოდებული პირველ რიგად.

N4 პირობაში (ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის ეფექტი) - შთაბეჭდილება უნდა წარიმართოს ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის (და მის საფუძვლად მდებარე თვისების) ასოციაციების გააქტიურებით. უფრო კონკრეტულად კი ვვარაუდობთ, რომ უმეტეს წილად აღიძვრება ამ ინფორმაციიდან გამომდინარე ასოციაციები - მაღალი შეფასებით 7-11 ქულა, ხოლო სტერეოტიპული ინფორმაციიდან გამომდინარე მახასიათებლების უდიდესი ნაწილი შეკავდება - დაბალი შეფასებით 1-6 ქულა. N5 პირობისგან განსხვავებით, სტერეოტიპული ინფორმაციის ზემოქმედების გამო ინდივიდუალური მახასიათებლები ისევე ძლიერ ვერ გააქტიურდება.

რაც შეეხება ჩვენს ყველაზე მნიშვნელოვან ვარაუდს, მოცემულ პირობასთან დაკავშირებით, ის მდგომარეობს შემდეგში - ინდივიდუალური ინფორმაციის პირველად რიგად მიწოდების გამო, მოცემულ პირობაში ამ ინფორმაციასთან დადებითად დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლები უფრო მეტად აღიძვრება, ვიდრე ეს მოხდება ამობრუნებული რიგის პირობაში (N2), სადაც, არა ინდივიდუალური, არამედ სტერეოტიპი ინფორმაციაა მიწოდებული პირველ რიგად.

N3 პირობაში (პარალელური/ერთდროული მიწოდების პირობა) - ორივე ინფორმაციის ერთდროული მიწოდების გამო, მიღებულ შთაბეჭდილებაში

თანაბარად იქნება გააქტიურებული, როგორც სტერეოტიპული ასევე ინდივიდუალური ინფორმაციის ასოციაციები. შეგახსენებთ, რომ პდშთ-ია ინფორმაციის სწორედ ასეთი ერთდროული აღქმის შემთხვევებს ეხება. ერთდროული აღქმის შედეგად გააქტიურებული პარალელურ დამუშავების პროცესში, ამ თეორიის მიხედვით, სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია თანაბარი სტატუსით იღებს მონაწილეობას. ეს თანაბრობა ვვარაუდობთ, რომ გამოვლიდება გასაშუალოებულ შეფასებებში, როცა არ იკვეთება არც სტერეოტიპული და არც ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის დომინანტობა. უფრო კონკრეტულად კი, მოცემულ ერთდროული მიწოდების პირობაში სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა მიიღებს ისეთ მაჩვენებელს, რომელიც იქნება, ან დაუახლოვდება N2 და N4 რიგის პირობებში მიღებულ შეფასებების გასაშუალოებულ მაჩვენებელს, იმავე მახასიათებლის მიხედვით.

ცვლადები

დამოუკიდებელი ცვლადი - მიწოდებული ინფორმაციის რიგი

დამოკიდებული ცვლადი - შექმნილ შთაბეჭდილებაში შემავალი ასოციაციების აღძვრა/შეკავების ზომა (გაზომილი მახასიათებელთა ასოციაციური სკალის გამოყენებით)

გვერდითი ცვლადები - გვერდით ცვლადებიდან გაკონტროლებულ იქნა:

- მონაწილეთა ასაკი, კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებზე - 18-23 წლის წარმომადგენლებზე.
- გაკონტროლებულ იქნა ფოტოებზე გამოსახული ფიგურის სქესი - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მამრობითი სქესის ფიგურები.
- გაკონტროლებულ იქნა ფოტოში გამოსახული ფიგურის სახე (რომელიც იქნა დაბურული). ფოტოდან ამოღებულ იქნა ისეთი ვიზუალური დეტალები, რომლებიც არ იწვევს დამატებით - კვლევით არაგათალისწინებელი - პროფესიული ხატების გააქტიურებას.
- გაკონტროლებულ იქნა, მონაწილეში მენტალური ბადის აქტივაცია. იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული პროფესიების შესახებ მონაწილეს ქონდა განსხვავებული შინაარსის სტერეოტიპი, ან იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს გაუაქტიურდა სხვა პროფესიული სტერეოტიპი, მოცემული მონაწილეთა მონაცემები ამოღებულ იქნა შემდგომი დამუშავებიდან.

ვერ მოხერხდა იმ ფაქტორების გაკონტოლება, რომელიც ეხება მონაწილეთა სქესს, რადგან მონაწილეთა შერჩევა და ექსპერიმენტულ პირობებში მათი განაწილება არ მომხდა ალბათური პრინციპით³⁵.

საექსპერიმენტო მასალა

ზეოთ უკვე აღვნიშნეთ, ექსპერიმენტის მასალას წარმოადგენს ექიმისა და IT-ის პროფესიასთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი თემატური ფოტოები.

გამოყენებული ინვენტარი

ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში პასუხების ჩაწერის მიზნით გამოყენებულ იქნა დიქტოფონი. ფოტოების წარსადგენად გამოყენებულ იქნა ლეპტოპი (ეკრანის ზომა 27 სმ). ასევე ყურადღების გამფანტავი დავალებისთვის, გამოყენებულ იქნა მუყაოს ფირფიტები, რომლებზეც გამოსახულია ფერები და მათ შესაბამისი კოდები.

მონაწილეთა შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-23 წლის, ორივე სქესის წარმომადგენლებმა. ყველა მათგანი არის სტუდენტი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის და ტურიზმის მენეჯმენტის სტუდენტები). მათი შერჩევა მოხდა ხელმისაწვდომი შერჩევის გზით. არ განხორციელებულა ალბათური შერჩევა.

ასევე, არ განხორციელებულა ალბათური შერჩევა მონაწილეების ექსპერიმენტულ პირობებში გაწერის დროს. ყოველი მონაწილე მოხვდა იმ ექსპერიმენტულ პირობაში, რომელიც გარკვეული რიგის საფუძველზე დაგეგმილი იყოს იმ მომენტისთვის, ჩვენს მიერ. ჩეულებრივ, ექსპერიმენტული პირობი იცვლებოდა თანმიმდევრულად. შესაბამისად, ყოველი ახალი მონაწილე ხვდებოდა იმ პირობაში, რომლის ჩატარების ჯერიც იდგა იმ ჟამს.

³⁵ ექსპერიმენტულ პირობებში მონაწილეთა განაწილების დროს ექსპერიმენტატორები არ ჩარეულან აქტიურად, თუმცა ყოველი ახალი მონაწილე ხვდებოდა იმ ექსპერიმენტულ პირობაში, რომლის ჩატარების ჯერიც, ექსპერიმენტის ჩატარების პროცედურის მიხედვით, დაგეგმილი იყო მოცემულ მომენტში.

პროცედურა

მონაწილეები

ყოველ ჯერზე საექსპერიმენტო ოთახში შეგვყავდა ერთი მონაწილე, რომელსაც წარედგინებოდა იმ ექსპერიმენტული პირობის ფოტოები, რომელშიც მოცემული მონაწილე მოხვდა.

ყოველი ახალი მონაწილე ხვდებოდა იმ ექსპერიმენტულ პირობაში, რომლის ჩატარებაც დაგეგმილი იყო ჩვენს მიერ გაწერილი გეგმით, მოცემულ მომენტში.

N1, 3 და 5 ექსპერიმენტული პირობის ჩატარებამ მოითხოვა საშუალოდ 10 წუთი.

N2 და 4 ექსპერიმენტულმა პირობამ მოითხოვა 18-23 წუთი.

ინსტრუქცია

მონაწილეებს განემარტათ კვლევის მიზანი და მიეცათ ინსტრუქცია მათ მიერ შესასრულებელ დავალებასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ გავლენა არ მოგვეხდინა მონაწილეთა მოტივაციაზე, მათ კვლევის ნამდვილი მიზანი არ შევატყობინეთ. მონაწილეებს ეთქვათ, რომ *„მოცემული კვლევა ორიენტირებულია ასოციაციური აზრების კვლევაზე, რომელიც ადამიანს უჩნდება სხვადასხვა ობიექტის ან ადამიანის დანახვის დროს“*.

ინსტრუქციის მიხედვით მონაწილეებს ვთხოვეთ ხმამაღლა გამოეთქვათ აზრი, ფოტოზე გამოსახული ფიგურის შესახებ - *„ვთხოვთ გვითხრათ ნებისმიერი აზრი, რაც ფოტოზე გამოსახული ფიგურის შესახებ გაგიჩნდებათ თავში?“*. ხოლო მოგვიანებით, იგივე ფიგურის შესახებ, ვთხოვეთ მახასიათებელთა სპეციალური სკალის შევსება.

შენიშვნა: N1 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობაში მონაწილეებს ვთხოვეთ მოეცათ შთაბეჭდილება ყოველი ფოტოს მიწოდების შემდეგ. ამისგან განსხვავებით N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში, სადაც ერთ და იგივე ადამიანზე მიწოდებულ იქნა ორი ტიპის ინფორმაცია, ჩვენთვის მთავარ შთაბეჭდილებას წარმოადგენდა, ორივე ფოტოს აღქმის შემდეგ შექმნილი შთაბეჭდილება. მიუხედავად იმისა, მოცემულ ამ ექსპერიმენტულ პირობებში, მონაწილეს მაინც ვთხოვეთ გამოეთქვათ აზრი პირველი ფოტოს წარდგენის შემდეგ³⁶, მეორე ფოტოს წარდგენის შემდეგ უკვე საბოლოოდ ვთხოვეთ შთაბეჭდილების დაფიქსირება - სწორედ ეს შეფასება წარმოადგენს ამ ექსპერიმენტულ პირობებში მოპოვებულ მთავარ შთაბეჭდილებას, ჩვენთვის.

შენიშვნა: იმის გამო რომ N2 და 4 პირობაში მონაწილეებს უნდა გამოეთქვათ აზრი ორივე ფოტოზე დაყრდნობით, მათ უნდა მოეხდინათ ამ ორ ფოტოზე გამოსახული ინდივიდის იგივეობის

³⁶ ეს განპირობებულია პირველ ფოტოზე გამოსახული შინაარსის მეხსიერებაში დაფიქსირების მიზნით.

იდენტიფიკაცია. იგივეობის იდენტიფიკაციის გამარტივების მიზნით სტერეოტიპულ და ინდივიდუაციურ ფოტოებს ქვედა მარჯვენა კუთხეში დაემატა ერთი და იგივე ინიციალი (ექიმისთვის „ა“; IT-თვის „გ“). ინსტრუქციაში, ექსპერიმენტის მონაწილეებს მოცემული ინიციალი მივაწოდეთ, როგორც ფოტოზე გამოსახული ადამიანის სახელის პირველი ასო. ამ ხერხით, ინიციალი გახდა ადამიანის იგივეობის ყველაზე მკაფიო მიმანიშნებელი, რამაც მოგვცა ერთ და იგივე ფიგურის მართლაც ერთ და იგივე ადამიანად აღქმის გამარტივებული შესაძლებლობა.

ფოტოების წარდგენისთვის გამოყენებული დრო

მონაწილეებისთვის ფოტოების მიწოდება მოხდა ელექტრონულად, ლეპტოპის გამოყენებით. ფოტოების გაშვება განხორციელდა სლაიდშოუს პროგრამის დახმარებით.

თითოეული ტიპის ფოტოსთვის, მიწოდების დროის განსაზღვრა მოხდა ფოტოების პილოტაჟის ეტაპზე ჩატარებული ფოტოების აპრობაციის საფუძველზე. დაანგარიშებული იქნა ის საშუალო დრო რომელიც დაჭირდათ რესპონდენტებს ფოტოების ჩვენებიდან პასუხის დაწყებამდე³⁷.

აღსანიშნავია, რომ საშუალო დრო გამოითვალა ცალკე სტერეოტიპული, ცალკე ინდივიდუაციური და ცალკე შერეული ფოტოსთვის (N3 პირობის ფოტო). თუმცა ამ გამოთვლაში მონაწილეობა მიიღო არამარტო ექიმისა და IT-ის ხსენებულმა ფოტოებმა, არამედ ხუთივე ტიპაჟის ფოტოებმა. შესაბამისად, სტერეოტიპული ფოტოს წარდგენისთვის დროის გამოთვლა მოხდა ხუთივე ტიპაჟის სტერეოტიპული ფოტოს საშუალო დროის შესწავლით; იგივენაირად განხორციელდა ინდივიდუაციური და შერეული ფოტოების დროის გამოთვლა.

ფოტოების ექსპოზიციის დრო განსაზღვრულ იქნა შემდეგნაირად:

- სტერეოტიპული ფოტოს მიწოდების დრო 45 წამი
- ინდივიდუაციური ფოტოს მიწოდების დრო ასევე 45 წამი
- შერეული ფოტოს მიწოდების დრო 55 წამი
- N2 და 4 პირობებში, რიგით მიწოდების მიუხედავად, სტერეოტიპული ფოტოს მიწოდება მოხდა სტერეოტიპული ფოტოსთვის განკუთვნილი დროის მიხედვით (45წმ), ხოლო ინდივიდუაციური ფოტოს მიწოდება მოხდა ამ ფოტოსთვის განკუთვნილი დროის მიხედვით (45წმ).

პირველ ფოტოს მიწოდების შემდეგ, როცა მოცემული ფოტოსთვის გაწერილი დრო ამოწურა, ფოტო ავტომატურად შეიცვალა შავი ტიხარით. მეორე ფოტოზე გადასვლა მოხდა შავი ტიხარიდან. მეორე ფოტოსთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, ეკრანზე კვლავ ჩნდება შავი ტიხარი.

³⁷ ფოტოების პილოტაჟი წარმოადგენს კვლევის მე-4 ეტაპს

დრო სუბიექტურად განისაზღვრა აღქმის მიმართულების მიმცემი შეკითხვებისთვის და ასევე ყურადღების გადამტანი დავალებისთვის³⁸.

ფოტოების წარდგენის პირობები

ექსპერიმენტი ჩატარდა ცდისპირთა შორის სქემის გათვალისწინებით, თუმცა გარკვეული ტექნიკური და დროითი სირთულეების გამო და ასევე მონაწილეთა ექსპერიმენტში მონაწილეობაზე გართულებული დათანხმების გამო, N1, 3 და 5 ექსპერიმენტული პირობა ექიმისთვის და IT-თვის ჩატარდა პარალელურად. რადგან ხსენებულ პირობებში წარმოადგენილია მხოლოდ თითო თითო ფოტო, მათ პარალელურად ჩატარება მარტივი აღმოჩნდა - ამ პირობებში მოხვედრილ მონაწილეს შეხვდა ექიმის ერთი და IT-ის ერთი ფოტო. პარალელურად ჩატარება არ ნიშნავს, იმას რომ **ორივე პროფესიული თემიდან მოხდა ერთი და იგივე ექსპერიმენტული პირობის ფოტოს წარდგენა (ანუ ერთ და იგივე ტიპის ფოტოები წარდგენა); მოხდა ექსპერიმენტული პირობების არეული დაწყვილება მაგ: ჯერ წარედგინა ექიმის სტერეოტიპული ფოტო, ხოლო შემდეგ IT-ის შერეული ფოტო.** (ამის მიზეზი არის, მონაწილის გავარჯიშების თავიდან აცილება - ვვარაუდობთ, რომ ერთ ტიპის ფოტოების წარდგენა, გაზრდიდა რესპონდენტის გავარჯიშების ეფექტს და ხელს შეუშლიდა მეორე პროფესიიდან წარდგენილი ფოტოს ბუნებრივ აღქმა, გადამუშავების პროცესს, მაგ: ექიმის სტერეოტიპული ფოტოს მიწოდების შემდეგ, ვვარაუდობთ IT-ის სტერეოტიპული ფოტოს აღქმა უფრო გამარტივდება, რადგან ორივე ფოტო სტრუქტურულად მსგავსი ინფორმაციისგან შედგება).

ამრიგად:

- მონაწილეთა გარკვეული ნაწილი მოხვდა მხოლოდ ერთ ექსპერიმენტულ პირობაში - ეს არის ექიმის და IT-ის **N2 ან N4** პირობის შემთხვევები.
- თუმცა მონაწილეების მეორე ნაწილი მოხვდა ორ ექსპერიმენტულ პირობაში, თითოეული პროფესიის მიხედვით (*ეს შემთხვევა შეეხო ექიმის და IT-ის N1, N3 და N5 ექსპერიმენტულ პირობებს*).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ექიმისა და IT-ის N1, 3 და 5 ექსპერიმენტული პირობის პარალელურად ჩატარების დროს, მოხდა ამ პირობების არეულად დაწყვილება. იმისათვის, რომ N1, 3 და 5 პირობებში წარდგენის რიგს არ ქონოდა რამე სახის სისტემატური გავლენა მონაწილეთა შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესზე, მოხდა ფოტოების წარდგენის ცვლა (შებრუნება) (იხ. დანართი I, ცხრილი I 1).

ექიმის და IT-ის N1, 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობაში სათითაოდ, მონაწილეობა მიიღო 30 მონაწილემ (სულ 90 ექიმისთვის და 90 IT-თვის).

რაც შეეხება, პირობებს N2 და 4, ორივე პროფესიული თემისთვის, მონაწილეობა მიიღო სულ 100 მონაწილემ. (N2 პირობა ჩატარებული ექიმისთვის - 25 მონაწილე,

³⁸ იხილეთ გვერდი 199

N4 პირობა ჩატარებული ექიმისთვის - 25 მონაწილე; N2 პირობა ჩატარებული IT-თვის - 25 მონაწილე, N4 პირობა ჩატარებული IT-თვის - 25 მონაწილე).

აღქმის წარმართველი დებულებები

აღქმის მიმართულების მიმცემი დებულებები, არის შეკითხვები რომელიც მონაწილეს მივეცით ფოტოს წარდგენის საწყის ეტაპზე, ფოტოს აღქმის პარალელურად.

აღქმის წარმართველი დებულებების მთავარი მიზანი არის, წარმართოს მონაწილის ყურადღება ფოტოს იმ ვიზუალურ დეტალებისკენ, რომლებშიც ჩადებულია მოცემული ფოტოთი დაგეგმილი მთავარი ინფორმაციის გადმოცემა.

თითოეულ ფოტოს შეესაბამება აღქმის წარმართველი დებულებების მისი წყება. ეს იმიტომ რომ მოცემული დებულებები ეხება იმ დეტალებს და შინაარსებს როლებიც გადმოცემულია კონკრეტულ ფოტოში. თითოეული ფოტოსთვის აღქმის წარმართველი იმდენი დებულება გამოიყო, რამდენი ძირითადი ინფორმაციაც ჩაიდო ამ ფოტოში ჩვენს მიერ. თითოეული დებულების შეფასებაც ამ შემთხვევაშიც 11 ბალიანი შეფასებითი სკალით განხორციელდა (1-11).

თითოეული ფოტოსთვის განკუთვნილი აღქმის წარმართველი დებულებებია:

- ექიმის სტერეოტიპული ფოტოს დებულება -ტიპიური ექიმია*(მხოლოდ ერთი დებულება, რომელიც ასახავს ფოტოში გადმოცემულ სტერეოტიპულ ინფორმაციას)*
- ექიმის ინდივიდუალური ფოტო -1) ტიპიური ექიმია; 2) ზის უსუფთაო ოთახში; 3)უყვარს კომპიუტერების თამაში *(3 დებულება - ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულება; მონაცემების დამუშავების ეტაპზე, რეგრესიული ანალიზის განხორციელების მიზნით³⁹ მოცემულ ფოტოში მაინც დარჩა სტერეოტიპული ინფორმაციის გადამამოწმებელი დებულება).*
- ექიმის შერეული ფოტო - 1) ტიპიური ექიმია; 2) ზის უსუფთაო ოთახში; 3) უყვარს კომპიუტერების თამაში *(3 დებულება - ერთ სტერეოტიპული და ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულება)*
- IT სტერეოტიპული ფოტო -1) ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (IT ან პროგრამისტი), 2) ზის მოუწესრიგებელ ოთახში *(2 დებულება - სტერეოტიპული ინფორმაციის ამსახველი დებულებები)*

³⁹ ინდივიდუალისტურ ფოტოში, სტერეოტიპული ინფორმაციის ამსახველი დებულებების შენარჩუნება განპირობებულია ერთი ფუნქციით. ტიპიურობის შეკითხვის დახმარებით მოგვიანებით განხორციელდა რეგრესიის გამოთვლა, ამიტომ საჭირო გახდა, მოცემული შეკითხვის დატოვება ყველა ფოტოსთვის.

- IT ინდივიდუალური ფოტო - 1) ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (IT ან პროგრამისტი), 2) უყვარს ოთახის ყვავილები; 3) უყვარს ოპერა -ბალეტი (3 დებულება - ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულებები. მოცემულ ფოტოში, კვლავ რეგრესიული ანალიზის განხორციელების მიზნით, დარჩა სტერეოტიპული ინფორმაციის ამსახველი დებულება)
- IT შერეული ფოტო - 1) ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (IT ან პროგრამისტი), 2) ზის მოუწესრიგებელ ოთახში, 3) უყვარს ოთახის ყვავილები; 4) უყვარს ოპერა (ბალეტი) (4 დებულება - ორი სტერეოტიპული და ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულება)

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ დებულებები ასრულებენ აღქმის წარმართვის ფუნქციას, ხშირად ისინი გადმოცემულია არა აღქმის, არამედ ფიგურის ქცევის ან თვისების ინტერპრეტაციის ტერმინებში, მაგ: უყვარს კლასიკური მუსიკა (ნაცვლად „უსმენს კლასიკურ მუსიკის“) ან უყვარს კომპიუტერული თამაშები (ნაცვლად, „თამაშობს კომპიუტერულ თამაშებს“).

ინტერპრეტაციის ტერმინების მიუხედავად, მოცემული დებულებებზე პასუხის გაცემა აიძულებს რესპონდენტს მოცემულ ფოტოში მოძებნოს და ყურადღება მიაქციოს შესაბამის ვიზუალურ გამოსახულებას, დაფიქრდეს მასზე. სწორედ ეს არის აღქმის წარმართველი დებულებები მთავარი მიზანი. თუმცა ამის გარდა, აღქმის წარმართველ დებულებებზე დათანხმება მიანიშნებს იმას, თუ რამდენად მიიღო მონაწილემ ფოტოზე გადმოცემული ინფორმაცია იმ ინტერპრეტაციით, როგორც ეს ჩადებულია ფოტოში. სწორედ აღქმის წარმართველ დებულებებზე გაცემული პასუხით (მოცემული სკალური შეფასებებით) განისაზღვრა ის, თუ რამდენად გააქტიურა აღქმელში ამა თუ იმ ფოტომ ა) შესაბამისი პროფესიული სქემა და ბ) ქცევის შესაბამისი ინტერპრეტაცია.

გაუქმებული მონაცემები

N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობების მიმდინარეობისას გაუქმდა 20 მონაწილის მონაცემი.

მონაცემები გაუქმდა იმ შემთხვევაში, როცა :

- რიგში პირველად მიწოდებულმა ფოტომ მონაწილეში ვერ გააქტიურა დაგეგმილი შინაარსი. ეს კარგად გამოჩნდა მონაწილის მიერ აღქმის მიმართულების მიმცემ დებულებების შეფასებაში. ასეთ შემთხვევებია:

როცა პროფესიის სტეროტიპულ ფოტოზე, ტიპიურობის შეფასება მოხდა 1 - დან 6 ქულის ჩათვლით (მაგ: ექიმი, რესპონდენტისთვის არ წარმოადგენს ტიპიურ ექიმს);

ან/და

როცა ინდივიდუალური ფოტოში ქცევის ჩვენს მიერ მიწოდებული ინტერპრეტაცია უარყოფილ იქნა და შეფასებულ იქნა 1-6 ქულით. (მაგ: ექიმის ინდივიდუალური ფოტოში მოუწესრიგებლობა შეფასებულ იქნა ასევე 1 -6 ქულით, ასევე, კომპიუტერული თამაშებით გატაცება ასევე 1-6 ქულით. გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში ფოტოზე გამოსახული ფიგურა არ იქნა აღქმული როგორც თამაშის მოყვარული და მოუწესრიგებელ ოთახში მჯდომი - ე.ი. როცა უარყოფილ იქნა ფოტოზე გამოსახული ორივე ინდივიდუალური ქცევა).

- მონაცემები არ გაუქმებულა N1 , 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობაში. აღქმის წარმართველი შეკითხვებიდან ჩანს, რომ მონაწილეებმა იმ შინაარსით აღიქვეს ფოტოზე გადმოცემული პროფესია და ქცევა, როგორც ეს ჩადებული იქნა ფოტოში.

ყურადღების გადამტანი დავალება

როგორ უკვე აღვნიშნეთ, მონაწილეებს N2 და 4 პირობაში სხვადასხვა რიგით მიეწოდათ ორი განსხვავებული ინფორმაცია, ერთი და იგივე ადამიანის შესახებ. ამ ექსპერიმენტულ პირობებში ორი ინფორმაციის მიწოდებისას საჭირო გახდა ფოტოების ისე მიწოდება, რომ შექმნილიყო რიგის ეფექტი. ამისათვის კი საჭირო გახდა გარკვეული ინტერვალის დაცვა ფოტოებს შორის მიწოდებისას. ჩვენი აზრით, ორი ფოტოს მიწოდება ზედიზედ - ყოველგვარი ინტერვალის გარეშე ან ძალიან მცირე ინტერვალით, გამოიწვევდა N3 პირობის ეფექტს ანუ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების ეფექტს. **ამიტომ, გადაწყვიტეთ ხანგრძლივი ინტერვალის გამოყენება და ამ ინტერვალის, ისეთი ამოცანით შევსება, რომელიც არ უკავშირდება ჩვენი ექსპერიმენტის მთავარ მიზანს.**

ამ მიზნით შერჩეულ იქნა „ფერების დავალება“, რომელიც მონაწილეებს სთხოვს ფერების არჩევას მიწოდებული მუყაოს ფირფიტებიდან, რომლებზეც გამოსახულია მრავალი ფერი. ფერების ფირფიტებთან ერთად (4 ცალი ფირფიტა) მონაწილეებს ასევე მიეცათ შეკითხვების ფურცელი, რომელშიც მოცემულია ის კონკრეტული 5 დავალება რის მიხედვითაც უნდა აარჩიონ ფერები წარდგენილი ფირფიტებიდან⁴⁰(მათ უნდა აარჩიონ ფერები გემოვნებაზე დაყრდნობით - საკუთარი საძინებელი ოთახისთვის, ზოგადად ფერები რომლებიც მოსწონთ და ფერები, რომლითაც გააწყობდნენ სატელევიზიო საინფორმაციო სამსახურის სტუდიას).

⁴⁰ფერების დავალებასთან დაკავშირებული მასალები შეგიძლიათ იხილოთ დანართში I, ცხრილი I 3. (ასევე I 4).

ამგვარად N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში, რიგის ეფექტის შესაქმნელად, გამოყენებულ იქნა ფერების დავალება, რომელიც მონაწილეებმა შეასრულეს პირველ და მეორე ფოტოს მიწოდებებს შორის და რომლის ხანგრძლიობა არის 10-15 წთ. ფოტოების მიწოდებებს შორის ინტერვალმა კი მთლიენობაში მოიცვა, როგორც დავალების შესრულების დროს, ასევე ინსტრუქციისთვის და პროცედურის ორგანიზებისთვის საჭირო დრო - სულ 14-18 წთ.

ფერების დავალება გამოყენებულ იქნა სხვა ექსპერიმენტულ პირობებშიც - N1, 3 და 5. ეს ის პირობების, სადაც სულაც არ არის საჭირო რიგით მიწოდების ეფექტის შექმნა, მაგრამ იმის გამო, რომ მონაწილეებს ამ პირობებში ორი ფოტო წარვუდგინეთ, საჭირო გახდა ფოტოების მიწოდებებს შორის ინტერვალის დაცვა. ამ შემთხვევაში, ინტერვალის გამოყენება მოხდა ყურადღების გაფანტვის მიზნით.

რატომ გახდა ეს საჭირო - ჩვენი ვარაუდით, მიწოდებულ ორ ფოტოებს შესაძლოა გავლენა მოეხდინა ერთმანეთის შინაარსის ინტერპრეტაციაზე, რადგან ერთის გააქტიურება შექმნიდა გაკრვეულ პლატფორმას მეორე ფოტოს ინტერპრეტაციისათვის. ამიტომ, ამ ფოტოები უწყვეტი თანმიმდევრობით მიწოდების შემთხვევაში ეს საშიშროება კიდევ უფრო იზრდება ა) მონაწილეებს შესაძლოა „მოუნდეთ“ მიმართების დამყარება ამ ორ აბსოლუტურად დამოუკიდებელ ფოტოს შორის, ან ბ) შესაძლებელია, პირველად გააქტიურებულმა ფოტომ ხელი შეუწყოს ან შეუშალოს მეორე ფოტოში გადმოცემული შინაარსის ინტერპრეტაციას.

მსგავსი ეფექტების შესუსტების მიზნით, პირველ და მეორე ფოტოს მიწოდებას შორის, მონაწილეებს შევთავაზეთ გარკვეული დავალების შესრულება. ეს დავალება პირველი ფოტოს მიწოდების შემდეგ, ხელს შეუწყობს მონაწილის ყურადღების გადატანას სულ სხვა სააზროვნო ამოცანაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პირველი ფოტოს შინაარსის გადაფარვას მეხსიერებაში. შედეგად ვვარაუდობთ, რომ მონაწილე მეორე ფოტოს ინტერპრეტაცია მოახდენს განცალკევებით, პირველ ფოტოსთან მიმართების დამყარების გარეშე.

მოცემულ ექსპერიმენტულ პირობებში, ინტერვალის ეფექტის შესაქმნელად გამოყენებულ იქნა კვლავ ფერების დავალება. თუმცა მოცემული დავალება, N2 და 4 ექსპერიმენტული პირობის ვარიანტთან შედარებით, მნიშვნელოვნად გამარტივდა. ამ შემთხვევაში მონაწილეებს ოთხი ფირფიტის ნაცვლად მიეწოდათ ორი ფირფიტა, გარდა ამისა ფერებზე შესასრულებელი დავალებებიც შემცირდა - 5 დავალებიდან შემცირდა 2 დავალებამდე. მონაწილეებს აღნიშნული დავალების შესრულებისთვის საჭირო 5წუთი.

რის საფუძველზე შევარჩიეთ ფერების დავალება?

იტერვალის შემავსებელი დავალების შერჩევა მოხდა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

- შევარჩიეთ **მარტივი დავალება**, რომელიც არ მოახდენდა მონაწილეების კოგნიტურ გადატვირთვას. N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში, მონაწილეებს არაკონსისტენტური ინფორმაციის შეჯერება უნდა მოახდინათ, რაც ითხოვს ინფორმაციის ღრმა დამუშავებას. შესაბამისად, ამ პირობაში ამოცანის კიდევ უფრო კოგნიტურად გათვლება გამოიწვევდა მონაწილეების გადაღლას და ხელს შეუშლიდა მთავარი ამოცანის შესრულებას (შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესს).

- შევარჩიეთ **გასართობი დავალება**, იმ მიზნით, რომ მონაწილეებს არ მობეზრებოდათ ექსპერიმენტის მიმდინარეობის პროცესი (N2 და 4 ექსპერიმენტულმა პირობამ მოიცვა 18 - 23წუთი). მობეზრების განცდას შესაძლოა გავლენა მოეხდინა ინფორმაციის დამუშავების პროცესზე.

- დრებენის, ფისკესა და ჰესტის (1979) მიხედვით, პირველობისა და ბოლოს ეფექტის კვლევაში, ინფორმაციის მიწოდებებს შორის გამოყენებული **დისტრაქტორი დავალება**, თუკი ის **ძლიერ განსხვავდება ექსპერიმენტული მასალისგან**, აძლიერებს ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის ეფექტს. **სწორედ ამიტომ ბოლოს ეფექტის ხელოვნურად გაძლიერების თავიდან ასაცილებლად**, მატემატიკური და სხვა განსხვავებული ტიპის დავალების გამოყენებას, ვარჩიეთ ვიზუალური ტიპის დავალება, რომელიც მოითხოვს გარკვეულ მახასიათებლებზე (ფერთა მახასიათებლებზე) დაფიქრებას, მაგ: *ფერებთან დაკავშირებული ერთი დავალება ითხოვს იმ ფერების აირჩევას, რომლითაც მონაწილე გააფორმებდა საინფორმაციო გადაცემის სტუდიას.* ამ დავალებით, არ ხორციელდება სოციალური ინფორმაციის დამუშავება, მაგრამ მაინც საჭიროა გარკვეულ თვისებებზე ფიქრი. ამიტომ მოცემული დავალება, ერთროულად როგორც განსხვავებულია, ასევე მსგავსია ექსპერიმენტული დავალების მიმართ.

აღნიშვნა: ფერების დავალების ტესტირება არ მომხდარა ზემო ხსენებული კრიტერიუმების მიხედვით. შესაბამისად, მისი არჩევა მოხდა მხოლოდ ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე. ჩვენი მოსაზრების მიუხედავად, სრულიად შესაძლებელია, მოცემული დავალება იყოს მოსაწყენი, კოგნიტურად რთული ან/და ამავე დროს ძლიერ განსხვავებული დისტრაქტორი.

რის საფუძველზე შევარჩიეთ ინტერვალი?

N 1, 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობაში მოხდა 5 წუთიანი ინტერვალის გამოყენება, ხოლო N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში მოხდა 10-15 წუთიანი ინტერვალის გამოყენება.

ინტერვალის ზომის არჩევა არ განხორციელებულა ემპირიული მონაცემებზე დაყრდნობით. ინტერვალის არჩევის დროს, ასევე ვიხელმძღვანელებთ ექსპერიმენტის ჩატარების ტექნიკური შესაძლებლობებით - გავითვალისწინეთ ის სრული ხანგრძლივობა, რომელიც ტექნიკურად შეგვეძლო დაგვეთმო თითოეული ექსპერიმენტული პირობის ჩატარებისთვის.

მეხსიერებაზე გათვლილი შეკითხვა

N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში, რომელშიც მოცემულ იქნა ორი უერთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია ერთი და იგივე ინდივიდის შესახებ,

გამოყენებულ იქნა მეხსიერების მასტიმულირებელი შეკითხვები. ეს შეკითხვები დაისვა მეორე ფოტოს მიწოდების წის და შეეხო ორ დეტალს - ფოტოზე გამოსახული ფიგურის ინიციალის გახსენებას და პირველი ფოტოს შინაარსის გახსენებას - **“გახსოვს პირველი ფოტოს შინაარსი?”**.

- ფოტოზე გამოსახული ინიციალთან დაკავშირებით მონაწილეს უბრალოდ ვკითხეთ ახსოვდა თუ არა ეს ინიციალი. ინიციალის დავიწყების შემთხვევაში მოხდებოდა შეხსენება (თუმცა ასეთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა).

მოცემულ N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობებში, ინიციალის შეხსენება მნიშვნელოვანია, რადგან მონაწილე მხოლოდ ინიციალის დახმარებით მოახერხებდა მეორე და პირველ ფოტოში გამოსახული ფიგურების იგივეობის ზუსტ იდენტიფიკაციას.

- პირველი ფოტოს შინაარსის შეხსენება კი განხორციელდა ძალიან ზოგადი შეკითხვის დასმით - **გახსოვს პირველი ფოტოს შინაარსი?**. მოცემული შეკითხვის დასმა მოხდა არაფორმალური მანერით, რათა შექმნილიყო იმის შთაბეჭდილება, რომ ექსპერიმენტატორმა სპონტანურად დასვა შეკითხვა და არა სპეციალურად შეამოწმა მონაწილის მეხსიერება.

პირველი ფოტოს შინაარსის შემახსენებელი შეკითხვის დასმა განაპირობა შემდეგმა ორმა მიზეზმა:

- ის რომ მოცემული პირობებში, შეიძლება გაზრდილიყო ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის გავლენა, ჩანს აქამდე ჩატარებული კვლევებიდან, რომლის თანახმადაც **პასუხის გაცემის განმეორებითი სტილი და პასუხის ხმამაღლა (ვერბალურად) გაცემის წესი**, ზრდის ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის გავლენას (Dreben, Fiske & Hastie, 1979). ჩვენს კვლევაში, ხსენებულ ექსპერიმენტულ პირობებში, გამოიყენება პასუხის გაცემის ორივე წესი. სწორედ ამ მიზეზით, რათა თავიდან აგვერიდებინა პროცედურით გამოწვეული ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის დომინანტურობა, გამოვიყენეთ პირველი ფოტოს შინაარსის შემახსენებელი შეკითხვა.
- ასევე, N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში რიგის ეფექტის შესაქმნელად გამოყენებულმა 10 – 15 წუთიანმა ინტერვალმა, რომლის დროსაც მონაწილეებს სულ სხვა საკითხზე მოუწიათ ფიქრი, შექმნა პირველ ფოტოში მიწოდებული ინფორმაციის **გადაფარვის საშიშროება**. რაც ხელოვნურად ზრდის ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის მეტ გავლენას.

მოცემულ პირობებში, ჩვენს გვიანტერესებს ის შთაბეჭდილება, რომელიც მონაწილეს ჩამოუყალიბდა ორივე ფოტოს წარგდენის შედეგად. გამოყენებული ხანგრძლივი ინტერვალისა და ამ ინტერვალის დროს ყურადღების გადამტანი დავალების შესრულების გამო, ბოლოს მიწოდებული ინფორმაცია უფრო გამოკვეთილად იქნება წარმოდგენილი მონაწილის მეხსიერებაში.

- გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ მონაწილეები სამიზნე ფიგურაზე შთაბეჭდილების გადმოცემას ხშირად მაშინ იწყებდნენ, როცა მეორე ფოტო ჯერ კიდევ მათი აღქმის ველში იმყოფება. ამით, შთაბეჭდილების ფორმირების პროცესზე, მეორე ფოტოზე გამოსახულმა ინფორმაციამ ტექნიკურად უნებურად მეტი ძალა მოიპოვა, პირველ ფოტოსთან შედარებით.

იმისათვის, რომ ყოველივე ამის გამო, მეორე ფოტოს ასეთი გავლენა არ გადაზრდილიყო ექსპერიმენტული პროცედურით უნებურად გამოწვეულ „ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის ეფექტში“, გადაწყვიტეთ პირველი ფოტოს შინაარსის შემახსენებელი ზოგადი შეკითხვის დასმა. ამ შეკითხვის დახმარებით, მონაწილეს არ შევახსენეთ პირველი ფოტოს კონკრეტული შინაარსი, თუმცა მის მეხსიერებაში ხელი შევუწყვეთ მის ზოგად გააქტიურებას.

ამავე მიზნით, N2 და 4 პირობაში, მონაწილეებს ვთხოვეთ, რომ მათი მოსაზრება ვერბალურად მოეწოდებინათ წარდგენილ პირველ ფოტოსთანაც დაკავშირებითაც (თავიანტი აზრი დაეფიქსირებინათ ხმამაღლა). ამ ხერხით ვეცადეთ ხელი შეგვეწყოთ ორივე ფოტოს თანაბარი ძალით დამუშავებისთვის (რადგან წინააღდეგ შემთხვევაში, პირველი შთაბეჭდილების ფორმირების პროცესში, ეკრანზე მიწოდებული მეორე ფოტო, შთაბეჭდილების ფორმირებისა თუ გახმოვანების მომენტში ხშირად ჯერ კიდევ აღქმელის ვიზუალურ ველში იმყოფებოდა)

ამრიგად, ორივე ინფორმაციის თანაბარი ინტენსივობით დამუშავების უზრუნველყოფისა და ხენმოკლე მეხსიერების გავლენის უნებური სტიმულირების თავიდან აცილების მიზნით, გამოვიყენეთ მეხსიერების ზოგადი შეკითხვა, ასევე ხმამაღალი ვერბალური პასუხები, რომლებიც რიგის ექსპერიმენტულ პირობებში (N2 და 4) მოთხოვნილ იქნა არამართო ორივე ფოტო აღქმის შემდეგ, არამედ პირველი ფოტოს აღქმის შემდეგაც.

ამ ორი ხერხით, ჩვენ ვეცადეთ N2 და 4 პირობაში გაგვეთანაბრებინა მონაწილის მიერ, ორივე ფოტოს დამუშავების პროცესი და პირველად აღქმული ფოტოს შინაარსი, ბაზალური მდგომარეობიდან, მეხსიერების ზედაპირზე (Dreben, Fiske, & Hastie, 1979) გადმოგვეტანა, იქ სადაც მყარად იმყოფებოდა ბოლოს მიწოდებული ინფორმაციაც.

პასუხების მოწოდება

მონაწილეების პასუხების ჩაწერა მოხდა ორნაირად: 1) ვერბალურად და 2) შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში მახასიათებლების შეფასების გზით. პასუხების მოწოდების ორი ფორმის მიუხედავად, გაანალიზდა მხოლოდ ის

პასუხები, რომლებიც მოწოდებულ იქნა შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის გამოყენებით.

პასუხების ვერბალური მოწოდება განხორციელდა შემდეგნაირად:

- ყველა ექსპერიმენტულ პირობაში, მონაწილეებს მოეთხოვათ მოეწოდებინათ **ღია ვერბალური პასუხი**, იმ შთაბეჭდილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეექმნათ სამიზნე ფიგურასთან დაკავშირებით. პასუხის ჩაწერა განხორციელდა დიქტოფონის გამოყენებით.
- N2 და 4 პირობაში, სხვა პირობებისგან განსხვავებით, განხორციელდა **პასუხის გაცემა განმეორებითი წესით**. შეგახსენებთ, რომ ამ პირობებში ჩვენთვის საინტერესოა ის შთაბეჭდილება, რომელიც მონაწილემ მოგვაწოდა ორივე ფოტოს აღქმის შემდეგ ანუ ინფორმაციის სრულად აღქმის შემდეგ. მიუხედავად ამისა, პირველი ფოტოს მიწოდების შემდეგ, ჩვენს მაინც ვთხოვთ მონაწილეს აზრის გამოთქმას აღქმულ ფიგურასთან დაკავშირებით (მეხსიერებაში ინფორმაციის გამტკიცების მიზნით), რის შემდეგაც ხელმეორედ ვთხოვთ საბოლოო აზრის გამოთქმას მეორე ფოტოს მიწოდების შემდეგ.

ვერბალური პასუხების ჩაწერა განპირობებული იყო კვლევის მეორე მიზნითაც, მიზნით, რომელიც გულისმობდა ღია ვერბალური შთაბეჭდილებების თვისებრივ დამუშავებას, სტერეოტიპული და ინდივიდუალური პროცესების დომინანტურობის მეორენაირად გაზომვის მიზნით (შთაბეჭდილებების, ასოციაციურ მახასიათებელთა სკალაზე გაზომვის გარდა). სამწუხაროდ, ტექნიკური და დროითი მიზეზების გამო, მოცემული ტიპის გაზომვა ვერ განხორციელდა.

შთაბეჭდილებების ვერბალური გენერირება იმ მიზნითაც გადაწყდა, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ცდისპირებმა ნამდვილად აქტიურად გადაამუშავეს მათ წინაშე წარდგენილი ინფორმაცია.

პროცედურის მიმდინარეობა

მონაწილის საექსპერიმენტო ოთახში შემოსვლის შემდეგ, ექსპერიმენტის საფეხურები წარიმართა შემდეგნაირად:

- მონაწილე განთავსდა კომპიუტერთან, სადაც მომზადებული იყო წარსადგენი ფოტოები
- მოხდა კვლევის მიზნის ახსნა და ინსტრუქციის მიცემა
- პირველი ფოტოს წარდგენა და ფოტოს პარალელურად, აღქმის წარმმართველი დებულებების მიწოდება სპეციალურ ფურცელზე, სადაც თითოეული დებულება 11 ბალიან შეფასების სკალაზე უნდა შეფასდეს.

- ფოტოს პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, ფოტოზე გამოსახულ ფიგურასთან დაკავშირებით შექმნილი ღია ვერბალური შთაბეჭდილებების ჩაწერა დიქტოფონზე, ხოლო შემდეგ ამავე ფიგურასთან დაკავშირებით ასოციაციურ მახასიათებელთა სკალის შევსება
- ყურადღების გადამტანი დავალების მიცემა - ფერების დავალება.
- N1 3 და 5 ექსპერიმენტული პირობების შემთხვევაში მოცემული დავალება მორგებული იყო საშუალოდ 5 წუთიანი ინტერვალისთვის
- N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობებში, კი დავალება გაფართოვდა და გახდა საშუალოდ 10 წთ-იანი.
- მეორე ფოტოს მიწოდება. ფოტოს პარალელურად ამ ფოტოს შესაბამისი აღქმის წარმმართველი დებულებების მიწოდება - შევსება.
- *შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ N2 და 4 პირობაში, სხვა ექსპერიმენტული პირობებისგან განსხვავებით, მეორე ფოტოს მიწოდებამდე მოხდა მეხსიერებაზე გათვლილი შეკითხვის დასმა.*
- მეორე ფოტოს პრეზენტაციის ამოწურვის შემდეგ მონაწილის ღია ვერბალური პასუხის დიქტოფონზე ჩაწერა და ამ ფოტოზე გამოსახული ფიგურის შესაფასებლად, მახასიათებელთა სკალის შევსება.
- *შენიშვნა: როგორც უკვე აღვნიშნეთ N2 და 4 პირობაში, შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებლის სკალა შეივსო ორივე ფოტოს ნახვის შემდეგ. დანარჩენ პირობაში, კი ეს სკალა შეივსო ყოველი ფოტოს წარდგენის შემდეგ.*
- დებრიფინგი
- დემოგრაფიული მონაცემების ჩანიშვნა

დებულებების შეფასება

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შთაბეჭდილებების გაზომვა მოხდა მახასიათებელთა სკალის გამოყენებით, სადაც თითოეული ასოციაციური მახასიათებელი მოწოდებულია დებულებების სახით. ექსპერიმენტის მონაწილეს ევალება ფოტოზე გამოსახული ფიგურის შეფასება ამ დებულებების მიხედვით. თავად დებულებების შეფასება განხორციელდა 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, რომლის უკიდურესი მნიშვნელობები არის 1 და 11.

5. შედეგები

(ძირითადი ექსპერიმენტი)

აქ წარმოდგენილია ძირითად ექსპერიმენტში მიღებული შედეგები.

მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა SPSS 20 პროგრამის გამოყენებით. გამოთვლილ იქნა ფაქტორული და რეგრესიული ანალიზი; სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარების მიზნით, ასევე გამოყენებულ იქნა t test და ANOVA ცხრილი.

შთაბეჭდილებები ექიმის ფიგურაზე

მონაწილეები

ექიმის თემასთან დაკავშირებით, ექსპერიმენტში სულ მონაწილეობა მიიღო 144-მა სტუდენტმა, საიდანაც 95 (66%) არის მდებდრობითი, ხოლო 49 (34%) მამრობითი სქესის სტუდენტი. მათი საშუალო ასაკი არის 20 წელი (Min 18 Max 23). უმეტესობა მათგანი არის ფსოქლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი (102 მონაწილე), ასევე არიან ტურიზმისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სტუდენტები (18) *(თუმცა მათ გარდა არიან იურიდიული, პედაგოგიური, ეკონომიკის ბიოლოგიისა და სხვა სპეციალობის სტუდენტები. სულ - 24 მონაწილე)*. გამოკითხული რესპონდენტებიდან 60 (42%) რესპონდენტი ნამყოფია საზღვარგარეთ, ხოლო 84 (58%) არ არის ნამყოფი *(შეგახსენებთ, რომ ეს დემოგრაფიული მახასიათებელია გაზომილ იქნა, არაკავკასიური წარმოშობის მქონე ქვეყანაში ერთჯერ მაინც ყოფნა ერთი ან მეტი კვირის განმავლობაში)*.

შეგახსენებთ, რომ ექსპერიმენტში მოდელირებულ იქნა 5 ექსპერიმენტული პირობა, რომელთაგანაც N1 3 და 5 პირობაში, სათითაოდ მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 30 სტუდენტმა, ხოლო N2 და 4 პირობიდან თითოეულში 25-მა სტუდენტმა.

მოცემული მონაწილეთა ოდენობა, არასაკმარისი აღმოჩნდა გარკვეული სტატისტიკური პროცედურების გამოყენებისთვის, ამის გამო განხორციელდა მონაცემების შეწონვა.

აღქმის წარმართველი დებულებები:

აღქმის მიმართულების მიმცემი დებულებების შეფასებებიდან, ჩანს რომ ექიმის ფოტოებში ჩადებული ინფორმაცია მართლაც ისე იქნა ინტერპრეტირებული, როგორც ეს გათვლილი იყოს ჩვენ მიერ, კვლევითი მიზნებით. ცხრილში 31 წარმოდგენილია ექიმის მხოლოდ სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოზე

გამოსახული ფიგურის შეფასებები ანუ შეფასებები, რომლებიც მიღებულ იქნა N1 და N5 ექსპერიმენტულ პირობაში. სწორედ ამ პირობების შეფასებებია საინტერესო, იმის განსასაზღვრად, თუ მართლაც რამდენად „სწორად“ იქნა გაგებული ექიმის ხატი და მისი ინდივიდუალური ქცევა.

ცხრილი 31. ექიმის აღქმის წარმართველი დებულებების შეფასება (N1 და 5 პირობაში გამოყენებული ფოტოების მიხედვით)

აღქმის წარმართველი დებულებები	ფოტო N1	ფოტო N5
ტიპური ექიმია	10.30	1.81
უყვარს კომპიუტერების თამაში	--	10.06
ზის უსუფთაო ოთახში	--	8.53

შენიშვნა: მონაცემები წარმოდგენილია ნედლი საშუალების სახით.

როგორც ჩანს, სტერეოტიპულ ფოტოში ფიგურა მართლაც აღიქმება, როგორც ექიმი ($M=10.30$), ხოლო ინდივიდუალურ ფოტოში, მისი ქცევა მართლაც გაგებულია, როგორც კომპიუტერული თამაშის თამაში ($M=10.06$) და უსუფთაო ოთახში ჯდომა ($M=8.53$).

ამოღებული დებულებები:

ექიმის ფიგურის ირგვლივ მიღებული შთაბეჭდილებების ღრმა სტატისტიკურ ანალიზამდე, ხელახლა გადავხედეთ შთაბეჭდილებათა გასაზომ მახასიათებელთა სკალაში შემავალ დებულებებსა და მათ საშუალო შეფასებებს. მიზანი იყო იმ დებულებების ამოღება, რომლებიც არ გამოდგებოდა სტერეოტიპული და ინდივიდუალური შთაბეჭდილების გასამიჯნად, რადგან მათ მსგავსი შეფასებები მიიღეს ექიმის სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში:

მახასიათებელთა სკალაში შემავალი თითოეული დებულების საშუალო მონაცემების შედარების შედეგად **ამოღებულ იქნა 7 დებულება** - ეს არის ის დებულებები, რომლებიც ექიმის სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ექსპერიმენტულ პირობაში (N1 და 5) იღებს დაახლოებით ერთნაირ შეფასებას. როგორც ჩანს, ეს მახასიათებლები ექიმის სტერეოტიპულ ფიგურას ისევე ახასიათებს, როგორც ახასიათებს ექიმის ინდივიდუალურ ფიგურას. ამოღებული დებულებები და მათი საშუალო შეფასებები იხილეთ ცხრილში 32.

შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებლის სკალის პილოტაჟის შედეგად, რომელიც ჩატარდა კვლევის VI ეტაპზე, სკალიდან დებულებების ამოღებისას ვიხელმძღვანელებთ დებულებებს შორის 0.7 ქულიანი სხვაობით. ამ ეტაპზე კი, მახასიათებელთა სკალიდან დებულებების ამოღებისას ვიხელმძღვანელებთ 1 ქულიანი (და უფრო მცირე) სხვაობით.

ცხრილი 31. ამოღებული 7 დებულება და მათი საშუალო შეფასებები, N1 და N5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით (ექიმის თემა)

ამოღებული დებულებები	საშუალო შეფასება N1 პირობა	საშუალო შეფასება N5 პირობა	სხვაობა
მახ5. აქვს პოლიტიკაში საქმიანობის მისწრაფება	3.90	2.94	0.96
მახ7. აქვს იუმორის გრძნობა	6.37	5.78	0.59
მახ10. ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო	5.83	6.44	-0.60
მახ19. ამაყია	6.87	5.88	0.99
მახ25. თბილი და მოსიყვარულე ადამიანია	6.80	6.09	0.71
მახ29 .ხელებს მოქნილად იყენებს	7.87	7.31	0.55
მახ32 .ერკვევა ტექნიკურ საგნებში	6.10	6.13	-0.02

აღსანიშნავია, რომ პირველი და მეხუთე ექსპერიმენტული პირობის სტატისტიკურმა შედარებამაც აჩვენა, რომ ჩვენს მიერ ამოღებულ დებულებების საშუალო მონაცემებს შორის სხვაობა არ არის სანდო. ამიტომ მათი ამოღება მართლაც გამართლებულია: მახ5 აქვს პოლიტიკაში საქმიანობის მისწრაფება $F(1) = 2.310$, $p = .134$; მახ7 აქვს იუმორის გრძნობა $F(1) = 1.186$, $p = .280$; მახ10 ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო $F(1) = .843$; $p = .362$; მახ19 ამაყია $F(1) = 3.670$, $p = .060$; მახ25 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია $F(1) = 2.67$; $p = .1$; მახ29 ხელებს მოქნილად იყენებს $F(1) = .783$; $p = .380$; მახ32 ერკვევა ტექნიკურ საგნებში $F(1) = .002$; $p = .966$; ⁴¹

ამრიგად, ექიმის შთაბეჭდილებების მომდევნო სტატისტიკურ ანალიზში, მოცემული დებულებები არ გათვალისწინებულა.

⁴¹ დებულებების შედარების ANOVA ცხრილი იხილეთ დანართში J, ცხრილი J1

ქროსტაბულაციის ანალიზის შედეგები:

ქროსტაბულაციური ანალიზის გამოყენებით, შევამოწმეთ ის ცვლილება, რომელიც განიცადა ექიმის ტიპიურობის შეფასებამ 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. ექიმის ტიპიურობა არის აღქმის წარმმართველი ერთ ერთ დებულეზა, რომელიც რესპონდენტს 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, თხოვს შეაფასოს ფოტოზე გამოსახული ფიგურის ტიპიურობა ექიმის ზოგად ტიპაჟთან.

ქროსტაბულაციის განხორციელების მიზნით, 11 ბალიანი შეფასება გაიყო ორად: **1-6 ქულა არ არის ტიპური ექიმი და 7-11 ქულა არის ტიპური ექიმი**. როგორც ხედავთ, ნეიტრალური შეფასება „6“ მოვათავსეთ უარყოფით მნიშვნელობათა წყებაში. ეს იმის გამო, რომ ის ვერ იძლევა ერთმნიშვნელოვან დადებით შეფასებას ექიმის ტიპიურობასთან დაკავშირებით.

ცხრილი 32. ექიმის ფიგურის ტიპიურობის შეფასება 5 ექსპერიმენტულ პირობაში⁴²

		ექსპერიმენტული პირობები N					სულ
		N 1	N 2	N 3	N 4	N 5	
1-6 ქულიანი შეფასება	1 - არ არის ტიპური	3.3%	16.0%	63.3%	28.0%	100%	44.4 %
7-11 ქულიანი შეფასება	2 -ტიპურია	96.7%	84.0%	36.7%	72.0%		55.6 %

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში გამოსახული ექიმი არ არის აღქმული მუდამ ტიპურ ექიმად. მიღებული განსხვავებული შეფასებები, რომელსაც ამ პარამეტრის მიხედვით ქონდა ადგილი ხუთ ექსპერიმენტულ პირობაში, აღმოჩნდა სანდო $X^2=303.306$, $df(4)$, $p=.000 < .05$.

თუ ქროსტაბულაციის მონაცემებს შევადარებთ ერთმანეთს, ვნახავთ იმ დინამიკას, რომელიც ახასიათებს სტერეოტიპულ და ინდივიდუაციურ ინფორმაციას, ხუთივე ექსპერიმენტული პირობის მიხედვით (იხ. ცხრილი 32) :

- **ტიპიურობის შეფასება მიყვება რიგში პირველობის ეფექტს** - თუ ვიმსჯელებთ N2 და N4 რიგის პირობებში მიღებული შეფასებების მიხედვით, ვნახავთ, რომ ინდივიდუაციური და სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა ექიმის ტიპიურობის შეფასებასთან დაკავშირებით მიყვება ინფორმაციის რიგში პირველობის ეფექტს. მაშინ, როცა ინდივიდუაციური ინფორმაციაა მიწოდებული პირველ რიგად ექიმი უფრო არატიპურად არის შეფასებაული (28%), ვიდრე იმ შემთხვევაში,

⁴²ქროსტაბულაციის ცხრილი სრულად შეგიძლიათ იხილოთ დანართში J, ცხრილი J2

როცა პირველ რიგად სტერეოტიპული ინფორმაციაა მიწოდებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ექიმი უფრო სტერეოტიპულად არის აღქმული, რადგან ის ნაკლებ არატიპიურად არის აღქმული (16%).

- **ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა ხასიათდება ზრდადი დინამიკით** - ექიმის კომპიუტერული თამაში და სიბინძურეში ჯდომა ნაკლებად გადაწონის ექიმის შესახებ მიღებულ შთაბეჭდილებას (16%), მაშინ როცა ის წარმოდგენილია ექიმის სტერეოტიპული საქმიანობის შემდეგ. თუმცა, მაშინ როცა ექიმისთვის ეს შეუფერებელი ქცევა წარმოდგენილია პირველ რიგად - ექიმის პროფესიისთვის დამახასიათებელ სტერეოტიპულ ინფორმაციამდე, მისი გავლენა იზრდება 28%-მდე. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ინფორმაციების ერთროულად მიწოდების პირობა, სადაც ექიმის ინდივიდუალური ქცევა (კომპიუტერთან თამაში და სიბინძურეში ჯდომა) და სტერეოტიპული ინფორმაცია ერთად არის წარმოდგენილი - აქ ინდივიდუალური ინფორმაცია ერთმნიშვნელოვნად ძლევს სტერეოტიპულს და დომინანტურად განსაზღვრავს მიღებულ შთაბეჭდილებას (63.3%).

- ამის პარალელურად, **ექიმის სტერეოტიპული ინფორმაცია ხასიათდება კლებადი დინამიკით**. ექიმის სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში მისი გავლენა არის მაღალი (84%), თუმცა მეორე რიგად მიწოდების დროს გავლენა ოდნავ მცირდება (72%). მართალია, ინდივიდუალური ინფორმაციასთან შედარებით, როგორც რიგითაც არ უნდა მივაწოდით სტერეოტიპული ინფორმაცია, ის მაინც დომინანტურ გავლენას ინარჩუნებს შექმნილ შთაბეჭდილებაზე, თუმცა მეორე რიგად მიწოდების დროს, ეს გავლენა მაინც მცირდება (ექიმის ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის გავლენის გაზრდის ხარჯზე).

- რაც შეეხება ექიმის შესახებ ინფორმაციების ერთდროულად მიწოდების პირობას, როგორც ჩანს ექიმის ინდივიდუალური ინფორმაცია გაცილებით უფრო მკვეთრ ზემოქმედებას ახდენს და ამცირებს სტერეოტიპის გავლენას, არა მაშინ როცა ის პირველ რიგად არის მიწოდებული სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ერთად (28%), არამედ მაშინ, როცა ეს ორი ინფორმაცია მიწოდებულია ერთდროულად (63.3%). .

- მთალინობაში, ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში ექიმის სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა არის 56%, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა მოიცავს 44 %-ს. აქედან ჩანს,

რომ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა არც ისე მცირეა. ის მნიშვნელოვნად ზღუდავს ექიმის შესახებ აღმქმელის სტერეოტიპულ მსჯელობას.

ფაქტორული ანალიზი:

დებულების ამოღების შემდეგ (იხ. ცხრილი 31), დარჩენილი დებულებები გავანალიზეთ ფაქტორული ანალიზის გამოყენებით. ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიყო 7 ფაქტორი, თუმცა რადგან ამ ფაქტორებიდან 4 იყო მხოლოდ თითო პარამეტრისგან (ანუ თითო დებულებისგან/მახასიათებლისგან) შემდგარი ფაქტორი, მოვახდინეთ ფაქტორების ოდენობის შემცირება.

საბოლოოდ ხელახალი ანალიზის შედეგად გამოიყო 3 ფაქტორი⁴³. გამოყოფილი ფაქტორებიდან ერთი ფაქტორი შეესაბამება ექიმის ინდივიდუალური მახასიათებელს, რადგან მოცემული ფაქტორი აერთიანებს ექიმის მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებულ მახასიათებლებს (ასოციაციებს)⁴⁴. დანარჩენი ორი ფაქტორი შეესაბამება ექიმის სტერეოტიპულ მახასიათებელს. ეს ფაქტორებია:

1 - წარმატებული და განათლებული ადამიანია (სტერეოტიპული მახასიათებლის გამომხატველი ფაქტორი)

2 - მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში (ინდივიდუალური მახასიათებლის გამომხატველი ფაქტორი)

3 - ინტელიგენტი ადამიანია (სტერეოტიპული მახასიათებლის გამომხატველი ფაქტორი)

რეგრესიული ანალიზი:

განხორციელდა წრფივი რეგრესიული ანალიზი, რომლის დახმარებითაც გამოყოფილი სამი ფაქტორის საშუალებით, ვეცადეთ მოგვეხდინა გამოსახული ფიგურის ტიპიურობის წინასწარმეტყველება, ექიმის ტიპაჟთან.

⁴³ ექიმისთვის გამოთვლილი ფაქტორები და მათში შემავალი ცალკეული დებულებები (მახასიათებლები) შეგიძლიათ იხილოთ დანართში K, ცხრილი K 1.

მიღებული მინაცემების მიხედვით რეგრესიული მოდელი სანდო აღოჩნდა $F(3, 138) = 49.660$, $p = .000 < .05$, $R = .72$. ფოტოზე გამოსახული ექიმის ტიპიურობა დამოკიდებულულია ორ ფაქტორზე: ა) განათლება-წარმატებულობის მახასიათებელზე, რომელთან მიმართებაშიც ტიპიურობის შეფასება უდრის $6.939 + 2.102$ ($B = 2.102$), და ბ) პიროვნული მომწიფების - ორგანიზებულობის მახასიათებელზე, სადაც ტიპიურობის შეფასება უდრის $6.939 + 1.794$ ($B = 1.794$) (ფაქტორები გაზომილია 11 ბალიან შეფასების სკალაზე). თითოეული ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად ახდენს ექიმის ტიპიურობის წინასწარმეტყველებას: განათლება-წარმატებულობის მახასიათებელი $B = 2.102$, $Beta = .55$, $t = 9.33$, $p < .000$. და მომწიფების - ორგანიზებულობის მახასიათებელი, $B = 1.794$, $Beta = .47$, $t = 7.87$, $p < .000$. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, რაც არის ინტელიგენტობა, ის ვერ წინასწარმეტყველებს სანდოდ ექიმის ტიპიურობის შეფასებას: $B = .140$, $Beta = .04$, $t = .62$, $p = .54^{45}$. (იხ. ცხრილი 33).

ცხრილი 33. რეგრესიის კოეფიციენტები ექიმის დასახასიათებლად გამოყოფილი თითოეული ფაქტორისთვის

ფაქტორები	<i>B</i>	<i>SE B</i>	β	<i>t</i>	<i>p</i>
განათლებული და წარმატებული ადამიანი	2.102	.225	.551	9.332	.000
მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი	1.794	.228	.465	7.872	.000
ინტელიგენტი ადამიანი	.140	.225	.037	.622	.535

* $p < .05$

შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ტიპიური ექიმია (გაზომილი 11 ბალიან შეფასების სკალაზე, სადაც 1-6 ქულა ნიშნავს არ არის ტიპიური ექიმის, ხოლო 7-11 ტიპიური ექიმია)
SE B - არასტანდარტიზებული ბეტას სტანდარტული შედგომა

სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება:

ფაქტორების გამოყოფისა და რეგრესიული ანალიზის გამოთვლის შემდეგ, მოხდა ექიმის შესახებ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება.

- ექსპერიმენტული პირობების შედარებამდე, თითოეული ფაქტორისთვის გამოითვალა საშუალო ქულა, რომელიც მოცემულმა ფაქტორმა მიიღო ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში, ექიმის შეფასების დროს.

⁴⁵ დაწვრილებით, სტატისტიკური მონაცემები რეგრესიისთვის იხილეთ დანართში K, ცხრილი K2.

- ფაქტორთა საშუალო მნიშვნელობების გამოთვლის შემდეგ, განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება.

ექსპერიმენტული პირობების შედარება მოხდა შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1 **ხუთი პირობის შედარება** - ერთმანეთს შედარდა ხუთივე ექსპერიმენტული პირობის საშუალო მაჩვენებლები.

თუმცა ასეთი ერთდროული შედარების გარდა, ექსპერიმენტული პირობები ერთმანეთს შედარდა წყვილში და სამეულში.

- 2 **N2 და N4 ექსპერიმენტული პირობის შედარება** - კვლევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე განსაკუთრებით საინტერესო არის N2 და N4 პირობის მონაცემების შედარება. ეს სწორედ ის პირობებია, სადაც რიგის ფაქტორის მანიპულირება მოხდა.
- 3 **ძირითადი ექსპერიმენტული პირობების ურთიერთშედარება** - ამ შედარების დახმარებით პირველ რიგში შემოწმდა N3 პირობის მდგომარეობა N2 და 4 პირობასთან შედარებით.
- 4 **სამი ექსპერიმენტულ პირობის შედარება** - ექსპერიმენტული პირობების სამეულების შედარება - ასევე საინტერესო აღმოჩნდა N2, N3 და N4 პირობების სათითაო შედარება ორ უკიდურეს პირობასთან - N1 და N5. - ამ შედარებით გადამოწმდა ის, თუ როგორ შემცირდა ან გაიზარდა ინდივიდუალური თუ სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა, ორივე ინფორმაციის წყვილად მიწოდების შედეგად.

შენიშვნა:

სანამ ექსპერიმენტული პირობების სტატისტიკურ შედარებას დავიწყებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ:

ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, პარალელური აქტივაციის ბადეში აღძვრულად ჩაითვლება ის მახასიათებლები, რომლებიც შეფასებით სკალაზე შეფასდასაშუალოდ 7-11 ქულით, ხოლო შეკავებულად ის ასოციაციები, რომლებიც იმავე სკალაზე შეფასდა საშუალოდ 1-6 ქულით. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს N2 4 და 3 ექსპერიმენტული პირობა. ეს არის ინფორმაციის მიწოდების ის შემთხვევები, სადაც მანიპულირებულია რიგის დამოუკიდებელი ფაქტორი. ექიმზე მიღებული შთაბეჭდილებების შედარების შედეგად ხუთივე პირობის მიხედვით (იხ. ცხრილი 34) ჩანს, რომ შთაბეჭდილებები, რომლებიც მიღებულ იქნა პირობაში N2 და 4 არ ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას:

- N2 პირობაში, სადაც ჯერ მიწოდებულია ექიმის სტერეოტიპული ინფორმაცია და შემდეგ ქცევითი ინფორმაცია, ყველა მახასიათებელი უნდა შეფასებულყო სტერეოტიპის გავლენით. ეს ნიშნავს სტერეოტიპული მახასიათებლების აღძვრას და ინდივიდუალური მახასიათებლის შეკავებას. ცხრილიდან ჩანს, რომ ინდივიდუალური მახასიათებელი მართლაც შეკავდა, რადგან ის შეფასდა $M=4.90$ ქულით, თუმცა ასევე შეკავდა ერთ ერთი სტერეოტიპული მახასიათებელიც (ინტელიგენტი ადამიანი) $M=4.99$.

-N4 პირობაში, ჰიპოთეზის თანახმად ინდივიდუალური ინფორმაციის პირველად მიწოდების გამო, მთელი შეფასება უნდა განხორციელებულიყო ამ ინფორმაციის ჭრილში, რაც ნიშნავს ინდივიდუალური ინფორმაციასთან დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლის აღძვრას და სტერეოტიპული მახასიათებლების შეკავებას. მონაცემებიდან ჩანს (იხ ცხრილი 34), რომ შეკავდა მხოლოდ ერთ ერთი სტერეოტიპული მახასიათებელი (ინტელიგენტი ადამიანი $M= 4.95$), მაგრამ ამასთანავე მოხდა ინდივიდუალური მახასიათებლის შეკავებაც (შეფასება $M=5.53$).

ამგვარად, თითოეული პირობის სათითაო ანალიზი აჩვენებს, რომ ჰიპოთეზაა აღძვრა შეკავების პროცესის გაზომვასთან დაკავშირებით არ დასტურდება- **აღძვრის განსაზღვრისთვის ჩვენ მიერ მოწოდებული ქულა 7-11, ასევე შეკავების განსაზღვრისთვის მოწოდებული ქულა 1-6 ზუსტად ვერ ასახავს ასოციაციის აღძვრის ან შეკავების პროცესს.** თუმცა თუ აღძვრა-შეკავების პროცესს განვიხილავთ მეტ-ნაკლებობის ტერმინებში, ვნახავთ რომ მიღებულ შეფასებების დინამიკა მიყვება ჩვენს ვარაუდს, რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის მეტ გავლენასთან დაკავშირებით. მონაცემები აჩვენებს, ერთი მხრივ ა) სტერეოტიპული შეფასებების შედარებით შესუსტება-გაძლიერებას, სხვადასხვა პირობების შედარების შედეგად და მეორე მხრივ ბ) ინდივიდუალური შეფასებების შედარებით შესუსტება - გაძლიერებას, კვლავ სხვადასხვა ინფორმაციული პირობის შედარების შედეგად.

შეფასებების ასეთი დინამიკის საფუძველზე შეკავება და აღძვრის პროცესები განიხილება, როგორც განგრძობითი და გარდამავალი პროცესი, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება ან სუსტდება. ის არ განიხილება, როგორც დისკრეტული პროცესი, რომელიც ერთ წერტილში იწყება შეკავების პროცესი და მთავრდება მეორე წერტილში, საიდანაც იწყება აღძვრის პროცესი და მთავრდება სხვაგან. შესაბამისად, სხვადასხვა პირობაში მიღებული შეფასებების ცალცალკე ანალიზის ნაცვლად, ძირითადად დავერყდნობით შედარებით ანალიზს, რომელიც გამოავლენს იმას, თუ რომელ ინფორმაციულ პირობაში მოხდა ამა თუ ასოციაციური მახასიათებლის უფრო მეტად ან ნაკლებად შეკავება, ან მეტად ან ნაკლებად აღძვრა.

თუ გავიხსენებთ, პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელს, მახასიათებლების აქტივაცია (აღძვრა/შეკავება) სწორედ უწყვეტი მნიშვნელობების მქონე, განგრძობილი პროცესია, რომელიც იღებს ნებისმიერ მნიშვნელობას +1-დან -1-მდე. ეს განგრძობითობა განპირობებულია იმით, რომ ყოველ ერთ მახასიათებელს აქვს მრავლობით კავშირები სხვა მახასიათებლებთან და ამ დაკავშირებული მახასიათებლებიდან ის იღებს უკუკავშირებს. ამის გამო, მოცემულ მომენტში გააქტიურებული ასოციაცია ერთროულად იღებს, როგორც აღმძვრავ, ასევე შემკავებელ იმპულსებს სხვა ასოციაციებიდან. შესაბამისად მისი აქტივაციის დონე არასდროს არ არის 0 ან რომელიმე მაღალი აბსოლუტური ქულა, ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ქულა, რომელიც გამოხატავს ამ უკუკავშირების შედეგად მიღებული შემკავებელი და აღმძვრელი კავშირების ერთობლივი ზემოქმედების შედეგს. შესაბამისად ასეთი ზემოქმედების გამო, ზოგიერთი მახასიათებელი უფრო კავდება ვიდრე, სხვა მახასიათებელი ბადეში, ან ზოგიერთი მახასიათებელი უფრო აღმძვრება, ვიდრე სხვა, იგივე ბადეში.

ასეთი შედარებითი ანალიზი მართაც გვაჩვენებს, რომ მახასიათებელი შესაძლოა შეკავდეს ორ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში, თუმცა ერთ ერთ პირობაში, შეკავების ეს პროცესი უფრო ძლიერია, ვიდრე მეორეში. ამის მაგალითია ექიმის ინდივიდუალური მახასიათებლის „მოუწიფეები და არაორგანიზებული ადამიანია...“ შეფასება N2 და 4 პირობაში. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად მოცემული მახასიათებელი შეკავდა ორივე პირობაში, რადგან მიიღო 1-6 ქულის შეფასება, თუმცა თუ დავუკვირდებით, N2 პირობაში უფრო ძლიერ მოხდა მისი შეკავება ($M=4.99$), ხოლო N4 პირობაში შეკავების ეს პროცესი შედარებით შესუსტდა ($M=5.53$). იგივე შეიძლება ითქვას აღძვრის პროცესზეც.

ამრიგად, ჰიპოთეზის ოდნავ გადახედვით შემდეგ, ჩვენ ძირითადად დავეყრდნობით შედარებით ანალიზის, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის მახასიათებელი აღძრულად ან შეკავებულად ჩაითვლება არა ჩვენს მიერ ნაგარაუდები 7-11 და 1-6 ქულაინი შეფასების მიხედვით, არამედ შედარების შედეგად გამოვლენილი მეტ-ნაკლებად მაღალი და დაბალი შეფასებების მიხედვით, სადაც ნაკლები შეფასება მიუთითებს შეკავების გაძლიერებაზე, ხოლო მეტი შეფასება კი აძლვის პროცესის გაძლიერებაზე.

უფრო კონკრეტულად კი, ვვარაუდობთ, რომ ინფორმაციის სხვადასხვა პირობაში, მივიღებთ შემდეგი ტიპის შთაბეჭდილებებს:

- **N2** ექსპერიმენტულ პირობაში, ფიგურის ყველა მახასიათებელი შეფასდება მიწოდებული სტერეოტიპული ინფორმაციის ჭრილში. N4 ექსპერიმენტულ პირობაში მიღებულ შეფასებებთან შედარებით, ეს გამოვლინდება **სტერეოტიპული მახასიათებლების უფრო მაღალ შეფასებაში, და ინდივიდუალური მახასიათებლების უფრო დაბალი ქულით შეფასებაში.**

- ამის საპირიპიროდ, **N4** ექსპერიმენტულ პირობაში, ინდივიდუალური ინფორმაციის პირველად მიწოდების გამო, იგივე ფიგურის მახასიათებლები შეფასდება არა სტერეოტიპული, არამედ ინდივიდუალური ინფორმაციის ჭრილში. **რის შედეგად, ფიგურის სტერეოტიპული შინაარსის მქონე მახასიათებლები მიიღებენ იმაზე დაბალ შეფასებას, ვიდრე ისინი მიიღებენ N2 ექსპერიმენტულ პირობაში, ხოლო ინდივიდუალური მახასიათებლები მიიღებენ იმაზე მაღალ შეფასებას, ვიდრე ისინი მიიღებენ N2 ექსპერიმენტულ პირობაში.**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, N2 ექსპერიმენტულ პირობაში, N4 პირობასთან შედარებით, სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგში მიწოდების გამო, ფიგურა დახასიათდება უფრო სტერეოტიპულად, ხოლო ინდივიდუალური ქცევიდან გამომდინარე მახასიათებლები, მისთვის ნაკლებად დამახასიათებელ თვისებებად იქნება ინტერპრეტირებული. N4 პირობაში კი, ინდივიდუალური ინფორმაციის პირველ რიგში მიწოდების გამო, N2 პირობის შეფასებებისგან განსხვავებით, ფიგურისთვის უფრო დამახასიათებელი აღმოჩნდება ინდივიდუალური

მახასიათებლები, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებელი ნაკლები ქულით მიეწერება.

- **N3** ექსპერიმენტულ პირობაში, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდები გამო, ვვარაუდობთ, რომ მახასიათებლების შეფასება მოხდება ისეთი საშუალო ქულით, რომელიც გამომდინარეობს N2 და N4 პირობაში მიღებული შეფასებებიდან.

- რაც შეეხება ინფორმაციის ცალკე მიწოდების პირობებს: **N1** პირობაში, *მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების შედეგად, ფიგურის სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებლები შეფასდება ყველაზე მაღალი ქულით*, ხოლო *ინდივიდუაციური შინაარსის მახასიათებლები შეფასდება ყველაზე დაბალი ქულით, ყველა დანარჩენ პირობასთან შედარებით*. ამის საპირისპიროთ, **N5** პირობაში, *მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაციის მიწოდების შედეგად, ინდივიდუაციური შინაარსის მეორე მახასიათებლები შეფასდება ყველაზე მაღალი, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებლები ყველაზე დაბალი ქულით, ვიდრე ეს მოხდება დანარჩენ ოთხ პირობაში*.

ხუთივე პირობის შედარება

ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში ექიმის შესახებ მიღებული შთაბეჭდილებების შედარებამ, გამოყოფილი სამი ფაქტორის მიხედვით, აჩვენა სანდო სტატისტიკური განსხვავება:

- წარმატებული და განათლებული ადამიანის ფაქტორი სანდო განმასხვავებელი აღმოჩნდა ხუთივე პირობაში მიღებული შთაბეჭდილებისთვის $F(4, 571) = 87.01$, $p = .000 < .05$, $\eta^2_p = .38$. ასევე სანდო აღმოჩნდა ფაქტორი *მოუძწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში* $F(4, 571) = 57.48$, $p = .000 < .05$, $\eta^2_p = .29$ და ფაქტორი *ინტელიგენტი ადამიანია* $F(4, 571) = 57.48$, $p = .000 < .05$, $\eta^2_p = .20$. ფაქტორის საშუალო მნიშვნელობები ხსენებული ექსპერიმენტული პირობებისთვის იხილეთ ცხრილში 34.

ცხრილი 34. ექიმის შეფასებები სამი ფაქტორის მიხედვით, ხუთი ექსპერიმენტულ პირობაში⁴⁶

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობა				
	N 1	N 5	N 3	N 2	N 4
წარმატებული და განათლებული ადამიანია	8.14	4.46	6.64	7.44	7.31
მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში	2.61	6.71	6.16	4.90	5.53
ინტელიგენტი ადამიანია	6.80	4.45	4.21	4.99	4.95

* $p < .05$

ცხრილიდან 34, მართლაც ჩანს, რომ N3 პირობის გარდა, ექიმის შეფასება ისე იცვლება, როგორც ამას ველოდით ჰიპოთეზის თანახმა - სტერეოტიპული მახასიათებლები უფრო მაღალი ქულით არის შეფასებული N1 და 2 პირობაში, სადაც სტერეოტიპული ინფორმაცია მიწოდებულია მარტო ან მიწოდებულია პირველ რიგად (ინდივიდუაციურ ინფორმაციამდე). *სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ექიმი უფრო წარმატებულ/განათლებულ და ინტელიგენტ ადამიანად არის შეფასებული, მაშინ როცა ექიმის ფიგურის შესახებ მიწოდებულია ჯერ სტერეოტიპული პროფესიული ინფორმაცია (ხოლო შემდეგ ინდივიდუაციური) (წარმატებული $M = 7.44$; ინტელიგენტი $M = 4.99$) და მაშინ, როცა მხოლოდ ეს სტერეოტიპული ინფორმაცია არის მიწოდებული (წარმატებული $M = 8.14$; ინტელიგენტი $M = 6.80$).* ეს სტერეოტიპული მახასიათებლები, დაბალი ქულით არის შეფასებული ინდივიდუაციურ პირობებში - იქ სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია ($M = 4.46$; $M = 6.80$) და იქ სადაც ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულ იქნა პირველ რიგად ($M = 7.31$; $M = 4.95$).

ამის მსგავსად, ინდივიდუაციური მახასიათებელი მაღალი ქულით არის შეფასებული N5 და 4 პირობაში, იქ სადაც ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად (სტერეოტიპულ ინფორმაციამდე) ან მიწოდებულია მარტო - *ექიმი უფრო მოუმწიფებელი და არაორგანიზებული პიროვნება არის შეფასებული მაშინ, როცა ექიმის ფიგურა აღქმულ იქნა ჯერ კომპიუტერთან თამაშისა და უსუფთაო/მოუწესრიგებელ გარემოში ჯდომის სიტუაციაში (და მხოლოდ მერე იქნა აღქმული ექიმის სტერეოტიპულ პროფესიულ სიტუაციაში ($M = 6.71$)).* ექიმის ეს მახასიათებელი ასევე მაღალი ქულით არის შეფასებულია მაშინ, როცა მიწოდებულ იქნა მხოლოდ კომპიუტერთან თამაშის და

⁴⁶ საშუალოთა შედარების ANOVA სრული ცხრილი იხილეთ დანართში L, ცხრილში L1.

უსუფთაო/მოუწესრიგებელ გარემოში ყოფნის ქცევა ($M = 5.53$). ეს ინდივიდუალური მახასიათებელი ძლიერ დაბალი ქულით არის შეფასებული იმ პირობებში, სადაც ექიმის შესახებ მიწოდებულია მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაცია ($M = 2.16$) ან ეს ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ($M = 4.90$).

ამრიგად ექიმის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა თანმიმდევრულად მცირდება, დაწყებული მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის პირობით და დამთავრებული სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებით. იგივენაირად, ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა თანმიმდევრულად იზრდება, როცა მისი წარმოდგენა ხდება ჯერ მეორე რიგად, ხოლო შემდეგ პირველ რიგად ან მარტო.

ხუთივე პირობის შედარება აჩვენებს, რომ ექიმის შეფასებებს შორის არსებული სხვაობა მიუთითებს რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენის არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ N2 და 4 პირობაში მიღებული სხვაობები მცირეა, ისინი სტატისტიკურად სანდოა (N2 და 4 პირობის სტატისტიკური შედარება განცალკევებითაც განხორციელდა, მოგვიანებით). ხუთივე პირობის შედარების მიხედვით, კიდურა პირობებში (N1 და N5) მიღებული შეფასებები, ასევე მეტყველებს ფოტოებისა და მათში ჩადებული შინაარსის ადექვატურობაზე.

რაც შეეხება N3 ექსპერიმენტულ პირობას მას განვიხილავთ ცალკე, მოგვიანებით.

ცხრილი 35. ხუთივე პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) ექიმისთვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)					F	Sig.	Eta
	N1	N2	N3	N4	N5			
განათლებული-წარმატებული	.24	.49	.19	.40	-1.13	87.013	.000	.61
მოუმწიფებელი...	.99	.025	-.48	-.20	-.33	57.484	.000	.54
ინტელიგენტი	.77	-.27	-.52	-.19	.11	36.020	.000	.45

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში, ცხრილი N 34 განსხვავებით, მოცემულია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის მეშვეობით

ხუთივე პირობის შედარებით (იხ. ცხრილი 34), ასევე ჩანს, რომ სხვადასხვა რიგით მიწოდების მიუხედავად, **ინდივიდუაციური ინფორმაცია, საკმაოდ ზღუდავს სტერეოტიპულ ასოციაციებს.** თუმცა სტერეოტიპული შეფასება მაინც ინარჩუნებს დომინანტურ როლს:

თითოეულ ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების ცალცალკე (და არა შედარებით) ანალიზიდან ჩანს, რომ როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს მიწოდებული ინფორმაცია, სტერეოტიპული ინფორმაცია ყოველთვის დომინანტურად წარმართავს მიღებულ შთაბეჭდილებას. ეს ჩანს ყველა ექსპერიმენტულ პირობაში, მეხუთე პირობის გამოკლებით (რაც ლოგიკურია, რადგან იქ მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაციაა მიწოდებული). სტერეოტიპული მახასიათებელი „**წარმატებული და განათლებული ადამიანი**“ ყველა პირობაში შეფასებულია მაღალი ქულით, იმ პირობებშიც კი სადაც ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ან პარალელურად/ერთად (N3 პირობა).

იგივეს ვერ ვიტყვით მეორე სტერეოტიპულ მახასიათებელზე „**ინტელიგენტი ადამიანი**“, რომელიც ზემოხსენებული სტერეოტიპული მახასიათებლისგან განსხვავებით არ წარმოადგენს ძლიერ სტერეოტიპულ ასოციაციას (ეს კარგად ჩანს N1 ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შეფასებიდან - **წარმატებული და განათლებული ადამიანი** $M=8.14$; **ინტელიგენტი ადამიანი** $M=6.80$). მოცემული სუსტი სტერეოტიპული მახასიათებელი კიდევ უფრო სუსტდება მაშინ, როცა ექიმის სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ერთად სახეზეა ინდივიდუაციური ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ექიმის შესახებ სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით მიწოდების დროს, სტერეოტიპული ინფორმაცია ავლენს დომინანტურობას - *რაც ჩანს ექიმის წარმატება/განათლებლობის მახასიათებლის მაღალ შეფასებაში, ხუთივე პირობის მიხედვით*- თუ დავეყრდნობით პირობებს შორის შედარებით ანალიზს, ვნახავთ რომის არ არის ერთმნიშვნელოვნად დომინანტური:

ინდივიდუაციური ინფორმაცია, იმის მიხედვით თუ რომელ რიგად არის იგი მიწოდებული, ნელნელა სულ უფრო ამცირებს სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენას, რაც ხსენებული ძლიერი სტერეოტიპული მახასიათებლის შემცირებულ შეფასებაშიც კი ვლინდება. უფრო ზუსტად კი:

ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა ვლინდება თავად ინდივიდუაციური მახასიათებლის - *მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი ...* - სულ უფრო მაღალ შეფასებაში (პირობა N2 4 3) და სტერეოტიპული მახასიათებლის - *ინტელიგენტი ადამიანი* - სულ უფრო დაბალ შეფასებაში (პირობა N1 2 3 და 4) და ბოლოს ძლიერი სტერეოტიპული მახასიათებლის - *წარმატებული და განათლებული ადამიანი* - შემცირებულ შეფასებაში (პირობა N 1 2 4 3) (იხ. ცხილი 34).

ამრიგად, ექიმის შესახებ ინდივიდუაციური ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების დროს, მოცემული ექიმი არ აღიქმება ისე ძლიერ სტერეოტიპულად, როგორც ეს ხდება N1 პირობაში, თუმცა ორივე ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში (პირობა N3), ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა, N2 და N4 პირობებთან შედარებით, კიდევ უფრო იზრდება (სტერეოტიპის გავლენა კი მცირდება). (N3 ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებებს განვიხილავთ ცალკე).

N2 და 4 პირობის შედარება

N2 და 4 პირობებში მიღებული შთაბეჭდილების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ექიმის შეფასებაში გამოყოფილი სამი ფაქტორული მახასიათებლიდან, მხოლოდ ერთი იძლევა სტატისტიკურად სანდო სხვაობას. ეს არის ინდივიდუალური ფაქტორი - *მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია...*. რაც შეეხება სტერეოტიპული შინაარსის ფაქტორებს, მათგან არც ერთი არ აღმოჩნდა საკმარისად მნიშვნელოვანი ამ პირობებში მიღებული შთაბეჭდილებების განსასხვავებლად. ეს ფაქტორებია - *წარმატებული და განათლებული ადამიანია* $t(206) = .78, p = .49 > .05$ და *ინტელიგენტი* $t(206) = -.78, p = .49 > .05$.

როგორც ჩანს, სტერეოტიპული ფაქტორები არ განსაზღვრავენ ექიმის შესახებ ფორმირებულ შთაბეჭდილებას, სხვადასხვა ინფორმაციული რიგის პირობებში. თუმცა, რაც შეეხება ხსენებულ ინდივიდუალური მახასიათებელს „*მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში*“ ის მნიშვნელოვნად როლს თამაშობს ექიმის შთაბეჭდილების ფორმირებაში $t(206) = 2.14, p = .03 < .05$. ექიმი უფრო მოუმწიფებლად შეფასდა იმ პირობაში, სადაც ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებულ იქნა პირველ რიგად ($M = 5.53$; სტანდარტული მნიშვნელობით $-.20$), ხოლო იმ პირობაში როცა ეს ინფორმაცია მიწოდებულ იქნა მეორე რიგში (სტერეოტიპის შემდეგ) ექიმის შეფასდა ნაკლებად მოუმწიფებელ და არაორგანიზებულ პიროვნებად ($M = 4.90$; სტანდარტული მნიშვნელობით $.02$). (იხ. ცხრილი 42).

ცხრილი 36. ექიმის შეფასებების საშუალო ქულები, სამი მახასიათებლის მიხედვით, ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში (პირობა N2 და 4)⁴⁷

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობები		t	Sig.
	N 2	N 4		
<i>განათლებული-წარმატებული</i>	7.44	7.31	.777	.438
<i>მოუმწიფებელი....</i>	4.90	5.53	2.149	.033
<i>ინტელიგენტი</i>	4.99	4.95	-.776	.438

* $p < 0.05$

ამრიგად, ექიმის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში, მახასიათებლების შეფასება სწორედ იმის მიხედვით ხდება თუ რომელი ინფორმაცია არის წარდგენილი პირველად ექიმის შესახებ. ინდივიდუალური ინფორმაციის

⁴⁷ საშუალოთა შედარების სრული სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართში L, ცხრილში L2.

პირველად წარდგენის შემთხვევაში ინდივიდუალური მახასიათებელი ფასდება იმაზე უფრო მაღალი ქულით, ვიდრე ეს ხდება პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად წარდგენის შემთხვევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ დასტურდება პირველად მიწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებული გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული გავლენა არც ისე დიდია, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (იხ. ცხირლი 36).

N 2 , 3 და 4 პირობის შედარება

ამ სამი პირობის შედარების მიზანი არის საკონტროლო პირობაში (N3) მიღებული შთაბეჭდილებების შედარება ორ ექსპერიმენტულ პირობაში (N2 და 4 პირობა) მიღებულ შთაბეჭდილებებთან.

როდესაც შევადარეთ ეს შუა სამი პირობა, აღმოჩნდა რომ მათში მიღებულ შთაბეჭდილებებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია, ექიმის სამივე მახასიათებლის მიხედვით. შეგახსენებთ, რომ ეს არის ის პირობები, საიდანაც ორში ინფორმაციის მიწოდება ხდება რიგის ფაქტორის ვარიაციებით (N 2 და N 4), ხოლო ერთში (N 3) იგივე ინფორმაცია მიეწოდება ყოველგვარი რიგის გარეშე - პარალელურად/ერთროულად. ამ ინფორმაციულ პირობებში, ექიმის წარმატებისა და განათლების დონე $F(2, 325) = 3.37, p = .03 < .05, \eta^2_p = .02$; ასევე მოუმწიფებლობისა და არაორგანიზებულობის მახასიათებელი $F(2, 325) = 8.58, p = .000 < .05, \eta^2_p = .04$ და ინტელიგენცია $F(2, 325) = 3.90, p = .02 < .05, \eta^2_p = .02$ განსხვავებულად არის შეფასებული. (იხ. ცხირლი 37).

ცხირლი 37. N2, 3 და 4 პირობებში მიღებული ექიმის შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F)

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N2	N3	N4			
განათლებული-წარმატებული	.48	.19	.40	3.37	.04	.14
მოუმწიფებელი...	.03	-.48	-.21	8.58	.00	.22
ინტელიგენტი	-.27	-.51	-.17	3.90	.02	.15

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხირლში, ცხირლი 38 განსხვავებით მოცემულია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხირლის მეშვეობით

N3 პირობასთან დაკავშირებით, სადაც ექიმის შესახებ ორივე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ერთდროულად, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით. ჩვენი დაშვებით, N3 ექსპერიმენტულ პირობაში, ექიმის შეფასება სამივე მახასიათებლის მიხედვით, უნდა მომხდარიყო იმ ქულით, რომელიც წარმოადგენს იგივე მახასიათებლის N2 და N4 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შედეგად არც ერთი ტიპის ინფორმაციას არ უნდა ქონოდა დომინანტური გავლენა მიღებულ შთაბეჭდილებაზე (იხე როგორც ეს მოხდა სტერეოტიპულად დომინანტურ N2 ექსპერიმენტულ პირობაში ან ინდივიდუაციის დომინანტურ N4 ექსპერიმენტულ პირობაში). ამ პირობაში, რომელიც არის საკონტროლო პირობა, უნდა მიგველო ისეთ შეფასება, რომელიც არ უახლოვდება არც N2 და N4 პირობაში მიღებულ შეფასებებს და რომელშიც, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების გამო, თანაბრად არის გათვალისწინებული ექიმის, როგორც პროფესიული სტერეოტიპი, ასევე მისი ინდივიდუალური ქცევა. მოცემული ჰიპოთეზა არ დადასტურდა.

N3 პირობაში მიღებული შთაბეჭდილების დაახლოება რიგის მანიპულირებით (N2 და N4) მიღებულ შთაბეჭდილებებთან, გამოთვლილ იქნა მიღებულ შეფასებებს შორის არსებული სხვაობით, სამი მახასიათებლის მიხედვით.

N3 პირობაში, თითოეულ ფაქტორზე მიღებული შეფასებებიდან გასაშუალოებულად ჩაითვალა ისეთი შეფასება, რომელიც ემთხვევა ან ძლიერ უახლოვდება მოსალოდნელ საშუალოს. მოსალოდნელი ის საშუალო, რომელიც მიიღება ამავე ფაქტორულ მახასიათებელზე N2 და 4 პირობაში მიღებული შეფასებების გასაშუალოებით.

ძლიერ დაახლოებაში ჩაითვალა ისეთი შემთხვევა, როცა ქულების დამრგვალებების შემთხვევაში მოცემული მახასიათებელი, ორივე პირობაში შეფასებულია ერთ და იმავე ქულით ან როცა მათ შორის სხვაობა არ აღემატება 0.5 ქულას. (იხ. ცხრილი 38).

შეფასებების გასაშუალოების ნაცვლად:

- ექიმი შეფასდა კიდევ უფრო **ნაკლებ** წარმატებულ და განათლებულ ადამიანად ($M = 6.64$; სტანდარტული მნიშვნელობა.19), **ნაკლებ** ინტელიგენტად ($M = 4.21$; სტანდარტული მნიშვნელობა -.51) და **მეტად** მოუწესრიგებელ - არაორგანიზებულ ადამიანად ($M = 6.16$; სტანდარტული მნიშვნელობა -.48), ვიდრე ეს მოხდა **N2** ($M = 7.44$; 4.99; 4.90; სტანდარტული მნიშვნელობა -.48, -.26, .02) და **N4** ($M = 7.31$; 4.95; 5.53; სტანდარტული მნიშვნელობა.40, -.16. -.20)

პირობებში (იხ. ცხირლი 44). სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში მიღებული შეფასებები სამივე მახასიათებლის მიხედვით უფრო მეტად დაუახლოვდა ინდივიდუალური პირობაში მიღებულ შეფასებებს (N4) ანუ იმ პირობის შეფასებებს, სადაც ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებული იქნა პირველ რიგად (იხ. ცხირლი 38).

ცხირლი 38. N2 3 და 4 პირობის საშუალო მნიშვნელობები და მათ შორის სხვაობები, ექიმის სამივე მახასიათებლის მიხედვით.

ფაქტორები	საშუალო შეფასებები			სხვაობა N3 და N2 პირობას შორის	სხვაობა N3 და N4 პირობას შორის	N3 პირობაში მოსალოდნელი საშუალო შეფასებები (N2 და 4 პირობაზე დაყრდნობით)
	N 2	N 3	N 4			
განათლებული-წარმატებული	7.44	6.64	7.31	-0.80	-0.66	7.37
მოუშწიფებელი...	4.90	6.16	5.53	1.25	0.62	5.22
ინტელიგენტი	4.99	4.21	4.95	-0.77	-0.74	4.97

შენიშვნა: ცხირლში ასევე მოცემულია N3 პირობაში ჰიპოთეზით მოსალოდნელი საშუალო სიხშირეები და ასევე, ის სხვაობები, რომელიც საფუძველზეც ჩანს, თუ რომელი პირობის შეფასებას დაუახლოვდა N3 პირობაში მიღებული შეფასებები (სამივე მახასიათებლის მიხედვით). საშუალოები წარმოდგენილი ნედლი, და არა სტანდარტიზირებული ქულების სახით.

აღსანიშნავია, რომ ექიმის შეფასებაში, რომელიც მიღებულია სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შედეგად, იკვეთება ერთი საინტერესო ტენდენცია - ექიმის შეფასება, სამივე მახასიათებლის მიხედვით, გახდა პოლარიზებული N2 და 4 პირობების შეფასებასთან შედარებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი ურთიერთსაწინააღდეგო ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში ექიმი უფრო მეტად შეფასდა მისი ქცევის - კომპიუტერული თამაშის თამაში და სიბინძურე/მოუწესრიგებლობაში ჯდომა - ჭრილში, ვიდრე ეს მოხდა იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევებში. ამრიგად N3 პირობაში შეფასებები არათუ გასაშუალოვდა, არამედ გახდა უფრო პოლარიზებული ინდივიდუალური შეფასების მიმართულებით (იხ. ცხირლი 38 და 39).

ცხრილი 39. N3 პირობაში მიღებული უკიდურესი შეფასებები (ექიმის თემა)

ფაქტორები	N2	N3	N4	
განათლებული- წარმატებული	7.44	6.64	7.31	შემცირდა (დაუახლოვდა N4 შეფასებას)
მოუმწიფებელი..	4.90	6.16	5.53	გაიზარდა (დაუახლოვდა N4 შეფასებას)
ინტელიგენტი	4.99	4.21	4.95	შემცირდა (დაუახლოვდა N4 შეფასებას)

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია ნედლი საშუალო ქულები

ცხრილიდან ჩანს, რომ ექიმი უფრო ნაკლებად განათებულად და წარმატებულად არის შეფასებული ($M=6.64$) ინფორმაციის პარალელურად მიწოდების პირობებში, ვიდრე იგივე ინფორმაციის რიგრიგობით მიწოდების პირობებში ($N2-M=7.44$; $N4-M=7.31$).

ამის მსგავსად, ექიმი იმავე პირობაში შეფასებულ იქნა ნაკლებად ინტელიგენტად ($M=4.21$), ვიდრე ინფორმაციის სხვადასხვა რიგის მიწოდების პირობებში ($N2-M=4.99$; $N4-M=4.95$).

თუმცა ის უფრო მეტად მოუმწიფებელ ადამიანად იქნა შეფასებული პარალელური მიწოდების პირობაში ($M=6.16$), ვიდრე $N2$ ($M=4.90$) და $N4$ ($M=5.53$) ექსპერიმენტულ პირობებში.

ამგვარად, თუ მთლიანობაში განვიხილავთ $N3$ პირობის შთაბეჭდილებას, ვნახავთ, რომ ის მთლიანად გადაწონა ინდივიდუალური ინფორმაციამ.

ექსპერიმენტული პირობების სამეულების შედარება

სამეულების შედარების დროს, ერთმანეთს სათითაოდ შევადარეთ $N2$, 3 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შეფასებები, $N5$ და 1 პირობაში მიღებულ შეფასებებს.

განხორციელდა შედარება შემდეგ პირობებს შორის - **N1 3 5**; **N1 2 5** და **N1 4 5**.

ამ შედარების მიზანი არის იმის განსაზღვრა, თუ როგორ იცვლება სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა შთაბეჭდილებაზე მაშინ, როცა ფიგურის შესახებ მიწოდებულია არა მხოლოდ ერთი (მხოლოდ სტერეოტიპული ან მხოლოდ ინდივიდუალური) ინფორმაცია, არამედ ორივე ინფორმაცია ერთროულად ან გარკვეული რიგით.

ხსენებულ შედარებების დროს დადგენილ იქნა ის მსგავსება-განსხვავება, რომელიც არსებობს შედარებულ პირობებში მიღებულ შეფასებებს შორის, ექიმისთვის გამყოფილი სამი ფაქტორის მიხედვით.

მსგავსება-განსხვავებულობა დადგენილ იქნა საშუალო შეფასებებს (ქულებს) შორის სხვაობის გამოთვლით.

ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის მქონედ ითვლება ისეთი შეფასება, რომელიც გამოთვლილი სხვაობის მიხედვით, ახლოს დგას N5 ინდივიდუალური პირობის შეფასებასთან (მაშინ როცა მიწოდებულია მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაცია).

სტერეოტიპულად ითვლება ისეთი შეფასება, რომელიც, გამოთვლილი სხვაობის მიხედვით, ახლოს დგას N1 სტერეოტიპულ პირობის შეფასებასთან.(მაშინ როცა მიწოდებულია მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაცია).

ექსპერიმენტული პირობების სამეულებში შეფასებები არ გვადლევს დამატებით ინფორმაციას შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში, რიგის ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ. თუმცა ის გვადლევს ინფორმაციას ცალკე აღებული - სტერეოტიპული და ინდივიდუალური - ინფორმაციის ზეგავლენის დონის შესახებ და იმის შესახებ, თუ რა ემართება ამ ზეგავლენას ამ ინფორმაციების შერეულად (რიგით ან ერთდროულად) მიწოდების დროს. სამი ექსპერიმენტული პირობის შედარებებით, გამოვლინდება გავლენის ის ფორმა, რომელსაც ინფორმაციათა წყვილის მიწოდების შედეგად, შთაბეჭდილებაზე ახდენს ინდივიდუალური ინფორმაცია და სტერეოტიპული ინფორმაცია.

N 1 2 5 შედარება

N1 2 და 5 პირობების შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ექსპერიმენტულ პირობებში მიღებული შთაბეჭდილებებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სანდოა ექიმის სამივე მახასიათებლის მიხედვით: *წარმატებულობა და განათლებულობის ფაქტორი* $F(2, 349) = 215.34, p < .000 < .05, \eta^2_p = .55$; *მოუმწიფებელი და არაორგანიზებულობის ფაქტორი* $F(2, 349) = 106.40, p < .000 < .05, \eta^2_p = .38$ და *ინტელიგენტობა* $F(2, 349) = 46.60, p < .000 < .05, \eta^2_p = .21$; (იხ. ცხრილი 45).

ცხრილი 40. N1, 2 და 5 პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) ექიმისთვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N1	N2	N5			
განათლებული-წარმატებული	.239	.48	-1.13	215.3	.000	.74
მოუმწიფებელი...	0.99	.03	-.33	106.4	.000	.62
ინტელიგენტი	.77	-.27	.11	46.66	.000	.46

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის დახმარებით .

რაც შეეხება იმას, თუ რომელმა ინფორმაციამ - სტერეოტიპულმა თუ ინდივიდუალურმა - მოახერხა თავისი გავლენის შენარჩუნება შთაბეჭდილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა ამ ინფორმაციების გარკვეული რიგით მიწოდების პირობაში, ნაჩვენებია ცხრილში 41. გამოთვლილი სხვაობის მიხედვით, ჩანს რომ N2 ინფორმაციულ პირობაში, სადაც ექიმის შესახებ მიწოდებულ იქნა ჯერ სტერეოტიპული და შემდეგ ინდივიდუალური ინფორმაცია, ექიმის შეფასდა უფრო ინდივიდუალისტურად, რადგან ექიმის სამი მახასიათებლიდან, ორი - *ინტელიგენტი (სხვაობა 0.53); მოუმწიფებელი...* (სხვაობა 1.80) - დაუახლოვდა N5 ინდივიდუალური პირობის შეფასებას, სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ ქცევითი ინფორმაცია. მხოლოდ ერთი მახასიათებელი აღმოჩნდა სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენის ქვეშ - ეს არის *განათლებული-წარმატებული (სხვაობა 0.70)*.

ცხრილი 41. N1, 2 და 5 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალო ქულები და მათ შორის არსებული სხვაობები, ექიმის სამი მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	N1	N 2	N 5	სხვაობა	სხვაობა
				N2 და N1 პირობას შორის	N2 და N5 პირობას შორის
განათლებული-წარმატებული	8.14	7.44	4.46	0.70	2.98
მოუმწიფებელი..	2.61	4.90	6.71	2.29	1.80
ინტელიგენტი	6.80	4.99	4.45	-1.81	0.53

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მოცემულია არა სტანდარტული, არამედ ნედლი ქულებით.

სტანდარტიზირებული საშუალო მონაცემების მიხედვითაც:

N2 პირობაში ექიმის **განათლება - წარმატების**(სტერეოტიპული მახასიათებელი) მახასიათებელი შეფასებული იქნა დაადებითი ქულით ($M = 7.44$, სტანდარტული მნიშვნელობა .48), ეს ქულა მართლაც გაცილებით ახლოს დგას N1 სტერეოტიპული პირობის იმავე ფაქტორის შეფასებასთან ($M = 8.14$, სტანდარტული მნიშვნელობა .23) და ძლიერ არის დაცილებული ინდივიდუაციურ N5 პირობაში მოცემულ, იმავე ფაქტორის შეფასებისგან ($M = 4.46$, სტანდარტული მნიშვნელობა -1.13).

რაც შეეხება **ინტელიგენტობას**, რომელიც არის მეორე სტერეოტიპული ფაქტორი, ის შეფასებულ იქნა საწინააღდეგოდ. N2 პირობაში ეს ფაქტორი შეფასდა ისეთი დაბალი ქულით ($M = 4.99$, სტანდარტული მნიშვნელობა -.26), რომ დაცილდა N1 პირობის სტერეოტიპულ შეფასებას ($M = 6.80$, სტანდარტული მნიშვნელობა .77) და დაუხლოვდა N5 ინდივიდუაციურ პირობაში ამ ფაქტორის შეფასების ქულას ($M = 4.45$, სტანდარტული მნიშვნელობა -.11).

და ბოლოს, ინდივიდუაციური ფაქტორის შემთხვევაში (**მოუშწიფებლობის მახასიათებელი**), N2 პირობაში მიღებული ქულა ($M = 4.90$, სტანდარტული მნიშვნელობა .02) უფრო დაუახლოვდა კვლავ, არა N1 სტერეოტიპულ ($M = 2.61$, სტანდარტული მნიშვნელობა .99), არამედ N5 ინდივიდუაციურ პირობაში ($M = 6.71$, სტანდარტული მნიშვნელობა -.33) მიღებულ იმავე ფაქტორის შეფასებას.

N1 4 5 შედარება

მოცემულ სამ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ სამივე ფაქტორს კვლავ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიღებული შთაბეჭდილებების ფორმირებაზე: **წარმატებულობა და განათლებულობის ფაქტორი** $F(2, 349) = 170.28$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .49$; **მოუშწიფებელი და არაორგანიზებულობის ფაქტორი** $F(2, 349) = 107.392$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .38$ და **ინტელიგენტობა** $F(2, 349) = 37.92$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .17$; (იხ. ცხრილი 47).

ცხრილი 42. N1, 4 და 5 პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) ექიმისთვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N1	N4	N5			
განათლებული-წარმატებული	.24	.40	-1.13	170.2	.000	.70
მოუშწიფებელი...	.99	-.20	-.33	107.4	.000	.62
ინტელიგენტი	.77	-.17	.113	37.91	.000	.42

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის საშუალებით.

გამოთვლილი სხვაობების მიხედვით, ჩანს რომ ამ შემთხვევაშიც ინდივიდუალური და სტერეოტიპული ინფორმაცია ისევე ახდენს გავლენას N4 პირობაში მიღებულ შთაბეჭდილებაზე, როგორც ეს მოხდა N2 პირობაში. ექიმის სამი მახასიათებლიდან, კვლავ იგივე ორი მახასიათებელი - *მოუმწიფებელი-არაორგანიზებული (სხვაობა 1.18)* და *ინტელიგენტი ადამიანი (სხვაობა 0.50)* - შეფასდა ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით, ხოლო ერთი მახასიათებელი - *წარმატებული და განათლებული ადამიანი* - გადაწონა სტერეოტიპულმა ინფორმაციამ (სხვაობა 0.83), (იხ. ცხრილი 43).

ცხრილი 43. N1, 4 და 5 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალო ქულები და მათ შორის არსებული სხვაობები, ექიმის სამი მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	N1	N4	N5	სხვაობა N4 და N1 პირობას შორის	სხვაობა N4 და N5 პირობას შორის
<i>განათლებული-წარმატებული</i>	8.14	7.31	4.46	-0.83	2.85
<i>მოუმწიფებელი..</i>	2.61	5.53	6.71	2.92	-1.18
<i>ინტელიგენტი</i>	6.80	4.95	4.45	-1.84	0.50

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მოცემულია არა სტანდარტიზირებული, არამედ ნედლი ქულებით.

საშუალოს სტანდარტული მონაცემების მიედვითაც:

N4 პირობაში, მაშინ როცა მიწოდებულ იქნა ჯერ ინდივიდუალური (თამაშის და სიბინძურის გამოხმატველი ქცევა) და შემდეგ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია, ორი სტერეოტიპული ფაქტორიდან, ერთი - *წარმატებული და განათლებული ადამიანია* ($M=7.31$) დაუახლოვდა N1 პირობის შეფასება ($M=8.14$, სტანდარტული მნიშვნელობა .23).

თუმცა მეორე სტერეოტიპული ფაქტორი - *ინტელიგენტი ადამიანია* - გადაწონა ინდივიდუალურმა ინფორმაციამ, რადგან N4 პირობაშიამ ფაქტორის შეფასება ($M=4.95$, სტანდარტული მნიშვნელობა -.16) N5 პირობის შეფასებას უფრო დაუახლოვდა ($M=4.45$, სტანდარტული მნიშვნელობა.11).

რაც შეეხება ინდივიდუალურ ფაქტორს - *მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში* - ეს ფაქტორი, მცირედი გასწვავებით, მაგრამ მაინც უფრო მეტად გადაიწონა ინდივიდუალური შეფასებისკენ, რადგან N4 პირობაში ამ მახასიათებლის შეფასება ($M=5.53$, სტანდარტული მნიშვნელობა -.20) უფრო ახლოს არის იმავე ფაქტორის N5 პირობის შეფასებასთან ($M=6.71$, სტანდარტული მნიშვნელობა -.33).

N1 3 5 შედარება

სტატისტიკური ანალიზის შედეგად ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა, რომ გამოყოფილი სამი ფაქტორიდან სამივე მიშვნელოვან როლს ასრულებს ექიმის ფიგურის შეფასებაში - *წარმატებულობა და განათლებულობის ფაქტორი* $F(2, 365)=108.34, p < .000 < .05, \eta^2_p = .37$; *მოუმწიფებელი და არაორგანიზებულობის ფაქტორი* $F(2, 365)=102.70, p < .000 < .05, \eta^2_p = .37$ და *ინტელიგენტობა* $F(2, 365)=63.43, p < .000 < .05, \eta^2_p = .26$; (იხ. ცხრილი 44)

ცხრილი 44. N1, 3 და 5 პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) ექიმისთვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N1	N3	N5			
განათლებული-წარმატებული	.24	.19	-1.13	108.34	.000	.61
მოუმწიფებელი...	.99	-.48	-.33	102.70	.000	.60
ინტელიგენტი	.77	-.51	.11	63.432	.000	.50

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია, არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები მოცემული. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის საშუალებით.

მონაცემებიდან ჩანს (იხ. ცხრილი 45), ექიმის შთაბეჭდილება, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობებში, უმეტესად განსაზღვრა ინდივიდუალური ინფორმაციამ. ექიმის დახასიათება, სამი მახასიათებლიდან ორის მიხედვით დაუახლოვდა ინდივიდუალური პირობის დახასიათებას (N5) - *მოუმწიფებელი...* (სხვაობა -.55) და *ინტელიგენტი* (სხვაობა -.24). მდოლოდ ერთი სტერეოტიპული მახასიათებელი შეფასდა სტერეოტიპული ინფორმაციის კრილში, რადგან დაუახლოვდა N1 შეფასებას, ამავე მახასიათებლის მიხედვით (სხვაობა -1.50).

ცხრილი 45. N1, 4 და 5 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალო ქულები და მათ შორის არსებული სხვაობები, ექიმის სამი მახასიათებლის მიხედვით.

ფაქტორები	N1	N3	N5	სხვაობა N3 და N1 პირობას შორის	სხვაობა N3 და N5 პირობას შორის
განათლებული-წარმატებული	8.14	6.64	4.46	-1.50	2.19
მოუმწიფებელი..	2.61	6.16	6.71	3.54	-0.55
ინტელიგენტი	6.80	4.21	4.45	-2.58	-0.24

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მოცემულია არა სტანდარტული, არამედ ნედლი ქულებით.

N3 პირობებში მიღებული შთაბეჭდილებების ჩამოყალიბების პროცესში ინდივიდუაციურმა ინფორმაციამ კვლავ გადაწონა შეფასების უმეტესი ნაწილი - მან იმოქმედა, როგორც ინდივიდუაციური მახასიათებლის (*მოუმწიფებელი-არაორგანიზებულიადამიანია*), ასევე ერთ ერთი სტერეოტიპული მახასიათებლის (*ინტელიგენტია*) შეფასებაზე. თუმცა ვერ იმოქმედა იმ სტერეოტიპული მახასიათებლის შეფასებაზე - *განათლება-გაწონასწორებულობის* - რომელიც სხვა შუალედური პირობების შემთხვევაშიც (N2 და 4 პირობა) სტერეოტიპული გავლენის ქვეშ დარჩა.

საშუალოს სტანდარტული შეფასებების მიხედვით:

სტერეოტიპული ინფორმაციამ, გადაწონა მხოლოდ ერთი მახასიათებელი, კვლავ **წარმატება - განათების მახასიათებელი**, რომელიც N3 პირობაში შეფასებისას (M = 6.64, სტანდარტული მნიშვნელობა.14) უფრო მეტად დაუახლოვდა N1 სტერეოტიპული პირობის შეფასებას (M =8.14, სტანდარტული მნიშვნელობა.23).

რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ორ ფაქტორზე, რომლებიც გადაწონა ინდივიდუაციურმა ინფორმაციამ: **ინტელიგენტობის მახასიათებელი** N3 პირობაში (M =4.21, სტანდარტული მნიშვნელობა.51) დაუახლოვდა N5 პირობის შეფასებას (M =4.45, სტანდარტული მნიშვნელობა.11).

იგივე შეიძლება ითქვას **მოუმწიფებლობის მახასიათებელზე**, რომელიც N3 პირობაში შეფასებით (M =6.16, სტანდარტული მნიშვნელობა -.48) დაუახლოვდა კვლავ N5 პირობაში არსებულ შეფასებას ამავე ფაქტორის მიხედვით (M =6.61, სტანდარტული მნიშვნელობა -.33).

ამრიგად, სამი ექსპერიმენტული პირობის შედარებების შედეგად, ექიმის სტერეოტიპულმა და ინდივიდუაციურმა ინფორმაციამ გამოავლინა შუალედურ პირობებში (N2 3 და 4) მიღებულ შთაბეჭდილებებზე გავლენის ერთი და იგივე პატერნი - სამივე ექსპერიმენტულ პირობაში, შთაბეჭდილების დიდი ნაწილი (ორი მახასიათებელი) წარმართა ინდივიდუაციური ინფორმაციით, თუმცა სტერეოტიპმა შეინარჩუნა გავლენა ერთ მახასიათებელზე (სტერეოტიპულ მახასიათებელზე).

დემოგრაფიული მონაცემები

დემოგრაფიული მონაცემებიდან, რესპონდენტების შესახებ აღრიცხულ იქნა შემდეგი ინფორმაცია - სქესი, პროფესია, ასაკი, საზღვარგარეთ ყოფნა/არყოფნა.

ხსენებული დემოგრაფიული მახასიათებლებიდან სქესმა და საზღვარგარეთ ყოფნის მახასიათებელმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა აჩვენა ფაქტორების შეფასებაში. შედარებამ აჩვენა, რომ ექიმისთვის გამოყოფილი სამი ფაქტორული მახასიათებლიდან, სქესის გავლენით განსხვავებულად შეფასდა მახასიათებელი **განათლებული და ინტელექტუალური ადამიანია** $t(383) = 5.59, p = .00 < .05$ (მდებრობით სქესის რესპონდენტები უფრო დადებითად აფასებენ ექიმს ($M = .16, SD = .96$)) მოცემული მახასიათებლის მიხედვით, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები ($M = -.32, SD = .99$)) და **ინტელიგენტია** $t(420) = -2.67, p = .008 < .05$ (მდებრობით სქესის რესპონდენტები ნაკლებ ინტელიგენტად აღიქვამენ ($M = .08, SD = 1.02$)) ექიმს, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები ($M = .15, SD = .95$)). ორივე მახასიათებელი წარმოადგენს სტერეოტიპული ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციურ მახასიათებელს. კვლავ იგივე მახასიათებლები განსხვავებულად შეფასდა საზღვარგარეთ ყოფნის ფაქტორის გავლენით **განათლებული და ინტელექტუალური ადამიანია** $t(574) = -3.08, p = .002 < .05$ (ინდივიდები რომლებიც ნამყოფები არიან საზღვარგარეთ, ნაკლებ განათლებულად აფასებენ ($M = -15, SD = 1.02$)) ექიმს, საზღვარგარეთ არ მყოფი რესპონდენტები ($M = .11, SD = .97$)) და **ინტელიგენტია** $t(383) = 4.35, p = .00 < .05$ (საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტები თვლიან რომ ექიმის უფრო ინტელიგენტია ($M = .21, SD = .94$)), ვიდრე საზღვარგარეთ არ მყოფი რესპონდენტები ($M = -.15, SD = 1.01$)).⁴⁸

სქესს და საზღვარგარეთ ყოფნის მახასიათებელს გავლენა არ მოუხდენია ექიმის იმ თვისების შეფასებაში, რომელიც შეეხო ინდივიდუალური ინფორმაციას - **მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი**. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ თვისების შეფასება არის ის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც არსებობს ექიმის შესახებ, ერთ და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შედეგად, მიღებულ შთაბეჭდილებებში.

აღსანიშნავია, რომ N1, 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობებში, რომელიც პარალელურად ჩატარდა ექიმისა და IT-ის პროფესიული თემისთვის, შთაბეჭდილებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია ფოტოების მიწოდების რიგს.⁴⁹

⁴⁸საშუალოები მოცემულია საშუალოს სტანდარტიზირებული მნიშვნელობით

⁴⁹დემოგრაფიული მონაცემები დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ დანართში M, ცხრილი M1.

ექიმის შესახებ მიღებული შედეგების მოკლე შეჯამება

ამგვარად, სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში ექიმზე მიღებული შთაბეჭდილებიდან ჩანს, რომ:

- ექიმის შესახებ სხვადასხვა რიგით მიწოდებული ერთ და იგივე ინფორმაცია ვლინდება განსხვავებულ შთაბეჭდილებებში. კერძოდ კი, მტკიცდება რიგში პირველობის ეფექტი. იმის მიხედვით, თუ რომელი ინფორმაცია იქნა მიწოდებულ პირველ რიგად, მივიღეთ ექიმის განსხვავებული შეფასებები: სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შედეგად, ექიმი შეფასებულ იქნა როგორც ნაკლებად მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი ($M=4.90$). თუმცა კომპიუტერთან თამაშისა და მოუწესრიგებელი ოთახში ჯდომის ქცევის პირველ რიგად აღქმამ (ინდივიდუალური ინფორმაცია), ექიმი უფრო მოუმწიფებელი და არაორგანიზებული გახადა ($M=5.53$).

- *აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში, ექიმის მოუმწიფებლობისა და არაორგანიზებულობის თვისება ორივე შემთხვევაში უარყოფითად შეფასდა (დაბალი სკალური ქულებით), თუმცა თუ მოვახდებთ ამ შეფასებების შედარებას, ვნახავთ, რომ მათ შორის არსებული სხვაობა მიყვება რიგში ინფორმაციის პირველობის ეფექტს. ასეთი შედარებითი ანალიზი გვაჩვენებს, რომ მიუხედავად შეფასებების მსგავსებისა (1-6, 7-11 სკალური შეფასების კრიტერიუმის მიხედვით), პირველად მიწოდებული ინფორმაცია მაინც მეტ გავლენას ახდენს შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესზე.*
- *მიუხედავ იმისა, რომ რიგში პირველობის გავლენით, ექიმის შთაბეჭდილებებს შორის მიღებული სხვაობა მცირეა, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 42). მცირე სხვაობა ასევე ვლინდება, რიგის გავლენით მიღებული შთაბეჭდილების მწირ შინაარსობრივ განსხვავებაში. სამი მახასიათებლის ნაცვლად, რიგის გავლენამ მხოლოდ ერთი მახასიათებლის შეფასებაზე მოახდინა გავლენა. ეს შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ აბსოლუტურად იდენტურ ინფორმაციულ პირობებში, სადაც მხოლოდ მიწოდების რიგია განსხვავებული, ყალიბდება მსგავსი შთაბეჭდილებები, რომელთა შორისაც არის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაობა.*

- რიგის ეფექტისგან განსხვავებით, არ დადასტურდა ჩვენი მოლოდინი ექიმის შესახებ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში. ექიმზე სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, არ მომხდარა შთაბეჭდილების გასაშუალოება. ამ შემთხვევაშიც, N4 პირობის მსგავსად, ექიმის შეფასება მოხდა ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის გავლენით. თუმცა,

მოცემულ პირობაში, ექიმის ასეთ შეფასება, იმაზე მეტად უკიდურესი და პოლაზირებული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოხდა თავად ინდივიდუაციურ პირობაში, მაშინ როცა ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულ იქნა პირველ რიგად(N4). ამრიგად, ექიმის შესახებ სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, შთაბეჭდილება დომინანტურად წარმართა ინდივიდუაციურმა ქცევითმა ინფორმაციამ. ამ ექსპერიმენტულ პირობაში, შთაბეჭდილების ფორმირების პროცესში არ დადასტურდა ინფორმაციების თანაბარი სტატუსი (იხ. ცხრილი 38, 39).

ცალკე აღსანიშნავია, ინდივიდუაციური ინფორმაციის როლი ექიმის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში. შემთხვევათა 44 % - ში ექიმის ტიპიურობა შეფასდა ინდივიდუაციური ქცევით ინფორმაციაზე დაყრდნობით (იხ. ცხრილი 32) . გარდა, ამისა ექსპერიმენტულ პირობათა სამეულებს შედარებებიდან (N1,3,5; N1,2,5; N1,4,5) ჩანს, რომ სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციების სხვადასხვა რიგით თუ ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში, მიღებულ შეფასებებს სტაბილურად განსაზღვრავს ექიმის ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაცია: სამი მახასიათებლიდან, ორი ფასდება ქცევითი ინფორმაციის ჭრილში და მხოლოდ ერთი რჩება სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენის ქვეშ. ამრიგად, მართალია ექიმის ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაცია, სტერეოტიპულ ინფორმაციასთან შედარებით ვერ იღებს ისეთ მაღალ სკალურ შეფასებებს, მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიღებულ შთაბეჭდილებებს. ეს ჩანს, სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ასოცირებული ორი მახასიათებლის შეფასების თანდათან კლებაში (იხ. ცხრილი 34), ექიმის ტიპიურობის განსაზღვრის და ექსპერიმენტულ პირობათა სამეულებს შედარებების დროს (სადაც კიდურა- N1 და N5 - ექსპერიმენტულ პირობებთან შედარების გამო, კარგად ჩანს ცალკე აღებული სტერეოტიპის და ცალკე აღებული ინდივიდუაციური ინფორმაციის მიერ შენარჩუნებული სტატუსი, მიღებულ შთაბეჭდილებებში) (იხ. ცხრილები 41, 43, 45). თუმცა ყველაზე მეტად, ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა ვლინდება იმ შთაბეჭდილებების შედარებაში, რომელიც მიღებულ იქნა ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების დროს (N2 და 4).

ამრიგად ინდივიდუაციური ინფორმაციის ძალა ექიმის ფიგურასთან დაკავშირებით მიღებულ შთაბეჭდილებებში ვლინდება, არამარტო რიგში პირველობის ეფექტის გაშუალებით, არამედ ვლინდება ერთდროულად მიწოდებული ინფორმაციის პირობაშიც - ექიმის შესახებ ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაციის, როგორც პირველ რიგად, ასევე სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში, მისი გავლენა იზრდება მიღებულ შთაბეჭდილებაზე.

ექსპერიმენტული პირობების სამეულებს შედარებიდან, სადაც ორივე ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მიღებული შთაბეჭდილებები შედარდა ინფორმაციების ცალკე მიწოდების პირობებში მიღებულ შთაბეჭდილებებს, ასევე გამოვლინდა სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენის სტაბილურობაც - ექიმის შესახებ

სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით მიწოდების სამივე შემთხვევაში, ორი სტერეოტიპული მახასიათებლიდან ერთი მუდამ ინარჩუნებს მაღალ შეფასებას. ეს შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ორი სტერეოტიპული მახასიათებლიდან ერთი - *წარმატებული და განათლებული ადამიანი* - არის ცენტრალური სტერეოტიპული მახასიათებელი, ხოლო მეორე - *ინტელიგენტი ადამიანი* - არის პერიფერიული. ინდივიდუალური ინფორმაცია კი, ახერხებს გავლენა მოახდინოს პერიფერიული სტერეოტიპული მახასიათებლის შეფასებაზე, მაგრამ იგივეს ვერ ახორციელებს ცენტრალური სტერეოტიპული მახასიათებლის შეფასების დროს (იხ. ცხრილები 41, 43, 45).

შთაბეჭდილებები IT-ის ფიგურაზე

IT - ის ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში მოანაწილეობა მიიღო სულ 143-მა სტუდენტმა, საიდანაც 94 (66 %) არის მდედრობითი, ხოლო 49 (34 %) მამრობითი სქესის მონაწილე. მათი საშუალო ასაკი არის 20 წელი (Min 18 Max 23). სტუდენტები უმრავლესობა არის კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის (99 მონაწილე) და ტურიზმისა და მენეჯმენტის (20) ფაკულტეტის წარმომადგენელი, *(თუმცა მათ გარდა არიან იურიდიული, პედაგოგიური, ეკონომიკის ბიოლოგიისა და სხვა სპეციალობის სტუდენტები. სულ - 24 მონაწილე)*. გამოკითხული რესპონდენტებიდან 57 (40%) არის ნამყოფი საზღვრაგარეთ, ხოლო 84 (59%) არ არის ნამყოფი.

შეგახსენებთ, რომ ამ შემთხვევაშიც მოდელირებულ იქნა 5 ექსპერიმენტული პირობა, რომელთაგანაც N1 3 და 5 პირობაში, სათითაოდ მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 30 სტუდენტმა, ხოლო N2 და 4 პირობიდან თითოეულში 25-მა სტუდენტმა.

მოცემული მონაწილეთა ოდენობა, არასაკმარისი აღმოჩნდა გარკვეული სტატისტიკური პროცედურების გამოყენების მიზნით, ამიტომ მოხდა მონაცემების შეწონვა .

აღქმის წარმართველი დებულებები:

აღქმის მიმართულების მიმცემი დებულებების შეფასებებიდან, ჩანს რომ IT-ის ფოტოებში ჩადებული ინფორმაცია მართლაც ისე იქნა ინტერპრეტირებული, როგორც ეს გათვლილი იყოს ჩვენ მიერ, კვლევითი მიზნებით. ცხრილში 46 წარმოდგენილია IT-ის მხოლოდ სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოზე

გამოსახული ფიგურის შეფასებები ანუ შეფასებები, რომლებიც მიღებულ იქნა N1 და N5 ექსპერიმენტულ პირობაში.

ცხრილი 46. ექიმი IT-ის აღქმის წარმართველი დებულებების შეფასება (N1 და 5 პირობაში გამოყენებული ფოტოების მიხედვით)

აღქმის წარმართველი დებულებები	ფოტო N1	ფოტო N5
ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია	9.59	3.07
ზის მოუწესრიგებელ ოთახში	5.97	--
უყვარს ოპერა/ბალეტი	--	9.97
უყვარს ოთახის ყვავილები	--	6.87

შენიშვნა: მონაცემები წარმოდგენილია ნედლი საშუალების სახით.

როგორც ჩანს, სტერეოტიპულ ფოტოში ფიგურა მართლაც აღიქმება, როგორც IT ($M=10.30$), თუმცა მისი ოთახი არ არის შეფასებული, როგორც მოუწესრიგებელი ($M=5.97$). რაც შეეხება ინდივიდუალურ ფოტოს, მისი ქცევა მართლაც გაგებულა, როგორც ოპერა ბალეტით გატაცება ($M=9.97$) და ოთახის ყვავილების სიყვარული ($M=6.87$).

ამოღებული დებულებები:

IT-ის შემთხვევაშიც, ფიგურაზე მიღებული შთაბეჭდილებების ღრმა სტატისტიკურ ანალიზამდე, ხელახლა გადავხედეთ შთაბეჭდილებათა გასაზომ მახასიათებელთა სკალაში შემავალ დებულებებსა და მათ საშუალო შეფასებებს. მიზანი იყო იმ დებულებების ამოღება, რომლებიც არ გამოდგება სტერეოტიპული და ინდივიდუალური შთაბეჭდილების გასამიჯნად. იმ ასოციაციურმა მახასიათებლებმა, რომლების მოცემულია ასეთ დებულებებში, მსგავსი შეფასება მიიღეს IT-ის სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში:

შთაბეჭდილებათა გასაზომი მახასიათებელთა სკალის პილოტაჟის შედეგად, რომელიც ჩატარდა კვლევის VI ეტაპზე, სკალიდან დებულებების ამოღებისას ვიხელმძღვანელებთ დებულებებს შორის 0.7 ქულიანი სხვაობით. ამ ეტაპზე კი, სკალიდან დებულებების ამოღებისას ვიხელმძღვანელებთ 1 ქულიანი (და უფრო მცირე) სხვაობით.

ერთმანეთს შევადარეთ N1 და 5 ექსპერიმენტული პირობის ყველა დებულების საშუალო შეფასება. შედეგად, გამოვლინდა სტატისტიკურად არასანდო სხვაობის მქონე დებულებები.

მართლაც, N 1 და 5 პირობის დებულებების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი სტერეოტიპული დებულებ - *მახ5. არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს* - არ აჩვენებნ სტატისტიკურად სანდო სხვაობას $F(1) = .92, p = .33 > .05$ ⁵⁰. მოხდა მოცემული დებულების ამოღება IT-ის შთაბეჭდილების გასაზომი სკალიდან (იხ. ცხრილი 47).

ცხრილი 47. ამოღებული ერთი დებულება და მისი საშუალო შეფასება, სხვაობასთან ერთად (IT-ის თემა)

ამოღებული დებულებები	საშუალო შეფასება N1 პირობა	საშუალო შეფასება N2 პირობა	სხვაობა
არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	6.44	6.13	0.30

სხვა დებულებებიდან, რომლებმაც აჩვენეს 1 ქულაზე მცირე სხვაობა N1 და 5 პირობის შეფასებებში, არ იქნა ამოღებული მახასიათებელთა სკალიდან. 1 ქულაზე მცირე სხვაობის მიუხედავად, მათ შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა⁵¹.

ქროსტაბულაციის ანალიზის შედეგები:

ქროსტაბულაციის პროცედურის გამოყენებით, შევამოწმეთ ის ცვლილება, რომელიც განიცადა IT-ის ტიპიურობის შეფასებამ 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. IT-ის ტიპიურობა არის დებულება, რომელიც რესპონდენტს, 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, თხოვს შეაფასოს აღქმულ ფოტოზე გამოსახული ტიპაჟის ტიპიურობა IT-ის ზოგად ტიპაჟთან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დებულება შეფასდა 11 ბალიან შეფასების სკალაზე, ქროსტაბულაციის განხორციელების მიზნით, მისი მნიშვნელობები დაჯგუფდა ორ მსხვილ კატეგორიაში - **არ არის ტიპიური IT** (მოიცავს სკალურ შეფასებებს 1დან 6-ის ჩათვლით) და **ტიპიური IT** - ის (მოიცავს სკალურ შეფასებებს 7და 11-ის ჩათვლით) (იხ ცხრილი 48.).

⁵⁰ დაწვრილებით მონაცემები იხილეთ დანართში N, ცხრილში N1

⁵¹ იხილეთ დანართი N, ცხრილი N2.

ცხრილი 48. IT-ისფიგურის ტიპიურობის შეფასება 5 ექსპერიმენტულ პირობაში

		ექსპერიმენტული პირობა					სულ
		N 1	N 2	N 3	N 4	N 5	
1- 6 ქულა	1 - არ არის ტიპიური	12.5%	12.0%	23.3%	11.5%	100.0%	32.9%
7-11ქულა	2 - ტიპიურია	87.5%	88.0%	76.7%	88.5%		67.1%

წარმოდგენილი მონაცემები არის სტატისტიკურად სანდო $X^2=315.290$, df (4), $p= .000<.05$. ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში გამოსახული IT-ი უმეტესად აღქმულია როგორც ტიპირუი IT-ი. ანუ ინფორმაციის სხვადასხვანაირად მიწოდების მიუხედავად IT მაინც სტერეოტიპულად არის აღქმული. ინდივიდუაციური ინფორმაციის დამატებით, ტიპიურობის შეფასება არსებითად არ იცვლება.

თუ კროსტაბულაციის მონაცემებს შევადარებთ ერთმანეთს, ვნახავთ რომ:

- **სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა მაღალია ყველა ინფორმაციულ პირობაში** - ორ ექსპერიმენტულ პირობაში, იქ სადაც IT-ის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია სხვადასხვა რიგით, IT ტიპიურად არის შეფასებული შემთხვევათა 88 %. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაცია არა რიგით, არამედ ერთროულად მიწოდება, IT ტიპიურობის შეფასება მცირდება 77%-მდე.
- **ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა იზრდება მხოლოდ ინფორმაციათა ერთდროულად მიწოდების პირობაში** - სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში IT-ი შემთხვევათა მხოლოდ 11 -12 % არის შეფასებული არატიპიურად, თუმცა ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობებში მისი ატიპიურობა მნიშვნელოვნად იზრდება- 23 %.
- ამრიგად, ექიმის შემთხვევისგან განსხვავებით, IT-ის შემთხვევაში ჩანს, რომ არ დასტურდება რიგში პირველობის გავლენა IT-ის ტიპიურობის შეფასებაზე. როგორი რიგითაც არ უდნა იქნეს მიწოდებული ინფორმაცია IT-ის შესახებ, ის მაინც სტერეოტიპულად არის შეფასებული (იხ. ცხრილი 49). ცხრილიდან ჩანს, რომ IT - ის სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ერთად ინდივიდუაციური ინფორაციის მიწოდება თითქმის არ ცვლის სურათს, ტიპიურობის შეფასებაში, რომელიც მიღებულ იქნა რიგის პირობებში N2 და N4.

ცხრილი 49. IT-ის ტიპურობის შეფასება ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში

	N2	N4
1 - არ არის ტიპური	12.0%	11.5%
2 -ტიპურია	88.0%	88.5%

მთლიანობაში, ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა დაფიქსირდა შეფასებათა 67% შემთხვევაში, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა 33 % შემთხვევაში. ჩანს, რომ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით განხორციელებული IT-ის ტიპურობის შეფასება ჩამოუვარდება IT -ის სტერეოტიპის გავლენას ამავე შეფასებაში, თუმცა ის მაინც არ არის მცირე (იხ.ცხრილი 49).

ცხრილი 49. IT-ის ტიპურობის შეფასება, მთლიანობაში 5 პირობის გათვალისწინებით

1 - არ არის ტიპური	32.9 %
2 -ტიპურია	67.1%

ფაქტორული ანალიზი:

შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალიდან დებულების ამოდების შემდეგ, მოვახდინეთ დანარჩენი დებულებების ფაქტორული ანალიზი. ფაქტორული ანალიზით გამოიყო 4 ფაქტორი, თუმცა რადგან ამ ფაქტორებიდან ერთი იყო მხოლოდ ერთ დებულებისგან შემდგარი ფაქტორი, მოვახდინეთ ფაქტორების ოდენობის შემცირება. ხელახალი ანალიზის შედეგად, გამოიყო 3 ფაქტორი, საიდანაც ორი არის ინდივიდუალური ფაქტორი, რადგან აერთიანებს მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს (მახასიათებლებს/დებულებებს), ხოლო ერთი არის სტერეოტიპული ფაქტორი, რადგან აერთიანებს მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს⁵². ეს ფაქტორებია:

1 - პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც ბოლომდეა ჩაფლული თავის საქმეში და ორიენტირებულია განვითარებაზე (სტერეოტიპული მახასიათებელი);

⁵²ფაქტორები და მათში შემავალი დებულებები შეგიძლიათ იხილოთ დანართში O, ცხრილში O1

2 - თბილი, ინტელიგენტი ადამიანია (ინდივიდუაციური მახასიათებელი);

3 - ჯენტლმენია (ინდივიდუაციური მახასიათებელი);

რეგრესიული ანალიზი:

განხორციელდა წრფივი რეგრესიული ანალიზი, რომლის დახმარებითაც გამოყოფილი სამი ფაქტორის საშუალებით, ვეცადეთ მოგვეხდინა გამოსახული ფიგურის ტიპიურობის წინასწარმეტყველება, IT-ის ტიპაჟთან. მიღებული მინაცემების მიხედვით რეგრესიული მაჩვენებელი სანდო აღოჩნდა $F(3,200) = 4.82$, $p < .003 < .05$, $R = .16$.

ფოტოზე გამოსახული IT-ის ტიპიურობის წინასწარმეტყველება დამოკიდებულია ორ ფაქტორზე. ესენია: ა) პროფესიონალია - ამ მახასიათებლის მიხედვით, IT-ის ტიპიურობის შეფასება უდრის $3.227 + .490$ ($B=.490$) და ბ) ჯენტლმენია, სადაც ტიპიურობის შეფასება უდრის $3.227 + .509$ ($B=.509$) (შეგახსენებთ, ფაქტორები გაზომილია 11 ბალიან შეფასების სკალაზე). თითოეული ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად ახდენს IT-ის ტიპიურობის წინასწარმეტყველებას: პროფესიონალიზმის მახასიათებელი $B = .490$, $Beta = .110$, $t=2.63$, $p<.009$ და ჯენტლმენობა $B = .509$, $Beta = .114$, $t=.73$, $p<.007$. რაც შეეხება მესამე ფაქტორს - თბილი, ინტელიგენტი ადამიანია- იგი ვერ ახდენს ტიპიურობის სანდო წინასწარმეტყველებას: $B= .054$, $Beta=.01$, $t=.29$, $p= .77 > .0553$. (იხ ცხრილი 50)

ცხრილი 50. რეგრესიის კოეფიციენტები თითოეული ფაქტორისთვის (IT-ის თემა)

ფაქტორები	B	SE B	β	t	p
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტია, რომელიც ჩაფლულია საქმეში და ორიენტირებულია მომავალზე	.490	.187	.110	2.630	.009
თბილი, ინტელიგენტი ადამიანია	.054	.187	.012	.292	.770
ჯენტლმენია	.509	.187	.114	2.729	.007

* $p<.05$

შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ტიპიური IT-ია (გაზომილი 11 ბალიან შეფასების სკალაზე, სადაც 1-6 ქულა ნიშნავს არ არის ტიპიური ექიმის, ხოლო 7-11 ტიპიური ექიმია)

SE B - არასტანდარტიზებული ბეტას სტანდარტული შედგომა

⁵³ რეგრესიული ანალიზის მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ დანართში O, ცხრილში O2

სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული

შთაბეჭდილებების შედარება:

IT-ის შემთხვევაშიც განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების რამდენიმენაირი შედარება.

- ექსპერიმენტული პირობების შედარებამდე, თითოეული ფაქტორისთვის გამოითვალა საშუალო ქულა, რომელიც მოცემულმა ფაქტორმა მიიღო ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში, IT-ის შეფასების დროს.
- ფაქტორთა საშუალო მნიშვნელობების გამოთვლის შემდეგ, განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება.

ექსპერიმენტული პირობების შედარება მოხდა შემდეგი თანმიმდევრობით:

ერთმანეთს შედარდა ხუთი ექსპერიმენტული პირობა, თუმცა რადგან ჩვენი კვლევის მთავარ ინტერესს სხვადასხვა რიგის - N2 და 4 - პირობაში მიღებული შთაბეჭდილებები წარმოადგენს, ამ ორი პირობის შედარება ცალკეც განხორციელდა. დამატებით, მოვახდინეთ ექსპერიმენტული პირობების სამეულების შედარებაც. IT-ის შემთხვევაშიც სამეულების შედარებები განხორციელდა შემდეგნაირად:

- ძირითადი ექსპერიმენტული პირობების ურთიერთშედარება - ამ შედარების დახმარებით პირველ რიგში შემოწმდა N3 პირობის მდგომარეობა N2 და 4 პირობასთან შედარებით.
- სამი ექსპერიმენტული პირობის შედარება - პირობების სამეულების შედარება - ასევე საინტერესო აღმოჩნდა N2, N3 და N4 პირობების სათითაო შედარება ორ უკიდურეს პირობასთან - N1 და N5. - ამ შედარებით გადამოწმდა ის, თუ როგორ შემცირდა ან გაიზარდა ინდივიდუალური თუ სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა, ორივე ინფორმაციის წყვილად მიწოდების შედეგად. უკიდურეს პირობებში ინფორმაცია ცალკეც მიეწოდა - ცალკე სტერეოტიპული ინფორმაცია (N1) და ცალკე ინდივიდუალური ინფორმაცია (N5).

IT-ის შემთხვევაშიც, მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების ანალიზი დაეყრდნო მიღებული შთაბეჭდილებების შედარებით ანალიზს, აღძვრა შეკავების მეტობა ნაკლებობის ტერმინების ჭრილში - შედარების შედეგად გამოვლენილი მეტ-ნაკლებადმაღალი და დაბალი შეფასებების მიხედვით (სადაც ნაკლები შეფასება მიუთითებს შეკავების უფრო ძლიერ, ხოლო მეტი შეფასება აძლვრის უფრო ძლიერ პროცესზე).

IT-ზე მიღებული შეფასებების შემთხვევაშიც ვფიქრობთ, რომ პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენის გამო:

- **N2**ექსპერიმენტულ პირობაში, ფიგურის ყველა მახასიათებელი შეფასდება მიწოდებული სტერეოტიპული ინფორმაციის ჭრილში. **N4** ექსპერიმენტულ პირობაში მიღებულ შეფასებებთან შედარებით, ეს გამოვლინდება *სტერეოტიპული მახასიათებლების უფრო მაღალ შეფასებაში, და ინდივიდუაციური მახასიათებლების უფრო დაბალი ქულით შეფასებაში.*

- ამის საპირისპიროდ, **N4** ექსპერიმენტულ პირობაში, ინდივიდუაციური ინფორმაციის პირველად მიწოდების გამო, იგივე ფიგურის მახასიათებლები შეფასდება არა სტერეოტიპული, არამედ ინდივიდუაციური ინფორმაციის ჭრილში. *რის შედეგად, ფიგურის სტერეოტიპული შინაარსის მქონე მახასიათებლები მიიღებენ იმაზე დაბალ შეფასებას, ვიდრე ისინი მიიღებენ N2 ექსპერიმენტულ პირობაში, ხოლო ინდივიდუაციური მახასიათებლები მიიღებენ იმაზე მაღალ შეფასებას, ვიდრე ისინი მიიღებენ N2 ექსპერიმენტულ პირობაში.*

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **N2** ექსპერიმენტულ პირობაში, **N4** პირობასთან შედარებით, სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგში მიწოდების გამო, ფიგურა დახასიათდება უფრო სტერეოტიპულად, ხოლო ინდივიდუაციური ქცევიდან გამომდინარე მახასიათებლები, მისთვის ნაკლებად დამახასიათებელ თვისებებად იქნება ინტერპრეტირებული. **N4** პირობაში კი, ინდივიდუაციური ინფორმაციის პირველ რიგში მიწოდების გამო, **N2** პირობის შეფასებებისგან განსხვავებით, ფიგურისთვის უფრო დამახასიათებელი აღმოჩნდება ინდივიდუაციური მახასიათებლები, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებელი ნაკლები ქულით მიეწერება.

- **N3**ექსპერიმენტულ პირობაში, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდები გამო, ვვარაუდობთ, რომ მახასიათებლების შეფასება მოხდება ისეთი საშუალო ქულით, რომელიც გამომდინარეობს **N2** და **N4** პირობაში მიღებული შეფასებებიდან.

- რაც შეეხება ინფორმაციის ცალკე მიწოდების პირობებს: **N1** პირობაში, *მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების შედეგად, ფიგურის სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებლები შეფასდება ყველაზე მაღალი ქულით, ხოლო ინდივიდუაციური შინაარსის მახასიათებლები შეფასდება ყველაზე დაბალი ქულით, ყველა დანარჩენ პირობასთან შედარებით.* ამის საპირისპიროდ, **N5** პირობაში, *მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაციის მიწოდების შედეგად, ინდივიდუაციური შინაარსის მქონე მახასიათებლები შეფასდება ყველაზე მაღალი, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებლები ყველაზე დაბალი ქულით, ვიდრე ეს მოხდება დანარჩენ ოთხ პირობაში.*

ხუთივე პირობის შედარება

ხუთივე პირობის ერთდროულმა შედარებამ აჩვენა, რომ სამივე ფაქტორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. უფრო კონკრეტულად კი:

- ფაქტორი *პროფესიონალია* სანდო განმასხვავებელი აღმოჩნდა ხუთივე პირობაში მიღებული შთაბეჭდილებისთვის $F(4, 559) = 63.84$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .31$. ასევე სანდო აღმოჩნდა *ფაქტორი თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* $F(4, 559) = 53.67$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .28$ და *ფაქტორი ჯენტლმენია* $F(4, 559) = 7.718$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .05$. ფაქტორის საშუალო მნიშვნელობები ხსენებული ექსპერიმენტული პირობებისთვის იხილეთ ცხრილში.

ცხრილი 51. IT-ის შეფასებები სამი ფაქტორის მიხედვით, ხუთ ექსპერიმენტულ პირობაში⁵⁴

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობა				
	N 1	N 5	N 3	N 2	N 4
<i>პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც ბოლომდე ჩაფლულია საქმეში და განვითარებაზეა ორიენტირებული</i>	8.23	5.46	8.02	7.81	7.26
<i>თბილი, ინტელიგენტი ადამიანია</i>	8.47	6.87	7.42	7.24	7.24
<i>ჯენტლმენია</i>	5.53	6.67	6.23	6.20	6.81

* $p < .05$

თუკი არ ჩავთლით N3 ექსპერიმენტულ პირობას, ვნახავთ რომ IT-ის შემთხვევაშიც შეფასებები ძირითადად მოლოდინის შესაბამისად წარიმართა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების გამო შთაბეჭდილების ცვლილებასთან დაკავშირებული მოლოდინი, მაინც არ გამართლდა ყველა მახასიათებელთან დაკავშირებით (რასაც არ ქონდა ადგილი ექიმზე მიღებული შთაბეჭდილებების შემთხვევაში). IT-ის სამი ფაქტორული მახასიათებლიდან, ერთი მახასიათებელის შეფასება ავლენს, არათუ უბრალოდ განსხვავებულ, არამედ საწინააღდეგო დინამიკასაც კი (იხ. ცხრილი 51). ფაქტორების შეფასება შემდეგნაირად წარიმართა:

⁵⁴ საშუალოთა შედარების ANOVA სრული ცხრილი იხილეთ დანართში P, ცხრილი P 1.

N1 და 5 პირობებში, სადაც IT-ის შესახებ მიწოდებული მხოლოდ სტერეოტიპული (N1) და მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია (N2), ორმა ფაქტორმა სწორედ ისეთი შეფასება მიიღო, როგორც ამას ველოდით მიწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე. N1 პირობაში, IT-ზე მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების შედეგად, სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებელი - *პროფესიონალია ...* - შეფასდა მაღალი დადებითი ქულით ($M=8.23$), ხოლო ინდივიდუაციური მახასიათებელი - *ჯენტლმენია* - შეფასდა დაბალი ქულით ($M= 5.53$). ამის საწინააღდეგო, პირობაში სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაცია (ოპერის სმენა და ქოთნის ყვავილების ქონა) (N5) იგივე მახასიათებლები შეფასდა შებრუნებული ტენდენციით - *პროფესიონალია ...* ($M=5.46$) და *ჯენტლმენია* ($M= 6.67$).

აღსანიშნავია IT-ისთვის გამოყოფილი მესამე ფაქტორული მახასიათებელი - *თბილი, ინტელიგენტი ადამიანია* - რომელიც ხსენებულ ორ პირობაში (N1 და 5) იღებს მოულოდნელ შეფასებებს. შეგახსენეთ, რომ მოცემული მახასიათებელი წარმოადგენს IT-ის ინდივიდუალისტური ქცევითი ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციას, შესაბამისად ინდივიდუაციურ პირობაში (N5) მას უნდა მიეღო მაღალი სკალური შეფასება. თუმცა ეს ასე არ მოხდა - ცხრილიდან 51 ჩანს, რომ მოცემული მახასიათებელი გაცილებით მაღალი დადებით ქულით შეფასდა სტერეოტიპულ (N1) ($M=8.47$) და არა ინდივიდუაციურ პირობაში (N5) ($M=6.87$). შეგახსენებთ, რომ ხუთივე პირობის შედარებამ აჩვენა, რომ მონაცემები სტატისტიკურად სანდოა. (მოცემულ ფაქტორთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ასევე ასეთი „შებრუნებული შეფასების სავარაუდო ახსნა შეგიძლიათა იხილოთ დანართში O).

თუ გავაგრძელებთ ანალიზს, ვნახავთ, რომ IT-ისთვის გამოყოფილი სამი ფაქტორიდან ორი მახასიათებელი: სტერეოტიპული მახასიათებელი - *პროფესიონალია....* - და ერთ ერთი ინდივიდუაციური მახასიათებელი - *ჯენტლმენია* - სწორედ ისე ფასდება, როგორც ამას მოველოდით ჰიპოთეზის მიხედვით. კერძოდ კი:

- IT-ის სტერეოტიპული მახასიათებელი - *პროფესიონალია...* - ფასდება მაღალი ქულით იმ პირობებში, როცა IT-ზე მიწოდებულია მხოლოდ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია ($M =8.23$) ან როცა, ეს ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ($M =7.81$). მეორე მხრივ, IT -ს შეფასება იგივე მახასიათებლის მიხედვით სულ უფრო მცირდება იმ ინფორმაციულ პირობებში, როცა იგივე სტერეოტიპული ინფორმაცია მიწოდებულია მეორე რიგად (ინდივიდუაციური ინფორმაციის შემდეგ) ($M =7.21$) ან როცა ის საეროდ არ არის წარდგენილი ($M =5.46$).

- ამის მსგავსად იცვლება IT-ის დახასიათება ერთერთი ინდივიდუალური მახასიათებლის მიხედვითაც - *ჯენტლმენია*. IT შეფასებულია, როგორც უფრო ჯენტლმენი იმ პირობებში, როცა მიწოდებულია მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაცია ($M = 6.67$) ან როცა ეს ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ($M = 6.81$). იგივე IT წარმოდგენილია, ნაკლებად ჯენტლმენად იმ ინფორმაციულ პირობებში, როცა IT-ის შესახებ ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებულია მეორე რიგად (სტერეოტიპული ინფორმაციის შემდეგ) ($M = 6.20$) და მაშინ, როცა ეს ინფორმაცია საერთოდ არ არის მიწოდებულია ($M = 5.53$).

ჩვენი ჰიპოთეზა არ გამართლდა მესამე ფაქტორულ მახასიათებელთან დაკავშირებით - *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* - როგორც უკვე ვთქვით, ეს არის ინდივიდუალური შინაარსის მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც IT-ის ფიგურის დახასიათება არ ავლენს რიგის გავლენას შთაბეჭდილებაზე. სტერეოტიპულ პირობაში IT დახასიათებულ იქნა უფრო *თბილ და ინტელიგენტ ადამიანად* ($M = 8.47$), ვიდრე ინდივიდუალურ პირობაში ($M = 6.87$), ხოლო ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში ის იდენტურად იქნა შეფასებული ($N2 - M = 7.24$; $N4 - M = 7.24$).

ამრიგად IT ის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა თანმიმდებრულად მცირდება, მოცემულ ექსპერიმენტულ პირობებში (თუ არ ჩავთვლით ერთდორული მიწოდების N3 პირობას). ნაწილობრივ იგივე ეხება ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენასაც. ამრიგად, ცხრილში 51 და 52 მოცემული მონაცემები მეტყველებს, პირველ რიგად მიწოდებული ინფორმაციის გავლენაზე, IT - ის შესახებ მიღებულ შთაბეჭდილებებში.

N2 და N4 ექსპერიმენტული პირობების შედარება, მოგვიანებით, განცალკევებითაც განხორციელდა. რაც შეეხება მესამე პირობას, მისი განხილვაც დაწვრილებით მოხდება ცალკე, მოგვიანებით.

ცხრილი 52. ხუთივე პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) IT-თვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)					F	Sig.	Eta
	N1	N2	N3	N4	N5			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,46	.33	.36	-.09	-1.01	63.84	.000	.56
თბილი, ინტელიგენტი ადამიანია	-.77	.15	-.05	-.06	.79	53.67	.000	.53
ჯენტლმენია	-.32	-.08	-.06	.33	.18	7.72	.000	.23

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში, ცხრილი 51-სგან განსხვავებით მოცემულია არა ნედილი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის საშუალოებით.

ხუთივე პირობის შედარებით (იხ. ცხრილი 51), ასევე ჩანს რომ სხვადასხვა რიგით მიწოდების მიუხედავად, **ინდივიდუალური ინფორმაცია, საკმაოდ ზღუდავს სტერეოტიპულ ასოციაციებს.** თუმცა სტერეოტიპული შეფასება მაინც ინარჩუნებს დომინანტურ როლს:

თითოეულ ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების ცალცალკე (და არა შედარებით) ანალიზიდან ჩანს, რომ როგორი ფორმითაც არ უდნა იყოს მიწოდებული ინფორმაცია, სტერეოტიპული ინფორმაცია ყოველთვის დომინანტურად წარმართავს მიღებულ შთაბეჭდილებას. ეს ჩანს ყველა ექსპერიმენტულ პირობაში, მეხუთე პირობის გამოკლებით (რაც ლოგიკურია, რადგან იქ მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციაა მიწოდებული). სტერეოტიპული მახასიათებელი, როგორც არის „**პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც**“ ყველა პირობაში შეფასებულია მაღალი ქულით; იმ პირობებშიც კი სადაც ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ან პარალელურად/ერთად (N3 პირობა).

მიუხედავად იმისა, რომ IT-ის შესახებ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით მიწოდების დროს, სტერეოტიპული ინფორმაცია ავლენს ასეთ დომინანტურობას, თუ დავეყრდნობით პირობებს შორის შედარებით ანალიზს, ვნახავთ რომ ეს გავლენა არ არის ერთმნიშვნელოვნად დომინანტური:

ინდივიდუალური ინფორმაცია, იმის მიხედვით თუ რომელ რიგად არის იგი მიწოდებული, ნელნელა სულ უფრო ამცირებს სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენას:

უფრო ზუსტად კი IT-ის შეფასებაში, ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა ვლინდება თავად ერთ ერთი ინდივიდუალური მახასიათებლის - **ჯენტლმენია..** - სულ უფრო მაღალ შეფასებაში (პირობა N2 4 3), და სტერეოტიპული მახასიათებლის - **პროფესიონალია....** - სულ უფრო დაბალ შეფასებაში (პირობა N1 2 3 და 4) (იხ. ცხილი56). შეგახსენებთ, რომ

შეფასებებს შორის არსებული მცირე სხვაობის მიუხედავად, მოცემული სხვაობები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 52).

შედეგად, IT-ის შესახებ ინდივიდუალური ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შედეგად, მოცემული ფიგურა არ აღიქმება ისე ძლიერ სტერეოტიპულად, როგორც ეს ხდება სტერეოტიპულ პირობაში N1.

რაც შეეხება N3 ექსპერიმენტულ პირობას, ექიმზე მიღებული შთაბეჭდილებებისგან განსხვავებით, IT მოცემულ პირობაში არ შეფასებულა ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით. N3 პირობაში მიღებულ შთაბეჭდილებების IT-ის ფიგურასთან დაკავშირებით განვიხილავთ ქვევით.

N2 და 4 პირობის შედარება

IT-ის შესახებ N2 და 4 პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარებამ აჩვენა, რომ IT-ის დასახასიათებად გამოყოფილი სამი ფაქტორიდან ორი ფაქტორი იძლევა სტატისტიკურად სანდო განსხვავებას. IT-ის შესახებ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება მნიშვნელოვნად ეყრდნობა იმას თუ რამდენად *ჯენტლმენია* IT-ის ფიგურა $t(197.535) = 3.88, p < .000 < .05$ და ასევე, რადენად *პროფესიონალია...იგი* $t(202) = -4.050, p < .000 < .05$. რაც შეეხება მესამე მახასიათებელს - *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* - მას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების პირობებში IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე $t(202) = 1.74, p = .083 > .05$. (შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის ინდივიდუალური შინაარსის ფაქტორია, რომელმაც მაღალი შეფასება არა ინდივიდუალური, არამედ სტერეოტიპულ პირობაში მიიღო). ამგვარად, IT-ის შესახებ შთაბეჭდილება, სხვადასხვა ინფორმაციული რიგის პირობებში, ეყრდნობა ერთ სტერეოტიპულ და ერთ ინდივიდუალურ მახასიათებელს.

ამ მახასიათებლების მიხედვით, IT-ის ფიგურა, იმ პირობაში სადაც ჯერ მიწოდებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია და შემდეგ ინდივიდუალური, შეფასებულ იქნა, როგორც უფრო პროფესიონალი ($M=7.81$; სტანდარტული მნიშვნელობა .33) და ნაკლებად ჯენტლმენი ($M=6.20$; სტანდარტული მნიშვნელობა-.08), ვიდრე იმ პირობაში სადაც ჯერ მიწოდებულ იქნა ინდივიდუალური - კლასიკური მუსიკით გატაცების - ქვევითი ინფორმაცია და შემდეგ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია (სტერეოტიპული ინფორმაცია $M=7.26$; სტანდარტული მნიშვნელობა -.09; ინდივიდუალური ინფორმაცია $M=6.81$, სტანდარტული მნიშვნელობა.18) (იხ. ცხრილი 53).

ცხრილი 53. IT-ის შეფასებების საშუალო ქულები, სამი მახასიათებლის მიხედვით, ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში (პირობა N2 და 4)⁵⁵

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობები			Sig.
	N 2	N 4	t	
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	7.81	7.26	3.869	.000
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	7.24	7.24	1.730	.08
ჯენტლმენი	6.20	6.81	-4.099	.000

* $p < 0.05$

ამრიგად, IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში, მახასიათებლების შეფასება სწორედ იმის მიხედვით ხდება თუ რომელი ინფორმაცია არის წარდგენილი პირველად მის შესახებ. ინდივიდუალური ინფორმაციის პირველად წარდგენის შემთხვევაში ინდივიდუალური მახასიათებელი ფასდება იმაზე უფრო მაღალი ქულით, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებელი ფასდება იმაზე დაბალი ქულით, ვიდრე ეს ხდება პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად წარდგენის შემთხვევაში, სადაც ვიღებთ საპირისპირო შეფასებებს - სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებელი ფასდება მაღალი ქულით, ხოლო ინდივიდუალური დაბალი ქულით.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასტურდება პირველად მიწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებული გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული გავლენა არც ისე დიდია, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (იხ. ცხრილი 53).

N 2 , 3 და 4 პირობის შედარება

ამ სამი პირობის შედარების მიზანი არის საკონტროლო პირობაში (N3) მიღებული შთაბეჭდილებების შედარება ორ ექსპერიმენტულ პირობაში (N2 და 4 პირობა) მიღებულ შთაბეჭდილებებთან.

სამი შუალედური პირობის შედარებით გამოვლინდა კვლავ იგივე ორი ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს IT-ის შეფასებაზე სამივე ინფორმაციულ

⁵⁵საშუალოთა შედარების სრული სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართში P, ცხრილი P2.

პირობაში (N2,3,4) ⁵⁶ : პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც ბოლომდე ჩაფლულია საქმეში და ორიენტირებულია განვითარებაზე $F(2, 313) = 11.71$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .07$; ჯენტლმენი $F(2, 313) = 9.51$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .02$; რაც შეეება მესამე ფაქტორს, კვლავ თბილი და ინტელიგენტი ადამიანი-ს მახასიათებელი $F(2, 313) = 2.31$, $p = .1 > .05$, $\eta^2_p = .06$, არ აღმოჩნდა IT-ის შეფასებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კომპონენტი (იხ. ცხირლი 54).

ცხირლი 54. N2, 3 და 4 პირობებში მიღებული IT-ის შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F)

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N2	N3	N4			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,33	.36	-.097	11.71	.000	.264
	.15	-.06	-.06	2.31	.101	.121
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;						
ჯენტლმენი	-.09	-.06	.32	9.51	.000	.239

* $p < .05$

შენიშვნა: ცხირლიში მოცემულია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხირლის საშუალებით.

N3 პირობასთან დაკავშირებით, სადაც IT-ის შესახებ ორივე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ერთდროულად, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით. ჩვენი დაშვებით, N3 ექსპერიმენტულ პირობაში, IT-ის შეფასება სამივე მახასიათებლის მიხედვით, უნდა მომხდარიყო იმ ქულით, რომელიც წარმოადგენს იგივე მახასიათებლის N2 და N4 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შედეგად არც ერთი ტიპის ინფორმაციას არ უნდა ქონოდა დომინანტური გავლენა მიღებულ შთაბეჭდილებაზე (ისე როგორც ეს მოხდა სტერეოტიპულად დომინანტურ N2 ექსპერიმენტულ პირობაში ან ინდივიდუალურად დომინანტურ N4 ექსპერიმენტულ პირობაში). ამ პირობაში, უნდა მიგველო ისეთი შეფასება, რომელიც არ უახლოვდება არც N2 და N4 პირობაში მიღებულ შეფასებებს - შეფასება, სადაც ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების გამო, თანაბრად არის გათვალისწინებული, როგორც IT-ის პროფესიული სტერეოტიპი, ასევე მისი

⁵⁶ დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართში P, ცხირლიში P 3.

ინდივიდუალური ქცევა. მოცემული ჰიპოთეზა არც ამ შემთხვევაში დადასტურდა, ექიმის თემის მსგავსად.

- N3 პირობაში, თითოეულ ფაქტორზე მიღებული შეფასებებიდან გასაშუალოებულად ჩაითვალა ისეთი შეფასება, რომელიც ემთხვევა ან ძლიერ უახლოვდება მოსალოდნელ საშუალოს. მოსალოდნელი ის საშუალო, რომელიც მიიღება ამავე ფაქტორულ მახასიათებელზე N2 და 4 პირობაში მიღებული შეფასებების გასაშუალოებიდან.

- ძლიერ დაახლოებაში ჩაითვალა ისეთი შემთხვევა, როცა ქულების **დამრგვალებების** შემთხვევაში მოცემული მახასიათებელი, ორივე პირობაში შეფასებულია ერთ და იმავე ქულით ან როცა მათ შორის **სხვაობა არ აღემატება 0.5 ქულას**. (იხ. ცხრილი 55).

შეფასებების გასაშუალოების ნაცვლად:

IT - ის შესახებ პროფესიული და ქცევითი ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში, ის ისევე იქნა აღქმული **ნაკლებად ჯენტლმენად** ($M = 6.23$; სტანდარტული მნიშვნელობა $-.06$), როგორც ეს მოხდა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების პირობაში (N2) ($M = 6.20$, სტანდარტული მნიშვნელობა $-.09$). რაც შეეხება პროფესიონალობის შეფასებას IT, ინფორმაციების ერთდროულად მიწოდების პირობაში, IT იმაზე **მეტად პროფესიონალი** აღმოჩნდა ($M = 8.02$; სტანდარტული მნიშვნელობა $.36$), ვიდრე ეს იყო კვლავ N2 სტერეოტიპულ პირობაში ($M = 7.81$; სტანდარტული მნიშვნელობა $.33$). სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში მიღებული შეფასებები უფრო მეტად დაუახლოვდა IT-ზე სტერეოტიპულ პირობაში მიღებულ შეფასებებს (N2) ანუ იმ პირობის შეფასებებს, სადაც სტერეოტიპული ინფორმაცია მიწოდებული იქნა პირველ რიგად. (იხ. ცხრილი 55) .

ცხრილი 55. N2 3 და 4 პირობის საშუალო მნიშვნელობები და მათ შორის სხვაობები, IT-ის სამივე მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	საშუალო შეფასებები			სხვაობა N3 და N2 პირობას შორის	სხვაობა აN3 და N4 პირობას შორის	N3 პირობაში მოსალოდნელი საშუალო შეფასებები (N2 და 4 პირობაზე დაყრდნობით)
	N 2	N 3	N 4			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	7.81	8.02	7.26	0.20	0.75	7.54
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი	7.24	7.42	7.24	---	---	---
ჯენტლმენი	6.20	6.23	6.81	0.03	0.57	6.50

შენიშვნა: ცხრილში ასევე მოცემულია N3 პირობაში ჰიპოთეზით მოსალოდნელი საშუალო სიხშირეები და ასევე, ის სხვაობები, რომელიც საფუძველზეც ჩანს, თუ რომელი პირობის შეფასებას დაუახლოვდა N3 პირობაში მიღებული შეფასებები (სამივე მახასიათებლის მიხედვით). საშუალოები წარმოდგენილი ნედლი, და არა სტანდარტიზირებული ქულების სახით.

ამ შემთხვევაშიც, N3 პირობაში მიღებული შთაბეჭდილების დაახლოება სხვადასხვა რიგის ინფორმაციულ პირობებში (N2 და N4 პირობა) მიღებულ შთაბეჭდილებებთან, გამოთვლილ იქნა მიღებულ შეფასებებს შორის არსებული სხვაობით, სამი მახასიათებლის მიხედვით.

ამრიგად, ინფორმაციების ერთროულად მიწოდების პირობაში, IT ფიგურა აღქმულ იქნა, როგორც ძლიერ პროფესიონალი და ნაკლებად ჯენტლმენი ანუ ის შეფასებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში, იმის მსგავსად, როგორც ეს მოხდა N2 სტერეოტიპულ პირობაში(სადაც პირველ რიგად მიწოდებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია).

IT-შეფასებებმა, ინფორმაციის ერთროულად მიწოდების პირობაში, არათუ არ გაამართლა ჰიპოთეზით გათვალისწინებული მოლოდინები (შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით), არამედ არ დაემთხვა ექიმის იმავე პირობაში მიღებული შეფასებების პატერნსაც. ექიმის შემთხვევაში, ამავე პირობაში მიღებული შეფასებები მეტწილად განისაზღვრა, არა სტერეოტიპული, არამედ ინდივიდუალური ინფორმაციის მიერ.

გამეორდა შეფასებების პოლარიზების შემთხვევა - მიუხედავად იმისა, რომ ექიმისგან განსხვავებით, მოცემულ პირობაში IT-ის შეფასებები გადაწონა სულ სხვა ინფორმაციამ, ეს შეფასებები ასევე პოლარიზებული გახდა, როგორც ეს მოხდა ექიმის შემთხვევაში. უფრო კონკრეტულად კი: IT პროფესიონალიზმის თვისების მიხედვით, არა უბრალოდ სტერეოტიპულად, არამედ კიდევ უფრო სტერეოტიპულად იქნა აღქმული, ვიდრე თავად სტერეოტიპულ პირობაში (სადაც სტერეოტიპული მიეწოდა პირველ რიგად) (N2). რაც შეეხება მეორე მახასიათებელს - ჯენტლმენი - IT -ის შეფასება ამ მახასიათებლის მიხედვით არ გამხდარა უფრო უკიდურესი, მაგრამ საგრძნობლად დაუახლოვდა სტერეოტიპული პირობის შეფასებას (N2) (იხ. ცხრილი 55 და 56).

ცხრილი 56. N3 პირობაში მიღებული უკიდურესი შეფასებები (IT-ის თემა)

ფაქტორები	N2	N3	N4	
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	7.81	8.02	7.26	შემცირდა (დაუახლოვდა N2 შეფასებას)
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	7.24	7.42	7.24	---
ჯენტლმენი	6.20	6.23	6.81	შემცირდა (დაუახლოვდა N2 შეფასებას)

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია საშუალოს ნედლი ქულები

ცხრილიდან ჩანს, რომ IT უფრო პროფესიონალია ($M = 8.02$, სტანდარტული მნიშვნელობა $.36$) ინფორმაციის პარალელურად მიწოდების პირობებში, ვიდრე იგივე ინფორმაციის რიგრიგობით მიწოდების პირობებში ($N2-M = 7.81$, სტანდარტული მნიშვნელობა $.33$; $N4-M = 7.26$, სტანდარტული მნიშვნელობა $-.97$).

თუმცა, ჯენტლმენობის მიხედვით IT იმავე N3 პირობაში შეფასებულ იქნა ისევე ნაკლებჯენტლმენად ($M = 6.23$, სტანდარტული მნიშვნელობა $-.06$), როგორც ეს მოხდა N2 რიგისპირობაში ($M = 6.20$, სტანდარტული მნიშვნელობა $-.09$).

ამგვარად, თუ მთლიანობაში განვიხილავთ N3 პირობაში მიღებულ შთაბეჭდილებას IT-ის შესახებ, ვნახავთომ ის მთლიანად გადაწონა სტერეოტიპულმა ინფორმაციამ.

ექსპერიმენტული პირობების სამეულეების შედარება

IT-ის შემთხვევაშიც, ერთანეთს სათითაოდ შევადარეთ N2, 3 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შეფასებები, N5 და 1 პირობაში მიღებულ შეფასებებს.

განხორციელდა შედარება შემდეგ პირობებს შორის - N1 3 5; N1 2 5 და N1 4 5.

ამ შედარების მიზანი არის იმის განსაზღვრა, თუ როგორ იცვლება სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა შთაბეჭდილებაზე მაშინ, როცა ფიგურის შესახებ მიწოდებულია არა მხოლოდ ერთი (მხოლოდ სტერეოტიპული ან მხოლოდ ინდივიდუაციური) ინფორმაცია, არამედ ორივე ინფორმაცია ერთდროულად ან გარკვეული რიგით.

ხსენებულ შედარებების დროს დადგენილ იქნა ის მსგავსება-განსხვავება, რომელიც არსებობს შედარებულ პირობებში მიღებულ შეფასებებს შორის, ექიმისთვის გამოყოფილი სამი ფაქტორის მიხედვით.

მსგავსება-განსხვავებულობა დადგენილ იქნა საშუალო შეფასებებს (ქულებს) შორის სხვაობის გამოთვლით.

ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენის მქონედ ითვლება ისეთი შეფასება, რომელიც გამოთვლილი სხვაობის მიხედვით, ახლოს დგას N5 ინდივიდუაციური პირობის შეფასებასთან.

სტერეოტიპულად ითვლება ისეთი შეფასება, რომელიც, გამოთვლილი სხვაობის მიხედვით, ახლოს დგას N1 სტერეოტიპულ პირობის შეფასებასთან.

სამი ექსპერიმენტული პირობის შედარებები არ გვაძლევს დამატებით ინფორმაციას, შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში, რიგის ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ. თუმცა ის გვაძლევს ინფორმაციას ცალკე აღებული - სტერეოტიპული და ინდივიდუაციური - ინფორმაციის ზეგავლენის დონის შესახებ და იმის შესახებ, თუ რა ემართება ამ ზეგავლენას ამ ინფორმაციების შერეულად (რიგით ან ერთდროულად) მიწოდების შედეგად.

N 1 2 5 შედარება

N 1, 2 და 5 პირობების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ სამივე ფაქტორს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ პირობებში მიღებული შთაბეჭდილებებზე, IT-ის შესახებ⁵⁷:

პროფესიონალია $F(2, 345) = 107.74, p < .000 < .05, \eta^2_p = .39$; თბილი, ინტელიგენტი ადამიანია $F(2, 345) = 88.24, p < .000 < .05, \eta^2_p = .34$ და გენტლმენია $F(2, 345) = 7.31, p < .001 < .05, \eta^2_p = .04$; (იხ. ცხრილი 57).

⁵⁷ დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართში P, ცხრილში P4.

ცხრილი 57. N1, 2 და 5 პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F)IT-თვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N1	N2	N5			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,46	.33	-1.01	107.75	.000	.620
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	-.77	.15	.79	88.242	.000	.582
ჯენტლმენი	-.32	-.08	.18	7.311	.001	.202

*p< .05

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფების შედარება ANOVA ცხრილის საშუალებით.

რაც შეეხება იმას, თუ რომელმა ინფორმაციამ - სტერეოტიპულმა თუ ინდივიდუაციურმა - მოახერხა თავისი გავლენის შენარჩუნება შთაბეჭდილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა ამ ინფორმაციების გარკვეული რიგით მიწოდების პირობაში, ნაჩვენებია ცხრილში 58. გამოთვლილი სხვაობის მიხედვით, ჩანს რომ N2 ინფორმაციულ პირობაში, სადაც IT-ის შესახებ ჯერ მიწოდებული იქნა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია (*სტერეოტიპული მუშაობის პროცესი და შესაბამისი ინვენტარი*), ხოლო შემდეგ ინდივიდუაციური ქცევით ინფორმაცია (*ოპერის სმენა და ქოთნის ყვავილების ქონა*), IT-ზე მიღებულ შთაბეჭდილებაში შენარჩუნდა ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა - სამი მახასიათებლიდან ორი - *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* (სხვაობა 0.37) და *ჯენტლმენია* (სხვაობა 0.47) დაუახლოვდა იმავე მახასიათებლების შეფასებას N 5 ინდივიდუაციურ პირობაში (სადაც მიწოდებულ იქნა ხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია). მხოლოდ ერთი მახასიათებელი აღმოჩნდა სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენის ქვეშ, ეს არის *პროფესიონალია....* (სხვაობა 0.42).

ცხრილი 58. N1, 2 და 5 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალო ქულები და მათ შორის არსებული სხვაობები, IT-ის სამი მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	N1	N 2	N 5	სხვაობა N2 და N1 პირობას შორის	სხვაობა N2 და N5 პირობას შორის
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	8.23	7.81	5.46	0.42	2.35
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი	8.47	7.24	6.87	1.23	0.37
ჯენტლმენი	5.53	6.20	6.67	0.67	0.47

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მოცემულია არა სტანდარტული, არამედ ნედლი ქულებით

სტანდარტიზირებული საშუალო მონაცემების მიხედვითაც:

N2 პირობაში IT-ის პროფეიონსობის მახასიათებელი (სტერეოტიპული მახასიათებელი) შეფასებული იქნა დადებითი ქულით ($M = 7.81$, სტანდარტული მნიშვნელობა .33), ეს ქულა მართლაც გაცილებით ახლოს დგას N1 სტერეოტიპული პირობის იმავე ფაქტორის შეფასებასთან ($M = 8.23$, სტანდარტული მნიშვნელობა .46) და ძლიერ არის დაცილებული ინდივიდუაციურ N5 პირობაში მოცემულ, იმავე ფაქტორის შეფასებისგან ($M = 5.46$, სტანდარტული მნიშვნელობა -1.01).

რაც შეეხება თბილის ინტელიგენტი ადამიანია რომელიც არის ინდივიდუალისტური მახასიათებელი, N2 პირობაში შეფასებულ იქნა ისეთი ქულით ($M = 7.24$, სტანდარტული მნიშვნელობა .15), რომელიც უფრო ახლოს არის N5 პირობის შეფასებასთან ($M = 6.87$, სტანდარტული მნიშვნელობა .79).

და ბოლოს, ინდივიდუაციური ფაქტორი ჯენტლმენია ვვლავ შეფასებულ იქნა ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენით - N2 პირობაში მიღებული ქულა ($M = 6.20$, სტანდარტული მნიშვნელობა .08) უფრო დაუახლოვდა არა N1 ($M = 5.53$, სტანდარტული მნიშვნელობა -.32), არამედ N5 ინდივიდუაციური პირობის შეფასებას ($M = 6.67$, სტანდარტული მნიშვნელობა .18).

N1 4 5 შედარება

N1, 4 და 5 პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ სამივე ფაქტორს მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს მიღებული შთაბეჭდილებების ფორმირებაზე⁵⁸: პროფესიონალიზმის ფაქტორი $F(2, 349) = 85.06, p < .000 < .05, \eta^2_p = .33$; თბილი, ინტელიგენტი ადამიანი $F(2, 349) = 105.696, p < .000 < .05, \eta^2_p = .38$ და ჯენტლმენი $F(2, 349) = 11.092, p < .000 < .05, \eta^2_p = .06$; (იხ. ცხრილი 65)

ცხრილი 59. N1, 4 და 5 პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) IT-თვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N1	N4	N5			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,46	-.09	-1.01	85.05	.000	.572
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	-.77	-.06	.79	105.7	.000	.614
ჯენტლმენი	-.32	.33	.18	11.09	.000	.244

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფების შედარდა ANOVA ცხრილის საშუალებით.

⁵⁸ დაწვრილებით სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართში P, ცხრილში P 5.

გამოთვლილი სხვაობების მიხედვით, ჩანს რომ ამ შემთხვევაშიც ინდივიდუალური და სტერეოტიპული ინფორმაცია ისევე ახდენს გავლენას N4 პირობაში მიღებულ შთაბეჭდილებაზე, როგორც ეს მოხდა N2 პირობაში. IT-ის სამი მახასიათებლიდან, კვლავ იგივე ორი მახასიათებელი - *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* (სხვაობა 0.37) და *ჯენტლემანია* (სხვაობა 0.14) - შეფასდა ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით, ხოლო ერთი მახასიათებელი - *პროფესიონალია.....* - გადაწონა სტერეოტიპულმა ინფორმაციამ (სხვაობა 0.97), (იხ. ცხრილი 60).

ცხრილი 60. N1, 4 და 5 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალო ქულები და მათ შორის არსებული სხვაობები, IT-ის სამი მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	N1	N4	N5	სხვაობა N4 და N1 პირობას შორის	სხვაობა N4 და N5 პირობას შორის
<i>პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,</i>	8.23	7.26	5.46	0.97	1.80
<i>თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;</i>	8.47	7.24	6.87	1.23	0.37
<i>ჯენტლმენი</i>	5.53	6.81	6.67	1.28	0.14

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მოცემულია არა სტანდარტული, არამედ ნედლი ქულებით.

საშუალოს სტანდარტული შეფასებების მიხედვით:

სტერეოტიპულმა ინფორმაციამ, გადაწონა მხოლოდ ერთი მახასიათებელი, კვლავ **პროფესიონალია....** რომელიც N4 პირობაში შეფასებისას (M = 7.26, სტანდარტული მნიშვნელობა.09) უფრო მეტად დაუახლოვდა N1 სტერეოტიპული პირობის შეფასებას (M =8.23, სტანდარტული მნიშვნელობა .46).

რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ორ ფაქტორზე, რომლებიც გადაწონა ინდივიდუალურმა ინფორმაციამ: **თბილი და ინტელიგენტი ადამიანია** N4 პირობაში (M =7.24, სტანდარტული მნიშვნელობა -.06) დაუახლოვდა N5 პირობის შეფასებას (M =6.87, სტანდარტული მნიშვნელობა .79).

იგივე შეიძლება ითქვას **ჯენტლმენობაზე** რომელიც N4 პირობაში შეფასებით (M =6.81, სტანდარტული მნიშვნელობა -.33) დაუახლოვდა კვლავ N5 პირობაში არსებულ შეფასებას ამავე ფაქტორის მიხედვით (M =6.67, სტანდარტული მნიშვნელობა .18).

N1 3 5 შედარება

სტატისტიკური ანალიზის შედეგად ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა, რომ გამოყოფილი სამი ფაქტორიდან სამივე მნიშვნელოვან როლს ასრულებს IT-ის

ფიგურის შეფასებაში⁵⁹ - პროფესიონალი... $F(2, 357) = 111.110$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .39$; თბილი და ინტელიგენტი ადამიანი $F(2, 357) = 106.092$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .37$ და ჯენტლმენი $F(2, 357) = 6.579$, $p < .000 < .05$, $\eta^2_p = .04$; (იხ. ცხრილი 61)

ცხრილი 61. N1, 3 და 5 პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) IT-თვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N1	N3	N5			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,46	.35	-1.01	111.1	.000	.619
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	-0.77	-0.06	.79	106.1	.000	.611
ჯენტლმენი	-0.32	-0.06	.18	6.57	.002	.189

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია, არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები მოცემული. ჯგუფები შედარდა ANOVA ცხრილის საშუალებით.

მონაცემებიდან ჩანს (იხ. ცხრილი 62), IT-ის შთაბეჭდილება, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობებში, უმეტესად განსაზღვრა კვლავ ინდივიდუალური ინფორმაციამ. IT-ის დახასიათება, სამი მახასიათებლიდან ორის მიხედვით დაუახლოვდა ინდივიდუალური პირობის დახასიათებას (N5) - თბილი და ინტელიგენტი ადამიანი (სხვაობა -.55) და ჯენტლმენია (სხვაობა -.43). მხოლოდ ერთი - სტერეოტიპული მახასიათებელი - შეფასდა სტერეოტიპული ინფორმაციის ჭრილში, რადგან დაუახლოვდა N1 შეფასებას, ამავე მახასიათებლის მიხედვით (სხვაობა -.22).

⁵⁹ დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები იხილეთ დანართში P, ცხრილში P 6.

ცხრილი 62. N1, 4 და 5 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალო ქულები და მათ შორის არსებული სხვაობები, IT-ის სამი მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	N1	N3	N5	სხვაობა N3 და N1 პირობას შორის	სხვაობა N3 და N5 პირობას შორის
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	8.23	8.02	5.46	-0.22	2.56
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	8.47	7.42	6.87	-1.06	0.55
ჯენტლმენი	5.53	6.23	6.67	0.70	-0.43

შენიშვნა: საშუალო მნიშვნელობები მოცემულია არა სტანდარტული, არამედ ნედლი ქულებით.

N3 პირობებში მიღებული შთაბეჭდილებების ჩამოყალიბების პროცესში ინდივიდუაციურმა ინფორმაციამ კვლავ გადაწონა შეფასების უმეტესი ნაწილი - მან იმოქმედა, ინდივიდუალისტური მახასიათებლების (*ჯენტლმენია; თბილი და ინტელიგენტიადამიანია*) შეფასებაზე. თუმცა ვერ იმოქმედა იმ სტერეოტიპული მახასიათებლის შეფასებაზე - *პროფესიონალია.....* - რომელიც სხვა შუალედური პირობების შემთხვევაშიც - N2 და N4 - სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენის ქვეშ დარჩა.

საშუალოს სტანდარტული შეფასებების მიხედვით:

სტერეოტიპულმა ინფორმაციამ, გადაწონა მხოლოდ ერთი მახასიათებელი, კვლავ *პროფესიონალია....* რომელიც N3 პირობაში შეფასებისას (M = 8.02, სტანდარტული მნიშვნელობა .35) უფრო მეტად დაუახლოვდა N1 სტერეოტიპული პირობის შეფასებას (M =8.23, სტანდარტული მნიშვნელობა .46).

რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ორ ფაქტორზე, რომლებიც გადაწონა ინდივიდუაციურმა ინფორმაციამ: *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* N3 პირობაში (M =7.42, სტანდარტული მნიშვნელობა -.06) დაუახლოვდა N5 პირობის შეფასებას (M =6.87, სტანდარტული მნიშვნელობა .79).

იგივე შეიძლება ითქვას *ჯენტლმენობაზე* რომელიც N3 პირობაში შეფასებით (M =6.23, სტანდარტული მნიშვნელობა -.06) დაუახლოვდა კვლავ N5 პირობაში არსებულ შეფასებას ამავე ფაქტორის მიხედვით (M =6.67, სტანდარტული მნიშვნელობა .18).

ამრიგად, ექსპერიმენტული პირობების სამეულების შედარებების შედეგად, IT-ის სტერეოტიპულმა და ინდივიდუაციურმა ინფორმაციამ გამოავლინა შუალედურ პირობებში (N2, 3 და 4) მიღებულ შთაბეჭდილებებზე გავლენის ერთი და იგივე პატერნი - სამივე ექსპერიმენტულ პირობაში, შთაბეჭდილების დიდი ნაწილი (ორი მახასიათებელი) წარმართა ინდივიდუაციური ინფორმაციით, თუმცა სტერეოტიპმა შეინარჩუნა გავლენა ერთ მახასიათებელზე (სტერეოტიპულ მახასიათებელზე).

დემოგრაფიული მონაცემები

დემოგრაფიული მონაცემების ანალიზმა, აჩვენა რომ IT -ითან დაკავშირებით მიღებულ შეფასებებზე, მონაწილეთა ასაკის გარდა ყველა ფაქტორმა მოახდინა გავლენა, ესენია: სქესი, საზღვარგარეთ ყოფნის მახასიათებელი და პროფესია⁶⁰.

IT-თვის გამოყოფილი სამი ფაქტორული მახასიათებელიდან, **სქესის** გავლენით განსხვავებულად შეფასდა მხოლოდ ერთი მახასიათებელი **თბილი და ინტელიგენტი ადამიანი** $t(562) = 3.02, p = .003 < .05$ (მდებრობით სქესის რესპონდენტები უფრო დადებითად აფასებენ IT-ს ამ მახასიათებლის მიხედვით ($M = .09, SD = .99$), ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტები ($M = -.17, SD = .98$)). რაც შეეხება დანარჩენ მახასიათებლებს - **ჯენტლმენია, პროფესიონალია ...** - ამ მხრივ, IT-ის შეფასებაში სქესს არ მოუხდენია სტატისტიკურად სანდო გავლენა.

მსგავსად, ხსენებულ მახასიათებელზე გავლენა მოახდინა რესპონდენტების **პროფესიამაც**. შეგახსენებთ, რომ რესპონდენტების პროფესია დაყოფილო იქნა ორ კატეგორიად, ესენია - „ფსიქოლოგები“ და „ყველა დანარჩენი“ (ამ უკანასკნელ კატეგორიაში შევიდნენ როგორც ციურისტები, ასევე ბიოლოგები და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები და ა.შ.) IT-ი ფსიქოლოგებმა შეაფასეს, როგორც ნაკლებად **თბილი და ინტელიგენტი ადამიანი** ($M = -.08, SD = .1$), ვიდრე დანარჩენი პროფესიის წარმომადგენელმა სტუდენტებმა ($M = .19, SD = .96$); $t(562) = -3.10, p = .002 < .05$.

IT-ის შეფასებაში, ასევე ერთ მახასიათებელზე მოახდინა გავლენა რესპონდენტების **საზღვარგეთ ყოფნა/არყოფნის** მახასიათებელმა. ამ შემთხვევაში საუბარია მახასიათებელზე - **პროფესიონალია ...** $t(554) = -2.14, p = .022 < .05$, რომელის მიხედვითაც IT საზღვარგარეთ მყოფი რესპონდენტების მიერ დახასიათებულ იქნა უარყოფითად ($M = -.10, SD = .96$), ხოლო საზღვარგარეთ არ მყოფი რესპონდენტების მიერ დადებითად ($M = .08, SD = 1.03$).

აღსანიშნავია, რომ N1, 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობებში, რომელიც პარალელურად ჩატარდა ექიმისა და IT-ის პროფესიული თემისთვის, შთაბეჭდილებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია ფოტოების მიწოდების რიგს.

⁶⁰ სტატისტიკური მონაცემები რესპონდენტების დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენასთან დაკავშირებით, დაწვრილებით იხილეთ დანართში Q.

IT-ის შესახებ მიღებული შედეგების მოკლე შეჯამება (ექიმის თემაზე მიღებული შთაბეჭდილებების შედარებით)

სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში IT-ზე მიღებული შთაბეჭდილებებიდან ჩანს, რომ:

- ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენა, ექიმის მსგავსად, IT-ზე მიღებულ შთაბეჭდილებებზეც დადასტურდა. IT-ი მახასიათებლები შეფასებულ იქნა იმ ინფორმაციის ჭრილში, რომელიც მიწოდებულ იქნა პირველ რიგად. - იმ პირობაში სადაც IT-სთან დაკავშირებით ჯერ მიწოდებული იქნა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია, ხოლო შემდეგ ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია, IT შეფასებულა იქნა პროფესიოული სტერეოტიპის ჭრილში - ეს გამოჩნდა, იმაში, რომ IT-ის სტერეოტიპული მახასიათებელი პროფესიონალია შეფასდა უფრო მაღალი ქულით ($M=7.81$), ვიდრე ეს მოხდა ინდივიდუალურ პირობაში ($M=7.26$). მართალია IT-ის პროფესიონალიზმის ეს მახასიათებელი, რიგის ორივე პირობაში დადებითი ქულით შეფასდა, თუმცა თუ ამ შეფასებებს შევადარებთ ვნახავთ, რომ მათ შორის სხვაობა რიგში პირველობის ეფექტთან ერთად იცვლება. ინფორმაციის რიგის ცვლილებას დაექვემდებარა ინდივიდუალური მახასიათებლის შეფასებაც - IT უფრო *ჯენტლმენი* აღმოჩნდა იმ პირობაში, სადაც ჯერ მიწოდებულ იქნა ინდივიდუალური ქცევითი და შემდეგ პროფესიოული სტერეოტიპული ინფორმაცია ($M=.81$). (IT ნეკლებად შეფასდა ჯენტლმენად სტერეოტიპულ პირობაში ($M=6.20$) (იხ. ცხრილი 53).

ექიმის შთაბეჭდილებების მსგავსად, ამ შემთხვევაში, შთაბეჭდილებებს შორის არსებული მცირე სხვაობის მიუხედავად, მიღებულ სხვაობა სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა.

- *ექიმის შეფასებებისგან განსხვავებით, IT-ის შემთხვევაში სხვადასხვა რიგის პირობებში (N2 და 4) მიღებულ შთაბეჭდილებებს შორის სხვაობა, შინაარსობრივად უფრო „მრავალფეროვანი“ აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში მიწოდების რიგმა ერთ მახასიათებლის ნაცვლად, ორ მახასიათებელზე მოახდინა გავლენა. მართალია შთაბეჭდილებებს შორის გამოვლენილი სხვაობა მცირეა, მაგრამ ეს სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.*

ექიმის მსგავსად, IT-ის შემთხვევაშიც სხვაობა დაფიქსირდა ინდივიდუალური მახასიათებლის მიხედვით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინდივიდუალური მახასიათებელი ინფორმაციის დამუშავების დროს არის ის მთავარი კომპონენტი, რომელიც შთაბეჭდილებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობას. (იგულისხმება შთაბეჭდილებები, რომლებიც მიღებულ იქნა N2 და 4 რიგის მანიპულირების პირობებში).

➤ რიგის ეფექტისგან განსხვავებით, არ დადასტურდა ჩვენი მოლოდინი ექიმის შესახებ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში. IT-ზე სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, არ მომხდარა შთაბეჭდილების გასაშუალოება. N2 პირობის მსგავსად, IT-ის შეფასება გადაწონა სტერეოტიპულმა პროფესიულმა ინფორმაციამ (იხ. ცხრილი 55). *(შეგახსენებთ, რომ ექიმის შემთხვევაში ერთროული/პარალელური მიწოდების პირობაში, ექიმის შეფასება არა სტერეოტიპული, არამედ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით განხორციელდა).*

• აღსანიშნავია, რომ IT-ის შემთხვევაშიც N3 პირობაში ფიქსირდება შეფასებების პოლარიზება, თუმცა ეს პროცესი არც ისეთი ძლიერია. თუ ექიმთან სამივე მახასიათებელი (განათლებული-წარატებული ადამიანი, მოუმწიფებელი-არაორგანიზებული ადამიანი, ინტელიგენტი) კიდევ უფრო უკიდურესი ქულით შეფასდა ვიდრე ეს მოხდა N2 და 4 პირობაში, IT-ისთან მხოლოდ ერთი მახასიათებელი (პროფესიონალია...) შეფასდა ამგვარად, მეორე მახასიათებელი (ჯენტლმენია) კი უბრალოდ დაუახლოვდა ყველაზე დაბალ შეფასებას, რომელიც მიღებული იქნა სტერეოტიპული პირობაში. ამრიგად, IT-ის შესახებ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, შთაბეჭდილება დომინანტურად წარმართა სტერეოტიპულმა პროფესიულმა ინფორმაციამ. ამ ექსპერიმენტულ პირობაში, შთაბეჭდილების ფორმირების პროცესში არ დადასტურდა ინფორმაციების თანაბარი ინტეგრაცია და შეფასებების გასაშუალოება.

➤ აღსანიშნავია, ის მონაცემები, რომლებიც მივიღეთ სამი ექსპერიმენტული პირობების შედარებით - **N1 2 და 5**; **N 1 3 და 5**, და **N 1 4 და 5** პირობებს შორის (იხ. ცხრილი 58, 60, 62). ამ შედარებებიდან ჩანს, რომ IT-ის შეფასება ინფორმაციის ერთდროულად თუ სხვადასხვა რიგით მიწოდების ჭრილში - ინარჩუნებს შეფასების სტაბილურ პატერნს: IT -ის დახასიათებისთვის გამოყოფილი მახასიათებლებიდან ორი მახასიათებელი შეფასებულია ინდივიდუალური ინფორმაციის ჭრილში, ხოლო ერთი სტერეოტიპული მახასიათებელი სტაბილურად შეფასებულია სტერეოტიპული ინფორმაციის ჭრილში.

6. შედეგების ანალიზი

6.1. დისკუსია

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არის შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში სტერეოტიპიზაციის პროცესის დომინანტურობის შესწავლა, რომელიც ვლინდება მიწოდებული სტერეოტიპული ინფორმაციის დომინანტურობაში, აღქმული ფიგურის შეფასებისას. ინდივიდუაციური ინფორმაციისგან განსხვავებით, სტერეოტიპიზაცია/კატეგორიზაცია ინფორმაციის დამუშავების წარმმართველ ძალად არის მიჩნეული, თუმცა მკვლევარების მიერ გამოთქმული ვარაუდით, მის დომინანტობას შესაძლოა აშუალებდეს ინფორმაციის მიწოდების რიგი. ჩვენი ექსპერიმენტი სწორედ იმ გავლენის შესწავლაზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ახდენს ინფორმაციის მიწოდების რიგი სოციალური ინფორმაციის სტერეოტიპულ თუ ინდივიდუაციურ დამუშავებაზე. უფრო კონკრეტულად კი, შესწავლილ იქნა მიწოდების რიგში, პირველა მიწოდებული ინფორმაციის გავლენა პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე.

ჩვენი აზრით სტერეოტიპი იმ შემთხვევაში შეიზღუდება თუ ის არ იქნება მიწოდებული პირველ რიგად. ინდივიდუაციური ინფორმაცია კი ისეთივე დომინანტური გავლენას შეიძენს, როცა ის იქნება მიწოდებული პირველ რიგად. იმას თუ როგორ ცვლის ერთ და იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალისტური ინფორმაციის სხვადასხვა რიგად მიწოდება შთაბეჭდილებას, გამოვლინდა ექიმისა და IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების მაგალითზე. 5 ექსპერიმენტულ პირობაში ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა რიგის მიხედვით ვარირებულ იქნა სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაცია ექიმისა და IT -ის შესახებ (თითოეული პროფესიული თემისთვის ცალცალკე). რიგის გავლენით შთაბეჭდილებაში მომხდარი ცვლილება გაიზომა: წარდგენილი სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის მიერ, მათი შესაბამისი ასოციაციური მახასიათებლების აქტივაციის (აღძვრა/შეკავების) დონის გაზომვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვთ, მიღებული შთაბეჭდილებები გაიზომა, იმ მენტალური ბადეების საფუძველზე, რომელიც გააქტიურდა აღქმულში წარდგენილი სტერეოტიპული თუ ინდივიდუაციური ინფორმაციის შედეგად.

ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებამ გამოავლინა, რომ ჩვენი მოლოდინი ასოციაციური მახასიათებლების აღძვრა-შეკავებასთან დაკავშირებით, გაზომილიყო რა 1-6/7-11 ჭრილით, არ გამართლდა, მაგ: ექიმის შემთხვევაში, ერთ ერთი მახასიათებელი (*მოუწმიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი*) ინფორმაციის წარდგენის სამივე შემთხვევაში შეკავდა. მან მიიღო 1-6 შეფასება, როგორც ინფორმაციის სხვადასხვა რიგით, ასევე მათი ერთდროულად წარდგენის დროს. მიუხედავად ამისა, შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა, რომ მიღებული შეფასებები

მაინც მიყვება რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენას - მართალია მახასიათებლები ხშირად ორივე ექსპერიმენტულ პირობაში (იქ სადაც ვარირებული რიგის ფაქტორი - N2 და N4) შეკავდა ან აღიძრა, მაგრამ ამ შეკავების და აღძვრის დონეებს შორის სხვაობა მიყვება რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენას და ეს გავლენა სტატისტიკურად სანდოა.

ამგვარად, ასოციაციურ მახასიათებელთა აღძვრა-შეკავების სტატისტიკური გაზომვის პრინციპის ნაცვლად (რომელიც არ გამართლდა), დავეყრდენით აღძვრა-შეკავების გრადაციულად გაზომვის პრინციპს. შესაბამისად, სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში, თითოეული მახასიათებლის შეფასებების ანალიზისას, გავითალისწინეთ ის თუ რომელი რიგის პირობაში უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად შეკავდა ან გააქტიურდა მოცემული მახასიათებელი.

ჩვენი მონაცემების ანალიზისას დავეყრდენით, აქივაციის სწორედ ასეთი მეტ-ნაკლებობის გაზომვას. ერთმანეთს შევადარეთ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შეფასებები (ცალკე ექიმისთვის და ცალკე IT-თვის). მიღებული იქნა შედეგები შემდეგნაირია:

1. დადასტურდა რიგში პირველობის ეფექტი. ექიმის და IT-ის ფიგურის შესახებ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება მეტწილად განისაზღვრა იმ ინფორმაციით, რომელიც მიწოდებულ იქნა პირველ რიგში. სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციით აღძრული მახასიათებლები შეფასდა უფრო მაღალი ქულით, ვიდრე იგივე მახასიათებელი შეფასდა შებრუნებული რიგის პირობაში (სადაც პირველად წარმოდგენილ იქნა ინდივიდუალური ინფორმაცია), ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებლები შეფასდა უფრო დაბალი ქულით, ვიდრე იგივე მახასიათებელი ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობაში.

იმ შემთხვევაში, როცა პირველ რიგად მიწოდებულ იქნა სტერეოტიპული პროფესიული ინფორმაცია, ექიმის ფიგურა დანახულ იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში, ეს გამოვლინდა მისი ინდივიდუალური მახასიათებლის სტერეოტიპულ შეფასებაში, რომლის მიხედვითაც ექიმის შეფასდა ნაკლებად მოუწიფებელ და არაორგანიზებულ ადამიანად. იმის გამო, რომ ექიმის ინდივიდუალური ქცევა, როგორც არის კომპიუტერული თამაშის თამაში და ბინძურ/მოუწესრიგებელ ოთახში ჯდომა, არ ჯდება ექიმის სტანდარტულ წარმოდგენაში, ამ ქცევით გამოწვეული ასოციაციური მახასიათებელი სტერეოტიპის დომინანტურობის პირობაში უფრო მეტად შეკავდა. ამის საპირისპიროდ, როცა პირველ რიგად წარდგენილ იქნა სტერეოტიპის საწინააღდეგო ქცევით ინფორმაცია ექიმი შეფასდა ამ ქცევის

ჭრილში - იგი შეფასებულ იქნა უფრო მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი. როგორც ჩანს, ქცევით ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდებამ, უფრო მეტად აღძრა ამ ინფორმაციით შესაბამისი ასოციაციები და ამით, უფრო მეტად შეაკავა ექიმის სტერეოტიპული ხატი.

ზუსტად მსგავსი რამ გამეორდა IT-ის ფიგურის შეფასებაში. სტერეოტიპის პირველ რიგად მიწოდების შედეგად, IT-ი შეფასებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში, როგორც ნაკლებად ჯენტლმენი, მაგრამ საქმეზე ორიენტირებული, პროფესიონალი ადამიანი. პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველობის პირობაში, სტერეოტიპული მახასიათებელი შეფასებულ იქნა უფრო მაღალი ქულით, ხოლო ინდივიდუაციური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებელი (ჯენტლმენია) უფრო დაბალი ქულით, ვიდრე ეს მოხდა იგივე ინფორმაციის შებრუნებული რიგით მიწოდების შემთხვევაში. როგორც ჩანს, სტერეოტიპული ინფორმაციის პირველობის პირობაში, იმის გამო რომ კლასიკური მუსიკის სმენა და ქოთნის ყვავილების ქონა არ შეესაბამება IT-ის სტერეოტიპს, ინდივიდუაციური ინფორმაციის შესაბამისი მახასიათებელი შეკავდა. ინდივიდუაციური ინფორმაციის პირველობის პირობაში კი, IT შეფასებულ იქნა როგორც უფრო ჯენტლმენი და ნაკლებად საქმეზე ორიენტირებული პროფესიონალი. ამ შემთხვევაში, ინდივიდუაციური ინფორმაციის დომინანტურობამ გამოიწვია სტერეოტიპული ინფორმაციის უფრო შეკავება და ინდივიდუაციური მახასიათებლის მეტი აღძვრა, ვიდრე ეს მოხდა სტერეოტიპის პირველობის შემთხვევაში.

ამრიგად სტერეოტიპული ინფორმაცია არ არის ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ დონინატური, მისი დომინანტურობა გაშუალებულია ისეთი ფაქტორით, როგორც არის ინფორმაციის მიწოდების რიგი. სოციალური ინფორმაციის დამუშავების პროცესში იგივენაირად დომინანტურობა შეიძლება გამოავლინოს ინდივიდუაციურმა ინფორმაციამაც, თუკი ის არის წარდგენილი პირველ რიგად.

ჩვენს კვლევაში მიღებული ეს შედეგები აგრძელებს აშის მოსაზრებას პირველობის ეფექტთან დაკავშირებით. მის კლასიკურ კვლევაში (1946) მონაწილეებს წარედგინათ ერთი და იგივე ზედსართავლი სახელების წყება ორი სხვადასხვა რიგით. წყებაში მოცემული იყო 2 სოციალურად სასურველი და 4 სოციალურად არასასურველი თვისების გამომხატველი ზედსართავი სახელები. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეთა ორივე ჯგუფიდან, დიდი უმრავლესობის მიერ გამოთქმული შთაბეჭდილება წარიმართა პირველ

რიგად მიწოდებული ზედსართავი სახელების გავლენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წყების ბოლოში მოცემული ზედსართავების მნიშვნელობა ინტერპრეტირებულ იქნა იმ ზედსართავების გავლენით, რომელიც წარდგენილ წყებაში მოცემულ იყო პირველ-მეორე ადგილზე. დადებით ზედსართავების პირველ რიგებში წარდგენის შემთხვევაში, წყების მომდევნო მახასიათებლები ინტერპრეტირებულ იქნა უფრო დადებითად. ხოლო უარყოფითი ზედსართავების პირველ-მეორე რიგად წარდგენის შემთხვევაში, იგივე ინფორმაცია, მათ შორის დადებითი მახასიათებლებიც, ინტერპრეტირებულ იქნა ნეგატიურად (Asch, 1946). ჩვენი ექსპერიმენტულ მონაცემებზე იგივე შედეგს იმეორებს: ექიმისა და IT-ის პიროვნება იმ ინფორმაციის ჭრილში იქნა დანახული, რომელიც მიწოდებულ იყო პირველ რიგში - სტეროტიპის პირველობის შემთხვევაში ორივე - სტერეოტიპული და ინდივიდუალური ტიპის მახასიათებლები შეფასებულ იქნა სტეროტიპის გავლენით, ხოლო ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის პირველობის პირობებში, იგივე მახასიათებლები შეფასებულ იქნა ამ ქცევის ჭრილში.

2. აღსანიშნავია, რომ ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მიღებულ იქნა სხვადასხვა რიგის გავლენით, მცირედ განსხვავდება ერთანეთისგან. ეს მცირე განსხვავება ორნაირად გამოვლინდა - ორივე პროფესიულ ფიგურის შეფასების დროს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა არა სამივე, არამედ მხოლოდ ერთი (ექიმი) ან ორი მახასიათებლის მიხედვით (IT). გარდა ამისა, ის ქულები რომელიც ამ მახასიათებლებმა მიიღეს სხვადასხვა რიგის პირობებში ფიგურის შეფასების დროს, მცირედ განსხვავდება ერთმანეთისგან. მცირე სხვაობის მიღება, შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ იდენტური ინფორმაციის პირობებში, სადაც მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების რიგია განსხვავებული, ყალიბდება ორი თითქმის მსგავსი შთაბეჭდილება, რომელიც მცირედ განსხვავდება ერთანეთისგან. თუმცა ის მცირე განსხვავება არსებითია, რადგან ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

3. რიგში პირველობის ჰიპოთეზისგან განსხვავებით, არ დადასტურდა ჩვენი მოსაზრება შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობებში. IT-ის შეფასების შემთხვევაში შეფასებები გადაიხარა სტერეოტიპული ინფორმაციის მიმართულებით, ხოლო ექიმის შემთხვევაში ინდივიდუალური ინფორმაციის მიმართულებით. პდშთ-ის თანახმად, ინფორმაციის ერთდროული აღქმის შემთხვევაში, ყველა ინფორმაციას - როგორც სტერეოტიპულს, ასევე ინდივიდუალურს - შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში აქვს თანაბარი სტატუსი; არც ერთი მათგანი არ წარმართავს შთაბეჭდილებას დომინანტურად.

ჩვენი კვლევის შემთხვევაში გამოვლინდა აშკარა დომინანტურობა, თუმცა ექიმის და IT-ის ფიგურის შეფასებაში ეს დომინანტურობა გამოვლინდა ორი სხვადასხვა მიმართულებით.

4. ერთდროული მიწოდების პირობაში, მიღებული შთაბეჭდილებები არათუ უბრალოდ გადაიხარა სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის მიმართულებით, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა (ერთ ერთი მიმართულებით). უფრო კონკრეტულად, ერთდროული მიწოდების პირობაში დაფიქსირდა იმაზე მეტად უკიდურესი შეფასებები, ვიდრე ეს მოხდა სტერეოტიპის პირველობის ან ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობაში. შეგახსენებთ, რომ ერთდროული მიწოდების პირობაში, სწორედ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობებში მიღებული შეფასებები უნდა გაშუალებულიყო. თუმცა შეფასებები არათუ გაშუალოვდა, არამედ გაძლიერდა კიდევ ექიმის შემთხვევაში ინდივიდუალური, ხოლო IT-ის შემთხვევაში სტერეოტიპული შეფასებების მიმართულებით.

ექიმის შემთხვევაში შეფასებები უფრო უკიდურესი გახდა სამივე მახასიათებლის შეფასებაში - ექიმის სამივე მახასიათებელი იმაზე უფრო ინდივიდუალურად შეფასდა, ვიდრე ეს მოხდა თავად ინდივიდუალური ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების პირობაში. IT-ის შემთხვევაშიც შეფასებები უკიდურესი გახდა. თუმცა, IT-ისთან, სტატისტიკურად სანდო სხვაობის მქონე ორიმახასიათებლიდან, ერთი მკაფიოდ უკიდურესი გახდა - IT-ის ერთი მახასიათებელი (*საქმეზე ორიენტირებული პროფესიონალი*) შეფასდა კიდევ უფრო სტერეოტიპულად, ვიდრე ეს მოხდა სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების პირობაში, ხოლო მისი მეორე მახასიათებელი (*ჯენტლმენია*) უბრალოდ ძლიერ დაუახლოვდა სტერეოტიპული პირობის შეფასებას, ამავე მახასიათებლის მიხედვით.

სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციების ერთდროულიად მიწოდების პირობაში ასეთი პოლარიზებული შეფასებები, შეიძლება აიხსნას მიწოდებული ინდივიდუალური ინფორმაციის ნეგატიური შინაარსით. ექიმისთვის გამოყენებული ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია - კომპიუტერული თამაშის თამაში და ბინძურ/მოუწესრიგებელ ოთხაში ჯდომა - არ არის ექიმისთვის სოციალურად მისაღები ქცევა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა სწორად ამიტომ მოცემულმა ინფორმაციამ გადაწონა ექიმის მთლიანი შეფასება. ასეთი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მაშინ განხორციელდა, როცა ორივე ტიპის ინფორმაცია ექიმის შესახებ მიწოდებულ იქნა არა რიგით, არამედ

ერთროულად. რაც შეეხება IT-ის შემთვევას, პოლარიზება დაფიქსირდა არა ინდივიდუალური, არამედ სტერეოტიპული ინფორმაციის მიმართულებით. ექიმისგან განსხვავებით, IT-თან გამოყენებული ინდივიდუალური ქცევა არ არის სოციალურად მიუღებელი ქცევა. პირიქით, კლასიკური მუსიკის სიყვარული და ქოთნის ყვავილები ასოცირდება პოზიტიური ვალენტობის მქონე ქცევასთან. შესაბამისად შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ინფორმაციების ერთდროულად წარგდენის პირობაში, პარალელურად მიწოდებული სტერეოტიპული ინფორმაცია, რომელიც გამოიხატა IT-ის არეულ და ბინძურ/მოუწესრიგებელ გარემოში, ინდივიდუალური ინფორმაციის ფონზე, უფრო უარყოფითად შეფასდა. ჩვენ კვლევაში მიღებული ეს მონაცემი შეესაბამება ნეგატიური ინფორმაციის გავლენაზე აქამდე ჩატარებულ კვლევებს. ის რომ ნეგატიური სოციალური ინფორმაცია მეტად იქცევის ყურადღებას და მეტადაც გვამახსოვრდება დადასტურებულია ემპირიულად. ნეგატიური ინფორმაცია დომინანტურად წარმართავს, შთაბეჭდილების არამარტო მიმდინარე პროცესს, არამედ ერთ კვირის შემდეგ გაკეთებულ შეფასებებსაც. მეტიც ასეთ დროს, ნეგატიური ინფორმაციის გავლენა ინდივიდის შეფასებაზე კიდევ უფრო იზდება (Richey, McClelland & Shimkunas, 1967). ნეგატიური ქცევითი ინფორმაციის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ის მაშინაც კი გადაწონის შთაბეჭდილებას, როცა საქმე ეხება ნაცნობის და არა უცნობი ინდივიდის შეფასებას (Richeym Richey & Thueman, 1972). ის ყოველთვის არაპროპორციულად მოქმედებს მიღებულ შთაბეჭდილებაზე, რის გამოც ვეღარ ხორციელდება აღქმული ინფორმაციი ისეთ ინტეგრაცია, როგორც არის შეფასებათა გასაშუალოება და დაჯამება (Cusumano & Richey, 1970).

აღსანიშნავია, რომ ნეგატიური ინფორმაციის ასეთი ძალის მიუხედავად, ერთდროული მიწოდების პირობისგან განსხვავებით, სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში, შთაბეჭდილებაზე იმ ინფორმაციამ მოახდინა გავლენა, რომელიც მიწოდებულ იქნა პირველ რიგად და არა იმან, რომელიც იყო ნეგატიური ვალენტობის.

6.2. ბადისებრი ქსელის მოდელის შეფასება და კონტრასტის ეფექტის მნიშვნელობა

თუ შევაჯამებთ, ხსენებული პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი, რომელიც ეფუძნება ასოციაციური ბადის სტრუქტურასა და იქ მიმდინარე შეკავება აღძვრის პროცესებს, ხსნის პირველად მიწოდებული ინფორმაციის იმ

დომინანტურ გავლენას, რომელიც მივიღეთ მოცემულ კვლევაში. ინფორმაციის დამუშავების ასეთი კოგნიტური სტრუქტურა, ნათლად გვაჩვენებს იმას, თუ რამდენად რთულია საწყის ეტაპზე განხორციელებული მსჯელობის (რწმენის) შეცვლა (Read, Vamnan & Miller, 1997). მოდელის მიხედვით, ინფორმაცია, რომელიც პირველ რიგად შემოვიდა ასოციაციური ბადის სისტემაში, მასთან დაკავშირებული ასოციაციების გააქტიურებით, ააქტიურებს ბადის იმ ზედაპირს, რომელიც შეესატყვისება მოცემულ მომენტში შემოსულ ინფორმაციას. გააქტიურება მოცემული სისტემის ტერმინებით, წარმოადგენს ასოციაციური ბადის ზედაპირზე არსებული ენერჯის აქტივაციას. ენერჯის ასეთი აქტივაცია, იწვევს სისტემის ტენდენციას, დაუბრუნდეს წონასწორობის მდგომარეობას - ე.წ. მინიმუმს. შთაბეჭდილების ფორმირების პროცესთან მიმართებაში, წონასწორობის მდგომარეობა სხვა არაფერია თუ არა, გააქტიურებულ ასოციაციებს შორის, ლოგიკური - დამაკმაყოფილებელი შეზღუდვების (აღძვრა-შეკავების პროცესის) განხორციელება. სწორედ ასეთ მინიმუმთან მიახლოებით, სისტემაში მიმდინარე ენერჯის აქტივაცია (აღძვრა შეკავების პროცესების სახით) აღწევს თავის სტაბილურ მდგომარეობას (Read, Vamnan & Miller, 1997, p: 36).

პირველად მიწოდებული ინფორმაციის დომინანტური ეფექტი, სწორედ ამ სტაბილურ მდგომარეობის მიღწევამდე პროცესში ვლინდება. მანამდე, სანამ სისტემა იპოვის დამაკმაყოფილებელ შეზღუდვის გზას და ამ ფორმით მიაღწევს სტაბილიზაციას, ის იწყებს ბადეში ყველა გააქტიურებული კვანძის იმ ადგილისკენ მიზიდვას, სადაც გააქტიურებულია ენერჯია. ამ ფორმით, იქმნება ერთგვარი ენერგეტიკული ველი ან ჭა, რომელიც თავისკენ იზიდავს ყველა აღქმულ ან გააქტიურებულ ინფორმაციას. ეს კი თავის მხრივ, ყოველ შემდგომ შემოსულ ინფორმაციას, ხელს უშლის თავი დააღწიოს სისტემაში უკვე გააქტიურებული არის გავლენისაგან (Read, Vamnan & Miller, 1997, p: 36). ამგვარად, ყოველი ახალი შემოსული ინფორმაციისთვის სულ უფრო რთული ხდება შეცვალოს უკვე შესრულებული ინტერპრეტაციის მიმართულება (შინაარსი). მეტიც, ის არათუ ვერ ცვლის უკვე შემდგარი მსჯელობის - აზრის შინაარსს, არამედ თავად ინტერპრეტირდება ამ აზრის ჭრილში, რის გამოც ეცვლება მნიშვნელობა⁶¹.

ამგვარად, პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი და აღძვრა-შეკავების ასოციაციური ბადე, ოპერირებენ ფიზიკის ტერმინებით, თუმცა ისინი ნათლად ხსნიან იმ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის გადამუშავების პროცესში ინფორმაციის პირველობის ეფექტთან.

⁶¹ იგულისხმება კონტექსტის მნიშვნელობაზე ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციაზე სხვადასხვა სიტუაციაში.

ის რომ პირველად მიწოდებული ინფორმაციის შედეგად, ასოციაციათა ბაღეში აქტიურდება კავშირების მთელი ველი, რომელშიც აქტივაციის იმპულსი ბრუნავს წრეზე, მანამ სანამ აქტივაცია არ მიაღწევს მინიმუმს, გასაგებს ხდის პირველი ინფორმაციის განსაკუთრებულ გავლენას და იმას თუ, როგორ უჭირს ყოველ ახლად შემოსულ ინფორმაციას შექმნილი ველის მიზიდულობიდან ამოსვლა. მაგრამ, როგორ შეიძლება აიხსნას, იგივე კოგნიტური მექანიზმით, ის პოლარიზებული შეფასებები, რომლებიც მივიღეთ ინფორმაციის ერთდროული მიწოდების პირობებში. სამწუხაროდ, მოცემული მოდელის ფარგლებში რთულია ახსნის მოძებნა, დამატებითი კვლევების ჩატარების გარეშე. თუმცა ჩვენ მაინც ვცდილობთ, გამოვთქვათ გარკვეული ვარაუდი ამ მიმართულებით.

ვეფუძნებით რა მოცემულ კვლევაში მიღებულ შედეგებს, ურთიერთსაწინააღდეგო შინაარსის მქონე ინფორმაციის ერთდროული მიწოდების შემთხვევაში, აქტიურდება მხოლოდ ერთიერთი ინფორმაციის შესაფერისი ველი, ისე როგორც ეს ხდება პირველობის ეფექტის დროს. თუმცა ამ შემთხვევაში, მიწოდებული ინფორმაციებიდან, ის თუ რომელი ინფორმაციის ველი გააქტიურდება დამოკიდებულია ამ მიწოდებული ინფორმაციის გარკვეულ მახასიათებლებზე, მათ შორის განსაკუთრებით კონტრასტის ეფექტზე. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირობაში მიღებული პოლარიზებული შეფასებები, მართლაც ვალენტობის გავლენით შეიძლება აიხსნას, მაინც გვინდა ცალკე გამოვყოთ კონტრასტის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ერთდროული მიწოდების პირობის მსგავსად, რიგის პირობებშიც (N2 და N4) ერთი და იგივე ინფორმაცია იქნა მიწოდებული, მაგრამ პოლარიზებული შეფასებები, სწორედ ერთდროული მიწოდების პირობაში იქნა გამოვლენილი. კუნდასა და თაგარდის მიხედვით (1996), როცა სტერეოტიპის საწინააღდეგო ინფორმაცია არის მიწოდებული, აღქმელი ასეთ დროს ახორციელებს შუალედურ შეფასებებს (ანუ ხდება შეფასების გასაშუალოება, იმ შეფასებებიდან გამომდინარე, რომელიც მიღებულ იქნა თითოეული ინფორმაციის ცალცალკე მიწოდების შემთხვევებიდან). თუმცა ასეთი გასაშუალოების გარდა, აღქმელი ასევე მიმართავს პოლარიზებულ შეფასებებსაც. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა აღქმელს მიეწოდება სტერეოტიპის ძლიერ საწინააღდეგო ინდივიდუალური ინფორმაცია (Kunda & Thagard, 1996). ის ფაქტი, რომ ჩვენს კვლევაში გამოყენებულია სწორედ ასეთი ტიპის ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია ვლიდება ექსპერიმენტის მონაწილეთა ვერბალურ პასუხებში, სადაც ისინი გამოხატავენ აშკარა გაკვირვებას ექიმისა და IT-ის ქცევის მიმართ⁶².

⁶² ვერბალური პასუხის ტრანსკრიფტები არ არის წარმოდგენილი მოცემულ ნაშრომში. მათი დამუშავება თანდაყოლილი და ახლადშექმნილი ატრიბუტების პრინციპის გამოყენებით იგეგმება მომავალში. ამ მონაცემების დამუშავების შედეგად, მივიღებთ დამატებით ინფორმაციას პირველობის ეფექტთა დაკავშირებით.

ის რომ მართალია კვლევაში ძლიერ კონტრასტული მასალა არის გამოყენებული, ასევე ჩანს ახლად შექმნილი ატრიბუტების პრინციპიდან გამომდინარეც. ახლად შექმნილი ატრიბუტები ეს არის ის მახასიათებლები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ქვესტერეოტიპის გააქტიურებას (*ქვესტერეოტიპი წარმოადგეს კონკრეტული სტერეოტიპის ატიპიურ წევრს (კატეგორიის) მენტალურ ასახვას, მაგ: კულტურული IT ან ზარმაცი ექიმი*). უფრო კონკრეტულად კი, ახლად შექმნილი ატრიბუტი არის მახასიათებელი, რომელიც იქმნება იმისთვის, რომ ლოგიკურად აიხსნას აღქმული ორი ურთიერთსაწინააღდეგო ინფორმაცია (მაგ: ჰარვარდის კურსდამთავრებული, რომელიც მუშაობს მღებავად) (Kunda & Thagard, 1996). ახლად შექმნილი ატრიბუტები იქმნება ორი თანდაყოლილი ატრიბუტის გაერთიანების შედეგად, საიდანაც თითოეული თავის მხრივ წარმოადგენს იმ ასოციაციურ მახასიათებელს, რომელსაც ააქტიურებს თითოეული ინფორმაცია აღებული ცალკე (Hastie, Schroeder & Weber, 1990; Kunda & Thagard, 1996; Hutter & Crisp, 2007) (მაგ: ჰარვარდ დამთავრებული, მღებავის შემთხვევაში ასეთ ატრიბუტი შეიძლება იყოს „არტიტულობა„ (Kunda & Thagard, 1996)). ახლად შექმნილი ან თანდაყოლილი ატრიბუტების გაზომვა ხდება ცდისპირებისგან მოწოდებული ზედსართავების ჩამონათვალში მათი რაოდენობის დათვლით (Hastie, Schroeder & Weber, 1990; Kunda & Thagard, 1996; Hutter & Crisp, 2007). თუმცა ამ მეთოდის, გარდა, ჰესტიმ და მისმა კოლეგებმა (1990) ახლად შექმნილი ატრიბუტების შექმნის პროცესი შეფასების სკალითაც გაზომეს - გაზომვის ამ მეთოდის მიხედვით, ზედსართავის ის შეფასებები, რომლებიც მოხვდა შეფასების გარეთ, ჩაითვალა პოლარიზებულ შეფასებად და შესაბამისად, ახლად შექმნილი ატრიბუტის მაჩვენებლად (ასევე, ქვეკატეგორიის აქტივაციის მაჩვენებლად). გარე შეფასების განსასაზღვრად აღებულ იქნა შეფასების საზღვრები, რომელიც სკალაზე მოცემულმა მახასიათებელმა (ზედსართავმა) მიიღო არა ერთად მიწოდებული ორი საწინააღდეგო კატეგორიული ინფორმაციის წარდგენის შედეგად (მაგ: მედდა კაცი), არამედ თითოეული კატეგორიული ინფორმაციის ცალკე წარდგენის დროს (ცალკე მედდა, ცალკე კაცი) (Hastie, Schroeder & Weber, 1990). თუ ჩვენ გაზომის ამ მეთოდს დავუკავშირებთ ჩვენი კვლევის შედეგებს, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ჩვენს კვლევაში გამოვლენილი პოლარიზებული შეფასებებიც სწორად ახლად შექმნილი ატრიბუტების შექმნისა და ქვეკატეგორიის გააქტიურების პროცესს ასახავს (რომელიც საფუძველს იღებს აღქმელის მცდელობიდან, ლოგიკურად აიხსნას აღქმული ორი ურთიერთწინააღდეგობრივი ინფორმაცია ექიმისა თუ IT-ის შესახებ).

ამგვარად, კონტრასტი მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთწინააღდეგობრივი ინფორმაციის დამუშავების დროს. ჩვენს ექსპერიმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია კი სწორედ ასეთ ტიპის ინფორმაციაა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ბადესმიერი ქსელი მოდელი, ვერ ხსნის ერთდროული ინფორმაციის მიწოდების შედეგად გამოწვეულ კონტრასტის ეფექტს. საინტერესოა მართლაც რა ხდება ამ დროს, ასოციაციური ბადის სისტემის ზედაპირზე, ენერჯის გააქტიურებისა და მიზიდვის პრინციპიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნებოდა დისტანციის და სიახლოვის მექანიზმის გათვალისწინება, ბადეში გააქტიურებულ ორ რეპრეზენტაციას შორის. თუ გავიხსენებთ ლუხინების კვლევას (1984) კონტრასტის ეფექტი და პირველობაც კი, შესაძლებელია გაიზომოს დისტანციის ტერმინებში საწყის მიწოდებასა და შემდეგ მიწოდებულ ინფორმაციას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ავტორები არ ხსნიან დისტანციის კოგნიტურ მექანიზმებს, ჩვენ ვფიქრობთ რომ დისტანციის მექანიზმის დაკავშირება ბადესმიერ ქსელთან, მოგვცემს ინფორმაციის ერთდროული მიწოდების და პოლარიზაციის შემთხვევების ახსნის უკეთეს შესაძლებლობას.

დამატებით ანალიზი I

ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების გარდა, ჩვენს კვლევაში გაიზომა ის ძალა, რომელიც აქვს შთაბეჭდილებაზე ცალკე აღებულ სტერეოტიპულ და ინდივიდუალური ქცევით ინფორმაცია (ექიმის და IT-ის მახასიათებლების შეფასებაზე). მოცემული პროცედურა არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს, თუმცა გვადლევს საინტერესო ინფორმაციას თითოეული ინფორმაციის გავლენასთან და ამ გავლენის დინამიკასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, ერთდროული და სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში მიღებულ შთაბეჭდილებები შევადარეთ იმათ, რომელიც მიღებულ იქნა მიღებული მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის და მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდების პირობებში. ამ შედარებით, გამოიკვეთა, ის თუ რომელმა ინფორმაციამ მოახერხა თავისი გავლენის შენარჩუნება შთაბეჭდილებაზე, ერთდროული ან სხვადასხვა რიგით მიწოდების დროს. გამოიკვეთა სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციების გავლენის სტაბილური პატერნი. ეს პატერნი შენარჩუნებულ იქნა, როგორც ექიმის, ასევე IT-ის ფიგურის შეფასებაში, თან ორივე ინფორმაციის მიწოდების ყველანაირ პირობაში (როგორც სხვადასხვა რიგით, ასევე ერთდროულად) :

- როგორც ექიმთან, ასევე IT-ისთან, ერთი - სტერეოტიპული მახასიათებელი - შეფასდა სტერეოტიპის გავლენით, თუმცა დანარჩენი ორი მახასიათებელი (ექიმის შემთხვევაში ინდივიდუალური და სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებლები, ხოლო IT-ის შემთხვევაში ორივე ინდივიდუალური შინაარსის მახასიათებელი) შეფასდა ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის გავლენით. ამგვარად, სტერეოტიპულმა ინფორმაციამ (ერთმა მაინც) შეინარჩუნა თავისი გავლენა როგორც სხვადასხვა რიგით, ასევე ერთდროულად მიწოდების სამივე პირობაში. იგივენაირად, ინდივიდუალურმა ინფორმაციამ შეინარჩუნა თავისი გავლენა იმავე პირობებში, დანარჩენ ორ მახასიათებელზე, საიდანაც მინიმუმ ერთი არის ინდივიდუალური შინაარსის. სტერეოტიპული და ინდივიდუალური

ინფორმაციის გავლენის ასეთი სტაბილური პატერნი შესაძლოა მიუთითებდეს მენტალურ ბადეში არსებული მახასიათებლების ცენტრალურ და პერიფერიულ ხასიათზე (Ach, 1946), სიადანაც ცენტრალური ტიპის მახასიათებლის მნიშვნელობა შედარებით ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებას (Ach, 1946).

უფრო კონკრეტულად კი, ექიმის მახასიათებელი - *განათლებული და წარმატებული ადამიანი* - შესაძლოა წარმოადგენს ექიმის სტერეოტიპული რეპრეზენტაციის ცენტრალურ მახასიათებელს, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ცვლილებას, განსხვავებით ისეთი პერიფერიული მახასიათებლებისგან, რომელიც არის *ინტელიგენტი ადამიანი*, რომელმაც მარტივად განიცადა ცვლილება შეფასებაში ინდივიდუალური ინფორმაციის წარდგენის შედეგად. ამის მსგავსად IT-ის შემთხვევაში მახასიათებელი - *საქმის პროფესიონალი, რომელიც ორიენტირებულია განვითარებაზე*, წარმოადგენს IT-ის პროფესიული სტერეოტიპის ცენტრალურ თვისებას, რადგან იგი ყველა ექსპრიმენტულ პირობაში სტერეოტიპულად შეფასდა (ამ მახასიათებლის მიხედვით ფიგურა ყველა ექსპრიმენტულ პირობაში მაღალი დადებითიქულით დახასიათდა).

- იგივე შეიძლება ითქვას ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენაზეც, რომელიც ასევე სტაბილურად მოქმედებს ინდივიდუალური შინაარსის მქონე მახასიათებლებზე. ამ შემთხვევაშიც, ჩვენი ინტერპრეტაციით საქმე გვაქვს ისეთ ცენტრალურ მახასიათებლებთან, რომლებიც მთავარია ჩვენს მიერ გამოყენებული ქცევითი ინფორმაციების მენტალური რეპრეზენტაციებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბადეში ეს მახასიათებელი - *მოუძწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი.....* - არის კომპიუტერული თამაშით გატაცებისა და მოუწესრიგებელი ოთახში ჯდომის ქცევის ცენტრალური მახასიათებელი, ხოლო მახასიათებლები - *ჯენტლმენი* და *თბილი და ინტელიგენტი ადამიანი* - არის კლასიკით გატაცებისა და ყვავილების ფლობის ქცევის რეპრეზენტაციის ცენტრალური მახასიათებელი. მოსაზრება ცენტრალური და პერიფერიული მახასიათებლების არსებობის შესახებ ხაზგასმულია კვლავ ამის კვლევაში, რომლის დახმარებითაც გამოჩნდა ცენტრალური თვისებების მნიშვნელობა სხვა თვისებების მნიშვნელობის ინტერპრეტაციაში და მთელი შთაბეჭდილების წარმართვაში. ამის (1946) მიხედვით, თვისებები „თბილი“ და „ცივი“ იმდენად ცენტრალური მნიშვნელობის მახასიათებლებია, რომ მთელი შთაბეჭდილება მიმართა პოზიტიური (თბილი) ან ნეგატიური (ცივი) შინაარსისკენ. მათმა ამოღებამ კი, მიწოდებული თვისებათა წყებიდან, გამოიწვია ნეიტრალური ტიპის შთაბეჭდილების ჩამოყალიბება. ამის მიერ თვისებების სტრუქტურირება პერიფერიული ცენტრალურობის მახასიათებლის მიხედვით, ხაზს უსვავს კონტექსტის მნიშვნელობას და ამ კონტექსტის გავლენით მახასიათებელთა მნიშვნელობის ცვლილებას სიტუაციიდან სიტუაციამდე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერიფერიული მახასიათებლები იმის მიხედვით იდენტიფიცირდება, თუ ისინი განიცდიან გავლენას და იცვლიან მნიშვნელობას სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში. რაც შეეხება ცენტრალურ მახასიათებელს, ეს ისეთი მახასიათებელია, რომელიც ახდენს გავლენას სხვა პერიფერიული

მახასიათებლების ინტერპრეტაციაზე. სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენც ვვარაუდობთ, რომ ის სტერეოტიპული მახასიათებელი, რომელითაც მსგავსი მაღალი დადებით ქულით შეფასდა ექიმის თუ IT-ის ფიგურა, თითქმის ყველა ექსპერიმენტულ პირობაში, არის ამ პროფესიის ამსახველი ცენტრალური სტერეოტიპული მახასიათებელი. ისინი არ დაექვემდებარა ცვლილებას წარდგენილი ინდივიდუაციური ინფორმაციის გამო, რაც გამოჩნდა მაღალ დადებით შეფასებებში. (ამას ვერ ვიტყვით სხვა სტერეოტიპულ მახასიათებელზე („კენტლმენი“, ექიმთან), რომლის მნიშვნელობაც შეიცვალა - ინდივიდუაციური ინფორმაციის წარდგენის შედეგად, ეს სტერეოტიპული მახასიათებელი შეფასდა გაცილებით დაბალი ქულით).

იგივე მოხდა ინდივიდუაციურ მახასიათებლებთან დაკავშირებითაც - მათი მნიშვნელობა არ შეცვლილა სტერეოტიპული ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით მიწოდების არც ერთ შემთხვევაში. ინფორმაციის მიწოდების თითქმის ყველა პირობაში, ისინი დაახლოებით ერთნაირად იქნა შეფასებული, ინდივიდუაციური ინფორმაციის ჭრილში.

დამატებითი ანალიზი II

როგორც მოველოდით, ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში, სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა ყველაზე ძლიერია მაშინ, როცა მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციაა წარდგენილი. ინდივიდუაციური ინფორმაციის პარალელურად მიწოდების შემთხვევაში კი ეს გავლენა ნელნელა მცირდება. აღსანიშნავია, რომ შეფასებებზე სტერეოტიპის გავლენის შემცირების პარალელურად იზრდება ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა, რომელიც ყველაზე ძლიერია იმ პირობაში, როცა წარდგენილია მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინდივიდუაციური ინფორმაციის წარდგენა გავლენას ახდენს სტერეოტიპული შინაარსის მქონე ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე. ის ამცირებს სტერეოტიპის გავლენას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად, თუმცა სხვა პირობებშიც, თუნდაც მეორე რიგად მიწოდების შემთხვევაში, სტერეოტიპული მახასიათებლების შეფასება სტერეოტიპულ ჭრილში, სულ უფრო იკლებს.

თითოეული ტიპის ინფორმაციის გავლენის დინამიკის სანახავად იხილეთ ქვევით მოცემული დამატებითი ანალიზი. სწორედ სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის დინამიკაზე დაკვირვება ხუთივე ექსპერიმენტული პირობის მიხედვით, აჩვენებს ამ ცვლილებებს.

შენიშვნა: იმისათვის რომ გვენახა, ის თუ როგორ იზრდება ან მცირდება სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა ექიმის და IT-ის მახასიათებლების შეფასებაზე (შთაბეჭდილებაზე), ჩვენ გამოვთვალეთ:

ა) სხვაობები, რომელიც არსებობს სხვადასხვა რიგით და ერთდროულად მიწოდების პირობებში მიღებულ შეფასებებში, ინფორმაციის ცალ-ცალკე მიწოდების პირობასთან შედარებით. ამის გარდა, ბ)მეტი თვალსაჩინოებისათვის, დინამიკაში ცვლილება გამოვსახეთ გრაფიკის სახით, სადაც კარგად ჩანს სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენის ზრდა-შემცირება.


ამ მიზნით განხორციელდა შემდეგი პროცედურა: გამოვთვალეთ სხვაობა, რომელსაც იღებს სტერეოტიპული ინფორმაცია და ინდივიდუაციური ინფორმაცია ერთდროული და სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში, მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების პირობასთან შედარებით.

სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენის ცვლილების დინამიკა, ხუთივე ექსპერიმენტული პირობის მიხედვით, ასევე წარმოდგენილია გრაფიკის სახით. სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენის დინამიკის გამოთვლა მოხდა ორივე პროფესიული თემისთვის ცალცალკე. (მონაცემები ჯერ წარმოდგენილია ექიმის პროფესიული თემისთვის, ხოლო შემდეგ IT-თვის).


შეგახსენებთ, რომ ხუთივე ექსპერიმენტული პირობის შედარებამ აჩვენა, რომ ექიმის და IT-ის შეფასებებიც, სამივე მახასიათებლის მიხედვით სტატისტიკურად სანდოა (იხ. ცხრილები 34, 51).

ექიმის სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენის ცვლილება


ფიგურა 5 , 6 და 7 თვალსაჩინოდ გადმოსცემს ექიმის შესახებ გამოყენებული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენის ცვლილებას სხვადასხვა რიგითა და ერთდროულად მიწოდების პირობებში, ცალკე მიწოდების პირობასთან შედარებით. გარდა ამისა, ცხრილი 63 ნათლად აჩვენებს, სტერეოტიპული და ინდივიდუაციური გავლენის ცვლილება, იმ სხვაობების სახით, რომელიც არსებობს მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის ცალკე მიწოდების პირობაში მიღებულ შეფასებებსა და დანარჩენ ინფორმაციულ პირობებში მიღებულ შეფასებებს შორის.



ფიგურა 5. ექიმის სტერეოტიპული შინაარსის მქონე მახასიათებლის (წარმატებული და განათლებულია) ცვლილება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით, რითაც კარგად ჩანს სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენის თანდათანობითი შემცირება, ამ მახასიათებლის შეფასებაზე.



ფიგურა 6. ექიმის ტერეოტიპული შინაარსის მქონე მახასიათებლის (ინტელიგენტია) ცვლილება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. აქაც ჩანს თუ როგორ მცირდება სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა ამ მახასიათებლის შეფასებაზე.



ფიგურა 7. ექიმის ინდივიდუალური შინაარსის მქონე მახასიათებლის (მოუშწიფებელი და არაორგანიზებულია) ცვლილება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. ჩანს თუ როგორ იზრდება ინფორმაციის გავლენა ამ მახასიათებლის შეფასებაზე, ხუთივე ინფორმაციული პირობის გასწვრივ.

ცხრილი 63. ცხრილში მოცემულია ის სხვაობები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ მცირდება ექიმის ორივე სტერეოტიპული მახასიათებლის შეფასება, მაგრამ იზრდება ინდივიდუალისტური მახასიათებლების შეფასება (თუ არ ჩავთვლით მესამე ექსპერიმენტულ პირობას)

მახასიათებლები	სხვაობები შეფასებებში, ცალკე მიწოდების პირობასთან შედარებით				
	N1 პირობის ქულა	N1-N2	N1-N3	N1-N4	N1-5
წარმატებული და განათლებულია	8.14	0.70	1.50	0.83	3.68
ინტელიგენტია	6.80	1.81	2.58	1.84	2.34
მოუშწიფებელი და არაორგანიზებულია	2.61	-2.29	-3.54	-2.92	-4.10

მონაცემებიდან ჩანს, რომ ექიმის ორივე სტერეოტიპული მახასიათებელი - წარმატებული და განათლებულია და ინტელიგენტია - ინდივიდუაციური ინფორმაციის სხვადასხვა ფორმით წარდგენის შემთხვევაში სულ უფრო დაბალი ქულით ფასდება მაგ: ცხრილიდან 63 ჩანს, რომ ექიმი ნაკლებად წარმატებულ და განათლებულ ადამიანად ფასდება N2 ექსპერიმენტულ პირობაში, სადაც მისი შეფასება ამ მახასიათებლის მიხედვით, N1 ექსპერიმენტულ პირობასთან შედარებით, იღებს .70 ქულით დაბალ შეფასებას. N4 პირობაში ეს შეფასება კიდევ უფრო - .83 ქულით - მცირდება, ხოლო N3 პირობაში, სადაც ერთროულად იქნა მიწოდებული ორივე ტიპის ინფორმაცია, ექიმის შეფასება - 1.50. ქულით - ძლიერშემცირდა. მსგავსი დინამიკა ფიქსირდება მახასიათებლის „ინტელიგენტია“ შეფასებაში. რაც შეეხება ინდივიდუაციურ მახასიათებელს - მოუმწიფებელი და არაორგანიზებულია - N1 ექსპერიმენტულ პირობასთან შედარებით, სხვა პირობებში მისი შეფასება თანდათან იზრდება: N2პირობაში ექიმი 2.29 ქულით უფრო მოუმწიფებელ და არაორგანიზებულ ადამიანად არის შეფასებულია, ვიდრე ეს არის N1 ექსპერიმენტულ პირობაში. N4 პირობაში კი ეს შეფასება კიდევ უფრო იზრდება 2.92 ქულით, ხოლო N3 პირობაში ხდება კიდევ უფრო უკიდურესი - იზრდება 3. 54 ქულით.


